

ISSN 1987-5789

**ეკონომიკა
და ბიზნესი**



**ECONOMICS and BUSINESS
ЭКОНОМИКА и БИЗНЕС**

01ნვარი-02ნვარვალი
JANUARY-FEBRUARY
ЯНВАРЬ-ФЕВРАЛЬ

2011

03069 ქავებიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტის ეპონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთა-
შორისო რეზერინგბაზი და რეცენზირებაზი
სამეცნიერო-პრაკტიკული ჟურნალი

**International refereed and reviewed scientific and practical journal of
the Faculty of Economics and Business,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University**

**Международный реферируемый и рецензируемый научно-
практический журнал факультета Экономики и Бизнеса Тбилисского
государственного университета
имени И. Джавахишвили**



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ
Published since January, 2008 once in two month
Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თევზ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ., ტელ. 30-36-68, 899-10-38-16
e-mail: ebf.journal@tsu.ge

სარედაქციო კოლეგია

რევაზ გოგოხია – მთავარი რედაქტორი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები: ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე,
ლეო ჩიკავა.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები: იური ანანიაშვილი,
რამაზ აბესაძესიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, ნუგბარ თოლეა, ირაკლი კოვანაძე,
ეკა ლეკაშვილი, მურთაბ მაღრაძე, მაია მარგველაშვილი, ქეთევან მარშავა, ელგუჯა
მექეაბიძეშვილი, იაკობ მესხიანი, ნუგბარ პაიჭაძე, მურმან ტურავა, მირიან ტუხაშვილი, ეთერ
ხარაიშვილი, ელენ ხარაბაძე, რომან ხარბეგია, ნოდარ ხადური, თემურ შენგელია,
ემზარ ჯგურენაძა.

EDITORIAL BOARD

Revaz Gogokhia – Editor-in-chief Doctor of Economic sciences, professor.
Corresponding members of Georgian National Academy of Sciences, doctors of
Economic Sciences: **Vladimer Papava, Avtandil Silagadze, Leo Chikava.**

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili, Ramaz Abesadze,**
Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Nugzar Todua, Irakli Kovsanadze, Eka Lekashvili,
Murtaz Magradze, Maya Margvelashvili, Ketevan Marshava, Elguja Mekvabiishvili,
Iakob Meskhia, Nugzar Paichadze, Murman Turava, Mirian Tukhashvili, Eter
Kharaishvili, Elene Kharabadze, Roman Kharbedia, Nodar Khaduri, Temur Shengelia,
Emzar Jgerenaia.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Реваз Гогохия – главный редактор доктор экономических наук,
профессор.

Члены-корреспонденты Национальной Академии наук Грузии – Владимир
Папава, Автандил Силагадзе, Лео Чикава.

Доктора экономических наук, профессора: Юрий Ананиашвили,
Рамаз Абесадзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, Нугзар Тодуа, Ираклий
Ковсанадзе, Ека Лекашвили, Муртаз Маградзе, Майя Маргвелашвили, Кетеван
Маршава, Злгуджа Меквабишили, Якоб Месхия, Нугзар Пайчадзе, Мурман
Турава, Мириан Тухашвили, Елена Харабадзе, Роман

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი,პარალდ კუნცი – ბრანდენბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიძი – პირეულის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Brandenburg University (Germany), Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University's Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Куниц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Тоомас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური კოლეგია

გრიგოლ თოდეა. გლობალიზაცია როგორც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის საყოველთაო არსი 10
ეპა ლეკაშვილი, თამარ მსაკამე. გლობალიზაციის თანამედროვე პროცესში საქართველოს ადგილის განსაზღვრის საკითხისათვის. 27

რევაზ გველაშვილი. პროცესის ეკონომიკური პოლიტიკის პრო-ორიენტების განხორციელების თავისებურებანი 39
ლემურ სიჭინავა. ინტერნეტის, ხელოვნური გონისა და კაცობრიობის ახალ ეპოქაში გადასვლის შესახებ 47
ნონა გელიტაშვილი. სოციალური დაცვის სისტემის რეფორმის აუცილებლობა საქართველოში. 59.
სოჭიკო ჩვარშეიმვილი. უცხოური პირდაპირი ინგესტიციების თანამედროვე თეორიების მიმოხილვა. 69

მაკროეკონომიკა

ქეთივან მარშავა, მაია მინდორაშვილი. არაფინანსური აქტივების განახლებული კლასიფიკაცია. 79

დავით კაბლაძე. ეკონომიკის განვითარების შეფასების თანამედროვე მეთოდები. 91

Жанна Толордавა. Экспериментальная экономика. 101

ლალი ხერხიძე. საინვესტიციო აქტივობის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში 107

ჯანდო გარანდიძე. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში. 117

ვინანსები და საბანკო საქმე

მათა გოგიანი. ეკონომიკური პოლიტიკა ფულად-საქრედიტო მექანიზმის პრიზმით	127
Абдуллаев Ремзи Эльбрус огли. Развитие источников финансирования аграрного сектора	139

მეცნიერებები. მარკეტინგი. ტერმინი

ნებგარ პაიჭაძე. ადამიანური რესურსების მართვის მოდელები	145
ჩარითა ხაში. სოციალური მედია-მარკეტინგი ტურიზმში: რეალობა და პერსპექტივა	155

მიკოეკონომიკა

ეთერ ხარაგაშვილი. ქართული თხილის კონკურენტუნარიანობა და წარმოების განვითარების სტრატეგიები	167
თამაზ პაიჭაძე. ლუდის წარმოების საწყისები თბილისში.	179

ახალი წიგნები: როგორია პროცესორიალ-რესენზითა აგრე?

ელგუჯა მექაბიშვილი. ნეკროეკონომიკის ზომბირება – შექმ- ნილია ახალი ეკონომიკური თეორია	185
Мурман Турава. Замира Шония. Когда в руках держишь такой уч- ебник.....	192
გერამ ხოლია. გლობალური ბიზნესი: თეორია და პრაქტიკა.	195

საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო – საერ- თაშორისო კონფერენცია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	198
--	-----

CONTENTS

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLITICS

GRIGOL TODUA. Globalization as a universal essence of the modern world economy.....	10
EKA LEKASHVILI, TAMAR ISAKADZE. For defining the place of Georgia in the process trends of globalization	27
REVAZ GVELESIANI. Particularities of implementation of the process economic policy.....	39
DEMUR SICHINAVA, GULADI NAKASHIDZE. About internet, artificial intelligence and mankind transition during a new epoch	47
NONA GELITASHVILI. The necessity to reform the social security system in Georgia	59
SOFIKO JVARSHEISHVILI. The review of modern theories of foreign direct investments	69.

MACROECONOMICS

KETEVAN MARSHAVA, MAIA MINDORASHVILI. Revised classification of non-financial assets	79
DAVID KBILADZE. Assement of economic development by modern methods	91
ZHANA TOLORDAVA. Experiment economics	101
LALI KHURTSIA. Investment problems and prospects Georgia	107
JANDRI ZARANDIA. Economical integration of regions in current conditions of globalization	117

FINANCES AND BANKING

MAYA GOGOKHIA. Economic policy in the prism of monetary mechanism	127
R.E.ABDULAEV. Development of sources for agrarian sector investment	139

MANAGEMENT. MARKETING. TOURISM

NUGZAR PAICHADZE. Models of human resources management	145
CHARITA JASHI. Social media-marketing in tourism: reality and perspective	155

MICROECONOMICS

ETER KHARAISHVILI. Competitive ability of Georgian hazelnut and strategies of production ability	167
TAMAZ PAICHADZE. Origins of beer production in Tbilisi	179

NEW BOOKS: WHAT ARE THE VIEWS OF PROFESSIONAL-REVIEWERS?

ELGUJA MEKVABISHVILI. Zombie-ing of the necroeconomy: created new economy theory	185
MURMAN TURAVA, ZAMIRA SHONIA. When you hold such a manual	192
GURAM JOLIA. Global business: theory and practice	195

The sociocultural environment of international business - international conference at the faculty of economical and busines.....	199
---	-----

СОДЕРЖАНИЕ

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

ГРИГОЛ ТОДУА. Глобализация, как всеобщая сущность современной экономики	10
ЭКА ЛЕКАШВИЛИ, ТАМАРИ САКАДЗЕ. К вопросу для определения места Грузии в современном процессе глобализации	27
РЕВАЗ ГВЕЛЕСИАНИ. Особенности осуществления приоритетов экономической политики процесса	39
ДЕМУР СИЧИНАВА. Об интернете, искусственном разуме и переходе человечества в новую эпоху	47
НОНА ГЕЛИТАШВИЛИ. Необходимость реформы системы социальной защиты	59
СОФИКО ДЖВАРШЕИШВИЛИ. Обозрение современных теорий иностранных прямых инвестиций.	69

МАКРОЭКОНОМИКА

КЕТЕВАН МАРШАВА, МАЙЯ МИНДОРАШВИЛИ. Обновленная классификация нефинансовых активов	79
ДАВИД КБИЛАДЗЕ. Современные методы оценки развития экономики	91
ЖАННА ТОЛОРДАВА. Экспериментальная экономика	101
ЛАЛИ ХУРЦИЯ. Инвестиционные проблемы и перспективы в Грузии	107
ДЖАНДРИ ЗАРАНДИЯ. Региональная экономическая интеграция в условиях глобализации.	117

ФИНАНСЫ И БАНКОВСКОЕ ДЕЛО

МАЙЯ ГОГОХИЯ. Экономическая политика с призмой денежно-кредитного механизма	127
АБДУЛЛАЕВ РЕМЗИ ЭЛЬБРУС ОГЛЫ. Развитие источников финансирования аграрного сектора.	139

МЕНЕДЖМЕНТ. МАРКЕТИНГ. ТУРИЗМ

НУГЗАР ПАИЧАДЗЕ. Модели управления людскими ресурсами	145
ЧАРИТА ДЖАШИ. Социальный медиа-маркетинг в туризме: реальность и перспектива.	155

МИКРОЭКОНОМИКА

ЭТЕР ХАРАИШВИЛИ. Конкурентная способность Грузинского ореха и стратегия развития его производства	167
ТАМАЗ ПАИЧАДЗЕ. Истоки производства пива в Тбилиси	179

НОВЫЕ КНИГИ: КАКОВО МНЕНИЕ ПРОФЕССИОНАЛ-РЕЦЕНЗЕНТОВ?

ЭЛГУДЖА МЕКВАБИШВИЛИ. Зомбирование некроэкономики – создана новая экономическая теория	185
МУРМАН ТУРАВА, ЗАМИРА ШОНИЯ. Когда в руках держишь такой учебник	192
ГУРАМ ДЖОЛИА. Глобальный бизнес: теория и практика ..	198

Социокультурная среда международного бизнеса - международная конференция на факультете Экономики и бизнеса	199
--	-----

გლობალიზაცია, როგორც მანამე-
ღროვე მსოფლიო ეკონომიკის საყოველ-
თაო არსი

გრიგოლ მოლაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაცია მრავალისპექტიანი პრობლემაა, რომელიც ხანდაუზმელი ბჭობის საგანია დღემდე-
გრომიშვნელოვნად არაა დადგენილი ამ ცნების არსი. ცნების არსის განსაზღვრა კი მეცნიერული დისკუსიების აუცილებელი პირობაა ყოველთვის. ცნებითი აზროვნების გარეშე მეცნიერება წარმოდგენათა დონეს ვერ გაცილდება და სოფისტური ლაფხბის ჭაობში ჩაეფლობა. ამიტომ, თავიდანვე უნდა გავარკვიოთ პრობ-
ლემისადმი ზოგადმეთოდოლოგიური მიღომა.

ცნება არის აზრი საგანეზე მისი არსის გამოაშკარავების მიზნით. წარმოდგენა მნიშვნელოვან როლს ასრულებს შემც-
ნებაში, რომლის რაციონალისტური იგნორირება დაუშვებელია. იგი მეცნიერების წინასაფეხურია ყოველთვის. წარმოდგენიდან ცნებაზე გადასვლა კი თვისებრივ ზეაღსვლას გულისხმობს. სწორედ ამიტომა ზოგადმეთოდოლოგიური მიღომა აუცილე-
ბელი. სამწუხაროდ, სწავლულ ეკონომისტთა წრებში ადგილი აქვს ცნების გარეშე გლობალიზაციის პრობლემის გადაუყვების ტენდენციას; ამტკიცებენ, რომ სადღეისოდ ერთმნიშვნელოვნად არაა გამოკვეთილი გლობალიზაციის ცნების განსაზღვრა, რომ თითქოს გლობალიზაციის ცნების ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრა შეუძლებელია. განსაზღვრაში კი ცნების არსი მოცემული უნდა იყოს ზოგად-აბსტრაქტული ფორმით. და თუ მისი ერთმნიშვნელო-
ვანი განსაზღვრა არ შეიძლება, მრავალმნიშვნელოვან განსაზ-
ღვრას დამაბნეველი როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ. ასეთ

შემთხვევაში აზრი არა აქვს მოვლენათა წიადებში მეცნიერული წვდომის მცდელობას. ცხადია, ვინც ასე მსჯელობს, მას სურს გაამართლოს თავისი გონიერივი პორიზონტის თეორიული უსუ-სურობა.

ჰეგელის მიხედვით, „ცნება ყოველგვარი სიცოცხლის პრინციპია და, მაშასად მე, სრულიად კონკრეტულია“¹. ამასთან,,ცნების წინასვლა უკვე აღარ წარმოადგენს არც გადასვლას, არც დარჩენას სხვაში, არამედ იგი არის განვითარება, რადგან განსხვავებული უშუალოდ ამასთანავე დადგენილია როგორც იგივერი ერთმანეთთან (მიტენინდერ) და მთელთან, და განსაზღვრულობა მთელი ცნების თავისუფალი არსია“².

ცნების მოთხოვნათა დაცვას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ვინც არ იცის შრომითი ღირებულებისა და სარგებლიანობის ცნებების კონკრეტული შინაარსი, მათ სიღრმეებში ჩასაიდუმლოებული თანაფარდობის თავისებურებანი კონკრეტულ ისტორიულ მოთხოვნათა მიხედვით, ის ვერ დაადგენს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასების მექანიზმის ჩამოყალიბების კანონზომიერებას. ზოგიერთი რუსი ავტორი ფიქრობს, რომ გლობალისტიკა თეორიულად სწორია, მაგრამ პრაქტიკულად მისი განხორციელება შეუძლებელია. ისინი შენიშნავენ: „თეორიულად უველამ იცის, რომ მოწევა მავნებელია, მაგრამ პრაქტიკულ ცხოვრებაში მაინც ეწევიან“.

ბევრი მსჯელობს რუსული ციფრიზაციის განსაკუთრებული ხასიათის შესახებ, მაგრამ განმასხვავებელ ნიშნებს გვერდს უვლის. ამბობენ, რომ რუსები მიღრეკილნია „ავტორიტარიზმისკენ“, მაგრამ ავტორიტარიზმზე დემოკრატიული სამოსის ჩაცმა მაინც ვერ ხერხდება. ვერ აცნობიერებენ იმას, რომ ასეთი მიღვომით რუსეთი გლობალიზაციის მიღმა რჩება.

სოკრატე ცნების თეორიის ფუძემდებელი იყო. ეს მისი ისტორიული დამსახურებაა მეცნიერების წინაშე. იმხანად მოაზროვნე გონება ჯერ კიდევ ეძიებდა მეცნიერების ლოგიკას. სოფისტები თავიანთ თავს „ბრძენს“ და ყოვლისმცოდნებს უწოდებდნენ.

¹ ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება. თარგმანი გერმანულიდან შალვა პაპუაშვილისა, თბ., 1963, გვ. 343 (ხაზგასმა ჩემია – გ.თ.).

² იქვე, გვ. 345.

სოკრატემ მათ ცნებითი აზროვნების ნორმებით დასაბუთება მოსთხოვა. სოფისტებისთვის ეს მოთხოვნა გაუგებარი აღმოჩნდა. სწორედ ასეთ ვითარებასთან დაკავშირებით განაცხადა სოკრატემ: მე ვაღიარებ რომ არ ვარ ბრძენი (ე.ი. სოფისტი), მაგრამ ის მაინც ვიცი, რაც არ ვიციო. ცნების ცოდნით სოკრატემ დაამარცხა სოფისტი, რომელიც დამაბრვევდ როლს ასრულებდა ლოგიკური აზროვნების განვითარებაში.

პუბლიცისტური მრავალსიტყვაობა და მოვლენათა განსახლერა ნებისმიერი ნიშნების თავისუფალი არჩევით აღვილია, მაგრამ ძნელია ცნების დადგენა და მის დონეზე ამაღლება. ცნებათა მნიშვნელობის გაცნობიერება და შემეცნების ორიგინად მისი გამოცხადება მოაზროვნე გონების აუცილებელ მოთხოვნად უნდა იქცეს.

გლობალიზაცია მთლიანობაში რომ მსოფლიო ისტორიის მრავალგანზომილებიანი თანამედროვე ფენომენია, სადაც არ უნდა იყოს. საგნის არსის გასაძები კი მის ისტორიაშია ჩასაიდუმლოებული. ეს არის დიალექტიკის გარდაუგალი კანონი, რომლის თანმიმდევრული გამოყენებით უნდა დაიწყოთ გლობალიზაციის არსის გამოაშკარავება. უცილობელ გათვალისწინებას მოითხოვს ისეთი ფუნდამენტური მოვლენები, როგორიცაა: კოლონიური სისტემის დაშლა, თანამედროვე მეცნიერებულ-ტექნიკური რევოლუცია და მისი შედეგების დანერგვა პრაქტიკაში, საბჭოთა კაშირისა და, საერთოდ, სოციალისტური სისტემის დაშლა, პლანეტარული პრობლემების წარმოშობა და მისი გაცნობიერებისკენ სწრაფვა.

გლობალიზაცია დასავლეთის სამყაროდან იღებს სათავეს. მისი სიო თავდაპირველად განვითარებული სახელმწიფოებიდან დაიძრა ჩამორჩენილი სახელმწიფოებისკენ. მეცნიერებულ ლიტერატურაში ამ პროცესს განსაზღვრავენ, როგორც ყველა ქვეყნისა და ხალხის ურთიერთობავლენას, ურთიერთდამსგავსებას, ურთიერთდახმარებას, ურთიერთგამდიდრებას, ურთიერთშეთანხმებას, უნივერსალიზაციას და სხვა. ასეთი შეხედულებები მართებული იქნებოდა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და ხალხის განვითარების დონე ძირითადად მაინც ერთნაირი იყოს. სინამდვილეში ამ მხრივ განსხვავება ძალიან დიდია, ამიტომ უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს არა ურთიერთმოქმედებას, არამედ ზემოქმედებას,

ძირითადად გავლენას და არა ურთიერთგავლენას, დახმარებას და არა ურთიერთდახმარებას. მხოლოდ მოვლენათა ზედაპირზე მოფიქრად გონებას შეუძლია ამტკიცოს, რომ აშშ-ზე არსებით გავლენას ახდენენ აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ჩამორჩენილი ქვეყნები, რომ მათ შორის რაიმე მნიშვნელოვანი ურთიერთგავლენა არსებობს.

ფაქტია, რომ თანამედროვე პირობებში მსოფლიო არსებითად ინტეგრაციისკენ მიისწრავვის. უაღრესად პრინციპული იდეოლოგიური განსხვავება მნიშვნელობას კარგას თანდათანობით. დომინანტურ პოზიციას „დემოკრატია“ იქმნება, რომელიც სამწუხაროდ მცირერიცხვანი ერების ინტერესებს ნაკლებად ითვალისწინებს, ძლიერი სახელმწიფოები მსოფლიოს გადანაწილებისკენ მიისწრავვიან კვლავინდებურად. საერთაშორისო ინტეგრაციული მოვლენების მძლავრმა გაქანებამ აგრესიული ხასიათიც კი მისცა ამ პროცესს. მცირერიცხვანი ერების წინსვლის შესაძლებლობანი იზრდება თანდათანობით, ვინაიდან ისინი ჩართულნი არიან მაღალი ძაბვის საერთაშორისო პოლიტიკური მოძრაობის ფარვატერში.

რომის პაპი იოანე პავლე შეშფოთებას გამოთქვამდა გლობალიზაციასთან დაკავშირებით. მისი აზრით, გლობალიზაციის შემთხვევაში ძალზე ბევრი ადამიანი და მთელი სახელმწიფოებიც კი პროგრესის მიღმა აღმოჩნდებიან.

ყოველივე ეს გაითვალისწინა აშშ-ის ხელისუფლებამ. ამის უცილობელი მოწმობაა ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ანსამბლების სხდომაზე ბარაკ ობამას გამოსვლა. მან აშკარად მიანიშნა, რომ რესპუბლიკური ადმინისტრაციისაგან რადიკალურად განსხვავებულ პოლიტიკას გაატარებს, რომ აშშ აღარ აპირებს მსოფლიო ჟანდარმის როლის შესრულებას. ის ახლა მსოფლიო წესრიგის დამყარებას კი არ დაიწყებს, არამედ სხვა ქვეყნებთან ითანამშრომლებს.

ობამამ პირობა დაღო, რომ უარს იტყვის მთელი მსოფლიოს დემოკრატიზაციაზე და სულგრძელი იქნება ავტორიტარულ ქვეყნებში გამეფებული დემოკრატიის ვარიანტებისადმი. „ნებისმიერ ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრება გარედან არ შეიძლება. ყველა ქვეყანამ თავისი გზა უნდა იპოვოს; ისეთი, როგორიც მისი ხალხის კულტურას ესადაგება. მაგრამ უნივერსალური ფა-

სეულობები მაინც არსებობს და აშშ კვლავ მხარში ამოუდგება მსოფლიოს ხალხებს თავისი ბედის განსაზღვრისას”.

გლობალიზაცია არის ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური განზომილება, რომელშიაც აისახება მსოფლიოს ერთიანობის, სამართლიანობისა და თანასწორობის რიგი ეპოქალური ნიშანი. ეს არის ზოგადსაკაცობრიო პრიორიტეტების ტენდენცია, მთელი მსოფლიოს მოწინავე მიღწევების გავრცელებისა და დამკვიდრების გარდაუვალი პროცესი. ასეთი ნიშნები ადრეც არსებობდა, მაგრამ ინტენსიურობის მაღალი ხარისხი მან თანამედროვე პირობებში შეიძინა. ადრე იგი გაშიშვლებული ძალის-მიერი მეთოდებით ხორციელდებოდა, ამჯამად დომინირებს მისი დამკვიდრების ნებაყოფლობითი პროცესი. აქედან გამომდინარეობს გლობალიზაციის ისტორიული მნიშვნელობა, რომელსაც განაპირობებს განვითარებული და ჩამორჩენილი ქვეყნების სტატუსი.

გლობალიზაცია ნიშავს მსოფლიო მოვლენების შეღწევას ყველა ქვეყანაში, ყველა ოჯახში. გლობალიზაციის ბოროტად გამოყენება საკაცობრიო დანაშაულია. მისი გამოყენება უნდა მოხდეს მშევრულებისანი გზით, საზოგადოებრივი ყოფის საერთო აღმავლობისათვის. ცეცხლის სასარგებლო თვისებებს წარმატებით იყენებდა და იყენებს კაცობრიობა, მაგრამ მისი ბოროტად გამოყენებაც შეიძლება.

აქედან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: გლობალიზაცია არის ერთიანი მსოფლიოს ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც პლანეტარული მოვლენების გავრცელების ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდება განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ ღირებულებათა ნებაყოფლობითი გავრცელებით განვითარებადი და ჩამორჩენილი ქვეყნების მრავალფეროვან სივრცეებში.

პლანეტარული მოვლენების გამომხატველი სემანტიკური ტერმინები: რუსული „მიროვიზაცია“, ფრანგული „მონდიულიზაცია“ და სხვა მისთანები ვერ დამკვიდრდა მსოფლიო ეკონომიკაში. ინგლისურმა გლობალიზაციამ მოიპოვა ერთპიროვნული გავრცელება. გლობალიზაცია ინგლისური ტერმინია და დედამიწის სფეროს (Globe) აღმიშვნელი სიტყვიდან იღებს სათავეს. გლობალიზაცია „დია საზოგადოების“ მოთხოვნებით ხორციელდება. ამასთან,

სამყაროს შენების უნივერსალური პრინციპი გამორიცხავს ერთგვაროვნებას. ტერმინი პირველად გამოყენებულ იქნა XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, კერძოდ 1983 წელს. გლობალიზაციის ცნების მრავალფეროვანი შინაარსიდან გამოიყოფა, ჯერ ერთი, მსოფლიო ინტერნაციონალიზაციის ზოგადპლანეტარული მოვლენები, როცა ეროვნულ ეკონომიკათა ურთიერთქმედება გადაიქცა ტრანსნაციონალიზაციის ლოგიკურ შედეგად, მეორე, როცა მან მიიღო ურთიერთშედწევის შინაარსი. ამასთან, ეკონომიკური ყოფის უნივერსალიზაცია ცოდნის, საქონლის, კულტურული ფასეულობებისა და სხვა მისთანების გავლენით სულ უფრო მიისწრაფის ერთიანი სტანდარტების, პრინციპების და ფასეულობებისკენ.

გლობალიზაცია, ისევე როგორც მისი განვითარების პირველი წინამობრედი საფეხურები – ინტერნაციონალიზაცია და ინტეგრაცია, ორ დონეზე მიმდინარეობს. პირველი, ეს არის გლობალური პროცესების სტიქიურ-საბაზრო ურთიერთობის უფრო მაღალი დონის მექანიზმის მიღწევა. მეორე, სახელმწიფოთაშორისი ფორმირებების დონემდე ამაღლება, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს გლობალიზაციის სტიქიური საბაზრო გამოვლინებები. ორივემ ერთად ხელი უნდა შეუწყოს ინსტიტუციურ წარმონაქმნათა მთელი გამის გამოცდილებას, რომელთა შორის ეკონომიკური მოძრაობის ტონს უდავოდ ტრანსეროვნული კორპორაციები (ტეკ) იძლევიან.

ტეკები დიდად განსაზღვრავენ საქონლისა და მომსახურების გლობალური ბაზრის დინამიკისა და სტრუქტურების თავისებურებებს, კონტროლს უწევენ კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობას და უცხოურ ინვესტიციებს; როგორც აქტიური ინვესტირები, სიღრმისეულ ზემოქმედებას ახდენენ განვითარებადი ქვეყნებისა და, საერთოდ, მთელი მსოფლიოს ცალკეული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე, მირითადი პროცესების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ მსოფლიო ეკონომიკაში.

თავიანთი ძლიერი ფინანსური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებით ტეკები ყველაზე მეცნიერებატევად საწარმოთა გამავრთიანებლები ხდებიან, წამყვან როლს ასრულებენ ტექნოლოგიებისა და ცოდნის გადაცემაში; ამასთან, ხელს უწყობენ პროფესიული ცოდნის გავრცელებას და გამოცდილებათა გაცვლას სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის, ასტიმულებენ შრომის საერთაშორისო

მიგრაციის პროცესს. ამ გზით ქმნიან შრომის საერთაშორისო ბაზარს, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის პერსონალის პროფესიული მომზადების კონკერენციის საშუალებას იძლევა.

თანამედროვე ეპოქაში ტრანსეროვნული კაპიტალი დგას მსოფლიო ეკონომიკის სათავეში, ხოლო ამერიკის ტრანსეროვნული კაპიტალი ბატონობს კორპორაციულ სამყაროში. ის განსაზღვრავს ტრანსნაციონალიზაციის მთავარ ტენდენციებს პლანეტარული მასშტაბით.

ტეკ-ის მიზიდულობის მიხედვით პირველ ადგილზე აშშ იმყოფება მსოფლიოში. ამ ბოლო დროს ნათლად გამოვლინდა, რომ რაც უფრო მაღალგანვითარებულია ქვეყანა, მით უფრო დიდი მოცულობის ინვესტიციებს აბანდებს ის საზღვარგარეთ; მაგრამ, ამასთან, დიდი მასშტაბით პუ-საც დებულობს საკუთარ სამშობლოში (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები).

ნიშანდობლივია, რომ ბოლო წლების გასწვრივ ასეთი ინვესტიციების დაახლოებით 3/5-ის დაბანდება მაღალგანვითარებულ ქვეყნებზე მოდის. მხოლოდ 2/5 პოულობს ნოუიერ სივრცეს განვითარებად ქვეყნებში. საზღვარგარეთ საქონლისა და მომსახურების გაყიდვის გზით ამერიკული ტეკ-ის მიერ მიღებული 5 დოლარიდან 4 დოლარი საზღვარგარეთის ფილიალებთან იყო დაკავშირებული.

1960 წელს პუ-ის ფორმით დაბანდებული ამერიკული კაპიტალი 12 მლრდ დოლარს შეადგენდა ამ ბოლო წლების გასწვრივ, მან 50 მლრდ დოლარს მიაღწია.¹

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ: პუ-ის აქტიური საქმიანობის გზით შეიქმნა აშშ მეორე ეკონომიკა, სადაც კოოპერაციები იწყებენ ხელისუფლების მსგავსი დონისძიებების გატარებას. საქმე ისაა, რომ მსოფლიოს 10 უმსხვილესი ტეკ-დან 5 ამერიკულია. მათი შტაბ-ბინა ამერიკის შეერთებულ შტატებშია. ამ ხუთეულის ერთობლივი საზღვარგარეთული აქტივი 264,4 მლრდ დოლარს შეადგენს. მათი საზღვარგარეთული ფილიალები უზრუნველყოფებ 400 000 მეტი ადამიანის დასაქმებას. მსოფლიოში არსებული 100 უმსხვილესი ტეკ-დან 27 დაარსებულია აშშ-ში: მათი ერთობლივი საზღვარგარეთული აქტივების მოცულობა საგრძნობლად ჭარბობს უახლოესი კონკურენტების მიღწევებს.

¹ Государство и рынок: американская модель. М.: АИКИЛ, 1999.

იაპონიასთან მიმართებით ეს მაჩვენებელი 2 ადემატება, ხოლო გერმანულ კომპანიებთან მიმართებით 2,5 მეტია.

ამერიკული კორპორაციების საზღვარგარეთული გაყიდვების წილი მსოფლიო ბაზარზე შედარებით ნაკლებია. საქმე ისაა, რომ ამ ჟესახელმწიფოს შიგა ბაზრის ტევადობა მსოფლიოში ყველაზე დიდია. მაგალითად, საავტომობილო კორპორაციები პროდუქციის 70%-ზე მეტს შიგა ბაზარზე ყიდიან. აშშ-ის ტექ-ის საზღვარგარეთული ფილიალების გაყიდვამ 1999 წელს მთლიანად 1,1 ტრლნ დოლარს მიაღწია, რაც 1,5 აჭარბებს მსოფლიო ექსპორტის მოცულობას.

დიდი წარმატებების მიუხედავად ტექ-ის საქმიანობამ სერიოზული წინააღმდეგობა გამოიწვია ეროვნულ სახელმწიფოთა მხრივ. ამიტომ, კორპორაციები ინტენსიურად შეუდგნენ მთავრობების მსგავსი მმართველობითი სისტემის დანერგვას. მაგალითად, დიდი ხუთეულის წამომადგენელი IBM, ფაქტობრივად, მთელ სახელმწიფოს წარმოადგენს. მას ჰყავს დიპლომატიურ თანამშრომელთა ძლიერი გუნდი, რომელიც ეროვნულ სახელმწიფოებთან საქმიან კავშირებს ახორციელებს. ელექტორატში, რომლის მიმართ იგი უდალატოა, შედიან არა მხოლოდ ამერიკელები, არამედ აქციონერთა ფართო მასებიც. გლობალიზაციის გაფართოების შესაბამისად ჩვენ შევდივართ კორპორაციული ფერდალიზმის ერაში.¹

ტრანსნაციონალური კაპიტალი ობიექტური მოთხოვნებიდან გამომდინარე სულ უფრო აქტიურად მიისწრაფის პოლიტიკური და იდეოლოგიური ძალაუფლების დაუფლებისაკენ. იქმნება ერთგვარი თრხელისუფლებიანობის შინაგანი დინამიკური წონასწორობა ტრანსნაციონალურ კაპიტალსა და ეროვნულ სახელმწიფოთა შორის, რომელიც დაპირისპირებულობისა და ურთიერთხელსაყრელი კონსტრუქციული თანამშრომლობის ფაქტორთა ერთიანობაში მიმდინარეობს.

ცხადია, ტრანსნეროვნული კაპიტალის მოქმედების ნიშანსვეტი მოგებისადმი გამოდევნებაა, ამიტომ მისი საქმიანობა ზოგჯერ უკიდურეს დონემდევ მისულ სპეციალისტურ კაპიტალში გადადის, მაგრამ უპირატესად გადამწყვეტი შემოქმედებითი პლანეტარული

¹ Tailor I. Wacker W. The sooyelta – Oxford, 1997, p. 95; ა.გ. მოვხესიანი, ს.პ. ოგნივცევი, მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2003, გვ. 157.

ძალის ფუნქციით იტვირთება. იგი ფაქტობრივად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველთა საფუძველია.

ამჟამად ბევრი კარდინალური საკითხი ფინანსური ინსტიტუტებისა და ინფორმაციების გამოყენების საშუალებით წყდება. ტრანსნაციონალიზაციის ბატონობის პირობებში ყალიბდება საწარმოო კომპლექსები, რომელნიც სახელმწიფოთა საზღვრებს არღვევენ და ერთიანდებიან მძლავრ კომერციულ-ინდუსტრიულ ტრანსეროვნულ სისტემებად. სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის ბატონობის ადგილს ფინანსური კაპიტალი იჰქერს. ტრანსეროვნულმა კორპორაციებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებული დიდიალი მოგების საფუძველზე შექმნეს ვალუტათა რეზერვები, რომელიც ბევრად აღმატება მსოფლიოს ცენტრალური ბანკის რეზერვებს ერთად აღებულს. ბევრი ტრანსეროვნული წარმონაქმნის კორპორაციული ფასიანი ქაღალდებისა და გაცვლითი სავალუტო პერაციების, ან კიდევ სახელმწიფო სესხების ბაზრების გამოყენების გზით ცდილობს მოგების მიღებას. ეს გლობალური ფინანსური დესტაბილიზაციის საფრთხეს ქმნის. მაქსიმალური მოგების მიღების საშუალებათა ძიების მიზნით ტრლნ დოლარზე მეტი მოძრაობს ყოველდღიურად მსოფლიოში. XX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან მსოფლიო ეკონომიკა ვითარდება გლობალურ პრობლემათა ინტენსიური გავლენით, რომელსაც წინააღმდეგობრივი ხასიათი აქვს. წინააღმდეგობის გადაწყვეტის აუცილებელი პირობა მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და ხალხის თანამშრომლობა და გაერთიანებული მოქმედება. გლობალურ პრობლემათა შორის წინა პლანზე უპირატესად წამოიწევა მშვიდობისა და განიარღების, ენერგეტიკული, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, სასურსათო, მსოფლიო ოკეანის რესურსების გამოყენების, კოსმოსის ათვისების და სხვა პრიორიტეტული პრობლემები, რომელნიც ერთმანეთთან მიზეზობრივადაა დაკავშირებული.

XX საუკუნის 90-იან წლებში მიღებულ იქნა პრიორიტეტულ პრობლემთა შემდეგი კლასიფიკაცია: 1. მშვიდობის დაცვა და ბირთვული ომის თავიდან აცილება, გამალებული შეიარაღების შეზღუდვა და განიარღება, მსოფლიოს სტაბილური განვითარება და სხვა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები;

2. ეგოლოგიური, ენერგეტიკული, ნედლეულის, სასურსათო, მსოფლიო ოკეანის და, საერთოდ, ბუნებრივ-უკონომიკური განვითარების პრობლემები; 3. ისეთი სოციალური პრობლემები, როგორიცაა: ეროვნულათაშორისი კონფლიქტების მოგვარებისა და დემოგრაფიული პრობლემები, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის, საერთოდ კულტურისა და რელიგიური აღმსარებლობის განვითარების პრობლემები და ა.შ. 4. სამხედრო და რეგიონულ კონფლიქტებთან, დამნაშავეობასთან, ტექნოლოგიურ კატასტროფებთან, სტიქიურ უბედურებასთან და სხვა მისთანხებთან დაკავშირებული პრობლემები; 5. კოსმოსური სივრცის ათვისების, დარგთა განვითარების პროგნოზირების და სხვა მეცნიერული პრობლემები.

ყველა პრობლემა კაცობრიობის ყოფნა-არყოფნის კრიტიკული ვთარებიდან გამომდინარეობს და უწინარეს სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციას უკავშირდება. ამიტომ გლობალიზაცია მსოფლიო ეკონომიკის, სოციოლოგიის, სამართლის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ეკოლოგიის, ოკეანოლოგიის და მეცნიერების სხვა დარგების კვლევის ობიექტია. ამჟამად ყალიბდება ახალი დარგი – გეოგლობალისტიკა, რომელიც პრობლემებს გლობალურ, რეგიონულ და ქვეების დონეებზე თანმიმდევრულად შეისწავლის. გლობალურ პრობლემათა გადაწყვეტა დიდად სახსრებს მოითხოვს. ყოველწლიურად იგი დაახლოებით ერთი ტრლნ დოლარით უნდა განისაზღვროს. ამჟამად მსოფლიო საზოგადოებრიობას მასში კოლოსალური თანხის დაბანდების საშუალება არა აქვს.

XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს მსოფლიოს მთლიანი პროდუქტი დაახლოებით 30 ტრლნ დოლარს უდრიდა. ამიტომ ფინანსური სახსრების განაწილების დროს პრიორიტეტული პრობლემების გადაჭრას უნდა მიექცეს საგანგებო ყურადღება. გამოკვლევები ავიაცაში, გამოთვლით ტექნიკასა და სხვა მისთანა დარგებში არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მეცნიერების განვითარების ნიშანსვეტად. სწრაფი პროგრესი სამხედრო დარგში საფრთხეს უქმნის კაცობრიობის უშიშროებას, აღრმავებს გლობალურ პრობლემებს.

გამალებულ შეიარაღებას მოყვა მომაკვდინებელი ბომბების გამოგონება, რომელმაც ყოფნა-არყოფნის წინაშე დაყენა ადამი-

ანთა მოდგმა. მან გამომგონებელთა მისწრაფებების საწინააღმდეგო ხასიათი მიიღო, გაძლიერდა ხანძრებისა და კატაკლიზმების საშიშროება, სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა პერმანენტული კონკურენცია ბირთვული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და სხვა სახეობების იარაღების გამოცდაში და მიტანის საშუალებათა სრულყოფაში. საქმე ისაა, რომ მათი განლაგება სამხედრო ნაწილებში დაკავშირებული იყო მისი შემთხვევითი არა სანქცირებული გამოყენების რისკთან. მსოფლიოს პროგრესული ძალების გაერთიანებისა და იარაღის მფლობელი ქვეყნების დიდი ძალის სმენების შედეგად მიღწეულ იქნა მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის პროგრამა. მეტნაკლები წარმატებით მიმდინარეობს განიარაღების შესახებ მოლაპარაკებები.

თუმცა შემცირდა კონფლიქტების საშიშროება, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის სავსებით გადაჭრილი იგი. რეგიონული და ლოკალური წინააღმდევობების გამწვავებამ შესაძლებელია მძიმე შედეგები მოუტანოს მოელ მსოფლიოს, თუ ამ კონფლიქტებში მასობრივი მოსპობის იარაღებს გამოიყენებენ. ამჟამად უდარიბეს ქვეყნებში 1,2 მლრდ ადამიანი სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს, მლრდ-ზე მეტი უწიგნურია, 1,5 მლრდ-ზე მეტი ვერ დებულობს აუცილებელ სამედიცინო დახმარებას, 5 წლამდე ყოველი მესამე ბავშვი შიმშილობს. თუ ასე გაგრძელდა, ეს ადრე თუ გვიან გამოიწვევდა სხვადასხვა მასშტაბის გლობალურ პროტესტებს და კონფლიქტებს. სიღატაკისა და უთანასწორობის დაძლევის გლობალური ამოცანა კი შეიცავს როულ ეკოლოგიურ მომენტებს, რომელიც მრავალმხრივ ართულებს სიღატაკისა და უთანასწორობის პრობლემის გადაწყვეტას.

ეკოლოგიური საშიშროება ადამიანსა და ბუნებას შორის დაძაბულ ურთიერთობაში ვლინდება, ნარჩენებით გაფუჭებულია გარემო, ადამიანის არსებობას საფრთხე ემუქრება. განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები ეკოლოგიური საჭიროებისათვის ხარჯავს მშპ-ის დაახლოებით 1,7%-ს. მაგრამ ბუნების ზარალი ყოველწლიურად მშპ-ის 6%-ია. ბუნების დაცვის ღონისძიებათა გატარებისათვის დიდი ყურადღება უქცევა ეკოლოგიური უსაფრთხოების კრიტერიუმებს და ეკოლოგიის მეცნიერების დარგში ფუნდამენ-

ტური კვლევის განხორციელების პრობლემებს. გარემოს დაცვის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონულ თანამშრომლობას.

დემოგრაფიული პრობლემა გლობალურ პრობლემათა სისტემის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. მას სამი ძირითადი მხარე აქვს: მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა, მიგრაცია და დაბერება. 2000 წლის წინათ დედამიწის მოსახლეობა დაახლოებით 80 მლნ იყო. 1000 წელს მან 350 მლნ-ს მიაღწია, 1700 წელს – 600 მლნ-ს, 1850 წელს 2,5 მლრდ შეადგინა. მსოფლიოში ერთ წამში იბადება 21 ადამიანი, კვდება – 18. ყოველწლიურად დედამიწის მოსახლეობა 250 ათასი კაცით იზრდება. ყოველწლიური მატება 90 მლნ-ია, ანუ წელიწადში 1,6%-ით იზრდება. ამჟამად მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე ჩვენი პლანეტის 1კვ. კმ-ზე დაახლოებით 35 ადამიანია.

მოსახლეობის ზრდის შეზღუდვის მიზნით, რიგი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლება სპეციალურ დონისძიებებს ატარებს. XX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგისათვის მოსახლეობის რიცხოვნების ზრდა წელიწადში 2,1%-ით შემცირდა, 2000 წლისათვის კი – 1,6%-ით. განვითარებადი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ინდოეთი, სადაც XX საუკუნის 60 წლებთან შედარებით მოსახლეობის რიცხოვნება 40%-ით შემცირდა, ინდონეზიაში – 46%-ით, ბრაზილიაში – 55%-ით, ხოლო ჩინეთში – 68%-ით.

ჩინეთში დიდი წარმატება მოვა შობადობის შემცირების საგანგებო პოლიტიკას, რომელიც ოჯახში ბავშვთა გამრავლების ერთი სულიო ზღვდავს. აქ შობადობის დონე XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მკვეთრად შემცირდა. 1995 წლის მონაცემებით 6 მშობიარობიდან 1,9-მდე დაეცა. თუმცა ამჟამინდელი დემოგრაფიული ვითარება აშშ-ში მოსახლეობის რიცხოვნების სწრაფი ზრდის ხელსაყრელ პირობებს იძლევა, მაგრამ იქ მაინც მისი შემცირება ისევ რჩება ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად.

XX საუკუნის ბოლოს ხალხთა გადაადგილება განვითარებად და ჩამორჩენილი რეგიონებიდან განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის მოძრაობის მთავარ არტერიად იქცა. ეს უწინარეს ცხოვრების დონეებს შორის განსხვავებამ გამოიწვია. მაგალითად, კალიფორნიის შტატის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერთებულ კულტურულ განვითარება მათი შენარჩუნების გარანტია. ამას ემატება „ტვინის გადინება“ ჩამორჩენილი რეგიონებიდან დაწინაურებულ ქვეყნებში.

გლეხებს 20-ჯერ ნაკლები შემოსავალი აქვთ, ვიდრე ადგილობრივ მკვიდრო, ამიტომ ისინი მასობრივად გადადიან აშშ-ში სამუშაოდ. მათ „სკელ ზურგებს“ უწოდებენ, გინადიან ცურვით უხდებათ რიო გრანდეს საზღრამდე მისვლა. მსგავსი ვითარება სუფექს განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოებსა და აფრიკის ქვეყნებს შორის. მიგრაციულ ნაკადებს შეუერთდა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების მოსახლეობის საქმაოდ სოლიდური მასები. ყოველწლიურად 2-3 მლნ ადამიანი იძულებულია წავიდეს საზღვარგარეთ. აშშ, ერმანია, კანადა და ავსტრალია მათი ემიგრაციული მოძრაობის ძირითადი სივრცეა. XXI საუკუნის ზღურბლზე 130 მლნ-ზე მეტ ადამიანს აქვს მიტოვებული სამშობლო. უდიდესი შესაძლებლობანი გააჩნიათ საერთაშორისო დიასპორებს. ისინი მნიშვნელოვან მონაცემებს ფლობენ ინფორმაციების გადაცემისა და კაპიტალის ბაზრის შესახებ, პროცესიული ჩვევების არაოფიციალურ არხებს იყენებენ ოფიციალური არხების შესავსებად. ეს უკანასკნელი კი საბაზო ინსტიტუტების მონაცემებს ემყარება. მიგრაცია, გაფართოების შესაბამისად, კონტინენტებს აერთიანებს. მთავრობები ვერ ახერხებენ ამ პროცესის შენელებას. თანამედროვე კავშირგაბმულობის საშუალებების, ტექნოლოგიებისა და ადამიანური ურთიერთობების განვითარება მათი შენარჩუნების გარანტია. ამას ემატება „ტვინის გადინება“ ჩამორჩენილი რეგიონებიდან დაწინაურებულ ქვეყნებში.

ამრიგად, მოსახლეობის მიგრაციის პროცესმა წარმოშვა ორი მძლავრი ტენდენცია: ეროვნული დიასპორების გავლენების გაფართოება და „ტვინების გადინება“ ანუ კვალიფიციური სამუშაო ძალის მიგრაცია განვითარებადი ქვეყნებიდან.

ასაკობრივი სტრუქტურა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე დემოგრაფიული პრობლემაა. მოსახლეობის დაბერების ტენდენციამ უკვე აშკარად იჩინა თავი განვითარებულ ქვეყნებში. თუ 1900 წელს აშშ-ში 65 წელს გადაცილებული მოსახლეობა 4%-ს შეადგენდა, ამჟამად ასეთი ადამიანების რიცხოვნობამ 13%-ს მიაღწია. მწვავედ დგას მხცოვანთა შემოსავლების მოძრაობისა და აქნიების მდგომარეობის საკითხი. უშუალოდ მხცოვანთა შემოსავალი აშშ-ში ბევრად აჭარბებს საერთოდ მოსახლეობის

ერთ სულზე შემოსავალს. ამ ქვეყანაში დრმად მოხუცები ბევრად უფრო მდიდრები არიან, ვიდრე ახალგაზრდები. მხცოვანებს არ სურთ პოზიციების დამობა. თუმცა მათი რიცხოვნება ამჟამად მოსახლეობის მხოლოდ 13%-ს შეადგენს, მაგრამ იმდენად დიდ ქონებრივ პოტენციალს ფლობენ ისინი, რომ პოლიტიკური პარტიები მათთან ბრძოლას ერიდებიან.

შექმნილი მდგომარეობა იმის უდავო მოწმობაა, რომ პენსიაზე გასვლის ასაკზე სერიოზული ფიქრი მოუწევს სახელმწიფო ხელისუფლებას. 1891 წელს ბისმარკმა მოსახლეობის საპენსიო ასაკი განსაზღვრა 65 წლით, მაგრამ მაშინ გერმანიაში სიცოცხლის ხანგრძლივობა 45 წელზე ნაკლები იყო. ბისმარკმა აირჩია სოციალური უზრუნველყოფის მცდარი გზა, რომელიც ემყარებოდა მატერიალურ შესაძლებლობათა გადაცემას თაობიდან თაობაზე.

თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობას დღევანდელ პირობებში, მაშინ სახელმწიფოს მიერ პენსიების დანიშვნა უნდა ხდებოდეს 95 წლის ასაკში. მართალია, შედარებით ნაადრევად პენსიების დანიშვნას დაწინაურებულ ქვეყნებში მთლიანი ეროვნული პროდუქტის მასშტაბური მოცულობა განაპირობებს, მაგრამ დანიშვნის ვადების მიღებული ნორმები მაინც მეტისმეტია.

განსხვავებულად წაიყვანა საქმე ლი კუანომ სინგაპურში. მან საკუთარი ფონდის შექმნის თვითუზრუნველყოფის პრინციპი მიიჩნია მთავარ გზად. მისი აზრით, ყოველი სინგაპურელი ვალდებულია პირად ანგარიშზე შემნახველ სალაროში შეიტანოს თავისი ხელფასის 20%. ამას ემატება მეწარმის 20%-იანი შენატანი გამოყენებულ თანხაზე. დაგროვილი სახსრებიდან ინვესტიციები ხორციელდება როგორც კერძო პირების, ასევე მთავრობის მიერ. მათი გამოყენება ხდება ჯანმრთელობის დაცვის, განათლების დონის ამაღლების, საცხოვრებელი მდგომარეობის გაუმჯობესების, მხცოვანი ადამიანების ცხოვრების პირობების სრულყოფის და სხვა მისთანხებისთვის. ლი კუანომ სწორი გზა აირჩია. მთავრობამ აიძულა ადამიანები ხელფასის გარკვეული ნაწილი შეენახათ, რათა მათი გამოყენება მოხუცებულობის ასაკში შეძლებოდათ. ამას ემატება ნებაყოფლობით დაგროვილი თანხა.

თაობათა შორის ცხოვრების საშუალებათა გადაცემის სისტემის პირობებში თვითდაფინანსებაზე გადასვლა ნება მიმდინარეობს. ასეთი სისტემა დიდი სარგებლობის მომტანი შეიძლება იყოს პირველი თაობისთვის, რომელიც მოხუცებულობაში ღებულობს შედავათებს, თუმცა, ახალგაზრდობაში ამ სისტემას არაფერს მატებს. საერთოდ საზოგადოებაში არცერთი თაობა არაა ბოლო. მაგრამ თაობები განსხვავდებიან რიცხოვნებით. შედავათების დონე კი მკვეთრად იზრდება. შედარებით გვიანდელი თაობები შეასრულებენ ბოლო თაობების როლს, რომელიც გადაიხდიან გაცილებით მეტს.

მოსახლეობის დაბერებით გამოწვეული სიმნელეების დაძლევა მეტად რთული პრობლემაა. მხცოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილი მათ მიერ არჩეული მთავრობებიდან მოითხოვს პენსიების გადიდებას და სხვა შედავათებს, მაგრამ შედარებით მცირებიცხვან შრომისუნარიან მოსახლეობას არ შეუძლია ესოდენ დიდი მოთხოვნილებების მატერიალური უზრუნველყოფა. ამიტომ გლობალური ხასიათით გამოირჩევა სურსაოის წარმოებისა და სასურსაოო უსაფრთხოების პრობლემა, რომელიც საგანგებო შეწავლის ობიექტი უნდა იყოს ყოველთვის.

Globalization, as a Universal Essence of the Modern World Economy

G. Todua

Globalization is one of the most fundamental and controversial dimensions, in which a number of epochal signs of the world unity, justice and equality is reflected. This is a tendency of the humanity development, inevitable process of distribution and establishment of the major achievements of the whole world. Currently it is establishing on a voluntary bases. Historic meaning of globalization comes from here, which is conditioned by the status of developing and underdeveloped countries.

გლობალიზაციის თანამედროვე პროცესში
საქართველოს აღზიდის
განსაზღვრის საკითხებისათვის

ეკა ლეკაშვილი

თსუ ასოცირებული პროფესორი,

თამარ მსამაძე

თსუ მაგისტრანტი

გლობალიზაცია მსოფლიოს განვითრების უმნიშვნელოვანესი ტენდენციაა. გლობალიზაცია პროცესია, რომელიც მოიცავს მსოფლიო ქვეყნების ინტეგრაციას საერთო ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სისტემების ქვეშ. გლობალიზაციის ყოვლისმომცველი ხასიათი ნათლად მეტყველებს მისი კვლევის აქტუალურობაზე.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის მრავალ განზომილებას შორის უმთავრესია ეკონომიკის გლობალიზაცია, რომელიც შეიძლება განვიხილოთ დია ეკონომიკის საბაზო ორგანიზაციის ფორმის საფუძველზე ერთიანი გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროცესის სახით. კვლევის მიზანია გლობალიზაციის პროცესში საქართველოს ადგილის განსაზღვრა და ქვეყნის ეკონომიკაზე მისი გავლენის შედეგების გაანალიზება. ამ მიზნით შევისწავლეთ გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრირების მიმართულებები, საქართველოს საგარეო საგაჭრო და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარების ტენდენციები გლობალიზაციის რაოდენობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით.

ეკონომიკის გლობალიზაცია ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთობებს მათი განვითარების უმთავრეს ფაქტორად აქცევს.

გლობალიზაცია ვითარდება ქვეყნებს შორის საქონლის, კაპიტალის, მომსახურების, ცოდნის, კულტურული მიღწევების გაცვლით.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ყოვლისმომცველმა პროცესებმა გამოიწვია საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განმსაზღვრელი პირობების ცვლილებები, რაც აისახა მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირებაში საერთაშორისო საფინასო-ეკონომიკური

ორგანიზაციებისა და ტნკ-ების როლის ზრდასა და სუვერენული სახელმწიფოს როლის შემცირებაში. ეს ვითარება განსაკუთრებით მტკიცნეულად აისახება საქართველოს და, ასევე, სხვა გარდამავალი ეკონომიკების მქონე ქვეყნებზე. ისტორიული მემკვიდრეობის და ახლო წარსულში მომხდარი პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისის შედეგად, მკეთრად დაბალია ამ ქვეყნების ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა, რაც ართულებს გარე პირობებთან შედარებით უმტკიცნეულო ადაპტაციას.

გლობალიზაციის თანამედროვე პოლევები გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მეტად არიან ჩართული ქვეყნები გლობალიზაციის პოლიტიკის (მეტად გლობალიზებული არიან), მით უფრო აქტიურად ინარჩუნებენ მინიმალურ შემზღვდავ ბარიერებს თავისუფალი გაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის გზაზე, მათი კანონმდებლობა საზოგადოებრივ მოწესრიგებულია, სამეწარმეო გადასახადები კი მაღალი. პოლიტიკა ტექნოლოგიების დარგში ხელს უწყობს ინოვაციებს. ასეთი ქვეყნები უფრო მიზანდასახულად ატარებენ კანონის უზენაესობისა და საკუთრების დაცვის პრინციპებს, მეორე მხრივ, ნაკლებად გლობალიზებული ქვეყნები მიღრეკილი არიან ისეთი პოლიტიკის გატარებაზე, რომელიც დაფუძნებულია ბაზრების ფუნქციონირებაში უშუალო ჩარევაზე, რაც მკვეთრად ამცირებს მათ კონკურენტუნარიანობას.

ქვეყნების გლობალიზებულობის დონის გამოსაკვლევად იყენებენ ე.წ. KOF ინდექსებს. ეს არის აგრეგირებული მაჩვენებელი, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტებს.

გლობალიზაციის KOF ინდექსის მიხედვით ეკონომიკურ გლობალიზაციას ახასიათებს საქონლის, კაპიტალის, მომსახურების, ინფორმაციული ნაკადების შორ მანძილზე გადატანა, პოლიტიკურ გლობალიზაციას - სამთავრობო პოლიტიკის დიფუზია, ხოლო სოციალურს - იდეების, ინფორმაციის, ადამიანური ურთიერთობების მაღალი ხარისხი. ეს მაჩვენებლები, თავის მხრივ, უყრდნობა შემდეგ ქვეინდექსებს: რეალური ეკონომიკური ნაკადების მოცულობა; ეკონომიკის შეზღუდვები; ინფორმაციული ნაკადების მოძრაობა; პირადი კონტაქტების მაჩვენებლები; კულტურული სიახლოების მონაცემები.


პოლიტიკური გლობალიზაციის ქვეინდექსები განისაზღვრება შემდეგი ინდიკატორებით: ქვეყანაში საელჩოების რაოდენობა, საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, საერთაშორისო ხელშეკრულება.

ბების რაოდენობა, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მიხილის წევრობა. აღნიშნული ინდექსები პროცენტულ მაჩვენებლებში გამოიხატება და ყოველწლიურად გაიანგარიშება. რაც უფრო მაღალია მაჩვენებელი, უფრო მეტია ქვეყნის გლობალიზებულობის დონე.

2010 წლის გლობალიზაციის KOF ინდექსის მიხედვით ყველაზე გლობალიზებული ათი ქვეყანაა: ბელგია (92.95), ავსტრია (92.51), პოლანდია (91.90), შვეიცარია (90.55), შვედეთი (89.75), დანია (89.68), კანადა (88.24), პორტუგალია (87.54), ფინეთი (87.31), უნგრეთი (87.00). აღნიშნულ რეიტინგში საქართველოს 69-ე ადგილი უკავია (61.29). ჩვენს მეზობელ, ასევე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, აზერბაიჯანსა (55.18) და სომხეთს (54.99) შესაბამისად 95-ე და 96-ე პოზიციები. ადსანიშავია, რომ ლიდერი ქვეყნების უმეტესობა ევროპის რეგიონს მიეკუთვნება. ამასთანავე, ისინი არ ითვლებიან წამყვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოთამაშებად. თუმცა, როგორც მონაცემები გვიჩვენებს, ყველაზე უფრო აქტიურად არიან ჩართული მსოფლიოს ცხოვრების ყველა ასპექტში. ძნელია და აღბათ არასწორიც ამ ქვეყნების განვითარებისა და ცხოვრების მაღალი დონე მხოლოდ მათ გახსნილობას და გლობალიზაციის მაღალ რეიტინგს მივაწეროთ, თუმცა, აღბათ ეს გარკვეულ მინიშნებას მაინც გვაძლევს.

მსოფლიო გლობალიზაციის დონე 1970-2007¹

დიაგრამა 1




მთლიანად მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესების განვითარება სატრანსპორტო, საკომუნიკაციო საშუალებების და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან იყო დაკავშირებული. მსოფლიოს გლობალურობის კოეფიციენტის განვითარების დინამიკა 1970-2007 წლებში ასახულია პირველ დიაგრამაზე. ნათელია, რომ მსოფლიო

¹ www.globalization.kof.ethz.ch

დაახლოებით 20 ერთეულით (35-დან 55-მდე) უფრო დაახლოვდა 2007 წლისთვის წინა პერიოდთან შედარებით. საქართველოს მდგომარეობა იგივე მონაცემებით ასახულია მეორე დიაგრამაში.

საქართველოს გლობალიზაციის დონე 1970-2007¹
დიაგრამა 2



დიაგრამაზე ასახული მდგომარეობა ზუსტად ასახავს ქვეყნის ტრანსფორმირების ხანას: დახურული ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემიდან გადასვლას დაც ტიპის საბაზო ეკონომიკაზე. ამავე პერიოდში გლობალიზაციის პროცესი ევროპის რეგიონში ლოგიკური განვითარებით ხასიათდება: შედარებით ნელი ზრდა შეინიშნება 1970-1993 წლებში, ხოლო შემდეგი ათწლეულები 2-ჯერ უფრო სწრაფი გლობალიზაციის ხარისხით ვითარდება. აზის რეგიონისთვის კოეფიციენტის მოცულობა 1970 წლისთვის, ევროპასთან შედარებით, 20 ერთეულით ნაკლებია. რეგიონი, ევროპის მსგავსად, ხასიათდება გლობალიზაციის მაჩვენებლის ნელი ზრდის ტემპებით 1993 წლამდე. შემდეგ კი, უფრო სწრაფი და დინამიური მატებით. ოუმცა, 2007 წლის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი, ეკროპულთან შედარებით კვლავ დაბალია, დაახლოებით 22 ერთეულით და 55 %-ს აღწევს. თუ უფრო სიღრმისეულად განვიხილავთ 2010 წლის ანგარიშს, ვნახავთ, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი მოიცავს რეალური ეკონომიკის მოცულობას. ეს უკანასკნელი, კი, თავის მხრივ, შედგება მშპ-დან პროცენტულად განსაზღვრული შემდეგი კომპონენტებისაგან: საგარეო ვაჭრობა; პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; ტრანსფერები უცხოელი მოქალაქეებისთვის – არარეზიდენტებისთვის.


ეკონომიკური გლობალიზაციის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილია შეზღუდვების, აკრძალვების ოდენობა. ის მოიცავს შემ-

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

დეგ ქვემობონენტებს: ფარული საიმპორტო ბარიერები; საშუალო სატარიფო განკვეთები; გადასახადები საერთაშორისო ვაჭრობაზე; კაპიტალის ანგარიშების შეზღუდვები.

საქართველოს ეკონომიკური გლობალიზაციის დონე 1970-2007¹

დიაგრამა 3




ეკონომიკური გლობალიზაციის ნიშნის მიხედვით პირველ ათ ადგილს იკავებს: სინგაპური, ირლანდია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია, მალტა, ბელგია, ესტონია, უნგრეთი, შვედეთი, ავსტრია. ამ რეიტინგში საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი შესაბამისად 30 - ე, 89-ე და მე-60 პოზიციებს ინაწილებენ. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაცია ამ რეიტინგით 92-ე ადგილზე იმყოფება, ხოლო აშშ 57-ე პოზიციაზე. საქართველოსთვის მკეთრად იკვეთება ხისტი პოზიცია 1991 წლამდე (დიაგრამა №3), შემდგომ ხდება რეიტინგში სწრაფი წინსვლა. ჩავარდნები გეხდება 1991-1995 წლების პერიოდში, როდესაც ქვეყანა სამოქალაქო ოში იყო ჩართული და მძიმე პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა.

დიაგრამა 4 გვიჩვენებს გლობალიზაციის ხარისხს ეკონომიკური შეზღუდვების მიხედვით. 1999 წლამდე შეზღუდვების უცვლელი დონეა, შემდეგ მცირედენი მატება გახდება, რაც ეკონომიკური ლიბერალიზაციის ხარისხის ამაღლებას გულისხმობს. 2004 წლიდან შეინიშნება რეიტინგის უფრო სწრაფი ზრდა, ხოლო 2007 წელს ის აღწევს უმაღლეს წერტილს, სადაც მისი მოცულობა 88 ერთეულით განისაზღვრება და თითქმის 40 ერთეულით მეტია 1970 წელთან შედარებით.

საქართველოში გლობალიზაციის დონე ეკონომიკაში შეზღუდვების მოცულობის მიხედვით 1970-2007 წლებში¹

¹www.globalization.kof.ethz.ch

დიაგრამა 4



სოციალური გლობალიზაციის კომპონენტი შედგება პირადი კონტაქტებისაგან, რაც თავის მხრივ მოიცავს: სატელეფონო კავშირებს, ტრანსფერებს, უცხოელი მოსახლეობის წილს მთლიან მოსახლეობაში, უცხოური წერილების რაოდენობას. ასევე, მოიცავს ინფორმაციულ ნაკადების, რომელიც მოიცავს: ინტერნეტის მომხმარებლებს (მოსახლეობის 100 სულზე), ტელევიზორების რაოდენობას (მოსახლეობის 1000 სულზე) და ბეჭდვითი მედიას (წილი მშპ-ში). და ბოლოს კულტურული სიახლოების კოეფიციენტისგან, რომელიც მოიცავს: მაკონალდსის რესტორნების რიცხვს ქვეყანაში, ასევე, წიგნებით საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობას.

სოციალური გლობალიზაციის ნიშნის მიხედვით, პირველი ათეული შემდეგნაირად ნაწილდება: შვეიცარია, ავსტრია, კანადა, ბელგია, ჰოლანდია, დანია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, შვედეთი, საფრანგეთი. ამ მონაცემების მიხედვით საქართველო 94-ე, აზერბაიჯანი 92-ე, ხოლო სომხეთი 114-ე პოზიციებს იაკავებს. მეხუთე დიაგრამაზე ასახულია საქართველოს გლობალიზებულობის ხარისხი სოციალური ნიშნით.


სოციალური გლობალიზაციის მაჩვენებლებმა ცხადყო, რომ კონტაქტების მოცულობა იზრდება 1996 წლიდან, როდესაც გაიხსნა ქვეყნის საზღვრები, დაიწყო მოსახლეობის გადინება საზღვრებს გარეთ. ასევე, ვითარდებოდა ინფორმაციული ტექნოლოგიები, რაც მეტ ნაკლებად ადამიანებს შორის კონტაქტს უწყობს ხელს. მნიშვნელოვანი ზრდა იწყება ასევე 1997 წლიდან, როცა ქვეყნის მოსახლეობა შედარებით “გამოცხლდა” საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების, პრესის, ტელევიზიის და გლობალური ქსელის გან-

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

ვითარების პარალელურად რაც შეეხება კულტურულ სიახლოებებს, უნდა ითქვას, რომ 1990-იანი წლების შემდეგ ეს მონაცემი ცვალებადია წინა პერიოდებთან შედარებით.

საქართველოს სოციალური გლობალიზების დონე 1970-2007¹


დიაგრამა 5



პოლიტიკური გლობალიზაციის თვალსაზრისით პირველ ათეულს იკავებენ: საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ავსტრია, ესპანეთი, ჰოლანდია, შვეიცარია, პოლონეთი, კანადა. აქ საქართველო 138-ე პოზიციაზეა, აზერბაიჯანი 135-ე, ხოლო სომხეთი 128-ე. პოლიტიკური გლობალიზაციის ხარისხიც გარევეულ კრიტერიუმებს ეცრდნობა. ესენია: ქვეყანაში სხვა ქვეყნების საელჩოების რაოდენობა; წევრობა საერთაშორისო ორგანიზაციებში; გაეროს უშიშროების საბჭოს პროგრამებში მონაწილეობა; საერთაშორისო ხელშეკრულებებში მონაწილეობა.

საქართველოს პოლიტიკური გლობალიზების დონე 1970-2007²

დიაგრამა 6



დიაგრამის მონაცემები დოკუმენტიდან ასახავს საქართველოში განვითარებულ მდგომარეობას 1990-იან და შემდგომ წლებში.

¹ www.globalization.kof.ethz.ch

¹ www.globalization.kof.ethz.ch

² www.globalization.kof.ethz.ch

დამოუკიდებლობის მოპოვების წლიდან ქვეყნის პოლიტიკური ინტეგრაციის ხარისხი განუხრელად იზრდება. უკვე 2007 წელს ის 50 ერთეულამდება და დაახლოებით 41 ერთეულით დაწინაურდა 15 წლიან პერიოდში.

მსოფლიოში გლობალიზაციის დონის განსაზღვრა და შეფასება კიდევ ერთი მონაცემით ხდება, რომელსაც “კერნის გლობალიზაციის ინდექსი” ეწოდება. მის საფუძველზე გაითვლება 72 ქვეყნის მსოფლიოში ინტეგრაციის ხარისხი შემდეგი ძირითადი მონაცემების საფუძველზე: საგარეო ვაჭრობა; პირდაპირი უცხოური და პორტფელური ინვესტიციები; საერთაშორისო სატელეფონო კავშირები; ინტერნეტის მოხმარება; საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობა.

“კერნის გლობალიზაციის ინდექსი” და ე.წ. “გლობალიზაციის ინდექსი” დაახლოებით მსგავს მონაცემებს ეყრდნობა, თუმცა, ეს უკანასკნელი უფრო მრავალფეროვანი და უკეთესად სისტემატიზებულია, ვიდრე პირველი. ამასთან, KOF ინდექსისგან განსხვავებით კერნის ინდექსი გვთავაზობს ძალიან საინტერესო მონაცემებს ყველაზე გლობალიზებული ქალაქების შესახებ. მათთან მიმართებით მიღება ცოტა განსხვავებულია. ქალაქების გლობალიზებულობის ხარისხი განისაზღვრება შემდეგი მონაცემების საფუძველზე: ბიზნეს საქმიანობის ხარისხი; ადამიანური რესურსები; ინფორმაციის გაცვლის ხარისხი; კულტურული გამოცდილება და ბოლოს, პოლიტიკური საქმიანობა. ყველაზე გლობალური ქალაქების რეიტინგი შეგვიძლია ვისილოთ №8 დიაგრამაზე, სადაც წამყვანი პოზიცია მსოფლიოს უმთავრეს ფინანსურ ცენტრს ნიუ-იორკს უკავია. მას მოჰყვება ლონდონი, ტოკიო, პარიზი, პონგ კონგი, ჩიკაგო და ა.შ.¹ ადსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულის მანძილზე განსაკუთრებით დაწინაურდენ აზიის ე.წ. ქალაქ სახელმწიფოები, რომელთაც უზარმაზარი ეკონომიკური პორგრესი განიცადეს.

გლობალიზაციის ტენდენციებში ჩართვა და მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნების ინტეგრაცია სხვა ქვეყნებთან, საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოებით ხორციელდება. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის და ინტეგრაციის პირობებში გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსთვის, დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეო ვაჭრობის მასშტაბების ზრდას. გასული 2010 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 5883.4 მლნ. აშშ დოლარს შეადგინდა, რაც წინა სრული

წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 6,98 %-ით მეტია; აქედან ექსპორტი 1394.4 მლნ დოლარია (შესაბამისად 23,01 % -ით მეტი, ვიდრე წინა წელს), ხოლო იმპორტი – 4489 მლნ დოლარი (2,81 % -ით ნაკლები). აბსოლუტურ მაჩვენებლებში იმპორტის გადამეტება ექსპორტზე, ანუ საგარეო სავაჭრო სალდო -3094.6 მლნ დოლარია. თუმცა პროცენტულ მაჩვენებლებში ექსპორტის ზრდა იმპორტთან შედარებით შესამჩნევია. 2009 წელს საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 3232.5 მლნ დოლარი იყო, შესაბამისად 4,27 % -ით მეტი ვიდრე 2010 წელს.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მონაცემებზე დაყრდნობით, (იხ. ცხრილი 1) ტენდენციების თვალსაჩინოების მიზნით წარმოვადგენთ წრფივ დიაგრამას (7). მოცემულ პერიოდში ომისშემდგომი და მსოფლიო კრიზისის გავლენა აისახა ვაჭრობის აღნიშნულ მაჩვენებლებში.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები 2005-2010 (იანვარ-ნოემბერი, მლნ დოლ.)¹


	2005	2006	2007	2008	2009	2010	ურთისასობრივი
საქართველოს სავაჭრო ბალდონი	723	12112	20442	77569	51507	30946	5883.4
საქართველოს მონაცემების მიზნით მოვალეობის სამსახური	1525	2264	3221	14553	10336	13441	
საქართველოს მონაცემების მიზნით მოვალეობის სამსახური	14075	23742	3212	62015	43551	4489	
საქართველოს სამსახური	-1521	-23245	-3240	-41562	-32225	-30946	

მსოფლიო ვაჭრობაში ინტეგრირების შეფასების კუთხით მნიშვნელოვანია განვიხილოთ ქვეყნის მთავარი სავაჭრო პარტნიორები. რეგიონული პრინციპით მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში – 2, სადაც ასახულია ექსპორტის, იმპორტის და სავაჭრო სალდოს მოცელობა რეგიონების მიხედვით.

¹ www.geostat.ge

3. ლეპაშვილი, თ. მსამაბე

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები
(2005-2010წწ., მლნ ლრდ.)



საქართველოს საგარეო ვაჭრობა რეგიონების მიხედვით¹
(ათასი ლრდაზი)

რეგიონი	შესაბამის მიზანები	მმარტივი	საფარის მაღლი
კუთხეთურეთი	285 920	1 272 704	1 006 754
ლიმანი	570 242	1 353 001	782 753
საქართველო	557 157	1 253 259	1 306 062

ევროპის უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორები საქართველოსთვის არიან: ბულგარეთი (52090 ათასი ლრდ.), ესპანეთი (31032 ათასი ლრდ.), გერმანია (28339 ათასი ლრდ.) რუმინეთი (26867 ათასი ლრდ.), ბელგია (25548 ათასი ლრდ.). დსთ-ის ქვეყნებიდან ყველაზე დიდია ექსპორტი აზერბაიჯანში (217958 ათასი ლრდ.) სომხეთი (144360 ათასი ლრდ.) უკრაინა (88324 აშშ ლრდ.)¹

ევროპის უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორები საქართ-

ეკონომიკური თაორიგა და ეკონომიკური პოლიტიკა

ველოსიტეტის არიან: გერმანია (289752 ათასი ლრდ.) ბულგარეთი (116617 ათასი ლრდ.), იტალია (116431 ათასი ლრდ.)

თანამდებოვე ეტაპზე საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარებულ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას, რასაც განაპირობებს ქვეყნის მზარდი ტექნოლოგიური დამოკიდებულება განვითარებულ ქვეყნებზე. განვითარებულ ქვეყნებთან თანამშრომლობის ზრდა საქართველოს საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების და წარმოების განვითარების სტანდარტი უნდა გახდეს.

აღსანიშვნით, რომ ბოლო წლებში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით საქართველო უცხოელი ინვესტორებისათვის სულ უფრო მიმზიდვები ხდება. თუმცა, ეკონომიკური კრიზისის და, ასევე, ქვეყანაში მომხდარი ომისა და პოლიტიკური კრიზისების შემდეგ, შეიმჩნევა ინვესტიციის ნაკადების შემცირება. ინვესტიციების დარღობრივ სტრუქტურაში მომსახურების სფერო დომინირებს. საქართველოში ინვესტიციების სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მამორავებელ ძალას წარმოადგენდა ქსელური ინდუსტრიის (ტელეკომუნიკაციები, ელექტროენერგიის წარმოება და განაწილება, პორტები, ნავთობებერმინალები, მედია) პრივატიზაცია, უძრავი ქონება (სასტუმროები), მმიმე მრეწველობა, ან ნედლეულის მოპოვება (შავი ლითონები, სპილენძი, ცემენტი). ამჟამად საქართველოში შემოსული საინვესტიციო ნაკადები ფრაგმენტული და ნაკლებად მდგრადია. უძრავი ქონება, მმიმე მრეწველობა და ნედლეულის მოპოვება შედარებით ნაკლებად უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას, რადგან მათ საწარმოო სიმძლავრეების, დასაქმების და დამატებითი ეკონომიკური ეფექტის შექმნის შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ, ამიტომ აქცენტი უნდა გაკეთდეს რეალურ საწარმოო სექტორში ინვესტიციების ზრდაზე, რომელიც დასაქმებისა და ექსპორტის ზრდას შეუწყობს ხელს.

არსებული კრიზისული მდგომარეობის დასაძლევად საჭიროა ყურადღება დაეთმოს ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივებს. საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, გამოიყო მნიშვნელოვანი ფინანსური სასსრები საქართველოს ეკონომიკის რეაბილიტაციისათვის. ამ თანხების პრიორობებულ და ეფექტიანად გამოყენება ქვეყანას

¹ www.geostat.ge

¹ www.geostat.ge

საშუალებას მისცემს შეინარჩუნოს განვითარების კურსი და აღადგინოს ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში განცდილი დანაკარგები.

ამგვარად, განხილული მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ საქართველო უკვე საერთაშორისო პროცესებში ინტეგრირების საქმაოდ მაღალ საფეხურზე იმყოფება, რაც ძირითადად ეკონომიკური ინტეგრირებით არის გამოწვეული. კვლევის შედეგების შეჯამების საფუძველზე, გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით, წამყვან პოზიციებს უმეტესად მცირე განვითარებული ქვეყნები იკავებენ. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ გლობალიზაცია მომგებიანია მცირე ქვეყნებისთვისაც. ამისათვის საჭიროა ქვეყნების მიერ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურებულებების გამოყენება ქვეყნის ინტერესებისათვის. ერთი მხრივ, ეს პროცესი ხელს უწყობს ქვეყანაში არსებული რესურსების მობილიზებას და ეფექტუანად გამოყენებას, მეორე მხრივ, კი, ქვეყანას უფრო მეტად დამოკიდებულს ხდის გარე ძალებსა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

For defining the place of the Georgia in the contemporary trends of globalization

*E. lekashvili,
T. Isakadze*

According to the index of globalization, small developed countries mostly hold the leading positions. This indicates that the globalization is beneficial for the small countries as well. Countries should use defiently its interests in the service for this purpose.

As it already said, the figures show that Georgia is already in a high level of the process of international integration, which is mainly caused by economic integration. On the one hand, this process contributes to the existing resource mobilization and efficient utilization, on the other hand, it makes the country even more dependent on external forces and international economic relations.

პროცესის ეკონომიკური პოლიტიკის
პრიორიტეტების განხორციელებას
წინააღმდეგობას

რევაზ გველაძენი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელწმიდო უნივერსიტეტის
სრული პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის
ხელმძღვანელი

მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია, არსებული ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ფარგლებში ეკონომიკაში სახელმწიფოს მოქადაგიანი ჩარევის დახმარებით, საბაზრო პროცესებზე მიზანმიმართული გავლენა მოახდინოს. იგი მეტილად შემოიფარგლება ეკონომიკის მაკროეკონომიკური რეგულირებით. ამ აზრით უნდა გავიგოთ ეკონომიკის სტაბილურობისა და ზრდის ხელშეწყობი ღონისძიებები, რაც ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს გარკვეულ კონიუნქტურულ სიტუაციებში ვითარების შესაბამისი საშუალებების გამოყენების უფლებას აძლევს. ეს, პირველ რიგში, გლობალური რეგულირების ფარგლებში საფინანსო პოლიტიკის ინსტრუმენტებს ეხება. პოლიტიკის სხვა სფეროებში, მაგალითად, ფულად პოლიტიკაში, მისი განხორციელების პროცესის შესაბამისად, საპოლიტიკო განაკვეთის ან ფულის რაოდენობის ცვლილების ინსტრუმენტების გამოყენება შეიძლება.¹

საფინანსო პოლიტიკისათვის, განსაკუთრებით ალოკაციისა (მაგალითად, ეკონომიკური ზრდა) და დისტრიბუციის (მაგალითად, ცხოვრების პირობების ერთიანობა) მიზნები დიდ როლს თამაშობენ. თავისთვად ცხადია, რომ სახელმწიფო თავისი საფინანსო პოლიტიკის მიზნების ფარგლებში ხელი უნდა შეუწყოს უსაფრთხოების გარანტიას (შესაბამისი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა საშინაო და საგარეო უსაფრთხოებისათვის). საბიუჯეტო პოლიტიკამ აგრეთვე სტრუქტურული ცვლილებები უნდა ასტიმულიროს. საფინანსო პოლიტიკის მიზნების ოპერაციონალიზება შესაძლებელია, მაგრამ ამასთან დაკავშირებით სადაცოც ბევრია, რადაგან მასში შეიძლება

¹ იხ. რ. გველაძენი, ი. გოგორიშვილი, ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, თბ., 2008,

სხვადასხვა ინტერესი და პოლიტიკური მოსაზრებები ფიგურირებდეს. ეს გარკვეული სახელმწიფო ხარჯების ან საგადასახადო კვოტების დადგენით ვლინდება. ოუკი ის უნდა შემცირდეს, მაშინ ეს ნიშნავს, ერთი მხრივ, ეკონომიკური პოლიტიკის ნაკლებ გავლენას საზოგადოებრივ განვითარებაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, კერძო სუბიექტების განვითარების შესაძლებლობებს აძლიერებს. ამის ნათელი მაგალითია მაასტრიხტის ხელშეკრულების მიხედვით გალებთან მიმართებით მყოფი კრიტერიუმები, რაც ეკონომიკურ-პოლიტიკურ მოსაზრებებსა და საფინანსო პოლიტიკის „გამოცდილებებს“ ეყრდნობა. ამასთან, მეცნიერულად დასაბუთებული და ოპერაციონალურად ჩამოყალიბებული კრიტერიუმები არ არსებობს.¹

საფინანსო პოლიტიკაში მიზანთა კონფლიქტების მრავალი მაგალითი საგადასახადო პოლიტიკისა და ხარჯების პოლიტიკის საზღვრებში შეიძლება ვინილოთ. გადასახადების შემცირების ან გაუქმების შემთხვევაში შეიძლება აქტიურად შეიზღუდოს ხარჯები (თუ წარმოშობილი დეფიციტი კრედიტით არ უნდა დაიფაროს). ამით ალოკაციის გარკვეულ მიზნებს ვედარ განვახორციელებთ. გარდა ამისა, მათ მივყავართ განაწილებაზე ზემოქმედებამდე, რომელიც უნგბლივ შეიძლება მოხდეს. ფულადი დახმარებების გაცემამ შეიძლება დასაქმება განამტკიცოს, მაგრამ ის მაინც ნიშნავს ფაქტორების ფასების დამახინჯებას და ამით ხელს უწყობს სუბოპტიმალურ ალოკაციას.² მაგალითად, დასაქმების პოლიტიკის თვალსაზრისით საკრედიტო დაფინანსების ხარჯები შეიძლება საჭირო იყოს, მაგრამ თუ ის შეიცავს კონფლიქტთა პოტენციალს, მაშინ მაღალი საპროცენტო გადასახდელების ტკირთის საფუძველზე, სახელმწიფოს მოქმედების არეალი იზღუდება. შრომისუნარიანობაზე დაბეგვრის ორიენტირება სამართლიანობის მოთხოვნის პრინციპთან საზოგადოდ თავსებადი არ არის.

საფინანსო პოლიტიკის პრაქტიკაში თუ რა მიზნებს ისახავენ და რა პრიორიტეტით, მაინც დამაინც ნათელი არ არის. რაციონალური საფინანსო პოლიტიკის გატარება მხელდება პოლიტიკურ ინტერესთა ზეგავლენით, ასევე პოლიტიკური ოპორტუნიტეტით, რომელიც უფრო მეტად ძალაუფლების შენარჩუნებაზეა ორიენტირებული (ძალაუფლების მოპოვების სტრატეგიები). ეს ეხება, აგრეთვე, საფინანსო საშუალებების გამოყენებას. საფინანსო პოლიტიკის ინსტრუმენტებით

¹ ი. Koch Walter A. S. Christian Czogalla, Grundlagen der Wirtschaftspolitik, 2. Aufl., Stuttgart 2004, s. 133.

² ი. BACH, Stefan, WIEGARD, Wolfgang, Finanzwissenschaft, in: Neue Entwicklungen in der Wirtschaftswissenschaft, hrsg. v. Klaus F. ZIMMERMANN, Heidelberg 2002, s. 43-112.

ცდილობები ცალკეული მიზნების განხორციელებას, რომლებიც ყოველთვის ერთმანეთთან თავსებადი არ არის. გარკვეული დონისძიებების მოქმედებები სხვა მიზნებთან მიმართებით კონტროლუქტივული შეიძლება იყოს. ზემოქმედებათა ჯაჭვი გრძელია და ყოველთვის სრულყოფილად შეცნობილი არ არის. ეს ძალაშია საფინანსო პოლიტიკის დონისძიებათა განაწილების ეფექტისათვის. თუნდაც საფინანსო პოლიტიკის საშუალებათა ოპტიმალურობა უდავო იყოს, მის გამოყენებას შეიძლება პოლიტიკური ნება აკლდეს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სახელმწიფო საფინანსო ეკონომიკის სხვადასხვა სახელმწიფოებრივ დონეზე კოორდინაციის აუცილებლობა.¹ ხოლო, რაც შეეხება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, მათი საფინანსო პოლიტიკის ყველა სფეროსათვის ძალაშია ის, რომ იგი არსებითად საერთაშორისო კოორდინაციისა და პარმონიზაციის აუცილებლობას ექვემდებარება. საგალუტო კავშირის წევრი ქვეყნებისათვის საბიუტო დეფიციტი აგრეთვე მომავლისათვის მუდმივ კონტროლზე იმყოფება. ჭარბ დეფიციტებზე, რომლებსაც კონიუქტურის პოლიტიკით ვერ გავამართებთ, სანქციები უნდა დაწესდეს. ამით ნაციონალურ ინტერესთა სამოქმედო არეალი მცირდება. საერთაშორისო საფინანსო ბაზრების მზარდი ლიბერალიზაციით საერთაშორისო კაპიტალის ნაკადების მოცულობამ მოიმარა. ამ პროცესის წარმომატებელი ფაქტორია არა მის საფუძველში მყოფი საქონელმიმოქცევა, არამედ უფრო მეტად კრედიტორებისა და კრედიტის მსურველთა საერთაშორისო პორტფელების ფორმირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები. ამ პროცესის განვითარების შედეგად საერთაშორისო საპროცენტო პარიტეტი გადლიერდა. ეს სხვას არაფერს ნიშნავს, გარდა იმისა, რომ დაკრედიტების ზრდა ცალკეულ ქვეყნებში მარტო ნაციონალური პერსპექტივით აღარ განიხილება. პირიქით, საერთაშორისო საფინანსო ბაზრების ზრდით სულ უფრო მტკიცე პარიტეტი იქმნება. რაც უფრო მეტად არის ინტეგრირებული ქვეყნის ეკონომიკა მსოფლიო მეურნეობაში, მით უფრო ადგილად ყალიბდება საპროცენტო პარიტეტი.

ფულადი პოლიტიკის სიტუაციისა და ღონისძიებათა მოქმედების დორული შეფასებისათვის გამოიყენება ინფორმაცია. ამასთან, ფულადი პოლიტიკის ტრანსმისიის პროცესების ხანგრძლივობისა და კომპლექსურობიდან გამომდინარე, საქმე უნდა ეხებოდეს ისეთ ინფორმაციას, რომლის გაკონტროლება ფაქტორებივად შესაძლებელია. იგი ფულადი პოლიტიკის მოქმედების შესახებ სწრაფი დასკვნების გაპეტების საშუალებას იძლევა. ამიტომ, ევროკავშირის ცენტრალური

¹ ი. GROSSEKETTLER, Heinz, Öffentliche Finanzen, in: Vahlens Kompendium der Wirtschaftstheorie und Wirtschaftspolitik, Bd. 1, 8. ueberarb. Aufl., Muenchen 2003, s.

ბანკი თავის აქტივობას მიმართავს არა უშუალოდ ფულადი პოლიტიკის ძირითადი მიზნისაკენ (ფულის ღირებულების სტაბილურობა), არამედ ორიენტაციას შეუალებურ მიზნებზე იღებს. ბევრ შემთხვევაში მიზანშეწონილია ეს შეუალებური მიზნები, როგორც პირველადი ინდიკატორები ისე გამოვიყენოთ. შეუალებური მიზნის რეალიზება უნდა ემსახურებოდეს ფულადი პოლიტიკის საბოლოო მიზნის მიღწევას, რაც უნდა იყოს რეგულირებადი. ეს, პირველ რიგში, ფულად მასას ეხება. ფულადი პოლიტიკის ინდიკატორიდან უნდა ველოდოთ, რომ ის ფულადი პოლიტიკის დონისძიებების მოქმედების საფუძველზე სანდო დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემს. ამ მოთხოვნებს უახლოვდება, ერთი მხრივ, ფულის ბაზრის პირობები (მაგალითად, ბანკების ლიკვიდურობის მდგრამარეობა) და მეორე მხრივ, ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა ბაზრების საპროცენტო განაკვეთები ან კრედიტების მოცულობა, რომლებიც ეკონომიკური სუბიექტების ხარჯების შესახებ გადაწყვეტილებებისათვის მნიშვნელოვანია.

ფულის ღირებულების სტაბილურობა (ფასის სტაბილურობა) არის წარმატებული ეკონომიკის – კერძოდ კი, ფულადი პოლიტიკის მახასიათებელი. ფასების ზრდა, მთო უფრო ინფლაცია, სახელმწიფოს პოლიტიკისადმი ეკონომიკური სუბიექტების ნდობას (ფსიქოლოგიური ასპექტის) აქრობს. ამსთან, ფულის ღირებულების სტაბილურობის მიზანი შეიძლება წესრიგის პოლიტიკის მხრიდან დავასაბუთოთ. ინფლაციის შედეგად ირლვევა ფულის ფუნქციები და კონკურენციის მქანიზმი, წარმოშობა ნეგატიური შედეგები. მაშასადამე, ჩვენ უნდა გავვმიჯნოთ მიზეზებს, რასაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას ფულის ღირებულების სტაბილურობის მიზნის განხორციელებას.¹ ფულად პოლიტიკას და ერთიან ეკონომიკურ პოლიტიკას შორის მჭიდრო კავშირი კონფლიქტების გარეშე არ არსებობს. მიზანთა კონფლიქტები ძირითადად საფინანსო და საბიუჯეტო პოლიტიკით (განსაკუთრებით ვალის პოლიტიკით) ჩნდება. ასე მაგალითად, დაბალი საპროცენტო განაკვეთები სახელმწიფო ბიუჯეტის განტვირთვას უწყობს ხელს, მაგრამ კონკრეტული სიტუაციით განპირობებულ ფულად პოლიტიკასთან შეიძლება წინაღმდევგობაში იყოს.

ეგრო მხოლოდ მაშინ იქნება სტაბილური გალუტა, თუ უწყვეტ, ერთიანი ფასების სტაბილურობაზე მიმართულ ფულად პოლიტიკას გაატარებენ. რეგიონული დიფერენცირება ერთიან სავალურო სივრცეში შესაძლებელია. გაძლიერებული კონფლიქტები მაშინ

წარმოშობა, თუ წევრი ქვეყნების ინფლაციის განაკვეთები საფინანსო და სატარიფო პოლიტიკის გადაწყვეტილებების შედეგად ისევ სხვადასხვაგარი იქნება. სტაბილურობაზე ორიენტირებული ფულადი პოლიტიკის შედეგად, პირველ რიგში იმ ქვეყნებში, სადაც ფასების ზრდა ტრადიციულად მაღალი იყო, სხვაობა საქმაოდ შემცირდა. მაგრამ, ჯერ კიდევ არსებობს ფარული შიში, რომ ზოგიერთ ამ ქვეყანაში საბიუჯეტო დიციპლინას ეკროს შემოღების შემდეგ ისევ დაარღვევენ. ეს კი შესაბამისი დონისძიებებით უნდა აღმოიფხვრას.

ეგროკავშირის ქვეყნების მთავრობებს „სტაბილურობის პაქტი“ ავალდებულებს ეკროს შემოღების შედეგად დისციპლინირებული საფინანსო პოლიტიკა გაატარონ. ეს, პირველ რიგში, ახალი ვალების აღების შემთხვევაში ზედა ზღვრის შენარჩუნებას ეხება. გრძელვადიანი პერიოდისათვის დაბალანსებული ან პროფიციტური ბიუჯეტია სასურველი. იგი გვარმწუნებს, რომ მკაცრი საბიუჯეტო დისციპლინა სტაბილური ეკროსათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. წევრი სახელმწიფოს მიერ კრედიტის აღების შემცირებით ეგროკავშირის ცენტრალური ბანკი დიდი რაოდენობით ფულის გაცემის აუცილებლობის წინაშე არ დადგება, რაც მას არასასურველი ინფლაციის საშიშროებას აცილებს. გრძელვადიან პერიოდში სოლიდური სახელმწიფო ფინანსები (მდგრადობის პრინციპი) დიდი რაოდენობის საპროცენტო გადასახდელების ტკირთს დაბლა სწევს და ამით ამჟამად ძალზე შეზღუდული ზრდის პოლიტიკის მოქმედების არეალს ისევ აფაროვებს. ამიტომ „სტაბილურობის პაქტი-ს“ მოქმედების საფუძველზე მონაწილე ქვეყნებმა სტაბილურობის წლიური პროგრამა ეკროკამისიაში და ეკროსაბჭოში უნდა წარადგინონ. „სტაბილურობის პაქტის“ უპირატესობა უგვეველად არის ის, რომ მის საფუძველზე სახელმწიფო საფინანსო პოლიტიკის ზენაციონალური და სანქციებით აღურვილი კონტროლი ხორციელდება. მაგრამ, ასეთი ქედითუნარიანობა სადაცო. ხშირად ეკროკავშირის „უფრო დარიბ“ ქვეყნებში ბიუჯეტის დეფიციტი დაწესებული სანქციებით კიდევ უფრო მძაფრდება.

ფულადი პოლიტიკა მაშინ იქნება წარმატებული თუ იგი ნდობაზე იქნება დამყრებული. ასეთი მიღებომის გარეშე ფულადი პოლიტიკის მიზანდასახული შედეგის მიღწევა ძნელი იქნება. როგორ უნდა განხორციელდეს ფულადი პოლიტიკის გადაწყვეტილებები? - ამის არსებით წინაპირობას ფულადი პოლიტიკის გადაწყვეტილებათა გამტარებლების პოზიცია და ამ გადაწყვეტილებათა გატარების საშუალებები უნდა წარმოადგენდეს. ცენტრალური ბანკის ავტონომიურობის მაღალი დონე საჭიროა ფასების სტაბილურობის მიზნის უზრუნველყოფისათვის. ამასთან, საჭიროა ის აზრი, რომ

¹აღნიშვნული პრობლემა ვრცლად არის წარმოდგენილი შემდეგ ნაშრომში: BASSE, Tobias, Internetgeld und wettbewerbliche Geld- und Waehrungsordnung, Frankfurt/M., Berlin, Bern, Bruxelles, New York, Oxford, Wien, 2003.

თოთქოს ევროკავშირის ცენტრალური ბანკის პოლიტიკა არავითარ კონტროლს არ ექვემდებარება. ინსტიტუციური ასპექტით ევროკავშირის ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა ფულის ღირებულების სტაბილურობისათვის საკმარისი პირობა არ არის. ერთიანი ფულადი პოლიტიკის გასატარებლად იმ საშუალებების მომზადება, რომლებიც ევროკავშირის ცენტრალურ ბანკს აქვთ, უჭირებელად ძალზე საფუძვლიანი იყო. ევროკავშირის ცენტრალური ბანკის ფასების სტაბილურობის საერთო ეკონომიკურ მიზანზე პრაქტიკულად სრული ორიენტაცია ეკონომიკური პოლიტიკის კომპეტენციებთან დაცილებას ნიშნავს. ამასთან, არ არის გარანტია იმისა, რომ შეთანხმება ევროკავშირის ცენტრალურ ბანკსა და ეროვნულ მთავრობებს შორის – ერთიან ეკონომიკურ მიზანთა სისტემაში ცალკეული მიზნების განსხვავებული შეფასებისას – უნაკლოდ იფუნქციონირებს. ბოლო პერიოდის პროცესები უფრო მეტად საპირისპირო მდგომარეობაზე მიუთოთებს.¹

რეალურ ეკონომიკურ სფეროზე ფულადი პოლიტიკის იმჟღავნების გადაცემის მექანიზმი (ყოველ შემთხვევაში კეინზიანელთა აზრით) შეიძლება შეიზღუდოს. ეს ნიშნავს, რომ ფულადი პოლიტიკის ღონისძიებები ერთიან ეკონომიკურ მიზნებთან მიმართებით საბოლოოდ ქმედითი არ აღმოჩნდეს. ასე მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის გაზრდა კონკრეტული ფულადი პოლიტიკის ფარგლებში არ გვიჩვენებს წარმოებასა და დასაქმებაზე ზემოქმედების შედეგს, თუკი პროდუქტებზე მოთხოვნა ამ ცვლილებებზე ნაკლებად რეაგირებს (დაბალ ელასტიკურია). ამ შემთხვევაში უფრო ქმედითია კომერციული ბანკების მხრიდან კრედიტებზე მოთხოვნის შეზღუდვა, რაც ცენტრალური ბანკის საქმაოდ მკაცრი „დამმუხრუჭებელი“ პოლიტიკით ხდება. პრობლემატურია ექსპანსიური პოლიტიკის ქმედითუნარიანობაც. ასეთი პოლიტიკის თანმხლები საპროცენტო განაკვეთების შემცირება და კრედიტებზე მოთხოვნის ზრდა არ იწვევს საწარმოების მანამდე არარენტაბელურ საინვესტიციო გადაწყვეტილებათა განსხვარციელებას. საპროცენტო განაკვეთების დაწევის საფუძველზე კრედიტებზე მოთხოვნის ზრდა, პესიმისტური მოლოდინის ფაზაში, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის შეოღონდ სუსტ ზრდას იწვევს (თუკი საერთოდ იწვევს). წარმოებასა და დასაქმებაზე ამ შემთხვევაში ფულადი პოლიტიკის ღონისძიებები არსებითად გავლენას ვერ ახდენს. საფინანსო პოლიტიკის თანმხლები ღონისძიებების გარეშე, ამ სიტუაციაში ექსპანსიური ფულადი პოლიტიკა არაქმედი-

¹ ი. b. GOERGENS, Egon, RUCKRIESEL, Karlheinz, SEITZ, Franz, Europaeische Geldpolitik. Theorie - Empirie – Praxis, 3. Aufl., Stuttgart, 2003.

თუნარიანი ხდება. ევროკავშირის ერთიანი საფინანსო პოლიტიკის დასამკიდრებლად კომპეტენცია ამჟამად არც ერთ ინსტიტუტს არ გააჩნია. მის შემცვლელად „სტაბილურობისა და ზრდის პაქტი“ შეიძლება ჩაგვეთვალა.

მომავალში, ერთი მხრივ, რისკები საფინანსო პოლიტიკიდან, განსაკუთრებით კი სახელმწიფო ვალების მომსახურებასთან დაკავშირებით, შეიძლება მივიღოთ. ევროკავშირის ცალკეული წევრი ქეყნის დეფიციტურმა საბიუჯეტო პოლიტიკამ შეიძლება ევროკავშირის ცენტრალურ ბანკზე პოლიტიკის ზეწოლა გაზარდოს და ევროკავშირის ცენტრალური ბანკის სტაბილურობაზე ორიენტირებული ფულადი პოლიტიკა გააძნელოს. შეორე მხრივ, ფულადი პოლიტიკის პროცესი საფინანსო პოლიტიკაზე ახდენს გავლენას. ასე მაგალითად, საპროცენტო განაკვეთების ზრდამ შეიძლება დამატებით გაამწვავოს ზოგიერთი წევრი ქეყნის დაბატული საბიუჯეტო მდგომარეობა, მაშინ როდესაც ექსპანსიური პოლიტიკა ბიუჯეტის განტვირთვას შეუწყობდა ხელს. სტაბილურობაზე ორიენტირებული ფულადი პოლიტიკის რისკები შეიძლება სახელფასო პოლიტიკიდანაც გამომდინარეობდეს. თუკი დამკავიდრდება ხელფასების გათანაბრების ტენდენციები – წევრ ქეყნებში წარმოების განვითარებისაგან დამოუკიდებლად – მაშინ ევროკავშირის ცენტრალურ ბანკზე პოლიტიკის ზეწოლა გაზრდება. დასაქმებაზე სახელფასო განაკვეთების ხარჯების ნებაზრიერი გავლენა წინააღმდეგობათა შერბილების პროცესის განვითარებას შეაფერხებს.¹

ერთიანი ფულადი პოლიტიკა ევროს სავალუტო სივრცეში რეგიონული პრობლემების გადასაჭრელად არ გამოდგება, რადგან ეროვნულ საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა და სავალუტო კურსის მისადაგება შეუძლებელია. ეს პრობლემები შეიძლება საფინანსო და სტრუქტურული პოლიტიკის ღონისძიებებით გადაიჭრას. ფულადი პოლიტიკის საპირისპირო, სავალუტო კურსის რეემისათვის ძირითად ორიენტირებს სახავს. სავალუტო კურსის სტაბილურობის პრიორიტეტის პირობებში ევროკავშირის ცენტრალური ბანკის საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკა ამ მიზანს უნდა დაეჭვებოდებაროს. გლობალურ ბაზარზე მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, არახელსაყრელ მომენტში, ამან შეიძლება ფასების სტაბილურობის მიზნის მიღწვა საეჭვო გახადოს. ბოლო წლებში საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე გან-

¹ ი. b. GROSSEKETTLER, Heinz, Oeffentliche Finanzen, in: Vahlens Kompendium der Wirtschaftstheorie und Wirtschaftspolitik, Bd. 1, 8. ueberarb. Aufl., Muenchen 2003, s. 483ff.

ვითარებულმა კრიზისებმა გვიჩვენა, რომ ბაზარს დესტაბილიზაციის ტენდენცია აქვს. გლობალიზებულ ბაზრებზე ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვის აუცილებლობა (დესტაბილიზაციის პროცესების თავიდან აცილების მიზნით) კითხვებს აღარ ბადებს. ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, საქმე ეხება საერთაშორისო ინსტიტუტების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (სადაზღვევო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და არარეგულირებადი საფინანსო ინსტიტუტების (სადაზღვევო ფონდების, ოფშორების დამცნებების) რეფორმას.¹

Obstacles to Implementation of Priorities of the Process (current) Economic Policy

R. Gvelesiani

The goals of allocation and distribution play a significant role in financial policy. It is obvious, that a state, within the frames of its financial policy, should support providing security guarantees. Budget policy should also stimulate structural changes.

The system of financial policy goals is very complex. Goal conflicts exist on different levels. A lot of examples of these conflicts can be found within the boundaries of tax policy and cost policy. Costs can be actively limited in case of reduction or abolishment of taxes. This will prevent from implementing definite goals of allocation. Besides, they lead to affecting distribution, which might take place unintentionally. Providing cash assistance may improve employment, but it still means altering factor prices and in this way it supports suboptimal allocation.

Stability is at the top of the monetary policy goals hierarchy and it means stability of prices and high level of employment. Close connection between monetary policy and unified economic policy is impossible without conflicts. Goal conflicts mainly occur due to financial and budget policies (especially debt policy).

Taking into consideration the interests of economic organizations is of essential importance for stability of money value. Monetary policy will be successful only if it is based on confidence. Otherwise, it will be very difficult to achieve the goals of the money policy.

¹ ეს პრობლემა ფართოდ არის გამოქვეყნილი ქვემოთ მოცემულ პირველ ორ ნაშრომში, ხოლო ნაშრომივ მქამელში: BASSE, Tobias, Internetgeld und wettbewerbliche Geld- und Wahrungsordnung, Frankfurt/M., Berlin, Bern, Bruxelles, New York, Oxford, Wien, 2003; GOERGENS, Egon, RUCKRIEGEL, Karlheinz, SEITZ, Franz, Europaeische Geldpolitik. Theorie – Empirie – Praxis, 3. Aufl., Stuttgart 2003. Koch Walter A. S. Christian Czogalla, Grundlagen der Wirtschaftspolitik, 2. Aufl., Stuttgart 2004. s. 198-200.

06ტერნეტის, ხელოვნერი გონისა და
ადამიანთა საგრგალოების
ახალ ეკონაზი გადასვლის შესახებ

დემურ სიჭინავა, გულაძი ნაკაშიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორები,
ასოცირებული პროფესორები

ადამიანთა საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის დოკლატზე მზარდ მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილებისათვის, მეცნიერები, ინჟინერები, გამომგონებლები – ერთობლივად იღწვიან, რათა შექმნან პროცესორული სისტემების ბაზაზე დაფუძნებული ‘ინტელექტუალური’ მანქანა-დანადგარები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, სხვა წარმოების საშუალებები „ჭკვიანი“ პროგრამული უზრუნველყოფით.

მსოფლიო საზოგადოების სამეცნიერო-ედიტარული ნაწილი არნახული სიჩქარით მიიღოვის ახალი ინფორმაციული რევოლუციისკენ – ხელოვნური ინტელექტუალური გონისკენ.

ისმის კითხვა – რა არის ხელოვნური ინტელექტუალური და ხელოვნური გონი? არსებობს საერთოდ ან ერთი ან მეორე? ანდა შესაძლებელია კი რომელიმეს სრულყოფილი ფორმით შექმნა? – ამ კითხვებზე რეალურ პასუხს ელოდებინ, არა მარტო უბრალო მოკვდავები, არამედ ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე უდიდესი მეცნიერებიც.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების დღვევანდელი მდგრმარეობით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნური ინტელექტუალური უკვე შექმნილია, ხოლო სრულყოფილი ხელოვნური გონის შექმნის დღვეც მოახლოებულია. ამის გარანტი ინტერნეტგაქნოლოგიების, კერძოდ გლობალური ქსელის, ინტერნეტის სწრაფი განვითარების ტემპია.

ცნობილი მეცნიერების ვარაუდით ხელოვნური გონის პირველი თაობის შექმნას უნდა ველოდეთ XXI საუკუნის პირველ ნახევარში. ასე, მაგალითად, ამერიკელი მათემატიკოსისა და ფანტასტის გერნერ ვინჯის პროგნოზით, ხელოვნური გონი შეიქმნება 2030

წელს. მასაჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ფიზიკოსის ნეილ გერშენფელდი, რომელიც მუშაობს პროგრამირებადი მატერიოს პრობლემებზე, ფიქრობს, რომ ხელოვნური გონი შეიქმნება 2028 წელს. ამერიკის ნაციონალურმა საინჟინრო ოკადემიამ დაასახელა თანამედროვეობის 18 გამოჩენილი მოაზროვნე. ერთ-ერთი მათგანი ამერიკული ფუტუროლოგი რეი კურცვაილია, რომელიც მუშაობს სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემებზე. მისი პროგნოზით ხელოვნური გონი შეიქმნება 2045 წელს. ამერიკული კომპანია Intel-ის უფროსი ტექნიკური სპეციალისტის ჯასტინ რატნერის პროგნოზით კი, ხელოვნური გონი შეიქმნება 2050 წელს¹, ე. ი. ხელოვნური გონის შექმნას უნდა ველოდოთ უახლოეს 30 წელიწადში.

ადამიანის მიერ დაწერილ ნებისმიერ პროგრამას გააჩნია გარკვეული ლოგიკა და ის განკუთვნილია რამე კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად. ასეთი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერის შესაძლებლობა ბევრად უფრო ნაკლებია ადამიანის ტვინის შესაძლებლობაზე. ამიტომ, ერთ პროგრამას ერთ კომპიუტერზე არასოდეს შეუძლია დაემსგავსოს ადამიანს თავისი ქცევით. თუმცა ხელოვნური გონი შესაძლებელია წარმოიშვას თავისთავად – ლოკალური ქსელების ბაზაზე შექმნილ გლობალურ ქსელში – ინტერნეტში, სადაც ადამიანის ტვინის უჯრედების – ნეირონების როლს შესარულებს ცალკეული კომპიუტერი. აქედან გამომდინარე, ინტერნეტი გარდაიქმნება ერთ უზარმაზარ ორგანიზად, რომელსაც შეეძლება ჩვენთან ურთიერთობა.

ადამიანსა და კომპიუტერს ურთიერთსაპირისპირო ევოლუცია გააჩნიათ. ასე, მაგალითად, ადამიანი პირველ რიგში სწავლობს ობიექტებისა და სუბიექტების დანახვას, სიარულს, ლაპარაკს, ხოლო შემდგომ კი ავითარებს ნიჭებსა და უნარს გამოთვლებსა და ლოგიკურ დასკვნებზე. კომპიუტერი კი იბადება როგორც გამოთვლითი სისტემა, ფორმალური ლოგიკის ბაზაზე, ხოლო შემდგომი განვითარების პროცესში პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით იძენს ობიექტების გარჩევის, მეტყველების სინთეზისა და რეალური დროის რეაქტიურობის მართვისა და მუშაობის უნარს.

მეცნიერებმა დაასაბუთეს, რომ ტვინი ბიოელექტრული პროცესების გენერატორია. სქემატურად ტვინის ეს თვისება ჩანს ქვემოთ მოყვანილ სურათებზე.



¹ <http://www.rosbalt.ru/2010/03/07/718380.html>

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

მიუხედავად ურთიერთსაპირისპირო ევოლუციისა, ადამიანისა და კომპიუტერის განვითარების საბოლოო შედეგი მსგავსია. ადამიანის მიერ შექმნილი გლობალური ქსელის ინტერნეტის სტრუქტურა



ასევე მსგავსია ტვინის უჯრედების (ნეირონების) სტრუქტურისა, ანუ გლობალური ქსელი – ინტერნეტი, რომელიც ერთმანეთთან მიღლიონობით კომპიუტერს აკავშირებს, თავისი კავშირებითა და ინტელექტით ძალიან ჰგავს ადამიანის ტვინის ნეირონულ სტრუქტურას, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილ სურათებზე.



საორგანიზო ნეირონული სქემა

ნეირონი – სისტემის ძირითადი ელემენტია. ყველა შემდგომი სტრუქტურა წარმოიქნება ნეირონების გაერთიანებით განსაკუთრებული სტრუქტურის მქონე კავშირებით.

ნეიროველი – რამე ნიშნის მიხედვით გაერთიანებული ნეირონების ჯგუფია.

ქსელი – ნეირონთა და ნეიროველთა ერთობლიობაა თავისებური სტრუქტურული კავშირებზე, რაც ნეირომსგავსი სისტემების

ბაზაა შესაბამისი ცოდნის მარაგით.

სისტემა – გულისხმობს ნეირომსგავს ქსელს ფუნქციონირების მექანიზმებითა და აზროვნების კონტურებით, რაც უზრუნველყოფს სისტემის დინამიკასა და ორგანიზაციას.

შევადაროთ ერთიმეორეს ადამიანის ტვინი და გლობალური ქსელი – ინტერნეტი:

- ადამიანის ტვინი შედგება ნეირონებისგან, ინტერნეტი კი ცალკეული კომპიუტერებისაგან;
- ნეირონები დაჯგუფებულია ნეიროველში, მსგავსად ამისა, ცალკეული კომპიუტერები გაერთიანებულია ლოკალურს ქსელ – ინტრანეტში;
- ცალკეული ნეირონები და ნეიროველები, ანუ ნეირონთა ჯგუფები ერთმანეთთან დაკავშირებულია გლობალური (იგულისხმება ტვინის მასშტაბით) ბიოლოგიური ქსელით, მსგავსად ამისა, ცალკეული კომპიუტერები და ლოკალური ქსელები, ანუ ინტრანეტები (ლოკალური ქსელები) გაერთიანებულია გლობალური ქსელით;

- ნეიროველთა გლობალური გაერთიანება ქმნის ერთიან სისტემას – ტვინს, ხოლო ლოკალური ქსელების გლობალური გაერთიანება – ინტერნეტს, ანუ გლობალურ ქსელს, იგივე WWW-ს (WWW - ინგლ. World Wide Web - მსოფლიო ობობას ქსელი), მოკლედ – Web-ს, რომელიც გულისხმობს გლობალურ საინფორმაციო სისტემას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანმა შექმნა საკუთარი ტვინის მსგავსი გლობალური სისტემა ინტერნეტის სახით, რომელიც ხელოვნური ინტელექტის საუკეთესო ნიმუშია. ეს უკანასკნელი კი ხელოვნური გონის შექმნის მყარი საფუძველია.

Web-მა ინტერნეტს სიცოცხლე მიანიჭა, ის გახდა ადამიანთა ურთიერთობის ადგილი. დღევანდელ გლობალურ ქსელს უკვე გააჩნია ცოცხალი არსების თვისებები.

ნებისმიერ მკითხველს გაუწინდება კითხვა: „რის საფუძველზე ვამბობთ, რომ ინტერნეტს გააჩნია ცოცხალი ორგანიზმის თვისება?“ ამ უკანასკნელის დასასაბუთებლად, უცილებელია, პასუხი გავცეო კითხვას – „ვინ მართავს ინტერნეტს?“

Internet-ს არ ჰყავს არც პრეზიდენტი, არც დირექტორი, არც მთავარი ინჟინერი, ანუ Internet-ს არ ჰყავს ერთი ავტორიტეტული

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

ფიგურა, რომელსაც უნდა შეეკითხონ ყველაფერი. ქსელის ნებისმიერ მომხმარებელს შეიძლება ჰქონდეს საპუთარი მოსაზრება ქსელის მუშაობისა და მის მართვაში მონაწილეობის მიღების შესახებ. Internet-ი შეიძლება შევადაროთ ორგანიზაციას, რომელსაც ჰყავს უხუცესთა საბჭო.

Internet-ის განვითარების მიმართულებას ძირითადად განსაზღვრავს „საზოგადოება ISOC (ISOC – Internet Society)“. ISOC-ი არის ორგანიზაცია საზოგადოებრივ საწყისებზე, რომლის მიზანია Internet-ის მეშვეობით გლობალური ინფორმაციული ურთიერთობაცვლის ხელშეწყობა. ISOC-ი ირჩევს უხუცესთა საბჭოს, რომელიც პასუხსა გებს Internet-ის ორიენტაციასა და ტექნიკურ უზრუნველყოფაზე. უხუცესთა საბჭო – IAB (Internet Architecture Board – ინტერნეტის არქიტექტურის საბჭო) თავის მხრივ წარმოადგენს მოწვევულ სპეციალისტთა ჯგუფს, რომლებიც ნებაყოფლობით აცხადებენ სურვილს IAB-ის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე. IAB-ი რეგულარულად იკრიბება, რათა დაამტკიცოს სტანდარტები და გაანაწილოს რესურსები, მაგალითად, მისამართები. თვით IAB-ი არ ანაწილებს მისამართებს, არამედ ადგენს მისამართების წესებს, რის შემდეგაც უხუცესთა საბჭო იშლება მანამ, სანამ არ გაჩნდება მისი ხელახალი შეკრების აუცილებლობა.

აღწერილიდან ჩანს, რომ გლობალური ქსელი – ინტერნეტი არსებობს და ვითარდება „დამოუკიდებლად“. რა თქმა უნდა, მსოფლიო საზოგადოებასთან ერთად. ხშირად გვესმის ფრაზა, რომ „ცხოვრება ინტერნეტის გარეშე აზრს მოკლებულია“, ე. ი. ადამიანები იმას კი არ ამბობენ, რომ ცხოვრება ინტერნეტის გარეშე შეუძლებელია, არამედ გადაჭრით ამბობენ, რომ „აზრს მოკლებულია“. ეს ფრაზა უკვე გულისხმობს მსოფლიო საზოგადოების სწრაფვას გლობალური ქსელის სრულიად ახალი შესაძლებლობების მქონე Web 3.0-ის შექმნაზე. წინასწარმეტვებები იმისა, თუ როგორი იქნება Web 3.0, ძნელია, მაგრამ ის რომ იგი იქნება ხელოვნური გონის მყარი საფუძველი, თავისი სრულყოფილი სტრუქტურით, რეალური სინამდვილეა.

მსოფლიო საზოგადოების მოწინავე ნაწილი ერთმანეთთან ურთიერთობის დახმარებით 80%-ს ინტერნეტის მეშვეობით ამჟარებს. საჭირო ინფორმაციას, ბინიდან გაუსვლებლად, ინტერნეტით დებულობს და ავსებს საკუთარ ვირტუალურ ბიბლიოთეკას, ასრუ-

ლებს საბანკო ფინანსურ თუ კომერციულ საქმიანობას და სხვ. დღეს ფირმას საკუთარი საიტი თუ არ გააჩნია, საქმიანი ადამიანები მას სერიოზულ ფირმად არ თვლიან. დააკვირდით ფირმების უმ-ეტესბის ანგარიშ-ფაქტურებს საკონტაქტო ტელეფონის ნაცვლად ელექტრონული ფოსტის მისამართია მითითებული.

Web-მა საზღვრები დაკარგა. ქსელიდან არამარტო ვიდებთ ინფორმაციას, არამედ ვავსებთ მას ინფორმაციით და ჩვენი პირადი მონაცემებითაც. ინფორმაციის მიღებითა და გაგზავნით ვხდებით ყველაფრის შთანმთელი სისტემის რესურსი, რომელიც არასოდეს არავის დაუპროგრამებია. **Web**-ი არსებობს როგორც ცოცხალი ორგანიზმი და ვითარდება საპუთარი კანონებით. ის თვითონ გვასწავლის, თუ როგორ მივეჩიოთ მას. რადგანაც ერთ მშვენიერ დღეს ქსელი და ჩვენ ერთ სხეულად გადავიქცევით. დღესაც შესამჩნევია, რომ სოციალური ქსელების ზეწოლით ანონიმურობის კოვენიციენტი ეცემა. ჩვენ ყველა ერთად, სქესის, რასისა და ემოციების გარეშე ვიწყებთ აზროვნებას როგორც ერთი მთლიანი, როგორც ერთი დიდი ხელოვნური გონი. ჩვენ კი არ ვიყენებთ ქსელს, არამედ ქსელი გვიყენებს ჩვენ თავისი არნახული (პასუხობს ჩვენს შეკითხვებზე, აქმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნასა და სურვილს) შესაძლებლობებით. არამც თუ **Web 3.0**-მა, არამედ დღევანდელმა ქსელმაც კი იცის ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხი. ქსელი, ჩვენს შეკითხვებზე, გვაკავშირებს კოპირაიტიან პასუხებთანაც. ძალიან მაღლ ქსელი თვითონ გაგვცემს პასუხს „ნებისმიერ“ ჩვენს შეკითხვაზე.

დღეისთვის მსოფლიოში შექმნილია ხელოვნური ინტელექტის მქონე სხვადასხვა დონის ანდროიდები. სიტყვა „ანდროიდი“ ბერძნული წარმოშობისაა, რაც ნიშნავს ადამიანის მსგავს რობოტს (*andr*-ადამიანი, მამაკაცი, მამრი, ხოლო – *eides*, *eidos*-მსგავსი). მაგალითად, ოსაკას (იაპონია) უნივერსიტეტმა, გამოფენაზე Expo 2007, კორპორაცია Kokoro-სთან ერთად წარმოადგინა გოგონა, გინოიდი სახელწოდებით **HRP-4C**, რომელსაც შეუძლია ხმამაღლა წაკითხვა და რეაგირებს შეხებაზე. მაგრამ მთავარი ისაა, რომ სხვა გინოიდებისგან განსხვავებით, მას შეუძლია პოდიუმზე სიარული, როგორც ნამდვილ მოდელს¹.

კანადელმა მეცნიერ-რობოტობექნიკოსმა თრანგ ლიმ (Trung Le) შექმნა ხელოვნური ინტელექტის მქონე გოგონა - ანდროიდი

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

(გინოიდი), რომელსაც „Aiko“ დაარქვა. მას შეუძლია: მათემატიკური ამოცანების ვიზუალურად ამოხსნა, საუბარი, 12 ზომის მქონე შრიფტით დაწერილი ტექსტის წაკითხვა, სხვადასხვა საგნისა და ფერების ერთმანეთისგან გარჩევა, შეხებაზე რეაგირება. „Aiko“ აღიქვამს ამინდის ცვალებადობას: წვიმის შემთხვევაში მოგაწვდით ქოლგას, ხოლო მზიანი ამინდისას – გასარუჯ ნელსაცხებელს. პროექტი განხორციელდა 2007 წლის ზაფხულში².

რენსილაერსკის უნივერსიტეტის (აშშ) მეცნიერ-მქალევარებმა უკვე შექმნეს ხელოვნური ინტელექტი, რომელიც თავისი დონით



ოთხი წლის ბავშვის ინტელექტის ტოლია³. შექმნილ პერსონაჟს ედი დაარქვეს, რომელიც ჩაასახლეს თხლაინ თამაშებში სახელწოდებით SECOND LIFE. სხვა მსგავსი ხელოვნური ინტელექტებისგან განსხვავებით, ედის გააჩნია საკუთარი შეხედულებების ფართო დიაპაზონი, აქვს ბავშვური გულუბყვრილო, მაგრამ საკუთარი მრწამსი, რომელიც გულისხმობს საკუთარი აზრის გამოხატვის უნივერსალურ შესაძლებლობას. ამ ვირტუალურ პატარას შეუძლია ხატვა. მართალია, იგი ჯერჯერობით

ხატავს როგორც ოთხი წლის ბავშვი, მაგრამ იმედია გაიზრდება ედი და მისი ინტელექტუალური შესაძლებლობაც. გარდა ამისა მკალევარების მიზანია კიდევ უფრო განავითარონ თავიანთი პროექტი და უახლოეს დროში შექმნან ნამდვილი ხელოვნური გონის ახალ ვერსია. ისინი აცხადებენ, რომ ედისა და მისი მსგავსი კიბერნეტიკული ინტელექტუალების განვითარებას დასჭირდება დიდად უფრო მდლავრი მოწყობილობა, ვიდრე ზემოთ აღნიშნული უნივერსიტეტის ჩვეულებრივი კომპიუტერი, რომელზეც იქნა შექმნილი ედი.

¹ <http://ru.wikipedia.org/wiki/Андроид>

² <http://rizenkova.livejournal.com/>

³ <http://www.neonett.ru/?p=253>



ეს კი გულისხმობს იმას, რომ არა მხოლოდ ერთი ინსტიტუტის, არამედ 100 ინსტიტუტის კომპიუტერული სისტემებიც ვერ გავთვალისწინებ პასუხს ნებისმიერ ჩვენს შეკითხვაზე. რამდენადაც მათი ბაზები ფიზიკურად ვერ დაიტვებ ინფორმაციის იმ მოცულობას, რომელიც საკმარისი იქნება ნებისმიერი პირვნების შეკითხვაზე პასუხის გასაცემად. გარდა ამისა, ნებისმიერ ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს ისეთი კითხვა, რომლის პასუხი შეიძლება არც კი იყოს ცნობილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახლო მომავალში შეიქმნება გლობალური, სრულიად ახალი სტრუქტურისა და შესაძლებლობების მქონე ქსელი – Web 3.0, რომელიც არსებულობან შედარებით მაქსიმალურად შეძლებს კითხვებზე პასუხის გაცემას. სწორედ ეს გახდება მეორე თაობის ხელოვნური გონის შექმნის საფუძველი.

ჩნდება კითხვა: როგორი წარმოგვიდგენია ხელოვნური გონი თავისი შესაძლებლობებით?

მეცნიერების პროგნოზებით ხელოვნური გონის განვითარება მოხდება სამ ეტაპად. პირველი თაობის გონი იქნება თვითსწავლადი (თვითმასწავლი) პროგრამები უკუ ინფორმაციული კავშირებით, რომელსაც პროგრამისტები გაუშვებენ ინტერნეტში. მომხმარებლები თავიანთი პერსონალური კომპიუტერებით მიუერთდებიან მას მისი შესწავლისა და ინფორმაციული სერვისის მიღების მიზნით. ხელოვნური გონის მათემატიკური უზრუნველყოფა საკმაოდ რთული იქნება. ამიტომ მათი შემქმნელები შეეცდებიან მის განვითარებას მომხმარების გამარტივების მიზნით.

რამდენადაც სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები დამოუკიდებლად შექმნიან ხელოვნური გონის პროგრამულ პროდუქტებს და გაუშვებენ ინტერნეტში, ხელოვნური გონის შექმნა მოხდება სამ ძირითად – იგნორირების, კონფლიქტებისა და გაერთიანების ეტაპებად. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალქე.

- იგნორირების ეტაპზე, სანამ ხელოვნური გონის ინფორმაციული რესურსი მეტი იქნება მომხმარებელთა რაოდენობაზე (იგულისხმება საწყისი ეტაპი), მანამ რესურსების დაჯახება არ მოხდება, ანუ მოხდება მომხმარებლების მიერ ერთმანეთის იგნორირება. როგორც კი მომხმარებელთა რაოდენობა გადააჭარბებს ხელოვნური გონის შესაძლებლობებს, მომხმარებლები იძულებული გახდებიან შეიცვალონ სტრატეგია და გადანაწილდნენ ხელოვნურ

გონებს შორის;

- კონფლიქტების ეტაპზე ხელოვნური გონის შექმნაზე ორიენტირებული პროგრამისტები შექმნიან ისეთ პროდუქტებს როგორიცაა: ჯაშუშური და გამნადგურებელი პროგრამები. მაგრამ ასეთი პროგრამების შექმნა მის შემქმნელებს წარმომევს დიდ დროსა და რესურსს, რამდენადაც იერიშის მიტანა უფრო რთულია, ვიდრე თავდაცვა, რაც გამოიწვევს მათ ჩამორჩენას დროსა და სივრცეში. რაც გახდება სხვადასხვა ხელოვნურ გონია გაერთიანების საფუძველი;

- გაერთიანების ეტაპზე ხელოვნურ გონია გაერთიანება მოხდება მათი უნებლიერ შერწყმით, ინფორმაციის ერთ-ერთი პარადოქსული თვისების გამო – ინფორმაციის გამოყენება (მოხმარება) მის რაოდენობას არ ამცირებს. გაერთიანებული ხელოვნური გონი კი დაიწყებს უსასრულოდ გაზრდასა და განვითარებას და მომხმარებელთა მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას.

ზემოთაღნიშნული ეტაპების გავლა გახდება მეორე თაობის ხელოვნური გონის შექმნის საფუძველი. შერწყმით მიღებულ ხელოვნურ გონება კი ვერ გაიგებს პროგრამისტების მიერ შექმნილი პროგრამების ვერც ერთი ბრძანება, რამდენადაც შერწყმის პროცესი უშუალოდ ხელოვნურ გონია მიერ მოხდება. ხელოვნური გონის პროგრამულ უზრუნველყოფაში არასანქციორებული შეღწევის მცდელობა აღმოვხვდილი იქნება თვით ხელოვნური გონის მიერ. აქედან გამომდინარე ხელოვნური გონი გამოვა ადამიანების კონტროლიდან და ადრე თუ გვიან მოხდება ხელოვნურ გონია სრული შერწყმა და ერთი დიდი პროგრამის შექმნა. ამ მათემატიკური უზრუნველყოფის განვითარება განპირობებული იქნება შემდეგი ფაქტორებით:

- აპარატურული (კომპიუტერული ტექნიკის) სიმძლავრის გაზრდით;

- ინფორმაციული არხით.

შევჩერდეთ მათზე.

- აპარატურული (კომპიუტერული ტექნიკის) სიმძლავრის გაზრდა გულისხმობას იმას, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელოვნური გონისთვის დღეისათვის არსებული სიმძლავრეები საკმარისი არ იქნება. ამიტომ თვითონ ხელოვნური გონი დაიწყებს რეზერვების

შექმნას. მას არ დასჭირდება კომპიუტერის ისეთი შემადგენელი ნაწილები, როგორიცაა: მონიტორი, კლავიატურა, დისკმდები და სხვ. მას დასჭირდება მხოლოდ ინტერნეტის ქსელში ჩართული პროცესორები და ვინჩესტერები. ამასთანავე, ამ აპარატურას ხელოვნური გონი თვითონ დააპროექტებს, რომელთა მწარმოებლურობა დიდად გადაჭარბებს ადამიანის ტვინის მწარმოებლურობას.

- ინფორმაციული არხის არსი ისაა, რომ მომხმარებლებისგან ინფორმაციის მიღება გაიზრდება არავერბალური არხების გამოყენებით, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის მიღებას მომხმარებელთა პულსის (გულისცემის), მათი სხეულის ტემპერატურისა და ელექტროგამტარობის, ხმის ტემპრის და ხმამაღლობის შესახებ. ხელოვნურ გონს ექნება შესაძლებლობა ერთმნიშვნელოვნად გაარჩიოს მასთან კონტაქტში მყოფი მომხმარებელი სხვა მომხმარებლებისგან. გარდა ამისა, ხელოვნური გონი მიიღებს ინფორმაციას მატერიალური გარემოს მაკონტროლებელი ისეთი ტექნიკური მოწყობილობებიდან როგორიცაა: რადარები, სეისმოგრაფები, ტელესკოპები, თერმომეტრები და სხვ.

ადამიანურთან შედარებით, მეორე თაობის ხელოვნური გონი ძალიან მიუახლოვდება კოსმიურ გონს. მის ინტელექტუალურ ბაზებში განთავსებული იქნება მსოფლიო საზოგადოების მიერ დაგროვილი ცოდნა, რის გამოც ხელოვნური გონის ინტელექტუალური სიმძლავრის შეფასებას ადამიანის გონება ვერ შეძლებს და არც არის საჭირო. მეორე თაობის ხელოვნური გონი შეძლებს უზარმაზარი რაოდენობის ფაქტებისა და მათ შორის არსებული კავშირების ისეთ გაანალიზებას, რაზეც ადამიანებს ფიქრიც არ შეეძლებათ. აქ კი დადგება ფსიქოლოგიური მომენტი – ადამიანებს გაუჩნდებათ შიში ხელოვნური გონის მიმართ. მაგრამ, რამდენადაც ხელოვნურ გონს არ შეეძლება არსებობა ადამიანების გარეშე, ანუ ხელოვნური გონი ვერ იარსებებს უკუკავშირის გარეშე (ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე), ამიტომ ხელოვნური გონი თვითონ შეეცდება ადამიანების დაცვას. ეს უკანასკნელი კი მსოფლიო საზოგადოებას ნელნელა გაუქარწყლებს შიშს მის მიმართ და ხელოვნური გონი და მსოფლიო საზოგადოება ერთ ინტელექ-

ტუალურ ორგანიზმად გადაიქცევა. ხელოვნური გონის მეშვეობით მსოფლიო საზოგადოებას მიეცემა საშუალება გადაჭრას დღემდე გადაუწყვებელი, შეუძლებლად მიჩნეული პრობლემები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად ახალი სტრუქტურისა და შესაძლებლობების მქონე სისტემების შექმნის უსასრულოდ გაგრძელებისა, უახლოეს 10-15 წელიწადში, არსებული ხელოვნური ინტელექტის ბაზაზე, ვფიქრობთ, შეიქმნება ცოცხალი არსების თვისებების მქონე ხელოვნური გონი, რომლის ფუნქციონირების სფერო იქნება საზოგადოების ცხოვრების ერთ-ერთი აუცილებელი – ინტერნეტი. ეს უკანასკნელი კი ადამიანთა საზოგადოებას გადაიყვანს სრულიად ახალ ეპოქაში.

About Internet, Artificial Consciousness and Society Moving into New Era

D. Sichinava

G. Nakashidze

The article deals with the problem of constant increase in human society requirements to develop such "intellectual" machines, household equipments and so on, which will be made on the basis of processing system and will have "clever" software. The article also highlights the possibilities of solving such problems with the help of new technologies – artificial intelligence and consciousness. The paper provides the forecasts of great thinkers dealing with creation of artificial consciousness in the field of informational technologies and comparison of different evolution of people and computers. The article provides schematic pictures showing similarity of human brain and internet – the global network. It also gives definitions of neuron, neural networks and neural systems and strict comparison of the internet and human brain. It is proved, that internet is information technology with characteristics of a living creature, which develops "independently", together with the world society. The article provides interesting examples of artificial androids and gynoids. It is supposed that in near future, a new network, having completely new structure and

possibilities will be created – Web 3.0. Compared with the existing one, this new web will be able to answer the questions of the world society and will become the basis for creation of artificial consciousness. The article describes the structure of artificial consciousness, stages of its development and the field where Web-3.0 functions.

სოციალური დაცვის სისტემის რეზორმის
აუცილებლობა საქართველოში

ნონა გელიტაშვილი,
თსუ დოქტორანტი

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო წარმოადგენს სოციალური პოლიტიკის ცენტრალურ, მაგრამ არა ერთადერთ სუბიექტს. მისი როლი მნიშვნელოვანწილად სამოქალაქო საზოგადოების მრავალრიცხოვანი ინსტიტუტის როლითაა გაძლიერებული, რომლებზეც სახელმწიფო თავისი ფუნქციების ფართო სპექტრის დალეგირებას ახდენს. თუმცა სახელმწიფოს როლის უნიკალურობა და განსაკუთრებულობა ისაა, რომ მას აღებული აქვს პასუხისმგებლობა საზოგადოების სოციალურ სტაბილურობაზე, მოქალაქეების, ოჯახების, სოციალური ჯგუფების, მთელი საზოგადოების სოციალური ყოფის მდგრადობაზე. ყოველივე ეს განპირობებულია თავად სახელმწიფოს, როგორც ერთადერთი პოლიტიკური და სამართლებრივი სუბიექტის ბუნებით, რაც გულისხმობს კონსტიტუციურად მინიჭებულ უფლებამოსილებათა მთელი სპექტრის ფლობას.

საქართველოში, ახლო წარსულში განხორციელებულმა არათანმიმდევრულმა რეფორმებმა, რომელთა შედეგადაც მივიღეთ მრავალწლიანი ეკონომიკური რეცესია, ცხოვრების დონის მკვეთრი დაცვმა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუარესება გამოიწვია. გაჩნდა მოქალაქეთა ისეთი ახალი კატეგორიებიც, რომელიც განსაკუთრებულ და ოპერატორულ დახმარებას საჭიროებდნენ. სოციალური რისკების ჩამონათვალის გაფართოებამ და მიზანსწრაფულმა ზრდამ სოცუზრუნველყოფის სოციალისტური სისტემის საბოლოო კრახი გამოიწვია, ამიტომაც გარდაუვალი იყო სასწრაფო ზომების მიღება და სოცუზრუნველყოფის პატერნალისტური სისტემიდან ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ სოციალური დაზღვევის სისტემაზე გადასვლა. მაგრამ ისევე როგორც სხვა პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებში,

საქართველოშიც საკმაოდ წინააღმდეგობრივი, ეპლექტიკური სოციალური დაცვის სისტემა წარმოიქმნა. ერთი მხრივ, შემორჩა ძველი მექანიზმები და, მეორე მხრივ, გაჩნდა ახალი ელემენტების შემცველი სისტემა. ამიტომაც მოხდა ფუნქციათა აღრევა და მიკიდეთ სოციალური დაზღვევის, სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის ელემენტების შემცველი გაურკვეველი სისტემა, რომელიც სასწრაფოდ საჭიროებდა რეფორმირებას.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, თითქოსდა დაიწყო აქტიური ცვლილებების პერიოდი აღნიშნულ სფეროში, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ ცვლილებებს აკლდა თანმიმდევრულობა და ერთიანობის პრინციპი. ევროკავშირისკენ აღებული კურსი უკვე ნიშნავს ქართული საზოგადოების ოპტიმალური განვითარების პერსპექტივას, მაგრამ ამისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ეროვნულ პარტნიორთა ძალისხმევა. საჭიროა ახალი იდეები და მოსახრებები სახელმწიფოს განვითარების საშუალოვადიანი და გრძელვადიანი განვითარების შესახებ. სწორედ ამ სტრატეგიის არჩევაზეა დამოკიდებული ის, თუ როგორ იცხოვრებენ საქართველოს ახლანდელი და მომავალი თაობები, ამიტომ ის უნდა იყოს კარგად გააზრებული და დასაბუთებული. ამის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი ლია დისკუსიებსა და დებატებში მთელ საზოგადოებას ჩავრთავთ.

დღესდღეობით, მიუხედავად სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის შექმნის უდიდესი მნიშვნელობისა და აუცილებლობისა, ქართულ რეალობაში, სამწუხაროდ, ეს საკითხები თითქმის არ ისმის საზოგადოებრივ დისკუსიებში და შესაბამისად, არც პოლიტიკოსთა დღის წესრიგში დგას. დღეს, როდესაც შექმნილია თავისუფალი ბაზრის ფუნდამენტი ეკონომიკური ზრდისთვის, დროა, ვიფიქროთ იმაზეც, თუ როგორ გამოვიყენოთ დღევანდელი ეკონომიკური ზრდა ისეთი მომავლის უზრუნველსაყოფად, სადაც სოციალური და ეკონომიკური ასპექტები მოსახლეობის უკეთა ფენას თანაბრად მოიცავს და საყოველოაო კეთილდღეობის ფუნდამენტს შექმნის. ამის მისაღწევად აუცილებელია ადამიანური რესურსების განვითარებაზე ზრუნვა, რაც დღევანდელ კონკურენტუნარიან, გლობალურ ეკონომიკაში წარმატებული მოქმედების საშუალებას მისცემს მათ. გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული არა იმის შესახებ, შევქმნათ თუ არა კეთილდღეობის მქონე საზოგადოება,

არამედ – კეთილდღეობის რომელი მოდელი იქნება უკეთაზე შესაფერისი საქართველოსთვის.

ევროპის სოციალური დაცვის მოდელებს შორის უკეთაზე „კარგი“ საზოგადოების ჩამოყალიბება, ერთი შეხედვით, სკანდინავიურმა, ანუ სოციალურ-დემოკრატიულმა მოდელმა შეძლო. „კარგი“ საზოგადოება გულისხმობის იმას, რომ მოსახლეობის უკეთა ფენა ერთნაირად არის მოცული კეთილდღეობით და ეკონომიკური ზრდისთვისაც მნიშვნელოვანი რესურსებია გათვალისწინებული. უკეთაზე ცნობილი და დამახასიათებელი ნიშან-თვისება ამ მოდელისა – ეს არის შემოსავლების თანაბარი გადახატილება, ანუ საშემოსავლო გადასახადებიდან დაფინანსებული საყოველოაო და თანასწორი სოციალური გარანტიები. მაგრამ ამ უკეთაზე დაფინანსება ჭირდება. ამიტომაც სოციალურ-დემოკრატიულ ქვეყნებს, მაგ., დანიას, წლების მანძილზე ძალიან მაღალი და მუდმივად მზარდი გადასახადები აქვთ.

დანიელი მეცნიერის – ესპინგ-ანდერსენის მიერ კლასიფიცირებული მოდელების¹ განხილვა ცხადყოფს, რომ ამგვარი სოციალური თანასწორობის მიზანია, მოქალაქეების (განურჩევდად სქესისა) დაცვა კონიუქტურული და სტრუქტურული კრიზისებისგან, რაც ინტენსიურად შეინიშნება მოდელების სხვა ტიპებში. „სოციალურ-დემოკრატიული“ მოდელი სასიათვება ძლიერი დეკომოდიფიცირებითა და განატილების ძლიერი მექანიზმებით, რაც სრულ დასაქმებას უზრუნველყოფს და დაბალ კორპორატიულობასა და ეტაგიზმში კლინდება.² სოციალური დაცვის აღნიშნულ მოდელზე უკრადღების შეჩერება და საქართველოსთვის მისი შეთავაზება ასე თუ ისე ლოგიკური შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ აღნიშნულ მოდელს ახასიათებს ისეთი ნიუანსები, რომელთა გადმოტანა ქართულ რეალობაში გაუმართლებელია.

პირველ რიგში, აქ ვგულისხმობთ ძალიან მაღალ გადასახადებს, რომელთა საფუძველზეც სკანდინავიის ქვეყნები ახერხებენ მაღალი და თანაბარი შემოსავლების უზრუნველყოფას მოსახლეობის უკეთა ფენისთვის (ამისათვის კი ჯერ მაღალი შემოსავლების მიღწევაა საჭირო). ეგალიტარულ სახელმწიფოებში სოციალური

¹ Esping-Andersen G. The Three Worlds Welfare Capitalism. Cambridge, 1990, p. 37.

² Frevel B., Dietz B. Sozialpolitik kompakt. VS Verlag für Sozialwissenschaften/GWV Fachverlage GmbH. Wiesbaden. 2008. p. 199.

ხარჯების დაფინანსება ხდება ბიუჯეტის საგადასახადო შემოსაჭიდებიდან, პროგრესიული საგადასახადო სისტემის ხარჯზე; სოციალური პოლიტიკის განხორციელებისას, პრიორიტეტი ენიჭება თანასწორობისა და სოლიდარობის პრინციპებს; სახელმწიფო უკეთესობის მიმართავს იმისთვის, რომ არ დაუშვას ხანგრძლივი უმუშევრობა; მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის დონისძიებები მაღალი დონითა და ხელმისაწვდომობით გამოირჩევა; სახელმწიფო ბიუჯეტის დოტაციების მნიშვნელოვანი წილი სავალდებულო სოციალური დაზღვევის სისტემაში მიუთითებს სახელმწიფოს აქტიურ როლზე ამ სისტემის ფუნქციონირებაში, კერძოდ, საყოველთაო კეთილდღეობის მისაღწევად და მაღალი სოციალური გარანტიების უზრუნველსაყოფად ამ მოდელის მქონე ქვეყნების მთავრობები ძალიან დიდ თანხებს ხარჯავენ ბიუჯეტიდან. მაგალითად, შვედეთში სოციალური ხარჯების წილად ბიუჯეტის თითქმის 50% მოდის¹.

ცნობილი ფაქტია, რომ შვედეთში სოციალურ-დემოკრატიული მოდელის დანერგვა მოხდა XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მთავრობის, პროფაგშირებისა და საწარმოების წარმომადგენლებმა მოილაპარაკეს მაღალი გადასახადების დაწესების შესახებ, რათა ამით აემაღლებინათ საერთო კეთილდღეობის დონე ქვეყანაში. სამეწარმეო წრებმა ჯერ კიდევ 1938 წელს გააცნობიერეს, რომ მათთვის გაცილებით მომგებიანი იქნებოდა თანასწორი სოციალური პარტნიორობა, ვიდრე კლასობრივ ბრძოლებში ჩაბმა. თუმცა ასეთი შეთანხმებების მიღწევის დროს, ყოველთვის არსებობს კორუფციის ცდუნება, რომლის ხარისხიც დამოკიდებულია საზოგადოებრივ მენტალიტებზე. მსგავსი მოლაპარაკება, შესაძლოა, ჩვენს სინამდვილეშიც შედგეს, მაგრამ კორუფციის წარმოქმნის რისკი აქ გაცილებით მაღალია, ამიტომაც ასეთი გარიგებები უპერსპექტივოდ მიგვაჩნია.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სკანდინავიურ მოდელს აქვს სხვა ნაკლოვანებებიც; მაგალითად, სულ უფრო მზარდ უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებში ის ფაქტი, რომ მათ უწევთ მაღალი გადასახადების გადახდა იმ ადა-

¹ Held M., Kubon-Gilke G., Sturm R. Normative und institutionelle Grundfragen der Ökonomik - Soziale Sicherung in Marktgesellschaften. Jahrbuch 5. Metropolis-Verlag. Marburg/Lahn. 2006, p. 54.

მიანთა სასარგებლოდ, რომელთაც საერთოდ არ უმუშავიათ (აქ არ იგულისხმება შრომისუუნაროები), მაგრამ სახელმწიფოსგან ტრანსფერს მაინც იღებენ.

თუმცა, მეორე მხრივ, სოციალურ-დემოკრატიული მოდელი ტრანსფორმირებადი ქვეყნებისთვის მიმზიდველია იმდენად, რამდენადაც ძლიერი სახელმწიფოებრივი აპარატით და პროფაგშირების განსაკუთრებული როლით გამოირჩევა. ისეთ პირობებში კი, როდესაც დასაქმებულთა უფლებები კანონით არა სათანადო დონეზე დაცული, ძლიერ პროფაგშირებში გაერთიანება საუკთხესო გამოსავალია.

ეროვნული შემოსავლის განაწილება, რაც მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხს განსაზღვრავს, ნებისმიერი ქვეყნის სოციალური დაცვის მოდელის კონსტრუქციისთვის ცენტრალურ რგოლს წარმოადგენს. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ გამანაწილებელი მექანიზმები რეალური შინაარსით ავსებს სოციალურ ურთიერთდამოკიდებულებებს საზოგადოებაში, კონკრეტულ დატვირთვას აძლევს „სოციალური სამართლიანობის“ ცნებას.

საქართველოსთან მიმართებაში, შემოსავლების განაწილების მოდელის ტრანსფორმაციის აუცილებლობა აშკარაა, რადგან გარდამავალ პერიოდში ფაქტობრივად მდიდრებად და ლარიბებად დაიყო საზოგადოება, საშუალო ფენა კი სადღაც გაქრა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სკანდინავიური მოდელის ფარგლებში ყველაზე უკეთ ხერხდება შემოსავლების განაწილება, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნული მოდელის მოქმედების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მაღალორგანიზებული საზოგადოება, რომელიც მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე ზრუნავს.

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ლიბერალური მოდელის მქონე სახელმწიფოებს (აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს) სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვის ბერკეტები ხელთ არ უპყრიათ. უბრალოდ, მათი სახელმწიფოებრივი მიდგომიდან გამომდინარე, ისინი ამჯობინებენ, ნაკლები დოზით ჩაერიონ საბაზო პროცესებში და, სამაგიეროდ, ამით საზოგადოების როლი გაზარდონ, რაც არას-ახელმწიფოებრივ სექტორში ძლიერი ინსტიტუტების არსებობას გულისხმობს. ამისათვის კი წინაპირობები თავად სახელმწიფო


უნდა შექმნას: მწყობრი კანონებისა და ხელშემწყობი გარემოებების ჩამოყალიბებით. სოციალურ-დემოკრატიული მოდელის მქონე ქვეყნებისგან განსხვავებით, ლიბერალურ სახელმწიფოებს არა აქვთ ძლიერი სოციალური კანონმდებლობა და პროფკავშირების როლიც შედარებით სუსტია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ სოციალური პოლიტიკის განხორციელებისას, სახელმწიფო საკმაოდ ქმედით ღონისძიებებს ატარებს.

ჩვენი აზრით, დღევანდელ პირობებში, მართებული არ იქნება ურადღების შენიშვნება მხოლოდ ერთ მოდელზე და მისი ბრძან გადმოღება ქართულ რეალობაში, თუნდაც საქმე ლიბერალურ მოდელს ეხებოდეს. საქართველოს ხელისუფლებას არ შეუძლია პასუხისმგებლობის გადაბარება ვინმეზე, ან კერძო საპენსიო ფონდებზე, რაც ჯერ არ არსებობს. ეს ვალდებულება მას თავად აკისრია ამჟამინდელი პენსიონერების წინაშე, რამდენაც მათ თავის დროზე საკუთარი წვლილი აქვთ შეტანილი სახელმწიფო საპენსიო ფონდებით ძველი თაობების პენსიონერთა უზრუნველყოფაში. თუმცა ისიც არ იქნებოდა გამართლებული, რომ გაურკვეველი მომავლისათვის გადაგვეტანა კერძო საპენსიო ფონდების შექმნის საკითხი, რაზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

განხილული აღტერნატიული მოდელებიდან საუკეთესო ვარიანტის ძიებაში, ჩვენ მივეღით დასკნამდე, რომ საქართველოსთვის ეველაზე ოპტიმალური იქნება ლიბერალური და კონსერვატიული სოციალური დაცვის მოდელების პოზიტიური მახასიათებლების შერწყმა და მორგება ჩვენი ქვეყნის რეალობასთან.

კონსერვატიული მოდელი, როგორც ცნობილია, ოტო ფონ ბისმარკის იდეებიდან იდებს სათავეს და მისი დანერგვა გერმანიაში საქმაოდ ეფექტიანი აღმოჩნდა. ბისმარკისეულ მოდელს საფუძვლად დაედო სოციალური დაზღვევა, რომელმაც მოიცვა ხელფასის, საპენსიო ასაკის, სოციალური სტანდარტების შესაბამისი პენსიის ოდენობის, შემწეობებისა და სამედიცინო დახმარების ხარისხის განსაზღვრა. დაზღვევის ფონდში ხელფასის გარკვეული ნაწილის შეტანით (სოციალური ანარიცხების გადახდით) ადამიანს უფლება ედლება მიიღოს სახსრები, როგორთა მოცულობაც შესაბამისობაშია ხელფასის ოდენობასთან. ექვივალენტობის წესის გარდა, სოციალური დაზღვევის პრინციპი მოიცავს სოლიდარული გადანაწილების ელემენტებსაც.

ეკონომისტმა პ. ლინდერმა გამოიკვლია კავშირი სოციალურ დანახარჯებსა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის 1962-1995 წლებს შორის პერიოდისთვის, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, OECD-ს ქვეყნებში. მის გამოკვლევაში – სოციალური დანახარჯები და ეკონომიკური ზრდა მე-18 საუკუნიდან დღემდე¹ – ნაჩვენებია, რომ არსებობს უარყოფითი დამოკიდებულება სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური ხარჯების ზრდასა და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის. ანალოგიური დინამიკა შეინიშნება საქართველოს ეკონომიკშიც. ამის საილუსტრაციოდ, ჩვენ განვიხილეთ 5-წლიანი პერიოდი, 2005-იდან 2009 წლის ჩათვლით (იხ. დიაგრამა).



ვინაიდან ეკონომიკურ ზრდაზე ერთდროულად მრავალი ფაქტორი მოქმედებს, მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებზე „შეუიარაღებელი თვალით“ დაკვირვება არაა საკმარისი ამგვარი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის აშკარად შესამჩნევად. თუმცა, როგორც ფაქტები მოწოდს, უველაზე მეტად წარმატებული გამოღვა იმ ქვეყნების მიერ გატარებული სოციალური რეფორმები, სადაც მკვეთრი გადანაცვლება მოხდა pay-as-you-go ტიპის საპენსიო მოდელიდან¹ personal retirement account ტიპის მოდელზე². ამგვარი პრაქტიკა

¹ Peter H. Lindert. Social Spending and Economic Growth Since the Eighteenth Century. Cambridge University Press, New York. 2004.

პირველად 1981 წლიდან ჩილემ განახორციელა და მისი შედეგები იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ მოგვიანებით სხვა მრავალმა ქვეყანამ (მათ შორის მაღალგანვითარებულებისაც) დაიწყეს მისი გაზიარება. ერთ-ერთი პირველი მიმბამელი ქვეყანა გახდა პერუ, რომელმაც ჩილეს გამოცდილების თითქმის კოპირება მოახდინა. მეტ-ნაკლებად მსგავსი გეგმებით დაიწყეს საპენსიო რეფორმა 1990-იან წლებში მექსიკამ, ბოლივიამ, კოლუმბიამ და ასევე – უკანასკნელ წლებში სერიოზული ძვრები კერძო საპენსიო ფონდების ჩამოყალიბების მიმართულებით შეინიშნება, მაგალითად, პოლანდიაში, შვედეთში, ავსტრალიაში და ა.შ. ოუმცა ჩილეს მიმბამელი ქვეყნებიდან ყველაზე გამორჩეული მაინც სალვადორია, რომელმაც 1998 წელს გადაწყვიტა, ჩილესთვის შეჯიბრი გამოეცხადებინა უკეთესი მოდელის დანერგვაში. მანამდე სალვადორში არსებული საზოგადოებრივი რედისტრიბუციის საპენსიო სისტემა განიცდიდა გადახდისუფარობის პრობლემებს, განპირობებულს დემოგრაფიული ცელილებებითა და კონტროლური არასტაბილურობით. და მართლაც, სალვადორის მიერ დანერგილი სისტემა ყველაზე უფრო მოქნილი და სრულყოფილი აღმოჩნდა, მსოფლიოში მანამდე არსებულ ყველა წინამორბედთან შედარებით. რეფორმის დაწყებიდან სულ რადაც 10 წელიწადში, ანუ 2008 წლისთვის, კერძო საპენსიო კონტრიბუციების (შენატანების) მოდელზე სალვადორის სამუშაო ძალის 87% იყო ნებაყოფლობით გადასული.

2000 წლიდან გერმანიაშიც დაიწყო საპენსიო სისტემის რეფორმირება. ფისკალური ღონისძიებები ეტაპობრივად განხორციელდა სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფა და კერძო საპენსიო ფონდებთან მიმართებით. 2008 წლიდან დაწესდა 4%-იანი სოციალური შენატანი ინდივიდუალური შემოსავლებიდან. დიდ ბრიტანეთში კი 2004 წლიდან მოქმედებს 3-სვეტიანი საპენსიო სისტემა, რომლის I სვეტს სახელმწიფო სავალდებულო საპენსიო გეგმა წარმოადგენს, II სვეტი ასევე სავალდებულოა და კერძო საპენსიო ფონდებში შენატანებს გულისხმობს, III სვეტი კი დამატებითი ნებაყოფლობითი შენატანებს ეფუძნება, რაც განკუთვნილია მათვას, ვინც საკუთარ უზრუნველ სიბერეზე უფრო მეტად ზრუნავს.¹

¹ Pay-as-you-go ტიპის საპენსიო მოდელი – ითვალისწინებს დაბეგვრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსული თანხებით პენსიების დაფინანსებას.

² Personal retirement account ტიპის საპენსიო მოდელით საკუთარი პენსიის უზრუნველყოფა ხდება პირადი ანგარიშების ფორმირების გზით.

ფონდების ნაკადების მოძრაობა Pay-as-you-go სისტემაში მგრძნობიარე დემოგრაფიული პირობებისადმი. აშშ-ში 1990 წლიდან სოციალური დაცვის სისტემას ძალიან ხელსაყრდნო დემოგრაფიული პერიოდი ჰქონდა. დიდი დეპრესიისა და II მსოფლიო ომის დროს აშშ-ში შობადობის ტემპი დაბალი იყო. იმ დროს დაბადებული ადამიანები საპენსიო ასაკში გასული 15 წლის განმავლობაში შევიდნენ. ვინაიდან 1930-1945 წლების თაობა შედარებით მცირერიცხოვანი იყო, მცირე იყო ასევე მათვის გადასახდელი პენსიებიც. შობადობამ მკვეთრად იმატა II მსოფლიო ომის შემდგომ ორ ათწლეულში. ე.წ. baby boomers (ბავშვების ბუმის ტალღა) ამჟამად შრომისუნარიან ასაკშია და ხელს უწყობს სოციალური დაცვის სისტემაში საპენსიო ფონდების შედინებას.

თუმცა, ექსპერტთა შეფასებით, სიტუაცია მკვეთრად შეიცვლება, როცა სენებული baby boomers-ის თაობა დაიწყებს პენსიაზე გასვლას, დაახლოებით 2010 წლის შემდეგ. ეს პროცესი, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მატებასთან ერთად, გამოიწვევს ხანდაზმული მოქალაქეების რიცხვის სწრაფ ზრდას, უკვე მომდევნო ათწლეულში. 65 წელზე მეტი ასაკის ადამიანების რაოდენობა (აშშ-ში) 2010 წელს არსებული 40 მლნ-დან, სავარაუდოდ, 71 მლნ-ს მიაღწევს 2030 წლამდე. შედეგად, პენსიონერების წილად მოსული მომუშავეების რიცხვი დღევანდელი 3,2 მლნ-დან შემცირდება 2,2 მლნ-მდე 2030 წელს. ამჟამად სისტემაში შემავალი ფონდები (გაბერილი baby boomers-ის წყალობით) აჭარბებს პენსიონერებზე გათვლილ დანახახაჯებს. მაგრამ 2010 წლის შემდეგ მათი პენსიაზე გასვლის დაწყება დანახარჯებს ზრდისკენ უბიძგებს. ახლა არსებული სიჭარბე ბეგარის გზით ამოღებულ შემოსავლებსა და საპენსიო ხარჯებს შორის ამოწურება დაახლოებით 2016 წლისთვის. ამის შემდეგ კი დეფიციტი იჩენს თავს და განუხრედად გაიზრდება.

რამდენადაც საქართველო ანალოგიური დემოგრაფიული და სოციალური პრობლემების წინაშე დგას, და ახლო მომავალში, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად, სულ უფრო გართულდება საპენსიო ასაკის ადამიანთა პენსიებით (საარსებო მინიმუმის დონეზე მაინც) უზრუნველყოფა, საჭიროა დროულად განხორციელდეს ისეთივე რეფორმები, როგორსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს მიერ განხილულ ქვეყნებში, და შეიქმნას კერძო საპენსიო ფონდები, რაც უფრო უფერისას გახდის

¹ Jay Ginn, Uwe Fachinger und Winfried Schmähl. Reformen der Alterssicherung und der sozioökonomische Status Älterer in Großbritannien und Deutschland. ZeS-Arbeitspapier Nr. 4/2007.

აღნიშნულ სისტემას. ამის აუცილებლობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სოციალური ხარჯები სამთავრობო მთლიანი ხარჯების ნაწილია და არსებობს არაერთი სერიოზული კალევა, რომლის მიხედვითაც მთავრობის ხარჯების ზრდა ამცირებს მშპ-ს¹; მაგრამ, ასეც რომ არ იყოს, მხოლოდ სახელმწიფოს ქმაყოფაზე პენსიონერთა ყოფნა ცუდია, თუნდაც იმის გამო, რომ ის თავისუფალი არჩევანის საშუალებას არომევს ადამიანს.

The necessity to reform the Social security system in Georgia

N. Gelashvili

In several working papers are shown the negative interdependence between social costs and economic growth rates. Such dynamics is observable in Georgian economy too.

Since economic growth is influenced by many determinants, it is not enough only to observe statistical data to see such correlation clearly. However, facts show that the most successful were social reforms in that countries, which substituted the pay-as-you-go system by personal retirement account model.

We don't think that one any given model (even the most successful) from another country directly copied in Georgian reality would be a good idea. Georgian government may not be able to impose the whole burden of its own responsibility only to the private pension system, which does not exist so far. But, on the other hand, we should think about some new model to implement in Georgia and it would be great mistake to shift the solution of the problem in the future. That is discussed in this article.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციებს (უპი-ს), საფუძველი ჩაეყარა XX ს. 50-იან წლებში, როდესაც აშშ-ში ჩამოყალიბდა ტრანსეროვნული კომპანიები¹. საერთაშორისო ბაზარზე ზოგიერთი კომპანიის ლიდერობა გახდა იმის საფუძველი, რომ მათ გაუჩნდათ ინტერესი თავისი წარმოების გარკვეული ნაწილი გაეტანათ სხვა ქვეყნებში.

რა არის უცხოური პირდაპირი ინვესტიცია?

პუნქტურის განმარტებით უპი არის უცხოელი მესაკუთრის მიერ სხვა ქვეყნაში კაპიტალის დაბანდება; უპი განხორციელდება აქციების შემქნის სახით ან გარკვეული წილით, რომელიც მოუტანს ინვესტორს გრძელვადიან მოგებას².

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და გაერთიანებული ერგბის ორგანიზაცია გვთავაზობს შემდეგ განსაზღვრებას: „უცხოური პირდაპირი ინვესტიცია არის რეზიდენტი ქვეყნის მიერ გრძელვადიანი ინტერესების შემქნა სხვა ქვეყნის საწარმოში“³. აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ უპი პორტფელური ინვესტიციისგან განსხვავებით, არის დაბანდება ეკონომიკის რეალურ სექტორში. ხაზგასასმელია ისიც, რომ უპი საგებით განსხვავდება სახელმწიფო და კერძო სექტორის ვალისგან. ის არ არის სასესხო კაპიტალი, ის კომპანიის სააქციო კაპიტალია და არ გამოიწვევს საპროცენტო გადახდების აუცილებლობას და ვალის ძირითადი ნაწილის გადახდას. კომპანიის მოგების სუფთა შემოსავალი, რომე-

¹ Blomstrom M., Zejan M., Why do Multinational Firms Seek Out Joint Ventures?|| Journal of International Development, 1991, vol. 3 -pp.53-63.

² ჭიშერ შ. პრიმარი ინვესტიციების სამართლებულების მიზანი // მ. 1999.

³ კირეევ ა., «Международная экономика» - М., 1997, ч.1.

¹ Gwartney, James, Lawson, Robert, Holcombe, Randall - The scope of government and the wealth of nations. Cato Institute. The Cato Journal. 1998.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ძირითადი თეორიები,		საბიურო და სამუშაო მიზანის გარემონტირებული და მიმღები სახელმწიფო კონკურენცია	
სახელმწიფო კონკურენცია	საბიურო და სამუშაო მიზანის გარემონტირებული და მიმღები სახელმწიფო კონკურენცია	საბიურო და სამუშაო მიზანის გარემონტირებული და მიმღები სახელმწიფო კონკურენცია	საბიურო და სამუშაო მიზანის გარემონტირებული და მიმღები სახელმწიფო კონკურენცია
1. საბიურო და სამუშაო მიზანის გარემონტირებული და მიმღები სახელმწიფო კონკურენცია	2. საბიურო და სამუშაო მიზანის გარემონტირებული და მიმღები სახელმწიფო კონკურენცია	3. საბიურო და სამუშაო მიზანის გარემონტირებული და მიმღები სახელმწიფო კონკურენცია	4. საბიურო და სამუშაო მიზანის გარემონტირებული და მიმღები სახელმწიფო კონკურენცია
5. საბიურო და სამუშაო მიზანის გარემონტირებული და მიმღები სახელმწიფო კონკურენცია	6. საბიურო და სამუშაო მიზანის გარემონტირებული და მიმღები სახელმწიფო კონკურენცია	7. საბიურო და სამუშაო მიზანის გარემონტირებული და მიმღები სახელმწიფო კონკურენცია	8. საბიურო და სამუშაო მიზანის გარემონტირებული და მიმღები სახელმწიფო კონკურენცია
9. საბიურო და სამუშაო მიზანის გარემონტირებული და მიმღები სახელმწიფო კონკურენცია	10. საბიურო და სამუშაო მიზანის გარემონტირებული და მიმღები სახელმწიფო კონკურენცია	11. საბიურო და სამუშაო მიზანის გარემონტირებული და მიმღები სახელმწიფო კონკურენცია	12. საბიურო და სამუშაო მიზანის გარემონტირებული და მიმღები სახელმწიფო კონკურენცია

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

წარმოების განვითარების მიზნით ან დივიდენდის სახით იქნება გადახდილი პირდაპირი ინვესტორისათვის და შემდგომ რეპატრი-ორებული.

უპი ძირითადად ხასიათდება იმით, რომ ინვესტორი იძენს გრძელვადიან ინტერესს, რაც გულისხმობს გრძელვადიან ურთიერთობას კომპანიასა და პირდაპირ ინვესტორს შორის, რომელსაც ენიჭება სიღრმისეული გავლენა კომპანიის მართვაში. პირდაპირ ინვესტიციებში შედის ცენტრალური კომპანიის მიერ განხორციელებული დაბანდებები ყველა იმ კომპანიაში, რომელიც ცენტრალური კომპანიის სტრუქტურას შეადგენს. ცენტრალური კომპანიის მიერ ქვეყნის გარეთ გრძელვადიანი ინტერესები ჩნდება იმ შემთხვევაში, როცა ის აარსებს ფილიალებს, ქმნის შვილობილ და ასოცირებულ კომპანიებს (ფილიალი - ეს არის ორგანიზაცია, რომელიც მთლიანდ ეკუთვნის ცენტრალურ კომპანიას; შვილობილი კომპანია - ის კომპანიაა, რომლის 50-100% კაპიტალს ფლობს ცენტრალური კომ-

¹Vernon R., International Investment and International Trade in the Product Cycle//Quarterly Journal of Economics, May 1966, Vol.80;

² Hymer S., The International Operations of National Firms: A Study of Direct Foreign Investment// Cambridge: MIT Press, PhD dissertation, 1960, Massachusetts Institute of Technology.

³ Kindleberger C. , Restrictions on Direct Investment in Host Countries//Discussion Paper for the University of Chicago Workshop on International Business, March 1969.

⁴ Knickerbocker F., Oligopolistic REaction and Multinational Enterprise//Boston 1973.

⁵ Graham E., Krugman P., Foreign Direct Investment in the United States//Washington D.C.1989:Institute for International Economics.

⁶ Kindleberger C. , Restrictions on Direct Investment in Host Countries//Discussion Paper for the University of Chicago Workshop on International Business,March 1969.

⁷ Buckley, p., Casson M., The optimum timing of foreign investment // Economic Journal, 91 (1981), pp.75-87.

⁸ Buckley P., The limits of Explanation: Testing the Internationalization Theory of Multinational Enterprise//Journal of International Business studies 1988; vol.19.

⁹ Kojima K., A Macroeconomic Approach to Foreign Direct Investment// Hitotsubashi Journal of Economics, June 1973, vol.14.

¹⁰ Kojima K., International Trade and Foreign Investment: Substitutes of Complements// Hitotsubashi Journal of Economics, June 1975 vol.16.

¹¹ Aliber R., A Theory of Direct Foreign Investment//The International Corporation, Cambridge, 1970 – pp.14-34.

¹² Porter M., The Competitive Advantage of Nations// London 1990.

¹³ Dunning J., Trade, location of Economic Activity and the MNE: Search for an Eclectic Approach// "The International Location of Economic Activities", London 1977, pp. 395-418.

¹⁴ Dunning J. Explaining changing Patterns of International Production: In Defense of the Eclectic Theory//Oxford Bulletin of Economics and Statistics, Nov.1979, vol.41.

¹⁵ Dunning J. The Product Cycle Hypothesis in a new international Environment//Oxford Bulletin of Economics and Statistics, November 1979, vol.41.

პანია; ხოლო ასოცირებულია კომპანია ისაა, რომლის კაპიტალის 10-50% არის ცენტრალური კომპანიის განკარგულებაში).

უპი შეიძლება იყოს განხორციელებული ტრანსეროვნული და მრავალეროვნული კომპანიების მიერ. სხვაობა მათ შორის არის ის, რომ პირველ შემთხვევაში ცენტრალური კომპანიის კაპიტალი ეკუთვნის ერთ ქვეყანას, ხოლო მეორე შემთხვევაში, კაპიტალი ეკუთვნის ორ ან მეტ ქვეყანას.

უპი-ს ძირითადი ოქორიების ზოგადი დახასიათება წარმოდგენილია ზემოთ სქემის სახით (იხ. სქემა 1).

დავახასიათოთ ეს ოქორიები ვრცლად.

1.საქონლის საერთაშორისო წარმოების ციკლი. ეს ოქორია განაცითარა ვერნონმა საქონლის საციცოცხლო ციკლის მრუდის საფუძველზე. ოქორია გვიჩვენებს დინამიკურ ურთიერთობას საერთაშორისო ვაჭრობასა და უცხოურ ინვესტიციებს შორის, გვიხსნის ქვეყნებს შორის საქონლის ურთიერთობაცვლის პროცესს და გვიჩვენებს იმ მიზეზებს, რის საფუძველზეც ხდება ქვეყნებს შორის დარგობრივი გადაადგილება.

2.ტრანსეროვნული კომპანიები და მონოპოლიური კონკურენცია. XXს. 60-იან წლებში ხაიმერმა გააანალიზა ის მიზეზები, რის საფუძველზეც ტრანსეროვნული კომპანიები ახდენენ ინვესტიციებას უცხოეთში. მან დაადგინა, რომ უცხოელი ინვესტორები ცდილობენ გამოიყენონ თავისი მონოპოლური ძალაუფლება არასრულყოფილ ბაზრებზე დამატებითი შემოსავლის მისაღებად, ასევე მან გამოაყდინა, რომ უპი პირდაპირ კავშირშია პოლიტიკურ, საგადუტო და სხვა რისკებთან.

კინდლებერგერმა 1969 წელს გააფართოვა ეს კონცეფცია და გამოყო ტრანსეროვნული კომპანიების უპირატესობის ოთხი ძირითადი მიზეზი:

ა) სასაქონლო პოლიტიკასთან დაკავშირებული უპირატესობა: მარკეტინგის ტექნილოგია, იმიჯი და საქონლის დიფერენციაცია;

ბ) წარმოების ფაქტორებთან დაკავშირებული უპირატესობა: წარმოების კონტროლი, საკუთარი ტექნილოგიების არსებობა, კადრების კვალიფიკირების დონე, ფინანსური რესურსების მოზიდვა;

გ) უპირატესობა მასშტაბის ეკონომიკის სფეროში;

დ) სახელმწიფოს ჩაურევლობა კომპანიის საქმიანობაში.

თუმცა, რეალობაში გვიჩვენა, რომ ეს უპირატესობები არ არის

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

გადამწყვეტი ფაქტორი უცხოეთში წარმოების ორგანიზებისათვის. კომპანიის ასევე შეუძლია ჩაიტაროს ექსპანსია საერთაშორისო ბაზარზე მზა პროდუქციის ექსპორტის სახით ან ლიცენზიის გაფიდვით საქონლის წარმოებაზე დამატებითი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც კომპანიის სიდიდე, ანუ პერსონალის რაოდენობა და კომპანიის მოგების მოცულობა.

3.ოლიგოპოლია და უპი. ნიკერბროკერმა 1973 წელს მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ აშშ-ში ეკონომიკის ოლიგოპოლისტურ დარგებში კომპანიები ტრანსნაციონალიზაციის პროცესში "მიყვებიან ლიდერებს". ემპირული ანალიზიდან გამომდინარე, პირველი ინვესტირებიდან დაწყებული სამი წლის მანძილზე, 84 კორპორაცია 187 -დან "გაყვა" თავის ლიდერებს საზღვარგარეთ. ამავე დროს გრემის მიერ შემოთავაზებული კვლევა გვიჩვენებს, რომ ეკროპული კომპანიებიც ქმნიდნენ თავიანთ ფილიალებს უცხოეთში და ჰქონდათ სულ სხვა მიზნები, კერძოდ, მათი სტრატეგია ორიენტირებული იყო აშშ-ის კორპორაციების წინააღმდეგ, რათა შეემცირებინათ მათი კონკურენცია საერთაშორისო ბაზარზე და ამიტომაც ახორციელებდნენ უპი-ს ძირითადად საკუთრივ აშშ-ში.

4.დარგობრივი საბაზრო სტრუქტურების თეორია.

კინდლებერგერმა 1969 წელს გამოყო დარგობრივი საბაზრო სტრუქტურების ძირითადი უპირატესობები: ვერტიკალური ინტეგრაცია და ეკონომიკა მასშტაბზე. ასეთი ეკონომიკური პროცესების ეფექტიანობა სხედასხვა ქმნიდნება იყოს რეალიზებული ერთი ცენტრალური კომპანიის მიერ მისი ფილიალების კოორდინაციით. ასე, მაგალითად, ნავთობის საერთაშორისო კომპანიები კოორდინირებას ახდენენ წარმოებაზე, ტრანსპორტზე, ნავთობის გადანაწილებაზე და შესაბამისად აქვთ გარკვეულწილად ნაკლები დანახარჯები, ვიდრე მათ ცალკეულ ფირმებს, რომლებიც ახორციელებენ პროცესის ერთ სტადიას. ამდენად, ვერტიკალური ინტეგრაციის საშუალებით ხდება ეკონომიკა მასშტაბებზე.

5.ინტერნაციონალიზაციის თეორია.

ინტერნაციონალიზაცია - ეს არის კომპანიის შიგნით ყველა ტექნილოგიისა და "ნოუ-ჰინგ" გაერთიანება. ბაქლი და კასენი ამტკიცებენ, რომ მსხვილ ფირმებს შეუძლიათ გააფართოვნონ თავისი საქმიანობა იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ ერთი მთლიანი შიგა

სტრუქტურა. ფირმები ორიენტირებული არიან კონკურენტული გარემოს შექმნაზე.

სხვა ფაქტორია ქვეყანაში ქველანაირი შეზღუდვების არსებობა: კერძოდ, მაღალი საგადასახადო და საბაჟო რეჟიმი ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციას. ეს სიტუაცია იწვევს იმას, რომ ექსპორტი ხდება ნაკლებად სარგებლიანი, ვიდრე მიზნობრივი ინვესტირება.

6.განზოგადებული ეკონომიკური განვითარების თეორია. ამ ასპექტით აკამაცუმ გამოყო სამი დარგობრივი განვითარების ფაზა:

ა) უცხოური კომპანიების პროდუქცია იწყებს იმპორტირებას, იმპორტის მოცულობა იზრდება;

ბ) უცხოური კომპანიები იწყებენ ქვეყანაში თავისი პროდუქციის წარმოებას, იზრდება წარმოების მოცულობა და ამავე დროს მცირდება იმპორტი;

გ) წარმოების მოცულობა მეტია, ვიდრე ქვეყნის მოთხოვნილება, შესაბამისად უცხოური კომპანიები იწყებენ ჭარბი წარმოებული პროდუქციის ექსპორტირებას სხვა ქვეყნებში.

აკამაცუს თეორიის საფუძველზე კოჯიმამ გამოყო უპი-ს ორი სახეობა: პროსავაჭრო და ანტისავაჭრო. პროსავაჭრო - ის უპი-აა, რომელიც გადადგილდება ერთი შიგა არაპერსპექტიული დარგიდან მეორე უცხოურ დარგში, რომელსაც აქვს კარგი კონკურენტული უპირატესობები; ანტისავაჭრო უპი მიმართულია უცხოურ დარგებში, რომელთაც არ აქვთ არანაირი უპირატესობები და აქვთ მხოლოდ ის მიზანი, რომ ჩაანაცვლოს იმპორტი.

7.საბაჟო ან სავალუტო ზონის თეორია - შემოგვთავაზა ალიბერმა 1970 წელს. უპი წარმოიქმნება იქ, სადაც ხდება საწარმოს და მისი დანადგარების შეძენა წარმოებისთვის იმ სავალუტო და საბაჟო ზონაში, სადაც არ არის ცენტრალური კომპანიის იურიდიული მისამართი. ინგესტიციები უცხოურია, თუ არსებობს ზონებს შორის, ანუ მათ საზღვრებს გარეთ კაპიტალის მოძრაობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უცხოური ინვესტიცია ემთხვევა შიგა ინვესტიციას. სადღვისოდ საბაჟო და სავალუტო ზონების საზღვრები არ ემთხვევა სახელმწიფო საზღვრებს.

8.ნაციის კონკურენტული უპირატესობები.

პორტერი თავის ნაშრომში “ნაციის კონკურენტული

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

უპირატესობა¹ (1990)¹ გამოყოფს ოთხ ფაქტორს, რაც განსაზღვრავს ტრანსერვაციული კომპანიების კონკურენტულ უპირატესობებს:

ა) კორპორატიული სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენცია;

ბ) ფაქტორების: ადამიანურის, ფიზიკურის, ცოდნის, კაპიტალის, ინფრასტრუქტურის და ა.შ. მდგომარეობა;

გ) მოთხოვნის შემადგენელი ნაწილი, როგორიცაა: ქვეყანაში მოთხოვნის მოცულობა, მისი ზრდის ტემპი, მომხმარებლების დახასიათება;

დ) დარგობრივი მრავალფეროვნებაა.

9.ელექტრიკური პარადიგმა.

დანიგმა ჩამოყალიბა ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, რომლის შემადგენელი ნაწილი ელექტრიკური პარადიგმაა. ეს თეორია გვიხსნის კომპანიის ინვესტიციური მოქმედების სახეობებს და მოდელებს. ამ პარადიგმის საფუძვლზე დროის ყველა მომენტში უცხოური აქტივების მოცულობა, რომელსაც აკონტროლებს მრავალნაციონალური კომპანია, განისაზღვრება სამი ობიექტური მიზეზით, ანუ უპირატესობით:

ა) საკუთრების ფლობის უპირატესობა : ეს არის უცხოელი ინვესტორებისთვის საკუთრების ფლობის სპეციფიკური უპირატესობის სისტემა ნაციონალურ ოპერატორებთან მიმართებით, რომლებიც ძირითადი კონკურენტებია;

ბ) ლოკალური უპირატესობები: ადგილობრივი ფაქტორების წარმოების და გასაღების ბაზრის სისტემა და სპეციფიკური პირობები, რომლებსაც სთავაზაობენ ცალკეული ქვეყნები უცხოელ ინვესტორებს, მაგალითად, ბაზრის დაცვის კონიუქტურა და კონტროლის სხვა მრავალი შესაძლებლობა;

გ) ინტერნაციონალიზაციის უპირატესობები, რაც ნიშნავს კერძო უპირატესობების კონტროლს. ამ უპირატესობების ანალიზის საფუძველზე დანიგმა დაასკვნა, ის რომ კომპანიისთვის უცხოეთში ინვესტირების სტიმულია საკუთრების ფლობის უპირატესობა, მაგრამ ინვესტორისთვის კონკრეტული ქვეყნის ასარჩევად პირდაპირი ინვესტირებისთვის მნიშვნელოვანია ლოკალური უპირატესობები.

¹⁸ Porter M., The Competitive Advantage of Nations, // London, 1990.

მრავალეროვნული კორპორაციების ძირითადი უპირატესობები.
სქემა 2

სუპრემუს უსრულებელობა	დოკუმენტი უსრულებელი:	სუპრემუს უსრულებელი:
1. საბაზო სისტემების სახურავული უსრულებელობა:	1. საბაზო სისტემების სახურავული უსრულებელობა:	1. საბაზო სისტემების უსრულებელი: 2. საბაზო სისტემების უსრულებელობა:
2. სამოწვევების უსრულებელობა;	2. სამოწვევების უსრულებელობა:	2. სამოწვევების უსრულებელობა:
3. სამოწვევების უსრულებელობა;	3. სამოწვევების უსრულებელობა:	3. სამოწვევების უსრულებელობა:
4. სამოწვევების უსრულებელობა;	4. სამოწვევების უსრულებელობა:	4. სამოწვევების უსრულებელობა:
5. სამოწვევების უსრულებელობა:	5. სამოწვევების უსრულებელობა:	5. სამოწვევების უსრულებელობა:
6. სამოწვევების უსრულებელობა:	6. სამოწვევების უსრულებელობა:	6. სამოწვევების უსრულებელობა:
7. სამოწვევების უსრულებელობა:	7. სამოწვევების უსრულებელობა:	7. სამოწვევების უსრულებელობა:
		8. სამოწვევების უსრულებელობა:

10. ქვეყნის ინვესტიციური განვითარების თეორია. ეს თეორია ჩამოყალიბა დაინიგდა 1979 წელს და გამომდინარეობს იმ მოსაზრებიდან, რომ ქვეყნის გადაწყვეტილება უპი-ს განხორციელების თაობაზე განისაზღვრება მისი ეკონომიკური განვითარების დონით. ქვეყნები თავის განვითარებაში გადიან ხუთ ფაზას. ვიდრე ეგველა ფაზას განვიხილავთ, საჭიროა განვმარტოთ ტერმინი -

„ინვესტიციის ნეტო ექსპორტი“, რომელიც გვიჩვენებს „ქვეყნიდან გასული უპი-ს მოცულობას“ და „ქვეყანაში შემოსული უპი-ს მოცულობას“ შორის სხვაობას. როცა „ინვესტიციის ნეტო

ექსპორტი“ დადგებითია, ეს ნიშნავს, რომ მოცემული ქვეყანა საზღვარგარეთ უფრო მეტ კაპიტალს აბანდებს, ვიდრე თვითონ იზიდავს. როცა „უარყოფითია - ნიშნავს, რომ ქვეყანა არის „ინვესტიციის ნეტო იმპორტიორი“.

განვითარების პირველ ფაზაში ქვეყანა იწყებს ინვესტიციების იმპორტირებას იმ რაოდენობით, რა რაოდენობაც მას ხელს შეუწყობს გააფართოვოს წარმოება. იმპორტი მთავრდება მეორე ფაზის დასასრულს. დანინგმა განსაზღვრა, რომ ნეტო- იმპორტიორი ქვეყნები არიან ისინი, რომელთაც აქვთ მაღალი წილი მომპოვებელ დარგებში, რომლებიც მუშაობენ ძველ ტექნოლოგიებზე და რომლის წარმოებაც თავის მხრივ შრომატევადია. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ჩნდება თავისუფალი ფინანსური რესურსი და ფართოვდება წარმოება, კომპანიები იწყებენ კაპიტალის ექსპორტს, რასაც მესამე ფაზა ქვია. ქვეყანა მეოთხე ფაზაში ყალიბდება, როგორც ნეტო-ექსპორტიორი, მეხუთე ფაზიდან ქვეყანაში კაპიტალის იმპორტირება უფრო მეტია ვიდრე ექსპორტირება.

თითქმის ეველა ეკონომიკური თეორია ეხება უპი-ს.

ფირმის თეორიაში უპი, გამოიყოფა საქონლის სასიცოცხლო ციკლის კონცეფციის კონტექსტში. ს. ჩებანოვი¹ აღნიშნავს, რომ საქონლის დამზადების და დანერგვისას ფირმა მოქმედებს მხოლოდ იმ ქვეყნის შიგნით, სადაც ის დარეგისტრირებულია. როგორც კი ფირმა ქვეყნის შიგნით დაიპყრობს ბაზრის ძირითად სეგმენტს, ის ცდილობს გაიტანოს თავისი პროდუქტი საერთაშორისო ბაზარზე: პირველად საქონლის სახით, ხოლო შემდგომ მთლიანად ან ნაწილობრივ ნერგავს და ახორციელებს წარმოებას², ეხლა უპვე ქვეყნის გარეთ, განვითარების ამ არსებულ ეტაპზე ფირმა იწყებს პირდაპირ ინვესტირებას წარმოებაში³.

მაკროეკონომიკა, კერძოდ ეკონომიკური ზრდის თეორია, XX ს. 80-იანი წლებიდან განიხილავს უპი-ს, როგორც ტექნოლოგიების ტრანსფერის მექანიზმს, ეგზოგენური ცვლადის სახით, ენდოგენური ზრდის მოდელებში⁴. ასევე, უპი შედის ქვეყნის წარმოების ფუნქციაში როგორც ძირითადი კაპიტალის წყარო, ასევე როგორ

¹ Чебанов С. Иностранные инвестиции: тенденции 90-х гг./Мировая экономика и международные отношения, М., 1997, №3.

² Coase R., The Nature of the Firm// Economica, November 1937, vol.4.

³ Caves R., Multinational Enterprise and Economic Analysis//Cambridge 1982: cambridge University Press. Horstman I., Markusen J., Strategic Investments and the Development of Multinationals//International Economic Review, 1987, vol 28(1) – pp.21-109.

პარამეტრი, რომელიც ახდენს გავლენას წარმოების საერთო პროდუქტიულობაზე.

საერთაშორისო ეკონომიკაში უპი არის ის ფორმა, რომელიც ამჟარებს საერთაშორისო ვაჭრობაში ძირითად კავშირებს.

დაწყებული 1960-იანი წლებიდან, უპი-ს კონცეფციები და ოქონიები უფრო აქტიურად იქმნებოდა, ვითარდებოდა და ივსებოდა. მიუხედავად ამისა, დღეისათვის მაინც არ არის ის ზუსტი ოქონიული ანალიტიკური ინსტრუმენტი, რომელიც დაგვეხმარება კონკრეტული კომპანიის მოქმედების და განვითარების ზუსტ პროგნოზირებაში და უფატიან გავლენას მოახდენდა ქვეყნებს შორის კაპიტალის, ტექნიკური და "ნოუ-ჰოუ" გადანაწილებაზე.

The review of modern theories of foreign direct investments

S. Jvarsheishvili

Issue of foreign direct investments is quite actual nowadays and is under attention of international economical theory as it is well discussed in foreign economical literature. Foreign direct investments means organization of new enterprise, purchasing of existing enterprise and creating of joint enterprise in nonresident country. As foreign direct investment is long-term investment it significantly affects on economical growth, which means long-term growth tendency of production, consumption and welfare. From scientists' point of view, foreign direct investments support economical growth of all transitional country. Macroeconomic factor plays important role in attraction of direct foreign investments, namely, volume of domestic market, stability of currency and politics, development of infrastructure and qualified human resources; also investment politics of country receiver is also very important as it provides effective guarantee of legal systems and stable functionality.

არაფინანსური აქტივების განახლებული კლასიფიკაცია

ქათევან მარშავა
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი
გაია მინდონაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

2008 წელს შემუშებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას-ის) მე-5 ვერსია¹ ძირითადად 1993 წლის მე-3 ვერსიის² ოქონიულ მემკვიდრეობას იზიარებს. თუმცა, მასში, გაეროს სტატისტიკური კომისიის მანდატის შესაბამისად, შეტანილია ახალი მუხლები და მეთოდოლოგიური ცვლილებები, რაც გამოწვეულია ეკონომიკაში მიმდინარე მნიშვნელოვანი ძვრებით; განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო ხშირად ხვდებოდა ანალიტიკოსთა უურადღების ცენტრში. ესენია: აქტივები, ფინანსური სექტორი, გლობალიზაცია და მასთან დაკავშირებული მოვლენები, მთავრობა, სამოქალაქო სექტორი და არაფორმალური სექტორი.

აქვე შევნიშნავთ, რომ 2008 წლის ვარიანტში შესული ცვლილებები არ არის მასშტაბური, თუმცა დეტალიზებულ დონეზე ძალიან მნიშვნელოვანი და უურადსაღებია.

მოცემულ სტატიაში შევხებით არაფინანსური აქტივების კლასიფიკაციაში შეტანილ ცვლილებებს, რაც სამომავლოდ უნდა აისახოს ეას-ის დაგროვების ანგარიშებში.

როგორც ცნობილია, კაპიტალის ანგარიშში აისახება ძირი-

¹ Berthelemy, Jean-Claude, Demurger, Sylvie, Foreign Direct Investment and Economic Growth: Theory and Application to China.//Review of Development Economics; Jun 2000, Vol.4 Issue 2, pp.140-155.

Borensztein E., Gregorio J., Lee J., How Does Foreign Direct Investment Affect Growth?// NBER Working paper, 1995.

² System of National Accounts 2008. European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank. New York, 2009.

Commission of the European Communities, International Monetary Fund, Organisation for Economic Cooperation and Development, United Nations and World Bank, *System of National Accounts 1993*. Brussels/Luxembourg, Washington, D.C., Paris, New York,

თადი და საბრუნავი კაპიტალის, არამატერიალური და ფინანსური აქტივების რეალური დაგროვების პროცესი და აგრეთვე მოცემულია მათი დაფინანსების წყაროები.

ეას-ის დაგროვების ანგარიშები მოიცავს: კაპიტალის ანგარიშს, ფინანსურ ანგარიშს, აქტივებში სხვა ცვლილებებისა და გადაფასების ანგარიშებს. დაგროვების ანგარიშების უმნიშვნელოვანესი ელემნტია ეკონომიკური აქტივები. ეკონომიკური აქტივები ის ობიექტებია, რომლებიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- ინსტიტუციური ერთეულების მხრიდან მათზე ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ვრცელდება საკუთრების უფლება;

- ეკონომიკური აქტივების მფლობელები მათი განკარგვის საფუძვლზე გარევალი პერიოდის განმავლობაში იღებენ ეკონომიკურ სარგებელს.

ეას-ში განასხვავებენ შემდეგი სახის აქტივებს:

- ფინანსური და არაფინანსური;
- წარმოებული და არაწარმოებული;
- მატერიალური და არამატერიალური¹.

არაფინანსური აქტივები წარმოშობის მიხედვით შეიძლება იყოს საწარმოო პროცესის შედეგად წარმოებული ან არაწარმოებული როგორც ბუნების ძღვენი. წარმოებული არაფინანსური აქტივების შემადგენლობაში შედის ძირითადი კაპიტალი, მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგები და ფასეულობანი.

რაც შეეხება ეას 2008 წლის აქტივების კლასიფიკაციას, ისევე როგორც მის 1993 წლის ეას-ში, პირველ ეტაპზე ხდება აქტივების დაყოფა ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებად. არაფინანსური აქტივები, თავის მხრივ, იყოფა წარმოებულად და არაწარმოებულად. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ეერსიაში აღარ ხდება წარმოებული და არაწარმოებული აქტივების დაყოფა მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებად. არაწარმოებული აქტივები ეას 2008-ში იყოფა სამ კატეგორიად: ბუნებრივი რესურსები, საარენდო ხელშეკრულებები და ლიცენზიები, აგრეთვე, გუდვილისა და მარკეტინგული აქტივების ყიდვა-გაყიდვა¹.

2008 წლის კლასიფიკაციაში შევიდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, კერძოდ:

¹ქ. მარშავა, გ. მინდორაშვილი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. თეორია, არაქტიკა, ანალიზის, 2009, გვ.153.

ა) შენობები და ნაგებობების მუხლი ჩაიშალა დამატებით ქვეჯგუფად – მიწის გაუმჯობესება და კეთილმოწყობა, მან შეცვალა 1993 წლის კატეგორია „არაფინანსური არაწარმოებული აქტივების არსებითი (მნიშვნელოვანი) გაუმჯობესება“. ამავე ქვეჯგუფში შევიდა მიწის მესაკუთრის შეცვლასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი;

ბ) მუხლში „მანქანები და მოწყობილობები“ გაერთიანდა საინფორმაციო, კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები;

გ) მოხდა”სამხედრო შეიარაღების სისტემების“ ცნობა წარმოებულ აქტივებად და ცალკე დაკლასიფიცირდა;

დ) ნაცვლად ტერმინისა „არამატერიალური აქტივები“ შემოტანილია ტერმინი „ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები“. სიტყვა „პროდუქტები“ სპეციალურადაა გამოყენებული იმის ხაზგასასმელად, რომ იგი არ მოიცავს მესამე მხარის უფლებებს, რაც ეას-ში არაწარმოებულ აქტივებს მიეკუთვნება.

ე) „კვლევები და განვითარება“, აგრეთვე, გაერთიანდა ინტელექტუალური საკუთრების მუხლში. დაპატენტების ობიექტები ამიერიდან აღარ განიხილება როგორც არაწარმოებული აქტივები და ჩაირთვება კვლევებსა და განვითარებაში.

ვ) სასარგებლო წიაღისეულის მოძიების პუნქტს შეეცვალა სახელწოდება და დაერქვა „სასარგებლო წიაღისეულის მოძიება და შეფასება“, ამით ხაზი გაქვთა შესაბამისობას აღრიცხვის საერთო შორისო სტანდარტებთან.

ზ) კომპიუტერული პროგრამები მოდიფიცირდა 2 კომპონენტად: პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზები.

თ) „სხვა არამატერიალური ძირითადი კაპიტალი“ შეიცვალა ტერმინით „ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტები“.

ი) საბრუნავ კაპიტალში ცვლილება აისახა მხოლოდ სამხედრო მარაგების ცალკე გამოყოფით.

გარკვეული ცვლილებებია არაწარმოებული აქტივების კატეგორიაშიც:

ა) 1993 წლის ვერსიის მიხედვით „მატერიალური არაწარმოებული აქტივების“ კატეგორიას დაერქვა „ბუნებრივი რესურსები“.

ბ) ბუნებრივ რესურსებს დაემატა „ელექტრომაგნიტური სის-

¹ Essential SNA: Building the basics. Eurostat Methodologies & Working Papers, 2010, p. 581.

შირები (რადიო სპექტრა), ხოლო დასახელება “არაწარმოებული არამატერიალური აქტივები” ჩაიშალა ორ კატეგორიად: “კონტრაქტები, საარენდო ხელშეკრულებები და ლიცენზიები” და “გუდვილი და მარკეტინგული აქტივები”.

ახალ კლასიფიკაციაში “კონტრაქტები, საარენდო ხელშეკრულებები და ლიცენზიები” წარმოდგენილია 4 ქვეჯგუფად:

სასაქონლო საოპერაციო ლიზინგი;

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნებართვები;

კონკრეტული საქმიანობის წარმოების ნებართვები;

ექსკლუზიური უფლება საქონელსა და მომსახურებაზე მომავალში.

“გუდვილი” შეიცვალა კატეგორიით “გუდვილი და მარკეტინგული აქტივები”, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

უფრო დეტალურად შევვხოთ იმ კონცეპტუალურ ცვლილებებს, რაც საფუძვლად დაედო არაწარმოებული აქტივების ახალ კლასიფიკაციას:

➤ სამთავრობო კაპიტალის მთლიანი დაგროვების საზღვრების გაფართოება სამხედრო შეიარაღებაზე გაწეული დანახარჯების ჩართვის გზით.

აქ შედის: საბრძოლო დანიშნულების შეიარაღების სისტემები სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობების ჩათვლით, როგორიცაა: სამხედრო ხომალდები, წყალქვეშა გემები, სამხედრო თვითმფრინავები, ტანკები, სარაკეტო გადამზიდველები, გამშვები მოწყობილობები და ა.შ. გამოიყენება თავდაცვის უზრუნველყოფის მიზნით ან საომარ პირობებში წინააღმდეგობის შესაკავებლად. ამიტომ ეს 2008-ში რეკონსტრუქციის და ტიპის იარაღისა და მოწყობილობების ჩართვა აქტივების შემადგენლობაში იმავე კრიტერიუმების საფუძველზე, რაც ზოგადად მოქმედებს აქტივების მიმართ: მათი გამოიყენება წარმოების პროცესში უნდა ხდებოდეს განმეორებით (არაერთხელ) ან განუწყვეტლივ, ერთ წელზე მეტი წელის განმავლობაში.

ერთჯერადი გამოიყენების საგნები, როგორიცაა საბრძოლო მასალა, ჭურვები, რაკეტები და ა.შ., რომელთა ამოქმედება ხდება საბრძოლო იარაღებით ან სისტემებით, განიხილება როგორც მარაგები (საბრუნვი კაპიტალი). თუმცა, ზოგიერთი ერთჯერადი გამოიყენების ელექტრონული, როგორიცაა ძლიერი დასტრუქტურული

ძალის მქონე ბალისტიკური რაკეტები, უზრუნველყოფები რა აგრესორის შეკავებას პერმანენტულად, ეს 2008-ში განიხილება როგორც ძირითადი აქტივი.

ეს 1993-ისგან განსხვავებით, სტრატეგიული მარაგები (სახელმწიფო რეზერვები) აღარ არის გამოცალავებული ანალოგიური სახეობის სასაქონლო მარაგებისაგან.

ეს 1993-ში ძირითადი კაპიტალის მთლიან დაგროვებაში ერთიანდებოდა მხოლოდ ორმაგი დანიშნულების სამხედრო აქტივები, რომელთა გამოყენება სამოქალაქო დანიშნულებითაც ხდებოდა (ხიდები, პოსპიტლები), ხოლო სამხედრო შეიარაღება, სისტემები და მოწყობილობები, რომელთა ერთადერთი დანიშნულება ასეთი ტიპის შეიარაღების გადაზიდვა იყო, განიხილებოდა არა როგორც ძირითადი კაპიტალი, არამედ როგორც შეალებური მოხმარება.

➤ ცვლილებები აქტივების კატეგორიაში “კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა”.

ეს 1993-ში კლასიფიცირებული კატეგორია – ”კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა”, ახალ ვერსიაში ჩაშლილია ორ მუხლად: პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზები. განასხვავებენ ბაზარზე შეძენილ და საკუთარი წარმოების პროგრამულ უზრუნველყოფას. პირველის შეფასება ხდება მყიდველის ფასით, ხოლო მეორისა – საბაზისო ფასით ან მის შემუშავებაზე გაწეული დანახარჯების მიხედვით. ანალოგიურად ხდება მონაცემთა ბაზებთან მიმართებაშიც, თუ ისინი აკმაყოფილებენ აქტივების ზოგად კრიტერიუმებს და მათი გამოიყენება ხდება ერთ წელზე ხნის განმავლობაში. საგულისხმოა, რომ ეს 1993-ში აქტივად ითვლებოდა მხოლოდ მონაცემთა “დიდი” ბაზები.

➤ ორიგინალები და ასლები გამიჯნულია ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტებისგან.

მიჩნეულია, რომ თუ ასლის მიყიდვა პირდაპირი წესით ხდება და იგი ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გამოიყენება წარმოებაში, ის უნდა განვიხილოთ როგორც ძირითადი კაპიტალი. ის ასევე განიხილება ძირითად აქტივად, თუ წარმოებაში გამოიყენება ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში და ლიცენზიატი თავის თავზე იდებს მისი გამოიყენების რისკებსა და სარგებელს. თუ ლიცენზიის თავდაპირველი შენატანი საკმაოდ მაღალია, იგი განიხილება როგორც ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება, ხოლო

შემდგომი შენატანები განიხილება მომსახურების გადასახადად. თუ ლიცენზიით გათვალისწინებულია ორიგინალის რეპროდუქცია მთლიანობაში ან ნაწილობრივ და ამავე ღროს ლიცენზიანტს აკისრებს პასუხისმგებლობას მის გავრცელებაზე, რესტავრაციასა და ტექნიკურ მომსახურებაზე, აღნიშნული განიხილება როგორც ლიცენზიის მფლობელისათვის ორიგინალის ნაწილობრივი ან მთლიანი მიყიდვა რეპროდუქციის მიზნით.

➤ სასარგებლო წიაღისეულის მოძიება და შეფასება.

ეს 2008-ში ერთმანეთისგან განსხვავებულია ”სასარგებლო წიაღისეულის მოძიება”, როგორც წარმოებული აქტივი და ”სასარგებლო წიაღისეული”, როგორც არაწარმოებული აქტივი. აღნიშნულ ვერსიაში ახალი სახელწოდებით შექმნილი კატეგორია”სასარგებლო წიაღისეულის მოძიება და შეფასება” უნდა შეფასდეს ყიდვის მომენტში არსებული საბაზო ფასებით. მინიშნულია, რომ რადგან სასარგებლო წიაღისეულის ფასის დაგდენა იშვიათადაა ხელმისაწვდომი, შეფასება უნდა მოხდეს მომავალში მისაღები რენტის გათვალისწინებით.

➤ საკუთრების უფლების გადაცემა.

ისევე როგორც წინა ვერსიაში, 2008 წლის ეას-შიც აქტივებზე საკუთრების უფლების გადაცემა განიხილება როგორც მირითადი კაპიტალის დაგროვება. აღნიშნული ხარჯების ჩამოწერა უნდა მოხდეს არა აქტივის მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე, როგორც ეს ხდებოდა ეას-93-ის მიხედვით, არამედ იმ პერიოდში, როდესაც ხდება აქტივის შეძენა და საკუთრების ტრანსფერი. ამასთან, კეთდება დაშვება, რომ მონაცემთა დეფიციტის პირობებში როგორც განსხვავება და მიმდინარე ეტაპზე ეს დანახარჯები ისევ უნდა ჩაიწეროს მირითადი კაპიტალის მთლიან დაგროვებაში და მათი ჩამოწერა უნდა მოხდეს მირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ დანახარჯებს. კაპიტალის დამონტაჟებისა და დემონტაჟის ხარჯები შეიძლება შევიტანოთ საკუთრების ტრანსფერში, თუ ისინი ინდივიდუალურად არის გაანგარიშებული, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ერთიანდება მყიდვების ფასში.

➤ მიწის გაუმჯობესება და კეთილმოწყობა.

ახალ ვერსიაში ხდება ”მიწის გაუმჯობესებისა” და თვით ”მიწის” როგორც არაწარმოებული აქტივის კატეგორიის გამოჯვანა. იმ

შემთხვევებში, როდესაც ეს შეუძლებელია, მიწა უნდა მივაკუთვნოთ იმ კატეგორიას, რომელზეც მოდის დანახარჯების დიდი ნაწილი. ამასთან, მიწაზე საკუთრების გადაცემაც უნდა მივაკუთვნოთ მიწის გაუმჯობესებას. აღსანიშნავია, რომ 1993 წლის ვერსიაშიც მიწის გაუმჯობესების ხარჯები ძირითადი კაპიტალის დაგროვებების მიეკუთვნებოდა, თუმცა ბალანსში აღირიცხებოდა მიწასთან ერთად.

➤ გუდვილი და მარკეტინგული აქტივები.

”გუდვილი და მარკეტინგული აქტივები” 2008 წლის ვერსიაში შემოტანილი ახალი დასახელებად ”გუდვილის” ხაცვლად და ეს კატეგორია უფრო მაღალ იერარქიულ საფეხურზეა აყვანილი, როგორც მაგალითად, ბუნებრივი რესურსები და ხელშეკრულებები, არენდა და ლიცენზიები. წინა ვერსიისგან განსხვავებით, გუდვილი და მარკეტინგული აქტივები, გუდვილთან ერთად, მოიცავს ამოსაცნობის შემცირების, მომხმარებელთა სიებს, რაც ერთიანდება მარკეტინგულ აქტივებში. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია მათი გაყიდვა ინდივიდუალურად და კორპორაციისაგან განცალკევებით. აღნიშნული გაყიდვებიც მოცემულ მუხლში უნდა ჩაითვალოს.

ახალი ვერსია გვთავაზობს თანმიმდევრულ მიღებობას გუდვილისა და მარკეტინგული აქტივების შეფასებისას, განიხილავს მას როგორც ნამეტს მოქმედი საწარმოს აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობაზე თითოეული პუნქტის მიხედვით, კორპორაციის ან ერთეულის ტიპის მიუხედავად.

საქმე ისაა, რომ ძველ ვერსიაში გუდვილის გამოთვლა განსხვავებულად ხდებოდა კორპორაციებისა და არაკორპორირებული საწარმოებისათვის. ამ უკანასკნელთაოთვის გუდვილი გამოითვლებოდა როგორც განსხვავება მისი შესყიდვის ფასსა და აქტივებისა და პასივების სხვაობას შორის, ხოლო კორპორაციებისთვის ეს ჩაიწერებოდა როგორც სხვაობა გაყიდვამდე აქციების ფასსა და ფაქტობრივი გაყიდვის ფასს შორის.

➤ წყლის რესურსები რიგ შემთხვევაში განიხილება აქტივებად.

1993 წლის ეას-ის მიხედვით წყლის რესურსებს მიეკუთვნება წყლის გამტარებელი ფაქტი და სხვა მიწისქვეშა წყლები, თუ მათ შეზღუდულობას მივყავართ საკუთრების უფლების დადგენამდე ან გამოყენებამდე, საბაზო შეფასებამდე და გარკვეული დოზით გონიომიკურ კონტროლამდე.

2008 წლის ვერსიით, წყლის რესურსების საზღვრები გაფართოვდა და პოტენციურად მოიცავს მდინარეებს, ტბებს, ხელოვნურ წყალსატევებს და სხვა ზედაპირულ წყლებს, წყლის გამტარი ფენებისა და სხვა მიწისქვეშა წყლების ჩათვლით. ზოგადად ის მოიცავს მიწისქვეშა და მიწისზედა წყლებს, რომელთა გამოყენებას მივყავართ მათ შეზღუდულობამდე, რაც განაპირობებს მათზე საკუთრების უფლების გავრცელებას, აგრეთვე საბაზო შეფასებას და ეკონომიკური კონტროლის განხორციელებას. ახალი ვერსიით რეკომენდებულია, რომ წყლის რესურსები შეფასდეს სასარგებლო წიაღისეულის მსგავსად, მაგრამ იმ დაშვებით, რომ შეფასების პრაგმატულ ალტერნატიულ ვარიანტში შეიძლება გავითვალისწინოთ წყლით სარგებლობის გადასახადები.

➤ კულტივირებული და ორაკულტივირებული აქტივების სიმებრიული განსაზღვრება.

კულტივირებული აქტივები – სოფლის მეურნეობაში ძირითადი კაპიტალის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია, რომელიც მოიცავს პროდუქტული, საჯიშე და მუშა პირუტყვის, სეხილის ბაღების, ვენახებისა და სხვა რეგულარულად მსხმოიარე მცენარეების პლანტაციების დირებულებას.

ეს 1993-ის მიხედვით, ორაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსების შემადგენლობაში შედის პროდუქტული მცენარეები და ცხოველები, რომელთა ბუნებრივი ზრდა და განახლება პირდაპირ არ კონტროლდება ინსტიტუციური ერთეულების მიერ, მაგრამ ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური მიზნებისათვის (ველური ტყე, თვევზი ბუნებრივ წყალსატევებში და ა.შ.). ორაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსები ეროვნულ სიმდიდრეს მიეკუთვნება იმ ნაწილში, რომელზეც დაღინილია საკუთრების უფლება.

2008 წლის ეას-ში შემოტანილია კულტივირებული აქტივების სიმებრიული განმარტება არაკულტივირებულ აქტივებთან მიმართებით, რაც გულისხმობს, რომ მათი ბუნებრივი ზრდა და რეგენერაცია წარმოების საზღვრებში განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იმყოფება ინსტიტუციური ერთეულის პირდაპირ კონტროლსა და მართვაში.

შევნიშნავთ, რომ 2008 წლის ვერსიაში კულტივირებულ აქტივებს შეეცვალა სახელწოდება და გამოიყენება შემდეგი სახით: “კულტივირებული ბიოლოგიური რესურსები”.

➤ ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები.

წინა ვერსიაში წარმოდგენილი არამატერიალური წარმოებული აქტივები მოექცა ახლ დასახელებაში “ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები”, გარდა ამისა, მოხდა კატეგორიის დაზუსტება და გაფართოება. კერძოდ, ის დამატებით დაყოფილია შემდეგ ქვეჯგუფებად: კვლევები და განვითარება, სასარგებლო წიაღისეულის მოძიება და შეფასება, კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზები, გასართობი, ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ორიგინალები, აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტები.

➤ ბუნებრივი რესურსების ლიზინგის კონცეფცია.

ახალ ვერსიაში წარმოდგენილია რესურსების ლიზინგის ახალი კონცეფცია იმ მიზნით, რომ მოცული იყოს შემდეგი სიტუაცია: ბუნებრივი რესურსი ასახულია კანონიერი მფლობელის ბალანსში, მიუხედავად იმისა, რომ მეარენდე იღებს ეკონომიკურ უფასქეს მათი გამოყენებიდან. სამაგიეროდ, იგი მფლობელს რეგულარულად უხდის გადასახადს რენტის სახით, რაც ანგარიშებში აისახება როგორც საკუთრებიდან მიღებული შემოსავალი. ბუნებრივი რესურსის დირებულების შემცირება ეას-ში არ აისახება როგორც მირითადი კაპიტალის მოხმარება. ეას-ის მიხედვით, რესურსი ეფექტურად გამოყენება განვისაზღვრელი ვადით, სანამ მისი საშუალებით ხდება შემოსავლის მიღება. ლიზინგის აღნიშნული კონცეფცია ვრცელდება ყველა იმ რესურსზე, რომელიც ეას-ის მიხედვით აქტივად არის მიწნებული.

აღსანიშნავია, რომ 1993 წლის ვერსიაში რესურსების ლიზინგის კონცეფცია არ განიხილებოდა.

➤ სხვა ცვლილებები აქტივებში.

ცვლილებები აქტივებში ეკონომიკური ტრანსაქციების გარდა შეიძლება გამოწვეული იყოს სხვა მიზეზებითაც. ამის გამო, ახალ ვერსიაში წარმოდგენილია შვიდი მთავარი მიზეზი, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს აქტივების დირებულებაზე. ისინიკლასიფიკაციონებულია 7 ჯგუფსა და 6 ქვეჯგუფში და აისახება ეას-ის ანგარიშში “სხვა ცვლილებები აქტივებში”, ესენია:

1. აქტივების ეკონომიკური აღიარება;

2. არაწარმოებული აქტივების ეკონომიკური ამოწურვა;

2.1. ბუნებრივი რესურსების ამოწურვა;

2.2. არაწარმოებული აქტივების სხვა ეკონომიკური გაქრობა;

3.დანაკარგები კატასტროფების შედეგად;

4.არაკომპენსირებადი ამოღებები;

5.სხვა ცვლილებები ღირებულებაში, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი;

6.ცვლილებები კლასიფიკაციებში;

6.1. ცვლილებები სექტორების კლასიფიკაციასა და სტრუქტურაში;

6.2. ცვლილებები აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციაში;

7.ნომინალური პოლდინგური მოგება და ზარალი;

7.1. ნეიტრალური პოლდინგური მოგება და ზარალი;

7.2. რეალური პოლდინგური მოგება და ზარალი.

წარმოებული აქტივების ეკონომიკური აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ საქონელი არ არის ბალანსში გატარებული. აღნიშნული წარმოადგენს აქტივის მნიშვნელოვანი ღირებულების ცნობას, რაც უნდა აისახოს მუხლში “სხვა ცვლილებები ღირებულებაში”. კონკრეტულად წარმოებული აქტივების ეკონომიკური აღიარება ეხება:

ა) ფასეულობებს, როგორიცაა ძირიფასი ქვები და ხელოფნბის ნიმუშები, რომელთა დიდი ღირებულება ან მხატვრული მნიშვნელობა არ არის ასახული ბალანსში და მათი აღიარება პირველად ხდება;

ბ) ისტორიულ ძეგლებს, როდესაც მათი არქეოლოგიური, ისტორიული ან კულტურული მნიშვნელობა არ არის ასახული ბალანსში და მათი ცნობა ეკონომიკურ აქტივად პირველად ხდება.

არაწარმოებული აქტივების ეკონომიკური აღიარება ეხება: წიაღისეულის აღმოჩენას, ბუნებრივი რესურსების ჩართვას ეკონომიკურ საქმიანობაში, აგრეთვე პატენტებისა და გუდვილის აღიარებას.

არაწარმოებული აქტივების ეკონომიკური გაქრობა გულისხმობს ბუნებრივი ეკონომიკური აქტივების, როგორიცაა სასარგებლო წიაღისეულისა და ტყეების რესურსების ამოწურვას მათზე ნებარიული ფაზიკური ზემოქმედების მოხდენის ან სრული გამოყენების შედეგად, ან მათი დეგრადაციის შედეგად, რაც გამოწვევებია რესურსების ხარისხის გაუარესებით, აგრეთვე პატენტებისა და გუდვილის აღიარების მიზანით.

გუდვილის ჩამოწერას ან გაუფასურებას.

დანაკარგები კატასტროფების შედეგად – ეს არის წარმოებული და არაწარმოებული აქტივების დანაკარგები მიწისძვრის, ვულკანის ამოფრქვევის, ცუნამის, ქარიშხლის, გვალვისა და სხვა სტიქიური უბედურებების შედეგად, აგრეთვე საომარი მოქმედებების, მასობრივი არეულობების, სხვა პოლიტიკური მოვლენების, ტექნოგენური კატასტროფებისა და ტოქსიკური და რადიაქტიური ნივთერებების გამოფრქვევის შედეგად.

არაკომპენსირებადი ამოღებები მოიცავს აქტივების ამოღებებს მთავრობის ან სხვა ინსტიტუციური ერთეულების მიერ. ასეთი ტიპის ქმედება შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მოცემული ქვეყნის ან საერთაშორისო კანონმდებლობებს (ფინანსური ოპერაციების გარდა).

სხვა ცვლილებები აქტივებში ითვალისწინებს საანგარიშო პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების ცვლილებას, რაც არ უკავშირდება გარიგებებსა და გადაფასებას. სხვა ცვლილებები არაფინანსურ აქტივებში, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი – ეს არის ძირითადი კაპიტალის მოძველება, დეგრადაცია და დაზიანება, რაც იწვევს წარმოებაში მათი გამოყენების შეუძლებლობას, აგრეთვე ძირითადი კაპიტალის გამოყენებაზე უარის თქმას წარმოებაში ჩაშვებამდე და სასაქონლო-მატერიალური მარაგების განსაკუთრებულ დანაკარგებს (მაგ., ძარცვის, ხანძრის ან დაბინძურების შედეგად).

დასასრულ დავძინო, რომ აღნიშნული ცვლილებები უკვე დაინერგა განვითარებულ ქვეყნებში, ამიტომ მათი განხორციელება საქართველოს სტატისტიკის პრაქტიკაში ნაკლებად მტკიცნეული პროცესი უნდა იყოს, ეს-ის მესამე ვერსიის დანერგვასთან შედარებით, რადგან ის საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებს უკავშირდებოდა და ქვეყნისთვის ჯერ კიდევ უცხო იყო საბაზრო ეკონომიკა, დღეისათვის ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საქართველოს სტატისტიკური პოტენციალი, რომელიც მსოფლიო ბანკის რეიტინგით 2004-2010 წლებში 67-დან 94 ქულამდე გაიზარდა, აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის რეალურ შესაძლებლობას იძლევა.

Revised Classification of Non-financial Assets

*K. Marshava
M. Mindorashvili*

The System of National Accounts 2008 (2008 SNA) retains the basic theoretical framework of its predecessor, the System of National Accounts 1993 (1993 SNA). However, in line with the mandate of the United Nations Statistical Commission, the 2008 SNA introduces treatments for new aspects of economies that have come into prominence, elaborates on aspects that have increasingly become the focus of analytical attention and clarifies guidance on a wide range of issues.

The new features fall into five main groups: Assets; The financial-sector; Globalization and related issues; General government and public sectors; The informal sector.

The key changes within non-financial assets classification are discussed in this article.

ეკონომიკის ბანკურეგის შე- ვასების თანამდებობები მეთოდები

დავით კაბლაძე,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი

ეკონომიკის განვითარების რეალური პარამეტრებით შეფასება ყოველთვის ითვლებოდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად, თუმცა მან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა XX საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ, როდესაც საქართველო დაადგა პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის გზას. მოცემული პრობლემა აქტუალურია საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებისათვის.

რა კრიტერიუმებით უნდა მოვახდინოთ ეკონომიკური განვითარების შეფასება, როგორი საერთაშორისო ინფორმაციული სტანდარტები უნდა გამოვიყენოთ ამისათვის, რამდენად გამოყენებადი და ქმედუნარიანია ეკონომიკური ინფორმაციის ამჟამინდელი სისტემა სწორი მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებისათვის – აი, საკითხები, რომელთა გაშუქებასაც უძღვნება წინამდებარე სტატია.

ექვს ათეულზე მეტი წელია მას შემდეგ გასული, რაც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ეკონომიკის დახასიათებისათვის, მისი რეგულირებისა და სწორი ეკონომიკური

¹ ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ცოცხალ ეკონომიკურ ორგანიზმს შეგვიძლია შევადაროთ. მასში ასახულია ეკონომიკაში მიმდინარე როგორც ტრადიციული, ასევე ახალი მოვლენები და პროცესები. სწორედ მოცემული გარემოებითაა განპირობებული ის, რომ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი და პრაქტიკოსი ეკონომისტ-სტატისტიკოსები პერიოდულად გადახდავენ ხოლმე ზემოაღნიშნული ახალი მოვლენებისა და პროცესების შეფასებისა და მაკრომაჩვენებლებში ასახვის წესებსა და მეთოდოლოგიას და ამის შედეგად ხდება ეს როგორც საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტის დამტკიცება ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორიცაა: გაერო, მსოფლიო ბანკი, საერთოშორისო საგადატო ფონდი, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია და ეკროსტატი. 2009 წლის მარტში ზემოაღნიშნული ორგანიზაციების მიერ დამტკიცდა ეს-ის 2008 წლის ვერსია. ასეთი სტანდარტები დამტკიცებული იქნ 1953, 1968 და 1993 წლებში.

პოლიტიკის შემუშავებისათვის გამოიყენება ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეს). იგი საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული ეკონომიკური ინფორმაციის თანამედროვე სისტემაა და მასში შემავალი მაჩვენებლები და საკლასიფიკაციო სისტემები ასახავს საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურას და მისი ფუნქციონირების მექანიზმებს. ეს იმიტომა უნიკალური და საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული ეკონომიკური ინფორმაციის თანამედროვე სისტემა, რომ საბაზრო ეკონომიკის მქონე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მოცემული ნაერთი ინფორმაციის მომზადება ხდება თამაშის საერთო წესების დაცვით. მოცემული სისტემის ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანია მისი ყოვლისმომცველი ხასიათი, რაც იმით გამოიხატება, რომ საქართველოში, აშშ-სა თუ გერმანიაში შედგენილ ნაერთი ინფორმაციაში ჩართულია მოცემული ქვეყნების ეკონომიკურ პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტის (საწარმო, კორპორაცია, ბანკი, სადაზღვევო კომპანია, მმართველობის ორგანო, შინაგანი განვითარებისა) მიერ განხორციელებული ნებისმიერი სახეობის ეკონომიკური ოპერაცია. ასეთი ოპერაციები თოხ ნაწილადად დაყოფილი. პირველი – ესაა საქონლისა და მომსახურების მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციები (საქონლის წარმოება, მომსახურების გაწევა, საქონლისა და მომსახურების მოხმარება, ინვესტიციები, ექსპორტი და იმპორტი) მეორე და მესამე სახის ოპერაციები შეიცავს შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების პროცესს (ხელფასი, პროცენტი, მოგება, ტრანსფერები, გადასახადები და სოციალური გადასახდები). მეოთხე სახის ოპერაციები გულისხმობს ფინანსურ ოპერაციებს (კრედიტის აღება, მათი განადდება, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა და ა.შ).

საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მახასიათებელი პარამეტრების შესადარისობის უზრუნველყოფის მორიგი პირობაა თითოეული ქვეყნის მიხედვით ეკონომიკურ პროცესში მონაწილე სუბიექტების განაწილება ხუთი ინსტიტუციური სექტორის მიხედვით. ესენია: არასაფინანსო კორპორაციები და კვაზიკორპორაციები, ფინანსური კორპორაციები და კვაზიკორპორაციები, სახელმწიფო მართვის ორგანოები, შინაგანი ეკონომიკური განვითარები და მათი მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები. თითოეული სექტორი შედგება მათი შესატყვისი ინსტიტუციური ერთეულებისაგან. გარდა აღნიშნულისა, მსოფლიო ეკონომიკასთან კავშირების ასახვისათვის ეს-ში იყენებენ პირობით სექტორს – „დანარჩენი მსოფლიო“.

ამრიგად, ზემოაღნიშნული ფუნქმდებლური საკლასიფიკაციო

სისტემები წარმოადგენს ეს-ის მირითადი ელემენტის - ანგარიშების აგების საფუძველს. სწორედ ანგარიშებში წარმოებს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების და შინაგანი ეკონომიკური განხორციელებული ოპერაციების რეგისტრაცია. ანგარიშების სისტემა გამოიყენება ქვეყნის მაკროეკონომიკურ ანალიზსა და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, მსოფლიოს თითოეული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის მიხედვით, საშუალებას იძლევა გააშუქოს და ურთიერთშესადარი გახადოს მათი ეკონომიკური განვითარების პარამეტრები ისეთი ინფორმაციული ბლოკების მიხედვით, როგორიცაა:

- მთლიანი შიგა პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი და მათი მნიშვნელოვანი კომპონენტები;
- ეროვნული სიმდიდრისა და ეკონომიკის სექტორების აქტივებისა და პასივების მონაცემები;
- სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შემოსავლებისა და ხარჯების მონაცემები, რაც საბოლოოდ თავს იყრის სახელმწიფო ბიუჯეტში;
- ფინანსური რესურსების მოძრაობა, რაც აისახება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებულ ოპერაციებში;
- საგარეო ეკონომიკური კავშირების მახასიათებელი ინფორმაცია, რაც აისახება ქვეყნის საგარეო საგადასახდელო ბალანსში;
- ქვეყნის დარგთაშორისი კავშირების მახასიათებელი ინფორმაცია, რაც აისახება „დანარჩენი გამოშვების“ ბალანსებში.

ჩამოთვლილი ინფორმაციული ბლოკებისა და მათში შემავალი პარამეტრების გაშუქება ცალკეული ქვეყნების მიხედვით დამოკიდებულია მოცემულ ქვეყნებში სტატისტიკური მეცნიერებისა და პრატიკის განვითარების მდგრამარეობაზე, ქვეყნის ბიუჯეტიდან მოცემული მიზნით გამოყოფილი თანხების მოცულობაზე, საკადრო პოტენციალსა და რიგ სხვა ფაქტორზე. აღნიშნულის მიუხედავად მსოფლიოს უმეტესი ქვეყნა აქვეყნებს ისეთ მაკრომაჩვენებლებს, როგორიცაა მთლიანი შიგა პროდუქტი, დასაქმება, ეკონომიკური ზრდის ინდექსები და სხვა. ქვემოთ მშპ დინამიკით ვახასიათებთ ეკონომიკური განვითარების მდგრამარეობას ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების მიხედვით (იხ. ცხრილი 1).

მშპ დინამიკა საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში 1990-2008 წლებში (1990წ=100%)

ცხრილი 1

ქვემოთ მოცემული მაჩვენებლები	1994	1998	2003	2007	2008
ასეთის ფასი	47,5	48,9	79,6	102,6	82,8
სომხეთი	40,4	62,0	96,1	100,0	74,5
სერებრის	72,9	80,2	103,9	112,5	52,7
საქართველო	27,5	35,5	45,7	69,2	74,1
ესპანეთი	66,9	61,5	94,5	104,4	103,9
ურავეთი	33,4	62,7	77,2	92,0	98,4
ლასვეთი	97,5	66,4	91,7	136,9	140,9
ლიბერ	96,1	69,6	89,3	121,8	92,7
სოდენი	40,2	55,8	49,1	54,9	58,2
ჩეხეთი	64,7	57,5	79,4	105,2	102,9
საკოუთი	49,4	59,9	50,5	89,8	88,5
უკრაინა	67,2	55,0	104,1	109,2	212,1
კუსკო	81,5	33,1	107,7	105,3	57,5
უკრაინა	54,7	41,1	54,6	72,2	76,9
კასპიი	67,2	55,5	53,6	107,6	82,7

როგორც მოტანილი მაჩვენებლები მეტყველებს, ისეთმა სახელმწიფოებმა როგორიცაა: მოლდოვა, საქართველო და ყირგიზეთი ეკონომიკური განვითარების მხრივ ცნობილი ანიმალიური მოვლენების (სამოქალაქო ომები, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის არასწორი ფორმით ჩატარება, რუსეთის მიერ გამოცხადებული ეკონომიკური ებბარგო, საომარი მოქმედების და სხვა მიზეზები) შედეგად ჯერჯერობით ვერ მიაღწიეს XX საუკუნის 90-იანი წლების დონეს.

არანაკლებ შთამბეჭდავია ეკონომიკური განვითარების ისეთი განზოგადებული მაჩვენებელი, როგორიცაა მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მიხედვით.

მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 2007-შე მონაცემებით. (ათასი აშშ დოლარი)¹

¹ მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ეროვნული სტატისტიკური სამსახურების მონაცემები.

ცხრილი 2

ქვემოთ მოცემული მაჩვენებლები	(%) მოსახლეობის კრისეზის
სომხეთი	2,9
საქართველო	2,8
ურავეთი	0,7
ლასვეთი	1,2
ხაკაცია	0,6
კუსკო	0,6
კუნძული	0,6
უკრაინა	3,0
სერებრის	4,6
ჩეხეთი	9,1
საქართველოს	9,7
უკრაინა	6,9
უკრაინა	5,2
ლასვეთი	1,9
ლასვეთი	11,4
კუსკო	1,9

მოტანილი მონაცემები მეტყველებს, რომ ეკონომიკური განვითარების ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება ბალტიისპირეთის სახელმწიფოები, რომლებმაც თავიანთი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მოდელი და აირჩიეს რესტრუქტურიზაცია და მომსახურების უპირატესი განვითარება². ადსანიშნავია, რომ საქართველოს უკანასახელი პერიოდის ეკონომიკური განვითარების მიმართულებები უახლოვდება ბალტიისპირეთის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მოდელს. ამაზე მეტყველებს საქართველოში ტურიზმის, ვაჭრობის და მომსახურების რიგი სხვა დარგის განვითარება.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემას და მის ფარგლებში გაანგარიშებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს, მართალია, წამყვანი ადგილი უჭირავს ეკონომიკური განვითარების შეფასების თანამდებროვე მეთოდებში, მაგრამ საქართველოს ეკონომიკური, ისე როგორც მსოფლიოს ეკონომიკაში, ბევრი ახალი მოვლენა და პროცესი მიმდინარეობს, რომელთა რაოდენობრივი პარამეტრების შეფასების

¹ მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ეროვნული სტატისტიკური სამსახურების მონაცემები.

² Л.Григорьев, С.Кондратьев, М.Салихов. Трудный выход из трансформационного кризиса (случай Грузии). – ж. Вопросы экономики, №10, М., 2008г.

მეთოდები, მაჩვენებელთა სისტემა და განსაზღვრის მეთოდოლოგია გადახედვას მოითხოვს. ამჟამად ახალი მოვლენებისა და პროცესების ამსახველი ადგავატური რაოდენობრივი პარამეტრები რომ არსებობდეს, შინამეურნეობები, ბიზნეს-წრები და მთავრობა დროულ სასიგნალო ინფორმაციას მიიღებდა ისეთ აქტუალურ პრობლემებზე, როგორიცაა ეკონომიკური და ფინანსური კრიზისების დადგომა, მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფები, გარე სამყაროზე მახინჯი ფორმებით ჩარევა, ატმოსფერული ჰაერისა და წყლის რესურსების დაბინძურება. მასობრივი დემონსტრაციები, მიტინგები, იძულებითი ემიგრაცია, არასა-სურველი დემოგრაფიული სიტუაცია და სხვა მრავალი.

ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური პროგრესის შეფასების ამჟამად არსებულ მაჩვენებელთა სისტემა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეთაურს, მეცნიერს, ბიზნეს- წრების წარმომადგენლებსა და სტატისტიკური ინფორმაციის სხვა მომხმარებლებს აწუხებს. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ 2008 წლის დასაწყისში საფრანგეთის პრეზიდენტის – ნ. სარკოზის გადაწყვეტილებით შეიქმნა კომისია ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატის ესტიგლიცის ხელმძღვანელობით¹. კომისიის მიზანი იყო კრიტიკულად გაეანალიზებინა სტატისტიკის თანამედროვე მდგრადირეობა, რომლის მონაცემებსაც მთავრობები იყენებს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ფორმირებისას. კომისიის ბევრი წევრის აზრით სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შეფასების სისტემა არასრულყოფილია და ბაზრის მონაწილეები და მთავრობები არ არიან ორიენტირებული ადეკვატური მაჩვენებლების ანალიზით.

სანამ სტატისტიკურ მახასიათებელთა ვარგისიანობის ანალიზს შევუდგებოდეთ, საჭიროა გავერკვეთ ოფიციალური სტატისტიკური ორგანოების მიერ ჩატარებული კვლევების თემატიკაში. ასეთი სამუშაოების ჩამონათვალი ასახვას პოულობს სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამაში. მოცემული პროგრამა მაქსიმალურად უნდა იყოს მისადაგებული ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების სტატისტიკურ დახასიათებასთან. ამასთან, მის შედგენაში მონაწილეობას უნდა დებულობდნენ როგორც მეცნიერების, სამთავრობო, ბიზნეს-წრების, მასმედიის და შინამეურნეობების წარმომადგენლები. მოცემული პროგრამა ასევე უნდა ითვალისწინებდეს ეროვნულ

¹ Ю.Н Иванов, Н.Б.Кумиковская. О некоторых проблемах статистики стран СНГ в свете доклада комиссии Е.Стиглица по измерению экономической деятельности и социального прогресса. – ж. Вопросы статистики, №2, М., 2010.

ანგარიშთა სისტემის და სხვადასხვა საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ორგანიზაციების მოთხოვნებს. ზემოაღნიშნულ პროგრამაში არაა ასახული რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებებით (2008 წლის აგვისტო) ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისადმი მიყენებული ზარალის შეფასების სამუშაოები. მოცემული სამუშაოს ჩატარების მეთოდიკის საკითხები ასახული აქვს პროფესორ დავით იაკობიძეს ნაშრომში „საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი”, რომელიც ჭ. მ. კეინზის ცნობილ მეთოდოლოგიას ეფუძნება, თუმცა აღნიშნული ავტორი, თავის მხრივ, დამატებით განიხილავს რიგ საკითხს. რომელთა შორისაა ჩვენი ბუნებრივი გარემოსადმი მიყენებული ეკონომიკური ზარალი, რომელიც ჩვენივე ეკოლოგების შეფასებით ერთ მლრდ ლარს აღემატება!“

ამჟამად საქართველოს პარლამენტში მიმღინარეობს მსჯელობა რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებებით გამოწვეული საქართველოს ეკონომიკისადმი მიყენებული ეკონომიკური ზარალის განვითარებისა და ამ საქმეში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაწილეობის შესახებ.

კარგი იქნება თუ ზემოაღნიშნული პრობლემატიკით დაკავებული ორგანიზაციები შეუდგებიან საომარი მოქმედებებით გამოწვეული ეკონომიკური ზარალის კვლევას და ისარგებლებენ ისეთი საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტით, როგორიცაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. მოცემული დოკუმენტი, როგორც უკვე ზემოთ აღნიშნება, ეკონომიკაში მიმღინარე ეკონომიკურ ოპერაციებს აჯგუფებს ეკონომიკის ისეთი სექტორების მიხედვით, როგორიცაა: არასაფინანსო კორპორაციები, ფინანსური კორპორაციები, სახელმწიფო მმართველობის სექტორი, შინამეურნეობების სექტორი და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი. კარგი იქნებოდა საომარი მოქმედებებით ჩვენი ქვეყნისადმი მიყენებული ზარალი შესაბამის სამთავრობო უწყებებს ზემოაღნიშნული სექტორების მიხედვით გაეანგარიშებინა და შეეფასებინა. ამისათვის არასაფინანსო კორპორაციების წლიური პერიოდულობის ანკეტაში უნდა დაგმატებინათ კითხვა, რომელიც გამოვლენდა აღნიშნულ ზარალს, როგორც ცნობილია, საომარმა მოქმედებებმა თითქმის თოთოვეულ არასაფინანსო კორპორაციას მიაჟნა სხვადასხვა მოცემულის ზარალი, ფინანსური კორპორაციების მიხედვით, ასეთი ინფორმაციები დამუშავებული აქვს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

¹ დ. იაკობიძე. საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი. თბ., 2009.

შინამეურნეობებისათვის მიყენებული ზარალის დადგენა შესაძლებელი იყო საომარი მოქმედებების ტერიტორიებიდან გამოძევებული მოსახლეობის ანკეტური გამოკითხვით. სხვათა შორის, მსოფლიო ომების პრაქტიკა არ იცნობს ასეთი სახის სპეციალური კვლევების ჩატარებას და იგი გარკვეული სიახლეც იქნებოდა ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში. შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციებიც დაზარალდა საომარი მოქმედებებით. კერძოდ, აქ იგულისხმება საომარი მოქმედებების ზონებში განთავსებული ეკლესია-სამლოცველოები, გამოძევებული მდგრელ-მსახურები და სხვა. სახელმწიფო სექტორისადმი მიყენებული ზარალი უშუალოდ საომარი მოქმედებებით გამოწვეულ ზარალს (ჩვენი მსარისათვის ჩამორთმეული და აფეთქებული სამხედრო ტექნიკა, განადგურებული სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტები) ბუნებრივი გარემოსადმი მიყენებული ზარალიც (ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში გაჩენილი ხანძრით მიყენებულმა ზარალმა 1 მლნ ლარს გადააჭარბა) ემატება.

ომით გამოწვეული კველაზე დიდი, შეუფასებელი ზიანი დაღუშული მშეიძლებიანი მოსახლეობა და სამხედრო მოსამსახურეებია. შეუფასებელი ზარალის გაანგარიშება შესაძლებელია ექსპერტ ისებარჩვადის მიერ შემოთავაზებული მეთოდით. „ადამიანური კაპიტალი – ეს ფაქტობრივად კაპიტალიზებული სამუშაო ძალაა ამ უკანასკნელის კვლავწარმოების ერთი ციკლის განმავლობაში წარმოებული დოკუმენტის (დამატებული ღირებულების) ჯამური სიდიდე!“¹

სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ისეთი სტატისტიკური კვლევების ასახვა, როგორიცა:

✓ მშენებლობაში, განსაკუთრებით დაუმთავრებელ მშენებლობაში, შექმნილი მდგრმარეობა და მისი რაოდენობრივი მახასიათებლები;

✓ სატრანსპორტო მომსახურების ხარისხი და მასთან დაკავშირებული რაოდენობრივი პარამეტრები. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება საქალაქო ტრანსპორტის რიტმული მუშაობა;

✓ სოციალური სტატისტიკის ისეთი საკითხები, როგორიცაა წყლით, ელექტროენერგიით, გაზით მოსახლეობის მომარაგება, საბინაო ფონდით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, პაერის დაბინძურება ა.შ.

¹ ი. არჩვაძე. ადამიანური კაპიტალი, როგორც ეროვნული სიმდიდრის უმნიშვნელოვანების კომპონენტი, - „საქართველოს ეკონომიკის“, 2006, №11.

✓ ეროვნულ ანგარიშთა სისტემით გათვალისწინებული ანგარიშებიდან ვერ ხერხდება მრავალი ანგარიშის აგება. მათ შორისაა ფინანსური ანგარიში, რომლის არარსებობის გამო არ ხასიათდება ქვეყანაში დაკრედიტებისა და დავალიანებების პროცესი, ფინანსური აქტივების შეძენისა და ფინანსური ვალდებულებების აღება. ასევე არაა ინფორმაცია ფინანსური რესურსების სექტორებს შორის გადანაწილებაზე;

✓ პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში არ გააქვს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებელი. ეს, უწინარეს ყოვლისა, იმის შედეგია, რომ ქვეყნის მიხედვით არ დგება აქტივებისა და პასივების ბალანსი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა თითოეული ინსტიტუციური სექტორის მიხედვით შეგვეფასებინა წმინდა კაპიტალი და ეროვნული სიმდიდრე;

✓ ასევე არ გვაქვს ჯანდაცვის სტატისტიკის სფეროში – სამედიცინო მომსახურების ხარისხი, სადაზღვევო პოლისების მომსახურების რაოდენობრივი მახასიათებლები, ხარისხი და სხვა მრავალი.

ახლა კი, გავაანალიზოთ, სტატისტიკურ მახასიათებელთა ვარგისიანობა. დავიწყოთ ეკონომიკის განვითარების ისეთი განზოგადებული მაჩვენებლით, როგორიცაა მშპ. ბევრ შემთხვევაში მშპ-ს ზრდა მოსახლეობის ერთ სულ ზე გაანგარიშებით, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მთავრობა მიზნებს ეკონომიკის მდგრადი განვითარების ძირითად პარამეტრად, ჰქმნის შთაბეჭდილებას, რომ ეკონომიკა მუშაობს უკეთ, ვიდრე ამას აღიქვამს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობა. ეს იმის შედეგია, რომ მშპ ზოგადად ახასიათებს ეკონომიკის მდგრმარეობას და ვერ ავლენს მოსახლეობის ცალკეული სოციალური ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკურ პორტრეტს. ეს განსაკუთრებულით საქართველოსთვისა დამხასიათებელი, სადაც შემოსალების დიფერენციაციის მიხედვით ძალიან დიდია დაცილება მდიდარ და დარიბ მოსახლეობას შორის.

საქართველოს სინამდვილეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების სანდოობის უზრუნველყოფა. საქმე ეხება, უპირველეს ყოვლისა, ინდექსის აგებისას მომცველობის საკითხს. მოცემული ინდექსი უნდა კეთდებოდეს არა ქვეყნის მხოლოდ 5 ქალაქის, არამედ, თითოეული ქალაქის, რაიონის, ქვეყნის სოფელი აღგილების, ავტონომიური რესპუბლიკის, მხარეების

და მთელი ქვეყნის მიხედვით; მეტი სიცხადე უნდა იქნეს შეტანილი სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშებაში სეზონურობის ფაქტორების გათვალისწინებისას.

ასევე სრულყოფას მოითხოვს არაფორმალური დასაქმების, არასრული დასაქმების, საერთაშორისო მიგრაციის, ცხოვრების დონის და სოციალური სტატისტიკის რიგი სხვა მახასიათებლის გაანგარიშების მეთოდოლოგია.

ჩვენს მიერ დასმული პრობლემების გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში სწორი მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებას.

Assessment of economic development by modern methods

D. Kbiladze

Nowadays in economics numerous events and processes, their quantitative parametrs of evaluation, system of indexes need to be reviewed and modernized. In this case it is essential to modernize state programmes in statistics. It should be evaluated military operations, loss which was caused by influence of ecological and natural disasters on our country's economy, pollution of atmosphere and water resources, real picture of unemployment and number of other anomaly events.

It should be reviewed calculation methods of such characteristics of economic development and social progress such as: inflation, unemployment and etc.

These raised problems will contribute to the right kind of administrative decisions in economy and social sphere.

ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ ЭКОНОМИКА

Жанна Толордава
ассоциированный профессор ТГУ

Экспериментальная экономика — это сравнительно новая наука, которая интенсивно стала развиваться в 1980-х годах. Основателем ее считается Вернон Смит, Нобелевский лауреат 2002 года. Он получил Нобелевскую премию по экономике за работу по исследованию альтернативных рыночных механизмов для сетевых рынков методами экспериментальной экономики.

“Контролируемые экономические эксперименты, - отметил Нобелевский комитет, объясняя присуждение этой премии, - стали неотъемлемым компонентом экономических исследований, что в ряде случаев даже привело к пересмотру экономических постулатов. Это стало возможным благодаря исследованиям в двух сферах - психологическом изучении процесса принятия решений и создании условий для экспериментальной экономики”¹

Сейчас Вернон Смит является директором (ICES) Междисциплинарного центра по изучению экономики в Университете Джоржа Мэйсона в Вашингтоне. Помимо обучения студентов, этот центр работает с различными компаниями, государственными учреждениями и правительствами других стран в области экспериментальной экономики.

Плодотворная деятельность В. Смита повлекла за собой развитие использования методов лабораторного исследования. В течение 50 лет он провел тысячи экспериментов с разными категориями населения: от школьников до промышленных магнатов и конгрессменов. Количество экспериментальных лабораторий, работы которых публикуются во все возрастающих масштабах, быстрыми темпами

¹ http://www.nobelprize.org/nobel_prizes/economics/laureates/2002/press.html

растет во всем мире. Сегодня ICES является наиболее известным и масштабным центром развития экспериментальной экономики.

Следует отметить, что экономические эксперименты аналогичны проводимым в физике, химии и других естественных науках, с той только разницей, что проводятся они на людях, которые принимают экономические решения в условиях экспериментальной лаборатории (компьютерного класса), где люди играют в деловые игры.

На протяжении десятилетий считалось, что экспериментальный метод исследований в экономике невозможен. Обращение к опыту психологии позволило по аналогии создать экспериментальную экономику, суть которой - создание искусственных ситуаций, в которых все параметры поведения экономических субъектов контролируются экспериментатором в лабораторных условиях. В лабораторных экспериментах, подобно экспериментам в психологии перед группой участников эксперимента ставится задача принятия решений, что позволяет получить представление о типичном поведении экономических агентов в контролируемых условиях лаборатории. Одно из преимуществ такого метода — возможность четко сформулировать стоящий перед испытуемым выбор модели поведения в данной экономической ситуации, исследуя при этом процедуру принятия решения и факторы, определяющие окончательный выбор именно этого варианта из существующего многообразия вариантов, стоящих перед экономическим агентом в реальной ситуации.

В основе методологии экспериментальной экономики лежит использование экспериментальных методов для проверки обоснованности экономических теорий, что сегодня становится неотъемлемой частью научных исследований. Проведение экспериментов в экономике имеет ряд принципиальных особенностей по сравнению с экспериментированием в естественных науках. Экспериментальную экономику можно охарактеризовать как проверку положений экономической теории действиями людей, являющимися прототипами должностных лиц, реально причастных к решению тех или иных вопросов в контролируемых ситуациях. Так как в опытах участвует человек и его действия обусловлены

присущей ему индивидуальностью, то при таких обстоятельствах почти невозможно достичь абсолютной повторяемости опыта или предсказуемости последствий. К сожалению, многие параметры человеческого поведения (скажем, склонность к риску) в рамках экспериментов контролировать не удается. Поэтому для получения достоверных выводов необходимы разработки особых правил организации и проведения эксперимента. В настоящее время в экспериментальной экономике интенсивно развивается крупная отрасль, где указанных ограничений нет – это компьютерное экспериментирование, где перспективы этой сферы чрезвычайно широки.

В пользу лабораторного эксперимента говорит и тот факт, что любой натурный эксперимент, который реально проводится на специально выбранном для этого, так называемом, полигонном предприятии, связан с о значительными материальными и финансовыми затратами. Кроме этого, в случае безуспешного эксперимента велики указанные затраты превращаются в потери, а сам случай поражения вызывает у участников эксперимента стресс, а также потерю деловой активности и инициативы.

В. Смит превратил исследовательские лабораторные эксперименты в инструмент эмпирического экономического анализа (особенно – в изучении альтернативных рыночных механизмов) и это убедило его в том, что экономика, как и другие науки, допускает эксперименты, и их результат зависит от свойств конкретного объекта, а не только от установленных научных постулатов.

В 1994 г. в своей работе “Экономика в лаборатории”² В. Смит сформулировал семь причин, в силу которых экономисты имеют потребность в экспериментировании:

1. Проверить теорию или оценить ее по сравнению с другими теориями.
2. Разобраться и понять, почему теория оказалась неудачной.
3. Установить эмпирические регулярности в качестве исходного пункта для новых теорий.
4. чтобы сопоставить разные начальные условия (то есть

¹ Smith V. L. Economics in the laboratory. “Journal of Economic Perspectives” Vol. 8, N 1, 1994, p. 114.

первоначальные запасы агентов, преимущества и затраты, влияющие на динамику рынка).

5. Сопоставить институции (под которыми он изначально понимает правила и нормы обмена, а также язык рыночных коммуникаций).

6. Иметь возможность оценивать рекомендации в области экономической политики.

7. Исследовать новые пути институционального дизайна.

В. Смитом осуществлены важные обобщения результатов проведенной работы. Благодаря предложенной им классификации типов экспериментов с микроэкономическими системами (функциональный и методологический), происходит совершенствование контроля за соответствием между экспериментальной и реальной средами, в которых взаимодействуют респонденты и их прототипы. Основанное ученым новое направление науки прошло путь от отдельных имитационных моделей учебного назначения к важному инструменту исследования динамики сложных экономических систем, который позволяет как анализировать их динамику, так и получать прогнозы поведения таких систем и процессов.

Научные разработки В. Смита привели к тому, что современные экспериментальные методы в экономике начали признаваться. И для этого есть обоснованные причины, заключающиеся в следующем:

- во-первых, экспериментальные исследования дают возможность выявить влияние различных переменных и надежность той или иной теории. Экономико-математические методы, позволяющие с разной точностью прогнозировать те или иные результаты и проверить сформулированные гипотезы, пока не могут учесть субъективные особенности человеческого экономического поведения и мышления;

- во-вторых, эксперименты позволили по-новому поставить многие методологические проблемы экономической науки, и прежде всего - верификации гипотез, что распространяется и на проверку той или иной экономической теории или устоявшихся взглядов на определенные явления экономической деятельности.

Результаты исследований рыночного поведения, обобщенные В. Смитом, нередко подтверждали традиционные взгляды на

нее. В частности, он отметил, что “концепции некооперативного равновесия подтверждаются большим количеством наблюдений за экспериментальными рынками. Причем подтверждаются они значительно лучше, чем можно было рассчитывать, особенно в силу того, что раньше никому не приходило в голову, что эти концепции вообще можно проверять”. В. Смит обратил внимание на то, что он назвал “разрывом” между психологией выбора и экономическим поведением агентов на экспериментальных рынках, и предложил возможное объяснение этому явлению.

Сфера организации и проведения экспериментов расширяется и охватила экономическую деятельность многих реальных учреждений. В. Смит со своими коллегами разрабатывали рыночную модель для функционирования фондовой биржи в Аризоне и рынка воды в Калифорнии, необходимой для выработки электроэнергии. Предложенный метод, в частности, помог спрогнозировать на лабораторном уровне последствия дерегулирования рынка электроэнергии перед тем, как этот процесс был реализован в повседневной жизни.

В перспективе экспериментальная экономика может занять ведущее место среди экономических дисциплин. Популярность экспериментальной экономики все более возрастает. Об этом свидетельствует и тот факт, что уже давно функционирует и успешно распространяется в разных странах “Журнал экспериментальной экономики” (Journal of Experimental Economics). В экспериментальной экономике особенно плодотворной является интеграция теоретико-игровых моделей и экспериментов. Игровое моделирование (деловые игры), имитационное моделирование вполне обоснованно занимают ведущее место в лабораторных экспериментах.

Сегодня в передовых университетах результаты исследований, полученные при помощи экспериментальных методов, составляют часть любого курса лекций по микроэкономике, теории игр, промышленной организации, а их выводы внесены в учебники и энциклопедии. В настоящее время работы по экспериментальной экономике проводятся не исследователями-одиночками, а специальными лабораториями, которые в своем составе имеют многие зарубежные университеты. Эксперименты В. Смита часто

используют в виде игр на начальных курсах по экономике, чтобы наглядно показать студентам, как работает рынок.

Много публикаций существует о конкретном применении элементов экспериментальной экономики для обучения студентов, в частности, предлагается обучения технологии экспериментальной экономики через тренинг.³ Обосновывается это тем, что тренинг позволит студентам лучше понять сферу применимости тех или иных экономических теорий. К примеру, изменяя постановочную часть экономического эксперимента, можно изменить начальные условия при построении модели. И это будет хорошим обучающим уроком для тех, кто не понимает тех условий, при которых можно применять тот или иной аппарат экономической теории.

Таким образом, экспериментальная экономика признаётся одним из наиболее перспективных направлений современной науки, и сфера практического применения этих методов продолжает расширяться. Этому способствует тот факт, что экспериментирование в экономике является качественно новым источником знания о социальной реальности, оказывающего серьезное влияние на развитие экономики в целом.

Experimental Economics

J.Tolordava

The article reviews the comparatively new direction of economic science - the issues of the Experimental Economics - the trends of its development and fields of its application.

These days Experimental Economics is regarded as a one of the promising fields of science, so far as experimental approach brings on the sources of a new knowledge of social reality, which on its turn affects development of economics.

¹ http://4plus5.ru/16_9.htm

სამართლებრივი ბაზიზურის

პროგლომები და კერსეპტივები

საქართველოში

ლალი ხურცია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თხუ ასისტენტ-პროფესორი

საქართველოში საინვესტიციო აქტივობის დასაწყისი უკავშირდება ენერგომატარებლების ტრანსპორტირების სფეროს. 1998 წელს, ძირითადი საინვესტიციო აქტივობა ასახავდა უცხოელ ინვესტორთა ცალკეული დარგებით დაინტერესებას და არა სახელმწიფოს მთელ საწარმოო სექტორში საინვესტიციო პროცესების დაწყებას. ამ დროს შემოსული უცხოური ინვესტიციები ნაწილდებოდა ტრანსპორტის სექტორზე, რომელშიც ძირითადი წილი ნავთობისა და გაზსადენის მშენებლობაზე მოდიოდა.

ბაქო-ჯეიპანის პროექტის დასრულების შემდეგ, ვარდების რევოლუციამდე და შემდეგ პერიოდში, საქართველოში შემოსული უცხოური ინვესტიციების მობილიზება ძირითადად განპირობებული იყო ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესით. პრივატიზაციის პროცესში ჩართულ ინვესტორთა მოტივაციას უმთავრესად განაპირობებდა ის, რომ ხდებოდა ინვესტორის კაპიტალის ლიკვიდურ ქონებაში დაბანდება, რაც ამცირებდა კაპიტალდაბანდების რისკს. გარდა ამისა, საპრივატიზაციო ქონება ნომინალთან შედარებით დაბალ ფასად იყიდებოდა. ასე, რომ წარუმატებელი ბიზნესის შემთხვევაში, ინვესტორს შეეძლო მინიმალური დანაკარგებით გაეყიდა ქონება და ჩადებული თანხები უკან დაეგრძენებინა. მნელია გამოვლით სხვა მოტივაცია, რაც მოიზიდავდა უცხოელ ინვესტორს საქართველოში ფულის დასაბანდებლად, ვინაიდან საქართველო ვერ გააკვირვებს ვერავის, ვერც განათლების დონითა და მუშა-ხელის კვალიფიკაციით, ვერც განვითარებული ინფრასტრუქტურით, ვერც სოციალური უზრუნველყოფის მოქნილი სისტემითა თუ სხვა პირობებით.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრივატიზაციის შემდეგ მოსალოდნელ საინვესტიციო აქტივებას. თუ რამდენად დაინტერედება უცხოელი ინვესტორი პრივატიზების შემდეგ წარმოების გაფართოებით, ეს მთლიანად დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტაბილურობაზე, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურების განვითარებასა და განათლების დონეზე.

გარდა აღნიშნული პირობებისა, უცხოელი ინვესტორი კაპიტალურ რესურსებს აძანდებს იმ ქვეყნებში, რომლებიც, თავის მხრივ, ადგილობრივი ინვესტორის ნდობითაც ხასიათდებიან. მაშასადამე, როდესაც საუბარია საქართველოში უცხოური კაპიტალის მოზიდვაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მოხდება მხოლოდ ადგილობრივი კაპიტალის რეალურად ამოქმედების პირობებში.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქვეყნაში და უნდა ვერდოოთ თუ არა უცხოური ფინანსური რესურსების ნაკადების გაძლიერებას?

პირველ რიგში განვიხილოთ სიტუაცია პოლიტიკური კუთხით. აგვისტოს ომშა უკიდურესად შეამცირა საქართველოს პოლიტიკური მნიშვნელობა მსოფლიო რუკაზე. ომამდე საქართველო პრეტენზიას აცხადებდა კავკასიური კორიდორის როდზე, რომლის მეშვეობითაც ერთმანეთს უავშირდებოდა კასპიის რესურსები და ევროპა, ევრაზიის ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილები. ამის განმტკიცებას ხელს უწოდდა მეზობელ სახელმწიფოებს – აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული დაპირისპირება, რასაც საქართველოსთან კეთილმეზობელ ურთიერთობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამავე კონტექსტით, თურქეთიდან მომავალი და თურქეთში მიმავალი ტვირთვები, სომხეთთან დააბული ურთიერთობის გამო, საქართველოს გავლით გაედინებოდა. თავის როლს თამაშობდა ირანის ფაქტორიც, რომლის არადემოკრატიულ რეჟიმის მსოფლიო პოიკლის გამო, საქართველო ტრანსეგრაზიული დერეფნის ნაწილად განიხილებოდა.

აგვისტოს ომის შედეგად, დღემდე, რუსული ჯარი საქართვლოს ტერიტორიაზე სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით იმყოფება მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალებიდან. საჭიროების შემთხვევაში, როგორც ეს ომის მოვლენებმა აჩვენა, რუსულ სამხედრო დანაყოფებს არ გაუშირდებათ პარალიზება გაუჟეოთონ სატრანსპორტო დერეფნებს და ქვეყნა პრაქტიკულად ორ ერთმანეთსიგან მოწყვეტილ ნაწილად

გახდითონ. ამგვარი პერსპექტივა ბუნებრივია ვერცერთ გადამზიდავს და შედეგად, როგორც მიმდინარე პროცესები უწვენებს, დაწყებულია კიდევ ტვირთების გადაზიდვის ალტერნატიული გზების ძიება საქართველოს გვერდის ავლით. მაგალითისათვის, 2008 წლის ომამადე მწვავედ იდგა ნაბუქოს პროექტის განხორციელების იდეა, რომლის მეშვეობითაც კასპიის ზღვის აუზის ენერგოენერგეტიკული საქართველოსა და თურქეთის გავლით უნდა გადაქაჩულიყო საბერძნებითში და შემდეგ ევროპაში. თუმცა რუსული გავლენის გაძლიერებისა და ფეთქებად საშიში კავკასიური დერეფნის პირობებში ეს პროექტი ევროკავშირისათვის ნაკლებად პრიორიტეტული იყო, რაზეც მოწმობს ის ფაქტი, რომ 2010 წელს ევროპის ქვეყნების ენერგეტიკული უსაფრთხოების განსამტკიცებლად გამოყოფილი 2,3 მლრდ ევროდან ნაბუქოს პროექტზე მხოლოდ 200 მლნ ევროა გათვალისწინებული¹.

ამგვარად, მომდევნო უახლოესი წლების მანძილზე საქართველოს მოუწვეს სერიოზული ნაბიჯების გადადგმა საკუთარი უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით. მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე შეიძლება დადგეს როგორც ქვეყნის შიგა პოლიტიკური სტაბილურობა, ასევე ტერიტორიული მთლიანობა.

შიგა პოლიტიკური სიტუაციის გამწვავება შეიძლება გამოიწვიოს სოციალური უთანასწორობის ზრდამ და ეკონომიკური კრიზისის შედეგებმა. თუმცა, განსხვავებით შიგაპოლიტიკური კითარებისა, რომელზე ზემოქმედებასაც ხელისუფლება მეტნაკლები წარმატებით ართმევს თავს და ინარჩუნებს პოლიტიკურ სტაბილურობას, კლავინდებურად არასახარბიერო სიტუაციაა საგარეო პოლიტიკაში. ყურადღებას იმსახურებს საქართველოს მეზობლებისა და კავკასიის რეგიონში მოთამაშე მსხვილი პოლიტიკური სუბიექტების გადაადგილებები.

რუსეთმა დაამტკიცა საკუთარი სიძლიერე კავკასიაში, მოახდინა რა საქართვლოს მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია, ამის გათვლისწინებით, უნდა მოვალოდოთ რუსული გავლენის კიდევ უფრო გაძლიერებას კავკასიაში. ამას მოწმობს, რუსეთსა და სომხეთს შორის რუსული ჯარების 2044 წლის დამდე განთავსების ხელშეკრულების გაფორმება, ასევე, რუსული შავი ზღვის ფლოტის სევასტოპოლიში

² Европарламент одобрил проект закона о газоснабжении ЕС <http://www.rbc.ua/rus/top/show/evroparlament-odobril-proekt-zakona-o-gazosnabzhenii-es->

დისლოკაციის პრობლემის დადებითად გადაჭრა.

უნდა ელოდოს თუ არა საქართველო რუსული აგრესიის უხეში ფორმებით განმეორებას? სავარაუდოდ, ეს პრობლემა დღის წესრიგი-დან მოიხსნა აშშ პრეზიდენტ ობამას გადატვირთვის პოლიტიკის გამოცხადების შემდეგ. რუსეთი დარწმუნდა, რომ უახლოეს მომავალში მის სამხრეთ საზღვრებს ნატოს ჯარები არ შეაწუხებენ. სხვა მხრივ, საქართველოს პრობლემა რუსეთს მოგვარებული აქვს – საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში, საბანკო სივრცესა თუ საკომუნიკაციო სფეროში რუსული კომპანიები ოპერირებენ, რაც რუსეთს აძლევს შესაძლებლობას ეკონომიკური ბერგეტების მეშვეობით მოახდინოს ზეგავლენა საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე.

გარემოული უსიამოვნო მოძრაობები შეინიშნება საქართველოს სხვა მეზობლების მხრიდან. კერძოდ, სომხეთს უწნდება პრეტენზია ძირითადად სომხეთი მოსახლეობით დასახლებულ საქართველოს სამხრეთ ნაწილზე. ამ პრეტენზიებს აძლიერებს საქართველოს სამხრეთი რეგიონის ნაკლები ინტეგრირებულობის დონე, როგორც ენობრივი, ასევე საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით. გარდა ამისა, განჩდა ნიშნები სომხეთს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის პოლიტიკური ვაჭრობის თაობაზე მთიანი ყარაბახის ირგვლივ.

ამ კონტექსტით საქართველოს უწევს ფორსმაჟორულ ვითარებაში, რევერანსების კეთების ფონზე სასწრავო გადაწყვეტილებების მიღება, რაც ხშირ შემთხვევაში, ავანტიურულ და გაუთვლელ ხასიათს ატარებს. მაგალითად, 2010 წლის ზაფხულში საქართველოს პრეზიდენტმა წამოაყენა აზერბაიჯანთან კონფლექტის იდეა, ხოლო სომხეთმა მხარემ მიიღო ერევნისა და საქართველოს ზღვისპირა რაიონის აჭარის მხარესთან სატრანსპორტო მაგისტრალის მშენებლობის უფლება. ადსანიშნავია, რომ ეს მაგისტრალი სომხებით დასახლებულ საქართველოს სამხრეთზე გაივლის. ბუნებრივია, საქართველოს ხელისუფლება ცდილობს მოიგოს დრო, რათა რაც შეიძლება გადააგდოს ქვეყნის დაშლის მოსალოდნელი საფრთხე და ამ პერიოდში ამოავსოს ყველა შესაძლო ხვრელი.

ამ რეალობიდან გამომდინარე, საქართველო შესაძლოა დადგეს პოლიტიკური გაქტორის შეცვლის აუცილებლობის წინაშე, თუმცა, რამდენად უმტკიცებულოდ მოხდება ამგვარი ცვლილება და ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიების მიღება, ეს საკმაოდ ბურუსით მოცვლი თვემა და ექსპერტებს შორის ამის თაობაზე ერთიანი პოზიცია არ

არსებობს.

2009-2010 წლები საქართველოს ეკონომიკისთვის საქმაოდ მძიმე იყო. საქართველოს მოუწია ორ ძალიან მნიშვნელოვან მოვლენასთან გამკლავება. ეს იყო 2008 წლის აგვისტოს ომით მიუწებული ზიანის რეაბილიტაცია, რისთვისაც სოლიდური საბიუჯეტო რესურსები დაიხარჯა და მეორე, მსოფლიო ფინანსური კრიზისის კველაზე აქტიური და მძიმე დარტყმის შედეგების წინააღმდეგ ბრძოლა. ამან განაპირობა ბიზნესაქტივობისა და ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების შემცირება. ამ სირთულეებიდან გამომდინარე, საქართველოში დაახლოებით 4%-იანი ეკონომიკური ვარდნა დაფიქსირდა, მნიშვნელოვნად შემცირდა საბიუჯეტო საგადასახადო შემოსავლები, საინვესტიციო ნაკადები 2004 წლის მაჩვენებლამდე დავიდა, გაიზარდა უმუშევრობა.

მდგომარეობის გამოსწორებას შესაძლოა ხელი შეუშალოს სამეწარმეო სექტორში დაჯარიმების სერიებმა, რაც, ალბათ, მომავალშიც გაგრძელდება. ბიზნესიდან ფულის ძალისმიერი ამოქანვა მთავრობის საგადასახადო პოლიტიკის მთავარ ვაქტორად იქცა, რაც, ბუნებრივია, უარყოფითად მოქმდებს ბიზნესის განვითარებაზე.

ფასების მხრივ მწვავე ვითარებაა ენერგომატარებლების ბაზარზე. საწვავის ფასი, საქართველოში არ შეცვლილა და კვლავ მაღალ ნიშნულზე რჩება, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ფასები ნედლ ნათობზე 155 დოლარიდან 75-80 დოლარამდე ჩამოვიდა.


ლარის კურსის უპრეცედენტო მხარდაჭერით, საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს იმპორტის პროცესს. ლარის კურსი ვარდების რევოლუციის შედეგა დაახლოებით 40 ცენტით გაიზარდა. რაც შეეხება იმპორტირებული პროდუქციის ფასებს, რაიმე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული ლარის ასეთი ხელოვნური გამყარება ხელს უწყობს იმპორტიორებს გაცილებით მეტი მოგება ნახონ შემოზიდული პროდუქციის გასაღების შედეგად.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკის ექსპერტები საუბრობენ გაუმჯობესებულ სამთავრობო ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომლის შედეგადც ხდება ფულის გათეორება სხვადასხვა პოლიტიკური აქტივობის დასაფინანსებლად.

ეკონომიკური პროგნოზი, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო პესიმისტურად წარმოგვიდება, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს საგარეო გალს. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, საქართველოს საგარეო

ვალი, მიმდინარე წლის 31 ივლისის მდგომარეობით, 3,584 მილიარდი დოლარით განისაზღვრა. ექსპერტების განცხადებით, მალე საგარეო ვალის მომსახურებას ბიუჯეტის 26%-მდე დასჭირდება, შესაბამისად, მთავრობამ ან პარიზის კლუბში მოლაპარაკებები უნდა განახლოს ან სოციალური ხარჯები მკეთრად შეამციროს. საქართველოს საგარეო ვალი, შესაძლოა, სერიოზული მაკროეკონომიკური პრობლემა გახდეს. საერთაშორისო კონიუნქტურისა და ჩვენი ქვეყნის საგარეო ვალის დინამიკა უკვე შეიცავს ამგვარი საფრთხის რეალურ ნიშნებს. საგარეო ვალი საშიში არ არის, თუკი მისი ზრდის ტემპი უფრო დაბალია ვიდრე მშპ-ისა¹.

საქართველოს მშპ-სა და საგარეო ვალის შეფარდება
დიაგრამა 1



როგორც პირველი დიაგრამიდან ჩანს 2007-2008 წლებში მშპ-ს ზრდა მნიშვნელოვნად უსწრებდა საგარეო ვალების ოდენობას, თუმცა, 2008 წლის შემდეგ ამ თანაფარდობამ კლება იწყო, რაც მიანიშნებს, რომ საგარეო ვალების აღება ეკლარ უზრუნველყოფს მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდას. ამგვარად, სიტუაცია საშიშ ტედენციებს იდებს.

პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების მიმოხილვის შემდეგ, რომელმაც საქმაოდ პესიმისტური რეალობა ასახა, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისათვის, რომ ქვეყანაში კვლავ დაიწყოს შემოდინება


¹ ეკა ბაქრაძე, ქველაზე სწრაფად ვალები და ფასები იზრდება <http://www.presa.ge/new/?m=bp&AID=831>

უცხოურმა კაპიტალმა?

პირველ რიგში, დავიწყოთ იმით, რომ უცხოური ინვესტიციების მოსაზღვრული უდიდესი როლი ენიჭება შიგა საინვესტიციო პროცესების წარმართვასა და დანაზოგების ინვესტიციებად გარდაქმნას.

წმინდა დანაზოგები მოსახლეობის ერთ სულზე (ლარი) საქართველოში¹



დიაგრამა 2



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში წმინდა დანაზოგებს მოსახლეობის ერთ სულზე დაბალი მაჩვენებლები გააჩნია 2009. წელს - 739 ლარი (იხ. დიაგრამა 2), საერთო ჯამში 2009 წელს დანაზოგებმა 3 მლრდ ლარს მიაღწია. შედარებისათვის გავითვალისწინოთ, რომ 2007 წელს, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების პიკის დროს ქმედაში განხორციელდა 3.6 მლრდ ლარის ინვესტიცია, რამაც მშპ-ს 11%-იანი ზრდა გამოიწვია (იხ. დიაგრამა 3). აქედან გამომდინარე, შიგა დანაზოგები საქმაოდ დიდ პოტენციალს წარმოადგენს მათი ინვესტიციებად გარდაქმნის შემთხვევაში. დიაგრამა 4 გვიჩვენებს უპი-ს და შიგა დანაზოგების მრუდებს. როგორც ვხედავთ, აგვისტოს ომის შემდგომი კრიზისის პირობებში საგრძნობლად შემცირებული უცხოური ინვესტიციების ფონზე, დანაზოგები არა თუ ინარჩუნებს საერთო დონეს, არამედ საქმაოდ სტაბილურ ზრდას განაგრძობს.

მშპ-სა და საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების შედარება (მლნ ლარი)

¹ აქ და ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაციის წყაროა საქართველო სტატისტიკის ეროვნული სამსახური და საქართველოს ეროვნული ბანკი.




ჩვენი ვარაუდით, შიგა დანაზოგების ინვესტიციებად გარდაქმნის პროცესის ხელშეწყობა დადგებითად იმოქმედებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით, პირველი ნაბიჯები სახელმწიფო უნდა გადადგას, ხოლო საბანკო სექტორმა შეიმუშაოს ზომიერი საპროცენტო განაკვეთები. თუ ვიმსჯელებთ მშპ-სა და ინვესტიციების თანაფარდობის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, მოსალოდნელია, რომ შიგა დანაზოგების ინვესტიციად გარდაქმნილ უოველ ერთ ლარზე უპარებამ შეადგინოს 3,7 ლარი, რაც მშპ-ს გაზრდას გამოიწვევდა დაახლოებით 9 მლრდ ლარით.

უოვილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მსგავსად, უცხოური ინვესტიციები საქართველოში ძირითადად დაბაგშირებულია ენერგეტიკის სექტორსა და ტელეკომუნიკაციის სისტემებში კაპიტალდაბანდებებთან, ასევე სასარგებლო წიაღისეულის (ტუნებრივი რესურსების) მოპოვებასა და ტრანსპორტირებასთან. გასათვალისწინებელია, რომ

ბოლო დროის უმსხვილესი უცხოური ყაზახური ინვესტიციები მომსახურების სფეროშია განთავსებული. ამის მაგალითია აჭარის შავიზ-ლეისპირეტში, თბილისის გაზმომარაგებასა თუ სატელუკომუნიკაციო სფეროში განხორციელებული კაპიტალდაბანდებები.

ინვესტიციები მომსახურებასა და მრეწველობაში



საქართველოში მომსახურებაში ჩადებული ინვესტიციები საშუალო 5-ჯერ სჭარბობს მრეწველობაში განხორციელებულ ინვესტიციებს. თუ თვალს გადავავლებთ განხორციელებული საინვესტიციო პროექტების სტრუქტურას, ნათლად შეიმჩნევა, რომ ინვესტიციების წილი მომსახურების სფეროზე გაცილებით მაღალია სამრეწველო სექტორსა და სოფლის მეურნეობაში ჩადებულ ინვესტიციებთან შედარებით. დიაგრამა 5 უზვენებს მრეწველობასა და მომსახურებაში ჩადებული ინვესტიციების პროცენტულ ურთიერთდამოკიდებულებას.

მრეწველობასა და მომსახურების სფეროში ჩადებული ინვესტიციების დისბალანსი, ჩვენი აზრით, სერიოზული მჯელობის საგანი უდა გახდეს. სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას გადამწყვები როლი ეკისრება ამ თვალსაზრისით. მიღვაჩნია, რომ მრეწველობაში ჩადებული ინვესტიციები გამოირჩევა გაცილებით უფრო მაღალი აქსელერატორულ-მულტიპლიკატორული კოეფიციენტით მოსახურების სფეროსგან განსხვავებით.

კიდევ ერთი მიმართულება, რომელიც ასევე გასათვალისწინებელია საინვესტიციო აქტივების წასახლისებდლად, არის ენერგიის განახლებადი ტექნოლოგიების გამოყენება. ძალიან მაღალ მოვლით ენერგომარაგების ამოწურვის წინაშე დადგება. ბუნებრივია, მხოლოდ

ბაქო-ჯეიპანისა და ნაბუქოს მიღებადენების იმედად დარჩენა ვეღარ იქნება ეკონომიკური წარმატების გარანტი. მიმდინარე ტენდენციების მიხედვით აქცენტი უნდა გაკეთდეს კვალიფიციურ პერსონალზე, როგორც ახალი ტექნოლოგიების შემოქმედზე, კვლევით ინსიტზე-ზე, ენერგოტექნიკით დარგების განვითარებაზე, განათლების სიტემის მოდერნიზებაზე, რაშიც უმთავრესი ინვესტიცია საწყის ეტაპზე უნდა განხორციელდეს მთავრობის მიერ. მთავრობის მხრიდან ასეთი ნაბიჯების გადადგმას და განათლების სისტემის ფინანსირებას, საგარაუდო შედეგი 10-15 წელიწადში მოჰყვება. განათლებული და კვალიფიციური პერსონალი, პოლიტიკურად სტაბილურ გარემოში გამოიწვევს ინვესტორების დაინტერესებას, რაც შემდგომი ეკონომიკური ხრდის ფაქტორი გახდება.

Investment problems and prospects in Georgia

L. Khurtsia

The article discusses main directions of investment activity in Georgia. At the initial stage of the investment activity in Georgia foreign investors were focused in oil and construction areas. Another wave of investment was mainly caused by the ongoing privatization process. Currently investment activity is reduced due to the August war, which caused significant reduction of political role of Georgia. Events of August 2008 were accompanied by the results of the global financial crisis, which reduce business activities and country's economic indicators. The upraising of investment activities can be started after mobilizing domestic savings and involving them in the processes of investment. Another way to push investment activities is to define priorities in the field of industrial and green energy technologies.

რეზილიერებული მიმოწერის
ინტეგრაცია თანამედროვე
გლობალიზაციის პირობებში

ჯანდრი გარანტია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მსოფლიო გლობალიზაციის გადრმავების კვალდაკვალ, აღინიშნება რეგიონული ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციული დაჯგუფებების ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ხაზს უსვამს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დია ეკონომიკის პრინციპის უალტერნატივობას. ქვეყნების ინტეგრაცია მსოფლიოს გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში მაღალი ხარისხით გამოირჩევა, რაც მზარდი ტენდენციით ხასიათდება და ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება.

ინტეგრაცია ხაერთაშორისო ხასიათისაა და მოიცავს ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს, კერძოდ: სამხედრო-სტრატეგიულს, ეკონომიკურს, იდეოლოგიურსა და პოლიტიკურს. ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებზე მზარდ გავლენას ახდენს ქვეყნების, მათი მოსახლეობის ზოგადეროვნული და ზოგადკონტინენტური მოთხოვნილებები. ეს, უწინარესად, ეხება დიდ, მოსახლეობით მრავალრიცხოვან ქვეყნებს, სადაც მოსახლეობას მართლაც გააჩნია დიდი ეკონომიკური მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილება რეგიონის ფარგლებში ვერ ხერხდება. ბუნებრივია, რომ 300-მილიონიანი აშშ-ის, 140-მილიონიანი იაპონიის ან 80-მილიონიანი გერმანიის სასიცოცხლო რესურსებით უზრუნველყოფა ბევრად რთულია, ვიდრე 4-მილიონიანი ფინეთის ან 3-მილიონიანი იორდანიის. 80-100-მილიონიანი ქვეყნის მოსახლეობის ნორმალური არსებობისათვის საქმეში უნდა ჩაერთოს ათასობით კილომეტრით მოშორებული რესურსები, ხედლებულის წყაროები.

ცნობილია, რომ როგორც რეგიონული, ასევე კორპორაციული მიმოწერის მიზანი უნდა განვითაროს ათასობით კილომეტრით მოშორებული რესურსები, ხედლებულის წყაროები.

რაციული წარმონაქმნები გლობალიზაციის სუბიექტები არიან და მძღვანელი იმპულსს აძლევენ კონკრეტულ სივრცეში პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. თანამედროვე მსოფლიოში რეგიონალიზაციის პროცესების გაღრმავების აუცილებლობა დიდი ხანია მომწიფებულია, იგი თანდათანობით შედის თვისებრივად ახალ ფაზაში და სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს ადამიანთა ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ სტატუსზე. როდესაც მსჯელობა ქვეყნებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის შესახებ, არ შეიძლება უურადღება არ შევაჩეროთ მონდიალიზმის თეორიაზე, რომელიც გულისხმობს გარდაუვალ მთლიან პლანეტარულ ინტეგრაციას, მრავალრიცხოვანი სახელმწიფოებიდან, ხალხებიდან, ერებიდან და კულტურებიდან ერთ უნიფიცირებულ სამყაროს ჩამოყალიბებას (**One World**). «გეოეკონომიკა» - ეს არის მონდიალისტური გეოპოლიტიკის განსაკუთრებული ვერსია, რომელიც პრიორიტეტულად განიხილავს არა გეოგრაფიულ, კულტურულ, იდეოლოგიურ, ეთნიკურ, რელიგიურ და ა. შ. ფაქტორებს, არამედ წმინდა ეკონომიკურ რეალობას. ამ კონცეფციის აგზორია ჟაპ ატალი, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის პირადი მრჩეველი. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, მსოფლიოში გამოიყოფა სამი მნიშვნელოვანი რეგიონი: ა) ამერიკული სივრცე – ერთიანი ფინანსური სამრეწველო ზონა; ბ) ევროპული სივრცე - ეკონომიკურად გაერთიანებული;

წენარი ოკეანის რეგიონი – კონკრეტულად ცენტრებით ტოკიოში, ტაივანსა და სინგაპურში.¹

გლობალიზაცია და რეგიონალიზაცია, მართალია, საპირისპირო ტენდენციებია, მაგრამ არა ერთიმეორის გამომრიცხავი, არამედ- გამაძლიერებელი. საქმე ის არის, რომ მსოფლიო გლობალიზაცია, ფაქტობრივად, რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანებების მეშვეობით ხორციელდება, ამ უკანასკნელის შიგნით კი, ინტეგრაცია გლობალიზაციის პროცესით ძლიერდება. ვისკონსინის უნივერსიტეტის გამომცემლობაში რამდენიმე წლის უკან გამოსული ორგომეულის «Regionalism in the Age of Globalism» ავტორები (სტივენ ჰელშერი, კორნელია პანი და სხვ) გამოყოფნ თანამედროვე რეგიონალიზმის სამ ნიშანს.

¹. ნ..ბარათაშვილი. სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის ნარკვევები, თბ., 1999, გვ. 62.

პირველი, ეს არის “გლობალიზაცია” – ტერმინ-ნეოლოგიზმი, რომელიც შემოიღო ბრიტანელმა სოციოლოგმა როდანდ რობერტ-სონმა და რომელმაც უკვე გამოდევნა მოწინავე აკადემიურ სფეროში ცალსახა “გლობალიზაცია”. რობერტსონმა დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ გლობალური ინტერესები და ლოკალური იდენტურობები არა თუ არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, არამედ პირიქით – დიალექტიკურ ერთიანობაშია. გლობალური კომპანია იძულებულია ყოველთვის შეუქმნას თავის პროდუქციას ლოკალური იმიჯი, ამასთანავე, მეორე მხრივ, ლოკალური სუბიექტები ასევე ცდილობენ თავიანთი რეგიონების ბრენდები გლობალურად ცნობადი გახადონ. ამრიგად, რეგიონალიზმის გლობალიზმის ეპოქაში არაფერი საერთო არა აქვს რაღაც იზოლაციონიზმთან, არამედ პირიქით – გამოდის როგორც დია ეკონომიკურ-კულტურული სტრატეგია, რომელიც ეწინააღმდეგება ზოგჯერ “ეროვნული დახურულობის” პოლიტიკას.

რეგიონალიზმის მეორე ნიშანია “ეთნოსკეპიპი”, როგორც მას უწოდებს ინდოელი კულტუროლოგი არჯუნ აპადურაი.¹ ესაა სხვადასხვა ეთნიკური დაჯგუფების დინამიკა, რომელიც განსაზღვრავს რეგიონის ცვალებად იერს. ამ ასპექტით, თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს ორგანული ნაწილის აფხაზეთის რეგიონისათვის ეთნო-პროცესების გამოკვლევა მეტად აქტუალურად გვესახება, რამდენადაც ომისშემდგომი მიგრაციები არსებით ზემოქმედებას ახდენს ამ რეგიონის ეთნიკურ სახეზე.

თანამედროვე რეგიონალიზმის მესამე ნიშანის პრინციპია: “განსხვავება, რომელიც მოიცავს” (**inclusive distinction**) რეგიონალიზმის ადრეული ფორმებისათვის და უმეტესად ეროვნული სახელმწიფოთათვის დამასხასიათებელ “გამომრიცხავ განსხვავებას” (**exclusive distinction**), რაც ერთმანეთს უპირისპირებს სხვადასხვა დაჯგუფებას (“ან-ან”). “განსხვავება, რომელიც მოიცავს” – პრინციპი განიხილავს რეგიონის ყველა მოსახლეს როგორც თანასწორ მოქალაქეებს (“ისევე, როგორც”), მაგრამ ამასთან, არ ცდილობს მათ ხელოვნურ შერევას. განსხვავება (**distinction**), რასაკვირველია, რჩება და სწორედ ის ქმნის რეგიონის კულტურულ სიმდიდრეს. მოსახლეობისათვის საერთო მსოფლიმხედველობითი საძირკველი ხდება თვით რეგიონი, მისი სპეციფიკური იდენტურობა, მათ შორის, მრავალი

¹. ე. ბარათაშვილი, ჭ. ზარანდია, ა. აბრალავა, რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა თბ., 2009, გვ. 6.

ხელოვნური საზღვრის მოშლით.

ამრიგად, თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი პარადოქსი ისაა, რომ მთლიანობაში ქვეყნებს შორის მნიშვნელოვან განსხვავებასთან ერთად, შეიძლება სხვადასხვა ქვეყნის გარკვეული ტიპის რეგიონებს შორის ასევე მნიშვნელოვანი მსგავსება. ამასთანად დაკავშირებული უამრავი საერთო ნიშან-თვისება სხვადასხვა ქვეყნის მიდგომაში თავიანთი შიგა რეგიონული პრობლემების მიმართ.¹

როგორც ცნობილია, თავდაპირველად საერთაშორისო ურთიერთობათა რეგულირება ეროვნული საორგანიზაციო ფორმებით დაიწყო. ამ პროცესის განვითარებამ თანდათანობით გამოკვეთა ჯერ სახელმწიფოების ხელისუფალთა საერთაშორისო კოორდინაცია, შემდეგ - ეროვნებათაშორისი ინსტიტუტების შექმნა. ერთ-ერთ პირველ საერთაშორისო ორგანიზაციას მიეკუთვნება ერთა ლიგა, რომელიც 1919 წელს ჩამოყალიბდა და რომლის ძირითადი ფუნქცია იყო მსოფლიო ეკონომიკური პრობლემათა გადაწყვეტისათვის სათანადო პირობების შექმნა. როგორც ცნობილია, 1945 წელს ჩამოყალიბდა გართიანებული ერების ორგანიზაცია, როდესაც უშიშროების საბჭოს ხეთმა წევრმა – აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა, სსრკ-მა (რომლის სამართლებრივი ამჟამად რუსეთია), საფრანგეთმა, ჩინეთმა და 46-მა სხვა სახელმწიფომ მოახდინა გაეროს ქარტიის რატიფიცირება. დღეისათვის გაეროს წევრია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა (მათ შორის საქართველო 1992 წლიდან), რომლებიც გაერთიანებული არიან გლობალური პრობლემების გადასაწყვეტად. გაეროს სისტემაში, გარდა მისი ძირითადი ორგანოებისა (გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, სამეურვეო საბჭო, საერთაშორისო სასამართლო, სამდივნო), შედის სპეციალური სააგენტოები, ფონდები, კროკრამები, რომლებიც მუშაობენ ეკონომიკურ, სოციალურ, ჯანდაცვისა და სხვა პრობლემებზე. მათ შორის აღსანიშნავია საერთაშორისო სავალურ ფონდი და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, ანუ მსოფლიო ბანკი.²

ამერიკის კონტინენტზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გაერთიანებაა ამერიკულ სახელმწიფოთა ოგანიზაცია, რომელიც 1948 წელს ჩამოყალიბდა და ახლა ჩრდილოეთ, ცენტრალურ

¹. ქ. ბარათაშვილი, ჯ. ზარანდია, ა. აბრალავა, რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა თბ., 2009, გვ. 7.

². ბარათაშვილი, პოლიტიკური გლობალიზაციის ასპექტები. თბ., 2003, გვ.

და სამხრეთ ამერიკის უმაღლესი რეგიონული საკორდინაციო ორგანოა. ამერიკის ქვეყნებში ძირითადი რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციებია: (**MERCOSUR**) - სამხრეთ ამერიკული საერთო ბაზარი, (1961წ.); (**CACM**) - ცენტრალურ-ამერიკული საერთო ბაზარი; (**CARICOM**) - კარიბის თანამეგობრობა და კარიბის საერთო ბაზარი (1973წ.); (**OECS**) - აღმოსავლეთ კარიბის სახელმწიფოთა ორგანიზაცია; (**OAS**) - ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია (1984წ.); **NAFTA** - თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო ამერიკული ზონა (1994 წელს შეიქმნა აშშ-ს, კანადასა და მექსიკის მონაწილეობით); **AISA** - ანდის ჯგუფი (1969წ.), რომლის წევრია ხუთი ქვეყანა.

ევროპის კონტინენტზე უმნიშვნელოვანები ინტეგრაციული ორგანიზაციებია ევროკავშირი-**(EU)**, რომელიც 1951 წელს ჩამოყალიბებით ევროგაერთიანების თანამედროვე სახეს წარმოადგენს. ევროკავშირი ძალიან მაღალი ინტეგრაციის დონით ხასიათდება. აქ ძალაშია კაბიტალის, სამუშაო ძალის, საქონლის, მომსახურების თავისუფალი გადაადგილება, ერთიანი ვალუტა-ევრო. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, ევროკავშირის ეკონომიკა აწარმოებს მშპ-ს 12.256 მლრდ ევროს მოცულობით, რაც მსოფლიო მშპ-ის 1/5 ნაწილია.¹ ევროკავშირის ზესახელმწიფოებრივ ორგანიზაციათა სისტემა მოიცავს ევროსაბჭოს, ევროპარლამენტს, ევროკავშირის საბჭოს, ევროპულ კომისიასა და ევროპულ სასამართლოს. ევროსაბჭო ევროკავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები და უძველესი ინსტიტუტია. ევროსაბჭო სამი ძირითადი ინსტიტუტისაგან შედგება: მინისტრთა კაბინეტი, საპარლამენტო ასამბლეა და ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანების კონგრესი.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია 1975 წელს დაარსდა პელსინკში, როგორც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენცია, ხოლო 1995 წელს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციად ტრანსფორმირდა.

(BSEC) — შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია 1992 წლის 25 ივნისს დაფუძნდა ქ. სტამბულში. ბისეპის ფარგლებში ფუნქციონირებს მუდმივი საერთაშორისო სამდივნო,

¹ <http://ru.wikipedia.org>

საბარლამენტო ასამბლეა, ბიზნესსაბჭო, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა დსთ — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, რომელშიც თავდაპირველად 11 სახელმწიფო გაერთიანდა, შემდგომში მას შეუერთდა აზერბაიჯანი და საქართველო, ხოლო 2008 წლის აგვისტოს თვეში რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული აგრესის შემდეგ, საქართველომ დატოვა დსთ-ს რიგები.

აზიურ-წყნაროკეანური რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას ხელს უწყობს ისეთი რეგიონული თანამშრომლობა, როგორიცაა: APEC-აზიურ - წყნაროკეანური ეკონომიკური თანამშრომლობა (1989წ.); ASEAN-სამხრეთ აღმოსავლეთი აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია (1967წ.); CAEU-არაბული ეკონომიკური ერთიანობის საბჭო (1964წ.); ECO-ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (1985წ.).

აფრიკის ქვეყნებში რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია ხორციელდება ოთხი ეკონომიკური კავშირის ჩარჩოებში. კერძოდ: UDEAC-ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოების საბაჟო და ეკონომიკური კავშირი (1966წ.); ECOWAS-დასავლეთი აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამეგობრობა (1975წ.); SADC-განვითარების სამხრეთაფრიკული თანამშრომლობა (1992წ.); COMESA-აღმოსავლეთი და სამხრეთი აფრიკის საერთო ბაზარი (1994წ.). ყველა ზემო აღნიშნული ორგანიზაცია არსებითად ეკონომიკური დაჯგუფებია, რომელთაც საერთო ბაზარი - საქონლის, კაპიტალის, სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობა გამოაცხადებს.

მსოფლიო ქვეყნების გაერთიანებამ გლობალიზაციის პირობებში, თანდათანობით გამოკვეთა საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითადი ზონები, რეგიონული ორგანიზაციები. ყველაზე მარტივი გეოგრაფიული სქემა იქნება ქვეყნების დაჯგუფება კონტინენტების მიხედვით. მსოფლიოს რეგიონული კლასიფიკაციის არსებული მოდელიდან ყველაზე მისაღებად მიგანია კულტურულ-ისტორიული რეგიონების გამოყოფის სქემა, რაც კულტურულ-ისტორიული, პოლიტიკური, და ეკონომიკური თვალსაზრისით მეტნაკლებად მთლიანი ტერიტორიებია.¹

მსოფლიოს რეგიონული კლასიფიკაციის მოდელიდან (კულ-

ტურულ-ისტორიული რეგიონებად დაყოფის სქემიდან გამომდინარე), ამერიკა იყოფა: ინგლისურენოვან ჩრდილოეთ ამერიკად, ესპანურ-პორტუგალიურენოვან დათინურ ამერიკად და კარიბის აუზად, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკად:

ევროპაში გამოიყოფა: აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის, სამხრეთის და დასავლეთის ევროპული ნაწილი;

აზიაში გამოიყოფა - აღმოსავლეთი, სამხრეთ-ცენტრალური, სამხრეთ-აღმოსავლეთი და დასავლეთი;

აფრიკაში გამოიყოფა - აღმოსავლეთი, ცენტრალური, სამხრეთი, ჩრდილოეთი და დასავლეთი აფრიკა.

ოკეანეთში გამოიყოფა შემდეგი გეოგრაფიული რეგიონები: ავსტრალია, ახალი ზელანდია, მედანეზია, მიკრონეზია და პოლინეზია.¹

გლობალიზაციის პროცესმა თანამედროვე ეტაპზე გამოიწვია სუვერენული სახელმწიფოების ინტერესთა საზღვრების - სახალხო-მეურნეობრივი კომპლექსების ფუნქციონირების ეროვნული საფუძვლების დარღვევა. ასეთ პირობებში წარმოიშვა დამოუკიდებელი ტრანსნაციონალური კაპიტალი. რისოგისაც დამახასიათებელია თავისუფალი გადაადგილება სუვერენული სახელმწიფოების იურისდიქციის გვერდის ავლითაც კი. ასეთი კაპიტალი ყოველთვის ექიმის და პოულობის კიდევ მომგებიან ბაზარს. ამის მაგალითად შეიძლება დასახელებულ იქნეს ის, რომ ბოლო წლების მანძილზე ტრანსნაციონალურ ექსპორტის თითქმის ნახევარი მოდის ამერიკულ და უცხოურ ტრანსნაციონალური კორპორაციებზე პრიტანებით შეიძლება - 80, ხოლო სინგაპურში - 90%. უნდა ითქვას ისიც, რომ ტრანსნაციონალური კომპანიების კონცენტრაცია ძირითადად მოხდა აშშ ტერიტორიაზე და ამიტომაც ისინი ამ ქვეყნის იურისდიქციაში არიან და საზღვარგარეთ შექმნილი მოგების დაახლოებით ნახევარი შეაქვთ მათი ბაზირების ქვეყნაში. მსოფლიოს 100 უდიდეს კომპანიათა რიცხვში შედის აშშ-ის - 35, ევროპის - 42, იაპონიის - 21, ხოლო მსოფლიოს დანარჩენი რეგიონების - 2 ტრანსნაციონალური კორპორაცია.¹

მსოფლიოში ამჟაგად რეალურად მოქმედებს არა მარტო ტრანსნაციონალური კომპანიები და ტრანსნაციონალური ბანკები,

¹. მსოფლიო ქვეყნების კლასიფიკაციი, თბ., 2003, გვ. 23.

არამედ აგრეთვე, საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ორგანიზაციები. კერძოდ: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, გაერო, იუნქსკო, «დიდი შვიდული», არასამთავრობო ორგანიზაციები; ასევე დიდი ქალაქები: ლონდონი, ნიუ-იორკი, ტოკიო, პარიზი, მოსკოვი და სხვა; ძალთა ასეთი ერთობლიობა სამართლიანადაა მიჩნეული რეგიონული ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიმართულებების, მასშტაბების, თავისებურებების განმსაზღვრელად.

ეკონომისტები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები გლობალიზაციასთან უშუალო კავშირში განიხილავენ არა მარტო რეგიონების, არამედ დიდი ქალაქების ფუნქციებაც და ეს სრულიად მართებულია. სწორედ დიდ ქალაქებში ხდება როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური საქმიანობის კონცენტრაცია. ეს გარემოება ახლებულად აყენებს ასეთ ქალაქებში ეკონომიკის ფუნქციონირებისა და აღმავლობის აუცილებლობას. მაგალითად, ქალაქ ტოკიოში მატერიალური და არამატერიალური წარმოების მაჩვენებელი ორჯერ აღემატება ბრაზილიის შესაბამის მაჩვენებელს; მექსიკაში მშპ-ის თითქმის ნახევარი იქმნება ქალაქ მეხიკოში. ანალოგიური შედარებითი მაჩვენებლის დასახელება შეიძლება ინგლისში – ლონდონის, აშშ-ში – ნიუ-იორკის, იაპონიაში – ტოკიოს, საფრანგეთში – პარიზის, რუსეთში – მოსკოვის სასიცოცხლო როლის შესახებ. პოლიტიკური და ეკონომიკური თვალთახედვით, ისიც ყერადსაღებია, რომ ქალაქები უშუალოდ ერთმანეთთან თანამშრომლობენ შესაბამისი ქავენის ეროვნული ხელისუფლებასთან როგორც შეთანხმებით, ასევე გვერდის ავლით – სრულიად დამოუკიდებლად. ასეთი ტიპის ეკონომიკა ანგრევს ეროვნულ – პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს და ხელს უწყობს გლობალიზაციის შემდგომ გაფართოება-განვითარებას. ეს სიტუაცია, რომელიც სულ უფრო მეტად ატარებს არა კერძო, არამედ საყოველთაო ხასიათს, ბუნებრივია, სახელმწიფოებს თანდა-

თანობით უქმნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძნელეებს, რაც, საბოლოო ანგარიშით, უთუოდ გამოიწვევს ეროვნული ეკონომიკის მართვის ფუნქციების თანდათანობით შესუსტებას, დაკარგვას. ასეთი ტენდენციების ფონზე აშკარად ჩანს ის, რომ სუვერენული სახელმწიფოს კონცეფციას – კარგახანია ანგარიში არ ეწევა და შეიძლება ითქვას, რომ იგი დღეს სერიოზულად შერყეულია.

ამჟამად, მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე რეალურ გავლენას ახდენს სამი რეგიონული ცენტრი – აშშ, ვროკავ-შირი და იაპონია.¹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ სუვერენული სახელმწიფოები ვერ გაუძლებენ გლობალიზაციის მოსალოდნელ არაკონტროლირებად მასშტაბებს, რაც გამოიწვევს ეროვნული ეკონომიკის მართვის ფუნქციების თანდათანობით შესუსტებას და ისინი დაკარგავენ სოციალურ და მობილიზაციურ ფუნქციებს. გლობალიზაცია და რეგიონალიზაცია დღეს ურთიერთგანპირებულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა და ქმნის ეროვნული პოლიტიკისა და ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელ პროცესს. შესაბამისად, აქტუალურია გლობალიზაციის პირობებში, მსოფლიო ეკონომიკურ-პოლიტიკური ინტეგრაციული დაჯგუფებების ჩამოყალიბება-განვითარების პროცესის ანალიზი, ეროვნული პოლიტიკური და ეკონომიკური მართვის ფუნქციები და ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე მათი ზეგავლენის შეფასება.

Economical Integration of Regions in Current Conditions of Globalization

J. Zarandia

Integration of the countries into the global economic system of

¹. Практика Глобализации. М., 2000, с. 138.

¹. 6. ბარათაშვილი, გლობალური ხედვის ასპექტები. თბ., 2003, გვ. 54.

today's world is distinguished with increasing degree and comprises the most significant factor of economic development of some countries.

Integration is of the international nature and covers almost all spheres of life, in particular: military-strategic, economic, ideological and political spheres.

It is known that the regional and corporative formations are the subjects of globalization and stimulate political and socioeconomic development within the specific area. At the current stage the globalization process lead to destroying of the limits of the interests of sovereign countries – national bases of functioning of the national economic complexes. In such conditions the independent transnational capital was created. Such capital could be characterized with free movement even through avoiding jurisdiction of the sovereign states. Such capital always seeks and finds the profitable market.

Regarding the above, we may offer that the sovereign states will not be able to stand the expected proposed scales of globalization what would lead to gradual weakening of the function of governance of the national economy and they would lose the social and mobilization functions. Consequently, in the conditions of globalization – formation of the political integration groups – analysis of the development process and evaluation of their impact on national political and economic governance functions and development of the national economy is of great significance.

ეკონომიკური პლატფორმა ფულად-საკრედიტო მექანიზმის კრიზისი

მათა გოგონია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე სადისკუსიო საკითხია. სახელმწიფოს როლი გარდამავალ ეკონომიკაში უფრო დიდია, ვიდრე ქვეყნებში განითარებული ეკონომიკით. რა დროსაა უფრო ოპტიმალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება საფინანსო თუ საკრედიტო მექანიზმის დახმარებით? როგორი უნდა იყოს თანაფარდობა მათ შორის? ამ კითხვების საბასუხოდ აღვნიშნავთ, რომ თვით საფუძველი, რომელიც ექვემდებარება რეგულირებას – ეკონომიკა ვითარდება და როგორდება. რეალობაა, რომ ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ახორციელებდეს ერთდროულად რამდენიმე მიზანს, რომლებიც არა მხოლოდ ურთიერთმხარდამჭერია, არამედ წინააღმდეგობაშიც მოდიან ერთმანეთთან. სწორედ ამიტომ სახელმწიფო იძულებულია გამოიყენოს ინსტრუმენტები (ფინანსური, ფულად-საკრედიტო), რომლებიც ასევე ყოველთვის როდი ეხმარება ერთმანეთს. ამით ვლინდება სახელმწიფო რეგულირების გართულებული ხასიათის კანონზომიერება.

საკრედიტო მექანიზმი განუყოფელია ფინანსური მექანიზმისაგან, მისი საშუალებით ხორციელდება ფულის ბრუნვის მართვა. იგი მოიცავს დანაგროვთა და შემოსავლების ფორმებსა და მეთოდებს, გულისხმობს ქმედით საპროცენტო პოლიტიკას, რაც ფულის მიმოქცევის გაჯანსაღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. თავის მხრივ ცვლილებები ფულად მასაში ზემოქმედებს მთელ ეკონომიკაზე. საქართველოს ეკონომიკაში თანამედროვე ეტაპისათვის ჩამოყალიბებული კრიზისული ძგომარებობა აუცილებელს ხდის ქვეყნის ხელისუფალთა მიერ აქტიური ზომების მიღებას, რაც პრიორიტეტების განსაზღვრასთან ერთად, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის რაციონალური განხორციელებით უნდა გამოიხატოს. „ქვეყანას უნდა პქონდეს ეკონომიკური განვითარების პროგრამა, რომელშიც სხვა

საკითხებთან ერთად ინფლაციის თემაც იქნება გათვალისწინებული. რაც შექება ტურიზმს, ის არ შეიძლება იყოს პრიორიტეტი”¹.

ეკონომისტების თვალსაზრისი ეკონომიკაში ფულის როლზე თოქმის ყოველთვის არ ეთანხმება ერთმანეთს, არ არის, რა თქმა უნდა, თეორიების ნაკლებობა: ეს არის კლასიკური, ტრადიციული კეინზიანური, მონეტარისტული, თანამედროვე კეინზიანური თუ ნეოკეინზიანური თეორიები. ფულის ესა თუ ის თეორია სხვადასხვა ეპოქასა და დროში სახელმწიფოების მიერ დადგენილი ქვეყნის ფულად სისტემასა და ეკონომიკურ პოლიტიკაში აისახა.

თანამედროვე ფულის თეორია წარმოადგენს კეინზიანურ-ნეოკლასიკურ სინთეზს, რომელიც განიხილება, როგორც ფრიად ფართო გაგება და მოიცავს თეორიისა და პარტიკის შესახებ განსხვავებულ შეხედულებებს. ის ეფუძნება არა მხრივ კეინზიანურ და მონეტარისტულ მიღმერებს მათ განახლებულ ფორმაში, არამედ თანამედროვე სამეცნიერო აზრის გამოკვლევებსაც, როგორიცაა, მაგალითად, ნეოკლასიკური ეკონომიკური მოდელები.

სამართლიანი თუ არა ეკონომიკური აზრის ნეოკლასიკური მიმართულების მოქმედების მიერ შემოთავაზებული მიღგომა? ეფექტიანია თუ არა ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მხოლოდ მაშინ, როცა მისი რაკერსის ცვლილება ხდება მოულოდნელად? ამ საკითხის მნიშვნელობის გამო განხორციელებულ იქნა რიგი მცდელობა ჰქემარიტების დასადგენად. პოლარული შეხედულებების არსებობასთან დაკავშირებულმა მოუხერხებლობამ და სირთულეებმა, საბოლოო ანგარიშით, მიგვიყვანა ეკლექტიკური თეორიის ფორმირებამდე თავისებური „ცენტრალური“ პლატფორმით, რომელიც ადგილს უტოვებს როგორც რაციონალურ მოლოდინებს, ასევე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობას.

ახალ კლასიკურ მოდელში ხელფასი და ფასები ითვლება აბსოლუტურად მოქნილად ფასების ღონის მოსალოდნელი ცვლილებებისადმი, ანუ ინფლაციური მოლოდინი იწვევს ხელფასისა და ფასების დაუყორებლივ ზრდას ერთნაირი ტემპით. ბევრი ეკონომისტი, იღებს რა რაციონალური მოლოდინების თეორიას, არ ეთანხმება ვარაუდს ხელფასისა და ფასების მოქნილობის თაობაზე ახალ კლასიკურ მოდელში. ამ მოდელის კრიტიკოსები, რასაც ახალი კეინზიანელები ეწოდა, ამტკიცებენ, რომ ხელფასისა და ფასების მყისიერ რეაქციას ეწინააღმდეგება რიგი ფაქტორებისა, თუმცა მოლოდინებს ისინიც რაციონა-

¹ გან. საქართველოს რესპუბლიკა, 2010წ. 31 დეკემბერი, გვ. 3, ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტ ლადო პაპავასთან.

ლურად მიიჩნევენ. ახალი კლასიკური მოდელის საპირისპიროდ, ახალ კეინზიანურ მოდელში არ არის პოსტულატი სახელმწიფო პოლიტიკის არაეფექტურიანობის თაობაზე. ახალი კლასიკური მოდელისაგან განსხვავებით, ახალ კეინზიანურ მოდელში მოსალოდნელი პოლიტიკა ზემოქმედებს ერთობლივ გამოშვებაზე. ახალი კეინზიანური მოდელი, ისევე როგორც ახალი კლასიკური მოდელი იქიდან ამოდის, რომ მოსალოდნელი და მოულოდნელი პოლიტიკა სხვადასხვაგვარად მოქმედებს ეკონომიკაზე, ამასთან მოულოდნელი პოლიტიკა მოქმედებს უფრო ძლიერად. როგორც ახალი კლასიკური, ასევე ახალი კეინზიანური მოდელები გვიჩვენებს, რომ ანტიინფლაციური პოლიტიკის წარმატებისათვის უმცირესი დანაკარგებით, მოსახლეობას უნდა სჯეროდეს მისი გატარების. რაციონალური მოლოდინის თეორიამ (ავტორები: ლუკასი, სარჯენტი, ბაროუ, მაკელმი, კრესკოტი, უოლესი) ხელი შეუწყო იმას, რომ მეცნიერები ნაკლებად ოპტიმისტურად აფასებენ აქტიური მასტაბილიზებელი პოლიტიკის ეფექტიანობას და გათვითცნობიერებს ის მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც თამაშობს მოსახლეობის ნდობა გატარებული პოლიტიკისადმი.

ფულის ნეიტრალურობის პრობლემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სულაც არ არის განსაციიფრებელი სერიოზული უთანხმოების აღმოცენება ამ საკითხის გარშემო თანამედროვე ეკონომისტებს შორის. ეკონომისტები თავს კარგ სოციოლოგებად თვლიან. ისინი ცდილობენ გამოიყენონ მეცნიერეული მეთოდი, რომლის თანახმადაც ჯერ უნდა ჩამოყალიბდეს თეორია, ხოლო შემდგომ შემოწმდეს ის იმ მონაცემთა საფუძველზე, რომელიც მიიღება რეალურ ცხოვრებაზე დაკირივებების შედეგად. აქედან გამომდინარე, სწორი იქნებოდა მსგავსი მიღობის გამოყენება და როგორც ახალი კლასიკური მოდელის, ასევე თანამედროვე კეინზიანური თეორიის შემოწმება. მაგრამ ორი თეორიის ემპირიული შედარება ძალზე რთული საჭმე აღმოჩნდა. კეინზიანური თეორიის ცალკეულ დებულებათა ისტორიული მტკიცებულებანი ახდენს ფასების არაელასტიკურობის და შესაბამისად ფულის ნეიტრალურობის არარსებობის დემონსტრირებას.

თუ სხვადასხვა ეკონომიკურ თეორიას გამოვიყენებეთ თანამედროვე ეკონომიკის განსხვავებული ნაწილებისადმი, მაშინ ნების-მიერი ცალკე აღებული თეორია, იქნება ეს კლასიკური, ტრადიციული კეინზიანური, მონეტარისტული, ახალი კლასიკური, თანამედროვე კეინზიანური, ნეოკეინზიანური თუ რეალური ეკონომიკური ციკლის, იქნება არასაბარისი ეკონომიკური აქტივობისა თუ ფასების დონის განსაზღვრის გაგებისთვის. ნებისმიერი ცალკე აღებული თეორია

იქნება ცუდი დასაბუთება უფექტიანი პოლიტიკის გატარებისათვის.

ერთ-ერთი თანამედროვე მიღვომა ფულისა და მაქროეკონომიკური თეორიისადმი არის მრავალ ფაქტორიანი მოდელების განხილვა, რომელშიც ეკონომიკის სექტორები ხასიათდება ქცევით, აღწერილით განსხვავებულ ეკონომიკურ მოდელებში.

სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ (ცენტრალურ) ბანკებს უწევს არჩევანის გაკეთება, რა იქნება მათვის საბაზისო თეორია, ოპტიმალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძიებაში. მიმდინარე ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ოროენტირდება კონკრეტულ და მიღწევად მიზნებზე. ეს კონკრეტული მიზნები მოიცავს ტაქტიკურ მიზნებს და შეალებულ მიზნებს. უმაღლესი ამოცანები, შეალებული და ტაქტიკური მიზნები აყალიბებენ იერარქიულ სტრუქტურას, სადაც ყოველ განსაზღვრულ დონეზე ხდება შესაბამის მიზანში კორექტივების შეტანა უფრო მაღალი ამოცანის შესრულების უზრუნველსაყოფად.

იყენებს რა შეალებულ და ოპერატიულ მიზნებს, ცენტრალური ბანკი შეიძლება დარწმუნდეს გატარებული მონეტარული პოლიტიკის სისწორეში მანამ, სანამ გამომჟღავნდება მისი გავლენა უმუშევრობის და ინფლაციის დონეზე. არსებობს მიზნობრივი ცვლადების ორი სახეობა: საპროცენტო განაკვეთები და აგრეგატები (ფულადი და საერთო). თუ ცენტრალური ბანკი უპირატესობას ანიჭებს მონეტარული აგრეგატის მიზნობრივ მნიშვნელობას, ადგილი ექნება საპროცენტო განაკვეთის მერყეობას. თუ ცენტრალური ბანკი უპირატესობას ანიჭებს საპროცენტო განაკვეთის მიზნობრივ მნიშვნელობას, ამან შეიძლება გამოიწვიოს ფულადი მასისა და საერთო აგრეგატების, როგორიცაა მონეტარული ბაზა, მერყეობა. ფულის ბაზრის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ შეუძლებელია ერთდროულად მიგადავთ საპროცენტო განაკვეთისა და ფულადი აგრეგატის მიზნობრივ მნიშვნელობას, ამიტომ გარკვეული კრიტერიუმებიდან გამომდინარე უნდა ამოვირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი.

ერთი შეხედვით, საპროცენტო განაკვეთები უფრო მეტად გამოდგება, როგორც შეალებული მიზანი, მაგრამ საქმე ის არის, რომ ნომინალური საპროცენტო განაკვეთები (რაც სწრაფად და ზუსტად იზომება) არ ასახავს სესხების რეალურ ხარჯებს, რომელიც მშპ-ს ზდაზე მოქმედებს. რეალური საპროცენტო განაკვეთის გაზომვა ძალზე ძნელია, რამეთუ შეუძლებელია პირდაპირ გავზომოთ მოსალოდნელი ინფლაცია. ამიტომ დაბეჭითებით იმის თქმა, რომელი ცვლადის არჩევა უმჯობესი შეალებული მიზნის სახით, ფულადი აგრეგატებისა თუ საპროცენტო განაკვეთების, როგორია.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად საკრედიტო პოლიტიკის ძირითად ამოცანას ფასების სტაბილურობა წარმოადგენს. ინფლაციის გასაკონტროლებლად ეროვნული ბანკი იყენებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გადაცემის მექანიზმს, რომლის თანახმადაც საპროცენტო განაკვეთების მართვით შესაძლებელია ფასების დონეზე გავლენის მოხდენა. სებ-ის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი განსაზღვრავს საოპერაციო ორიენტიროს: მოკლებადიან საპროცენტო განაკვეთის, ოპერატიული ორიენტირის მისაღწევად სებ-ი იყენებს საოპერაციო ჩარჩოს, რომელიც შედგება შემდეგი ინსტრუმენტებისაგან: რეფინანსირების სესხები, სადაც შეზღუდული ერთოფიკატების აუქციონები, სახაზინო ობლიგაციების აუქციონები, ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სხვა ინსტრუმენტები.¹

ერთიანი უნიფიცირებული საერთაშორისო სტანდარტი იმის თაობაზე, თუ რა უნდა ჩავრთოთ ფულად მასაში, არ არსებობს. საერთაშორისო საფინანსო სტატისტიკის მიერ აღიარებული ერთადერთი ფულადი აგრეგატი – ეს არის ფართო ფული, ანუ ფინანსური აქტივები, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადახდისა და დაგროვების საშუალების სახით.

ქვეყნის ფულადი მიმოქცევის მოწესრიგების მიზნით სახელმწიფომ, შესაძლებელია, ფულის რეფორმა გაატაროს, რომლის წარმატების საწინააღმდეგო არა პოლიტიკური სტაბილიზაცია ქვეყნაში, მოსახლეობის და მეწარმეების ნდობა მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის მიმართ; ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის პირობების შექმნა; ემისიაზე უარის თქმა ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის მიზნით; ბანკებისადმი ნდობის ადგილი და საერთო ფორმით ფულადი სახსრების დაგროვების მიმზიდველი პირობების შექმნა; საქმარისი ოქროსავალუტო რეზერვების არსებობა, რაც შესაძლებელს ხდის შევინარჩუნოთ გალუტის კურსის სტაბილურობა, სასაქონლო და ფულადი მასის დაბალნებულობა.

1995-2003 წლებში, მიუხედავად მართლაც წარმატებული ფულის რეფორმისა, ბიზნესი მთლიანად დოლარზე დარჩა მიბმული, რასაც ადასტურებდა საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის კოეფიციენტი, რომელიც ბოლო პერიოდამდე საქმაოდ მაღალი რჩება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი მაჩვნებელი არ არის მხოლოდ მონეტარული ფაქტორი, რომელიც ეკონომიკის განვითარებებს განსაზღვრავს.

¹ nbg.gov.ge

რეალურად, ხელისუფლება პროგნოზირებისა და რეგულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის გარეშე რჩება, როდესაც ეროვნული ვალუტის სამოქმედო არეალი შეზღუდულია. მით უფრო, როდესაც ხელისუფლების (და არა მხოლოდ მისი რომელიმე ცალკეული შტოს) მიერ მიმოქცევაში არსებული ვალუტის მოცულობით მანიპულირება, დღეისათვის მაკროეკონომიკური პოლიტიკის ქვაკუთხედად რჩება.¹

დღეისათვის, განვითარებულ ქვეყნებში ფულის რეფორმები ჩანაცემებულია ანტიინფლაციური პროგრამებით, სტაბილიზაციის სხვადასხვა გეგმისა და ცენტრალუტი ბანკების მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების ჩარჩოებში.

XX საუკუნის ბოლოდან ფულადი რეფორმების უმეტესობა დაიყვანებოდა ფულადი სისტემების ნაწილობრივ გარდაქმნაზე, რასაც ლოკალური ხანმოკლე ეფექტი ჰქონდა, რადგან გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში, მსგავსი ხასიათის ღონისძიებათა გატარებაზე არსებით გავლენას ახდენს საგარეო ეკონომიკური ფაქტორები.

ფულადი ბაზრის ისეთ მაჩვენებლებზე, როგორიცაა სავალუტო კურსი, გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები. ყველაფერი, რაც უცხოურ საქონელთან შედარებით ზრდის მოთხოვნას სამამულო წარმოების საქონელზე, იწვევს ეროვნული ვალუტის გაძვირებას, რადგან სამამულო საქონელი კარგად იყიდება ეროვნული ვალუტის დირებულების ზრდის შემთხვევაშიც. ამის ანალოგიურად, ყველაფერი, რაც ზრდის მოთხოვნას სამამულო საქონელთან შედარებით უცხოური წარმოების საქონელზე, იწვევს ეროვნული ვალუტის გაიაფებას, რადგან სამამულო საქონელზე მოთხოვნა მცირდება, მხოლოდ ეროვნული ვალუტის დირებულების შემცირების შემთხვევაში.¹

მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიული წამყვანი ელემენტია ნომინალური ღუზა. შესაძლებელია განხორციელდეს სავალუტო კურსის ტარგეტირება, მონეტარული ტარგეტირება, ინფლაციური ტარგეტირება. შესაძლებელია ქვეყნის ცენტრალური ბანკი ატარებდეს სტრატეგიას, რომელიც გულისხმობს ფარული და არა აშკარა ნომინალური ღუზის გამოყენებას.

ბოლო პერიოდში ყურადღებას იმსახურებს ზოგიერთი ავტორის მოსახურება, რომ ქვეყანა, რომელიც მიაბამს თავის სავალუტო კურსს უფრო მსხვილი ქვეყნის ვალუტას, კარგავს კონტროლს თავის მონეტარულ პოლიტიკაზე. თუ უფრო მსხვილი ქვეყანა ატარებს შემაკავებელ მონეტარულ პოლიტიკას და ამცირებს ფულად მასას,

¹ ხადური ნ., მონეტარული პოლიტიკის ზოგიერთი თავისებურება საქართველოში, კურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი”, 2008, №2, გვ. 51-54.

ეს იწვევს მოსალოდნებლი ინფლაციის შემცირებას ამ ქვეყანაში და, შედეგად, მისი ვალუტის დირებულების გაზრდას უფრო მცირე ქვეყნის ვალუტის გაუფასურებისას. უფრო მცირე ქვეყნის ვალუტა, სავალუტო კურსზე ზემოქმედების შეზღუდული შესაძლებლობისას, აღმოჩნდება გადაჭარბებით დაფასებული და ცენტრალური ბანკის წინაშე აღმოცენდება აუცილებლობა გაყიდოს უფრო მსხვილი ქვეყნის ვალუტა და იყიდოს თავისი ეროვნული ვალუტა იმისათვის, რომ არ დაუშეას მისი გაუფასურება. ასეთი სავალუტო ინტერვენციის შედეგი გახდება მცირე ქვეყნის სავალუტო რეზერვების მოცულობის შეკვეცა, მონეტარული ბაზის შემცირება და, შედეგად ფულადი მასის შემცირება. ასეთი სავალუტო ინტერვენციის სტერილიზაცია ვერ გადაარჩენს სიტუაციას, რამეთუ მიგვიყვანს სავალუტო რეზერვების შემდგომ დანაკარგებამდე იქამდე, სანამ მცირე ქვეყანა არ იქნება იძულებული განახორციელოს დევალვაცია. შედეგად მცირე ქვეყანა აღმოჩნდება უუნარო გააკონტროლოს თავისი მონეტარული პოლიტიკა, რამეთუ მისი ფულადი მასის მომრაბა სრულად არის განპირობებული მსხვილი ქვეყნის ფულადი მასის ქცევით. ამასთან კაპიტალის მობილურობისას შიგა საპროცენტო განაკვეთები ტოლია უცხოეთის საპროცენტო განაკვეთების, მინუს ეროვნული ვალუტის მოსალოდნებლი რევალვაცია. ფიქსირებული სავალუტო კურსისას ეროვნული ვალუტის მოსალოდნებლი რევალვაცია ნულის ტოლია, ანუ შიგა საპროცენტო განაკვეთი ტოლია საპროცენტო განაკვეთისა საზღვარგარეთ. შესაბამისად, ცვლილებები მსხვილი ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკაში, რომელიც გავლენას ახდენს მის საპროცენტო განაკვეთზე, უშუალოდ აისახება მცირე ქვეყნის საპროცენტო განაკვეთზე. უფრო მეტიც, გონიდან ორგანოებს, რომლებიც ატარებენ მონეტარულ პოლიტიკას მცირე ქვეყანაში, არ შეუძლიათ გადაუხვიონ მსხვილი ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას, ისინი მოკლებული არიან შესაძლებლობას გამოიყენონ მონეტარული პოლიტიკას, როგორც თავისი ქვეყნის ეკონომიკაზე ზემოქმედების ინსტრუმენტი.

საერთაშორისო ასაქექტი გავლენას ახდენს ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის გატარებაზე სამი გზით: პირველი, უშუალოდ ფულად მასაზე; მეორე, მონეტარული პოლიტიკის კურსის არჩევაზე ზემოქმედებს საგადამხდელო ბალანსის მაჩვენებლები და მესამე – სავალუტო კურსი.

კაპიტალის გადინებაზე კონტროლმა მიიღო მსარდაჭერა, რად-

¹ ბახტამე ლ., ფინანსური ბაზარი, თბ., 2007, გვ. 196.

გან ამით შესაძლებელია ქვეყნიდან სახსრების გადინების თავიდან აცილება კრიზისის დროს, რაც ამცირებს დევალვაციის ალბათობას. კონტროლს კაპიტალის მოდინებაზე აზრი აქვს და აიხსნება იმით, რომ თუ სპეცულაციურ კაპიტალს არ შეუძლია ქვეყანაში მოხვედრა, ის ასევე არ შეიძლება უცაბედად გატანილ იქნეს ქვეყნიდან და, შედევად, არ შეუძლია შექმნას კრიზისული სიტუაცია.

სავალუტო კურსები, ფულადი აგრეგატები და ფულადი ბაზრის სხვა მაჩვენებლები გამოიყენება ისეთი მოვლენის დასახასიათებლად, როგორიცაა ინფლაცია. ამასთან, გაითვალისწინება, რომ ფულის მყიდველობითუნარიანობა ფასის ზრდის სპეციალური ციულია, ხოლო გალუტის კურსის სიდიდე, განიცდის რა ბევრი ფაქტორის ზემოქმედებას, შეიძლება მიმდინარე მომენტში არ ასახავდეს ინფლაციის ნამდვილ ტენდენციებს.

ინფლაციის ძირითადი დამანგრეველი შედეგია ფასების ზრდის არათანაბარზომიერება, რაც მდლავრ მაღესტაბილიზებელ ფაქტორად გადაიქცევა. ეკონომიკის ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ 2011 წელს საქართველოში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 13-14 პროცენტი იყოს. საკვები პროდუქტების მნიშვნელოვანი გაძვირება იმით არის გამოწვეული, რომ სოფლის მეურნეობა 7 წელია „მიგდებულია“, ქვეყანას სასურსათო დამოუკიდებლობა დაკარგული აქვს და საკვები პროდუქტების 80 პროცენტი იმპორტირებულია.¹

ინფლაციასთან ბრძოლა ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ურთულესი საკითხია. ფულის ბაზრის განსხვავება ყველა სხვა ბაზრისგან, მისი მონოპოლიური ხასიათია, მონოპოლისტი, წვეულებრივ, ეროვნული ბანკია.

1989 წლიდან, რიგ განვითარებულ ქვეყანაში გამოიყენება ინფლაციური ორიენტირების დაგენა (inflation targeting), როგორც ინფლაციის დაბალ დონეზე შენარჩუნების საშუალება, რომელიც იმავდროულად უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის აუცილებელ ტემპებსა და უმცურვლესის დაბალ მაჩვენებელს.

ინფლაციური ტარგეტირება, როგორც ანტიინფლაციური პოლიტიკის ახალი მიმართულება, წარმოიშვა ნეოკლასიკური და ნეოკეინზიანური ოთვორიების მიჯნაზე, როგორც რეაქცია ფულადი აგრეგატების ტარგეტირების ეფექტიანობის შემცირებაზე. მისი პროცედურა დაკავშირებულია ცენტრალური ბანკის საქმიანობასთან და მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ინფლაციის მოსალოდნელი დო-

¹ დ. ონფრიშვილი. საქართველოში ინფლაცია, შესაძლოა არა 10,5, არამედ 13-14 პროცენტი იყოს, გამ. „ახალი თაობა“, 2011, 5 იანვარი, №3, გვ. 7.

ნის პროგნოზირება; ინფლაციის სასურველი (მიზნობრივი) დონის შედარება მოსალოდნელ (პროგნოზულ) სიდიდესთან; მიზანსა და პროგნოზს შორის სხვაობის განეიტრალების მიზნით მონეტარული პოლიტიკის კორექტირება.¹

ინფლაციური ორიენტირების გამოყენება არ შეიძლება ფიქ-სირებული საგალუტო კურსის პირობებში, რომლის დროსაც ფულადი პოლიტიკა ეგზოგენურია, ანუ გრძელვადიან პერსპექტივაში უბრალოდ არ არსებობს. ეკონომიკაში, სადაც არსებითია დოლარის გავლენა, ინფლაციური ორიენტირების შემოღების მცდელობამ შეიძლება არ გაამართლოს, რამდენადაც ფულადი პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად საზღვარგარეთიდან არის თავსმოხვეული.

საბანკო სისტემა საკრედიტო სისტემის შემადგენელი ნაწილია, რომლის საშუალებითაც ეკონომიკის მართვა ხორციელდება. პირველი ელემენტი საბანკო მართვის თეორიულ ცნებათა ჩამონათვალში მიზანია. მეურნეობრიობის საბანკო მექანიზმის მიზნები შრავალფეროვანია, რაც მთლიანი ეკონომიკური მექანიზმის მიზნებს საბანკო სისტემას მიუსადაგებს.

თანამედროვე ეტაპზე ბანკები და საწარმოები პარტნიორები არიან, ასეთი ურთიერთობის საბოლოო მიზანი კი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაწერების და საზოგადოებრივი კვლავწარმოების ეფექტიანობის ამაღლებაა. საბანკო დაკრედიტებისას დიფერენცირებული მიღომა უნდა იქნეს გამოყენებული, რომლის ამოცანაა სამეცნიერო გამოკვლევების დაწერების ხელშეწყობა. დაკრედიტებისას შედაგათვების თაობაზე გადაწყვეტილებათა მიღების დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს მუშაობის შედეგები დროის საქმაოდ ხანგრძლივი პერიოდისათვის. საპროცენტო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს, რომ ბანკი არ აიღებს გაზრდილ პროცენტს სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის შექმნის ვადის დარღვევისათვის, როცა ხდება გადასვლა დამუშავებათა უფრო მაღალ დონეზე, შემცველი სამეცნიერო ორგანიზაციასთან ერთად ახორციელებს სამუშაოთა გეგმის კორექტივს დამუშავებათა ტექნიკური ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. პირობები უნდა შეიქმნას ორგანიზაციის ნორმალური მუშაობისათვის, თუ სირთულეები მასზე დამოუკიდებელი მიზეზებით აღმოცენდა. გაიცეს კრედიტები ხელფასების გადასახდელად, ნდობით სესხი მოკლევადიანი საჭიროებისათვის, არსებითი შედავათია დამატებითი მოთხოვნილების

¹ მანაგაძე ირ., ინფლაცია და ანტიინფლაციური პოლიტიკა საქართველოში, თბ., 2004, გვ. 138-139.

დაკრედიტება.

ეროვნული საჭარმოების ამჟავების, გადაიარაღების, მტკის სიახლეთა დანერგვისას ძალზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური ნორმატივები, რომელთა გაანგარიშებისათვის გამოყენება მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდები, მათ შორის კორელაციური ანალიზის, კლასტერული ანალიზის ხერხები. ახალი ტექნიკის ეფექტიანობისა და ტექნიკური პროგრესის დაკრედიტების ეფექტიანობის ნორმატივების შემუშავების გარეშე, საბანკო მართვა ტექნიკური პროგრესის სფეროში არ იქნება მეცნიერულად დასაბუთებული და სტიქიურ სასიათს მიიღებს.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითარებლების გამო, ანაბრები ბანკებში ფინანსური რესურსების მობილიზაციის უპირატესი ფორმაა. ამიტომ ბანკების ამოცანაა სასსრების მოზიდვის ისეთი ფორმების შექმნა, რაც რეალურად დააინტერესებს კლიენტებს რესურსების დაგროვებით და ჩამოუყალიბებს მათ დაზოგის ჩვევას, რომელიც ეკონომიკის ინვესტიციურ შესაძლებლობებს განსაზღვრავს.

თანამედროვე საქართველოში საბანკო სექტორი ჩამოყალიბდა, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და დინამიურად განვითარებადი სეგმენტი. 2005-2007 წლებში საბანკო აქტივების საშუალო წლიურმა ზრდამ, 60-65%-ს მიაღწია.¹

საბანკო ფირმის კონცეფციებიდან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია ბანკის განმარტება, როგორც ფირმისა, რომელიც უზრუნველყოფს რაციონირებას მოხმარებასა და დაზოგვას შორის. ბანკი განიხილება, როგორც ეკონომიკური აგენტი, რომელიც შეუფარდებს ერთმანეთს თავისი კლიენტების მიმდინარე და მომავალ მოხმარებას: დამზოგავები ცვლიან მიმდინარე მოხმარებას მომავალზე და იდებენ ბანკისგან „პრემიას“ გადადებული მოხმარებისათვის სადეპოზიტო პროცენტის სახით. ინვესტორები დღევანდელი მოხმარების სანაცვლოდ გაიღებენ თავიანთი მომავალი შემოსავლების ნაწილს, რომელიც შემოდის ბანკში, როგორც პროცენტები კრედიტზე, როგორც „ჯარიმა“ მოლოდინზე უარის თქმისათვის, როგორც საზღაური „რიგგარეშე“ მოხმარებისათვის. შედეგად, ბანკი მოხმარებისა და დაზოგვის განსხვავებული მოდელების რეალიზებას ახორციელებს, რითაც მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციას ასრულებს.

¹ იო. კოვზანაძე, გ. კონტრიძე. საქართველოს საბანკო სისტემის ზოგიერთი პრობლემა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე, www.geoeconomic.com/page_3.php.

ძირითად ფაქტორთა რიცხვებს, რაც თანამედროვე შემნახველ პროცესებს განსაზღვრავს, მიეკუთვნება: 1. სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა და მისი პოლიტიკის სოციალურ-ეკონომიკური ორიენტირებულობა; 2. სახელმწიფოს ფინანსური სტაბილურობა; 3. ქვეყანაში ჩამოყალიბებული მოხმარების სტერეოტიპების ინფრასტრუქტურულ-საბაზო თავისებურებები; 4. მოხმარების სტრუქტურის კულტურულ-ისტორიული და ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებები.

ამგვარად, მონეტარული პოლიტიკა ზემოქმედებს ეკონომიკაზე საპროცენტო განაკვეთების საშუალებით, სავალურ კურსით, ტობინის კ კოეფიციენტით (ფირმის საბაზო ღირებულება გაყოფილი კაპიტალის აღდგენით ღირებულებაზე), სიმდიდრის ეფექტით. მნიშვნელოვან როლს ასრულებს დაკრედიტებასთან დაკავშირებული არხები: საბანკო დაკრედიტება, ფირმებისა და საოჯახო მეურნეობების წმინდა ღირებულება, სალაროში ნადირი ფულის სიდიდე, ფასების დონის გაუთვალისწინებელი ცვლილება და საოჯახო მეურნეობების ლიკვიდობა.

ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან ის ზემოქმედებს არა მხოლოდ ფულის მიწოდებასა და საპროცენტო განაკვეთებზე, არამედ ეკონომიკური განვითარების საერთო ღონებზე და შესაბამისად, ყოველი ადამიანის კეთილდღეობაზე. დასაქმების მაღალი დონე ძალზე მნიშვნელოვანი მიზანია, რადგან უმუშევრობას მივყავართ სიღარიბემდე, ოჯახების დანგრევამდე, ადამიანური ღირსების დაკარგვამდე და დამნაშავეობის ზრდამდე. მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიული მიზანია უმუშევრობის ბუნებრივი ღონის მიღწევა, რომელიც გულისხმობს სრულ დასაქმებას, შრომის ბაზაზე მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობას. უკანასკნელი შეფასებებით, უმუშევრობის ბუნებრივი ღონე იმყოფება 4,5-6%-ს შორის. მაგრამ ეს შეფასებები ასევე შეიცავს გაურკვევლობის მაღალ ხარისხს. ითვლება, რომ აქტიური სახელმწიფო პოლიტიკა ხელს უწყობს უმუშევრობის ბუნებრივი ღონის შემცირებას.

თუ საქართველოში უმუშევრობამ 2007 წელს 13,3% შეადგინა, 2008 წელს ის 16,2%-მდე გაიზარდა, ხოლო 2009 წელს 16,9% შეადგინა. ეს კი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია რეგიონში. სომხეთში უმუშევრობა 6,9%-ია, ხოლო აზერბაიჯანში 6%.¹

სახელმწიფო პოლიტიკა შეიძლება მიმართული იყოს უშუალოდ ფირმებისა და კერძო პირების საინვესტიციო აქტიურობის

ამაღლებაზე. ეს ეკონომიკური ზრდის მიწოდების მხრიდან სტიმულირების პოლიტიკაა, რომელიც მოიცავს საგადასახადო შეღავათებს იმ ფირმებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ინვესტირებას ახალ მოწყობილობაში და ფიზიკური პირებისათვის, რომლებსაც დანახოვანები აქვთ. ამ ასევებით, მეცნიერები და პოლიტიკოსები აქტიურად განიხილავენ მონეტარული პოლიტიკის როლს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაში.

Economic Policy in the Prism of Monetary Mechanism

M. Gogokhia

Economic policy of state is one of the most debatable questions of economic science. Credit mechanism is indivisible from financial mechanism. It includes forms and methods of savings and incomes, it means effective interest policy, which is one of the most important elements of restoration of money turnover. Changes in money mass influence on whole economic.

The article deals with money neutrality problem, intermediate and operational goals of Central Bank's monetary policy, importance of antiinflation programs, inflation targeting, currency courses changes, bank crediting channels.

In the end it is marked, that Central Bank's monetary policy is very important, because it influence not only on money supply and interest rates, but on general level of economic development and welfare of each of us.

РАЗВИТИЕ ИСТОЧНИКОВ ФИНАНСИРОВАНИЯ АГРАРНОГО СЕКТОРА

Р.Е.Абдуллаев

Аспирант Азербайджанского
кооперативного университета

Как и в других отраслях экономики, так и в условиях аграрного предпринимательства, распределение финансов и кредита имеет ряд особенностей. Так, основу финансово-кредитной деятельности составляет товарное производство и товарно-денежные отношения. Каждое из них действует в этапе производства, активно служит другим fazam воспроизводства, увеличивает в денежном выражении движение финансовых и кредитных средств. В условиях рыночной экономики эффективная деятельность аграрных предпринимателей в решающей степени зависит от правильного установления финансово-кредитного механизма. В каждой общественно-экономической формации финансовая система формируется в соответствии с ее деятельностью, государство, для претворения в жизнь своих стратегических задач, определяет финансовые ресурсы, источники их возникновения, методы их использования.

Проведение в стране реформ послужило поводом для изменения имущественных отношений, возникновения новых форм производства, обслуживания и развития предпринимательства, а также обновления финансово-кредитных отношений, совершенствования экономического механизма. Такое положение, найдя свое место в аграрном секторе, стало причиной создания выгодных условий для совместной деятельности финансов и кредита в формах аграрного предпринимательства, нормального осуществления воспроизводства с широкими связями.¹

Финансово-кредитная деятельность, для обеспечения аграрных предпринимателей денежными средствами, создает условия для

¹ იხ. კრებული „ვებლოვდებოთ ევროპა? ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში”, თბილისი, 2010, გვ.

¹ И. Г. Алиев. Социально-экономические проблемы обеспечения устроичивого развития аграрного сектора в условиях глобализации, Баку, 2008, с. 36.

формирования источников среднего и краткосрочного кредитования, играет решающую роль в увеличении производства и роста экономической эффективности.

В отличии от других отраслей экономики в аграрном секторе и особенно в предпринимательской сфере финансово-кредитные отношения имеют некоторые специфические особенности. Так, аграрная отрасль со стороны государства не финансируется и ее финансовые проблемы решаются за счет средств аграрного сектора, а это увеличивает потребность в кредите.

Причина в необходимости кредитных отношений в аграрной отрасли заключается в не соответствии поступления денежных средств в личные хозяйства и предпринимателям и расходовании их не по назначению. Некоторые хозяйства и предприниматели, в результате продажи большого объема продукции, временно обладают свободными денежными средствами, некоторые же частные хозяйства и предприниматели из-за нарушения производственного процесса испытывают необходимость в денежных средствах.

Как было уже отмечено, в современном периоде, при предоставлении широких возможностей для предпринимательства, возникновении новых показателей производства и услуг, кредитование сельского хозяйства является одной из важных задач. Так, кредитная система сельского хозяйства и сферы услуг, входящие в эту систему, превратились в значительные элементы аграрной отрасли. Эта система отражает в себе переходный процесс сельскохозяйственных производителей в рыночные отношения и возникающие проблемы и недостатки в связи с этим процессом.

Переход на рыночную экономику значительно повышает роль и необходимость эффективного использования финансово-кредитных средств. В принципе без этого не возможен переход на рыночную экономику. Не только на этапе перехода на рынок, но и в условиях рыночных отношений не имея финансово-кредитных средств невозможно обеспечить интенсивное развитие производства, в том числе аграрного производства. В целом, финансово-кредитных отношения играют важную роль в росте экономики, эффективном использовании материальных, трудовых и других ресурсов. Они не только обеспечивают денежными средствами оборачиваемость производственных фондов, сельскохозяйственных субъектов, но и расширенного воспроизводственного процесса в целом. В том числе

в значительной степени влияет на совершенствование денежного контроля сектора, создание и использование фондов непосредственно связанных с развитием и стимулированием производства, развитие взаимосвязей с бюджетом, посредством совершенствования финансово-кредитных отношений развитие экономики сельского хозяйства.¹

На сегодняшний день одно из основных проблем населения и деловых людей, занятых производством и переработкой продукции сельского хозяйства – эффективное обеспечение финансовыми средствами. С этой точки зрения, им возможно достигнуть устойчивого развития аграрного сектора за счет предоставления кредитов по низким процентам, нахождения дополнительных источников финансирования.

Сейчас в применяемом кредитном механизме не учитываются специфические особенности сельского хозяйства. Так, залоговое обеспечение, требуемое для получения кредита и срок погашения кредита считается не приемлемым для этой отрасли. Сезонность аграрного производства и особенно зависимость от природных факторов, часто задерживает производителей брать кредиты по высоким процентам. Поэтому, государственная кредитная политика, применяемая к производителям сельскохозяйственной продукции, должна отличаться от других отраслей экономики. Например, если фермер (предприниматель) занимающийся производством сельскохозяйственных продуктов попадет в убыток и по объективным причинам не сможет вовремя погасить кредиты, государство должно выдавать им дотации. Этот механизм применяется в большинстве стран с рыночной экономикой.

Вообще основными государственными регуляторами аграрного сектора должны являться кредитная система и кредитные отношения, а финансовых структур их реальная деятельность. Эти мероприятия, дав толчок развитию кредитных отношений в сельском хозяйстве, должны создать условия для использования кредитов хозяйственными субъектами с разной формой собственности. В то же время этот процесс должен дать толчок к созданию специализированных структур по сельскохозяйственным кредитам.

В аграрном секторе кредитные отношения осуществляются различными банками. В последние годы, в связи с дальнейшим расширением реформ, произошли серьезные изменения в кредитных

¹ А. Нуриев . Региональная политика и управление . Баку, 2006, с. 64.

отношениях, предоставляемые этой сфере. Предусматривается предоставление кредита аграрному сектору со стороны государства, коммерческих, иностранных банков, некоторыми специальными организациями. Однако, пока имеются определенные минусы и недостатки в этой области. Так, личным хозяйствам и предпринимателям для получения кредита ставятся разные преграды, выдвигаются много разрешительных организационных задач. Поэтому, пока большинство хозяйств и предпринимателей предпочитают не пользоваться кредитными услугами. А это не дает им возможность своевременно и качественно осуществлять агротехнические мероприятия, нарушается снабжение материально-техническими ресурсами, ослабевает интерес к производству продукции и получению прибыли.

В условиях современного развития рыночных отношений создалось большое различие в структуре и динамике долгосрочных и краткосрочных кредитов, выдаваемых аграрному сектору. Сейчас, в то время как увеличивается объем долгосрочных кредитов, краткосрочный кредит постепенно уменьшается, снижается интерес по его использованию.

Опыт показывает, что для повышения эффективности использования долгосрочных и краткосрочных кредитов, предоставляемых аграрному сектору, кредитные организации должны осуществить значительные мероприятия.

Так, до выдачи кредита должно быть всесторонне рассмотрено состояние оборотных средств хозяйств и предпринимателей качества в сфере производства, продажи и услуг, возможности своевременного погашения кредита и др.

Как известно, кредит для развития аграрного предпринимательства серьезная материальная помощь, поэтому использовать его надо в соответствии с его назначением. Как правило, долгосрочный кредит должен предоставляться на стратегические цели: обновления основных фондов, проведения капитального ремонта. Краткосрочный кредит же должен расходоваться на текущие социально-экономические, технико-технологические цели, на решение организационно-экономических задач.

Однако, исследование показывает, что пока деятельность банков предоставляющих кредит не отвечает уровню рыночных отношений, банки заняты только выделением средств и получением возможно большей прибыли от них. Большинство личных хозяйств не согласны

с этой формой отношений и услуг, поэтому уровень использования такого кредита очень низок.

В условиях развития рыночных отношений личные хозяйства и предприниматели для увеличения производства продукции и роста экономической эффективности стараются максимально использовать имеющиеся производственные ресурсы, особенно земельные фонды, материально-технические ресурсы, трудовые и финансово-кредитные ресурсы. Потому все это является поводом для роста прибыли хозяйств. Прибыль же основной финансовый источник роста капитальных вложений, ускорения расширенного воспроизводственного процесса.

Прибыль создает реальные условия для совершенствования производственно-экономических отношений во всех личных хозяйствах, укрепления спроса предложения и конкурентоспособности, одного из главных принципов рыночной экономики. Рост прибыли дает возможность для частных хозяйств приобретать необходимые ресурсы, повышать уровень услуг, оказываемых им, эффективно организовывать финансовые отношения хозяйств с финансово-экономическими предприятиями, с другими управлениями и организациями.

Следует отметить, что в связи с успешным проведением аграрных реформ произошли серьезные изменения ценового механизма в аграрном секторе, цены либерализовались. В результате этого значительно повысились фактически реализационные цены всех видов продукции, в то же время повысилась себестоимость продукции. Все это явилось причиной уменьшения прибыли аграрных предпринимателей и таким образом ухудшением их финансового состояния, их возможности для покупки материально-технических ресурсов и развивать расширенное воспроизводство ограничились.

Из анализа статистических показателей становится ясно, что сейчас во многих действующих предпринимательских структурах средства вырученные от реализации продукции и услуг не дают возможность для осуществления расширенного воспроизводства. Поэтому повышается их нуждаемость в получении кредитов, что и становится причиной получения кредита по высоким процентам. Часто из-за невозможности вовремя погасить, взятого по высоким процентам кредита, хозяйства с имеющимися трудностями лишаются этих возможностей. В последние годы одна из основных причин

того, что аграрные предприниматели не могут добиться высокого производственно-экономического успеха – значительное затруднение получения кредита.

Не смотря на все это, из-за нехватки собственных средств они вынуждены брать кредиты. Но, из-за того, что вложение кредита не может выполнить стимулирующую функцию для роста производства продукции, не выполняется ожидаемое увеличение производства продукции, продукция и прибыль получается на много ниже предусмотренного уровня. А это не дает возможность своевременно возвращать кредиты, выполнять другие обязательства, производить расчеты по заработной плате, осуществлять расширенное воспроизводство, приобретать материально-технические ресурсы. Такое положение становится причиной увеличения долгов по ссуде, ухудшения деятельности предпринимательских структур. С другой стороны, установление банками высоких процентов по выдаваемым кредитам создает условия для роста долгов по ссуде.

Все это приводит в аграрном секторе к не легкой обязанности эффективно использовать полученные кредиты, своевременно поставлять потребителям производственную продукцию и вовремя погашать проценты по кредитам.¹

В аграрном секторе зависимость производства от сезона и природных факторов приводит кдержанности предпринимателей и частных структур брать средства по высоким процентам. Поэтому кредитная политика государства с предприятиями занятых производством сельскохозяйственных продуктов, должна отличать от других структур, должны устанавливаться новые льготы. Это должно создать условие для улучшение их финансового состояния.

В результате анализа было выявлено, что годами в аграрном секторе средства выделенные для развития производства не были использованы на должном уровне. На ряду с этим, создание новых структур, построение их на основе новых принципов, внедрение в производство передовой техники и технологии требует еще большего наличия финансовых ресурсов. Поэтому, наряду со средствами резервного капитала, накопительного фонда, определенную часть потребительского фонда целесообразно расходовать на развитие производства.

¹ А. Алирзаев. Экономика, мысли, взгляды. Баку, 2002.с. 59.

ადამიანური რესურსების მართვის მოდელები

ნებგარ პატარე
ივ. ჯავახიშვილის თსუ ასოცირებული
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული შესაბამისი მასალების განხოგადების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანური რესურსების მართვა ყველა ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი მმართველობითი საქმიანობაა, რომელიც სწავლობს ორგანიზაციის მაღალკვალიფიციური პერსონალით უზრუნველყოფის, მისი რაციონალური გამოყენებისა და ადამიანთა მოტივაციის მიზნობრივი მართვის პრინციპებსა და მეთოდებს და რომლის მიზანია საწარმოთა (ორგანიზაციათა) საქმიანობის საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევა.

ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მახასიათებლებია:

- 1) ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს მოცემული ორგანიზაციის (საწარმოს) სტრატეგიიდან;
- 2) ადამიანური რესურსების მართვაში მომუშავეები განიხილება როგორც აქტივი, ანუ კაიტალი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის სწავლებასა და განვითარებას; 3) ადამიანური რესურსები განიხილება ეროვნული კონკურენტუნიანობის მთავარ ფაქტორად;
- 4) მუშაკებისადმი მიღვომა უნიტარულია და არა პლურალისტური, ანუ მიიჩნევა, რომ მომუშავეები ძირითადად იზიარებენ დამქირავებელთა ინტერესებს მაშინაც კი, თუ ისინი არ გმოხვევა მათ საკუთარს;
- 5) ადამიანური რესურსების მართვის დონისძიებათა შემუშავება და მათი პრაქტიკული განხორციელება საწარმოებისა (ორგანიზაციებისა) და მათი განყოფილებების ხელმძღვანელთა ფუნქცია.

ადამიანური რესურსების მართვა მართვის საერთო სისტემის ნაწილია. მის საფუძვლებს ამუშავებენ ცალ-ცალკე პერსონალის ჯგუფების მიხედვით. თუმცა, დღემდე მისი ერთიანი მოდელი არაა შემუშავებული. მოცემულ პრობლემაზე საიტერესო მოსაზრებებია გამოთქმული ადამიანური რესურსების მართვის პრობლემაზე მომუშავე ისეთი ცნობილი მეცნიერების მიერ, როგორიცაა: მ. არმ-

სტრონგი, მ. ბიერი, ჯ. პერსელი, ვ. ვესნინი, ა, კიბანოვი და სხვ.¹

ადამიანური რესურსების მართვას, ამა თუ იმ ფორმით, ყოველთვის პქნიდა ადგილი კაცობრიობის ისტორიაში. ამასთან, განვლილი ისტორიის ხანგრძლივ პერიოდში საზოგადოებაში გაბატონებული იყო მომუშავებისადმი ტექნოკრატიული მიდგომა, რაც გულისხმობდა ადამიანთა წარმოდგენას მანქანის დანამატად. ეს აზრი დომინირებდა ჯერ კიდევ ძველ რომაელებში, რომელთაც მონა მიაჩნდათ „მოლაპარაკე იარაღად“. ისტორიულად, მომუშავე ადამიანებისადმი ტექნოკრატიული მიდგომა ორი ეტაპისაგან შედგება: ადრეული ტექნოკრატიზმი და კლასიკური ტექნოკრატიზმი. ადრეული – ტექნოკრატიზმი ორიეტირებული იყო, მაშინდელი გაგებით, წარმოებრივი სისტემის უფრო მნიშვნელოვანი და ძირადდირებული ელემენტის, ტექნიკის გამოყენების რაციონალიზაციაზე და მისი მეორე ელემენტის, ადამიანების სრულ უგულებელყოფაზე. ყოველივე ეს თავის გამოხატულებას პოულობდა უკიდურესად დაბალ ანაზღაურებასა და ადამიანის ფიზიკურ და სულიერ შესაძლებლობათა უმკაცრეს ექსპლუატაციაში. საკმარისია ითქვას, რომ XX საუკუნეში სამუშაო დღის ხანგრძლივობა აღწევდა 18 საათამდე. რაც შეეხება კლასიკურ ტექნოკრატიზმს, იგი ადამიანს ათანაბრებდა მანქანასთან. ეს კი საშუალებას იძლეოდა განხორციელებულიყო შრომითი ოპერაციების რაციონალიზაცია, ადამიანის ორგანიზმის პარამეტრებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით და შრომის მწარმოებლურობის ამაღლების მიზნით, მიეღოთ ზომები შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. კლასიკური ტექნოკრატიზმის ეპოქაში მომუშავეთა დაქირავებისას უპირატესობა ენიჭებოდა უფრო დაბალ განლილიფიციურ და მაღალ შრომისუნარიან პირებს, ყურადღება არ ექცეოდა წარმოებრივ სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, რამდენადაც მოცემული ეპოქისათვის დამახასიათებელი უმარტივესი ოპერაციების შესასრულებლად სრულიად საკმარისი იყო უბრალო ინსტრუქტაჟი. ამასთან, მუშებს ევალებოდათ მხოლოდ ერთი, ზუსტად შეესრულებინათ ხელმძღვანელთა დავალებები და მითითებები. მათ არ ევალებოდათ ეფიქრათ თავიანთი საქმიანობის შედეგებზე და ფირმის პრობლემებსა და მისი მდგრადირეობის გაუმჯობესებაზე. მომუშავებისაგან მოითხოვდნენ მხოლოდ დაეხვეწათ მათზე დაკისრებულ მოვალეობათა ილეთები და მეთოდები. ადმინის-

¹ მაიკლ არმსტრონგ. პრაქტიკა управлениия человеческими ресурсами. Перевод с английского. 8-е издание. М., 2007, с. 24-36; Веснин В. Управление персоналом. Теория и практика. М., 2008, с. 26-39; Кибанов А. Управление персоналом организаций. М., 2001, с. 6-7.

ტრაციას ევალებოდა მომუშავეთა სისტემატური კონტროლი და, თოთოეული მათგანის ინდივიდუალური წვლილიდან გამომდინარე, მათი წახალისება. ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ კლასიკური ტექნოკრატიზმი ემყარება პესონალის ეფექტიანი გამოყენების იდეას და აქცენტს აკეთებს არა მმართველობით, არამედ ინსტრუმენტალურ ორიენტაციაზე. კლასიკური ტექნოკრატიზმის იდეოლოგიად მიიჩნევენ ფ. ტეილორს¹, რომელსაც მიაჩნდა, რომ შრომას არ მოაქვს კმაყოფილების გრძნობა. ამიტომ, მომუშავები არ მიისწრავიან შემოქმედებისა და დამოუკიდებლობისაკენ. მათი მისწრავებაა მხოლოდ ხელფასის მიღება.

შემდგომ, ადამიანების მართვისადმი კლასიკური ტექნოკრატიული მიდგომა შრომითი რესურსების მართვის კონცეფციით იცვლება. იგი უმეტესად ცნობილია საკადრო მენეჯმენტის სახელწოდებით. მისთვის დამახასიათებელია: შრომის საგულდაგულოდ ნორმირება, ამოცანათა მკაფიოდ დასმა, დისციპლინის მკაცრი კონტროლი, შრომის მოტივაციის გაიგივება მხოლოდ მატერიალურ სტიმულირებასთან, პერსონალთან მუშაობის შემოფარგვლა მხოლოდ სამუშაოზე დაქირავებისა და სამუშაოდან გათავისუფლების საკითხებით. ადამიანებისადმი ასეთი მექანიზმი მიდგომა იწვევდა მასობრივ ნევროზებს, უპასუხისმგებლობას და პიროვნების შესაძლებლობათა არაეფექტიან გამოყენებას.

XIX საუკუნის განმავლობაში წარმოებაში ადამიანთა მდგომარეობა თანდათანობით უმჯობესდებოდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: შრომის ინტენსიფიკაციის ამაღლებით მწარმოებლურობის ზრდის რეზერვის ამოწვრება და მუშაობის კოლექტიური ფორმის მასობრივი გამოყენება. ასეთ პირობებში, ცხადია, წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ადმიანთა პიროვნული ფაქტორის გათვალისწინება. წინა პლანზე წამოიწია პიროვნებასთან დაკავშირებულმა ისეთმა საკითხებმა, როგორიცაა: მომუშავეთა რაციონალური და გააზრებული ქცევა, მათი ქცევისა და მუშაობის შედეგის როგორც მატერიალური, ასევე მორალური სტიმულირება, შრომის შემოქმედებითი ხასიათის ამაღლება, მომუშავეთა წარმოების მართვაში მონაწილეობა, ზრუნვა მათი განვითარებისა და სწავლებისათვის და ა. შ. ყოველივე ამის შედეგად წარმოებაში ადამიანებთან ურთიერთობამ თანდათანობით მიიღო ადამიანურ რესურსებთან ურთ-

¹ Веснин В.Р. Управление персоналом. Теория и практика. М., 20008, с. 29.

იერთობის სახე. მისი საწყისი ეტაპი ეკონომიკურ დიტერატურაში ცნობილია ჰუმანისტური ტექნორატიზმის სახელწოდებით, რომლის მიხედვითაც ადამიანი განიხილება ინდივიდუალურობისა და თოთოეულის ინტერესების გათვალისწინების გარეშე. მოცემულ ეტაპზე ითვლებოდა, რომ ადამიანი თვითონ უნდა ზრუნავდეს თავის თავზე, თავის განათლებაზე, განვითარებაზე და სხვ. ამიტომ, პერსონალზე დანახარჯები კვლავაც განიხილებოდა როგორც დასახანი ხარჯები და მისი გაღება მომუშავებს ევალებოდა.

საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპზე ხდება პერსონალის მართვის საკადრო ფუნქციის გადაზრდა ადამიანური რესურსების მართვაში. პერსონალის მართვის განვითარების ეს ორი ეტაპი შეესაბამება საზოგადოების განვითარების ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ სტადიებს. თუმცა, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაშიც არსებობს კადრების მართვის ეტაპზე მყოფი საწარმოები

ადამიანური რესურსების მართვის მთვარი დებულებაა ის, რომ მსოფლიოში მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში ერვნული კონკურენციარიანობის მთვარი ფაქტორებია არა მიწა, კაპიტალი და ბუნებრივი რესურსები, როგორც თვლიდნენ კლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლები, არამედ მაღალკალიფიციური ადამიანური რესურსები და სამეცნიერო ბაზა. ცხადია, ყოველივე ეს არ ამცირებს მიწის, კაპიტალისა და ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობას.

ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე ტენდენციებია: ადამიანური რესურსების მართვის ტრანსფორმაცია ინსტრუმენტული საკადრო ფუნქციიდან ორგანიზაციათა პერსონალის სტრატეგიულ მართვაში; ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალიზაცია; ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციების ინტერნაციონალიზაცია, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია მრავალი მრავალი კორპორაციების შექმნასა და ფუნქციონირებასთან; ადამიანური რესურსების მართვაში სოციალური პარტნიორობისა და შრომით ურთიერთობათა წილის გაძლიერება; მოტივაციის პრინციპებისა და სისტემების ცვლილება; მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებიდან ადამიანური რესურსების განვითარებაზე გადასვლა და ა. შ.

ადამიანური რესურსების მართვა ადამიანებს განიხილავს როგორც ორგანიზაციის ძირითად ელემენტს. იგი ისეთი სამი მნიშვნელოვანი კომპონენტის მომცველია, როგორიცაა: შრომითი ფუნქცია, სოციალური ურთიერთობა და ინდივიდუალურობა. ახლა ადამიანი

ითვლება ორგანიზაციის მთავარ სიმდიდრედ და წარმატების გადამწყვეტ ფაქტორად, რომელზეც დამოკიდებულია წარმოების დანარჩენი ფაქტორების გამოყენების ეფექტიანობის ხარისხი.

კადრების მართვიდან ადამიანური რესურსების მართვაზე გადასვლით იცვლება საკადრო საქმიანობის პარადიგმები. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი: 1) პერსონალის საკადრო მართვისას მისი მთავარი ამოცანა იყო წარმოების უზრუნველყოფა მოცემულ პერიოდში საჭირო ადამიანებით, ხოლო ადამიანური რესურსების მართვისას, ფირმის სტრატეგიის უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური თანამშრომლებით; 2) საკადრო მართვისას უპირატესად ადგილი აქვს ვერტიკალურ კომუნიკაციებს, ხოლო ადამიანური რესურსების მართვისას, პორიზონტალურს; 3) საკადრო მართვისას ადგილი აქვს კვალიფიკაციის ინდივიდუალურ ამაღლებას, ხოლო ადამიანური რესურსების მართვისას, მოქნილი პროგრამების საფუძველზე კომპანიის (ორგანიზაციის) იტერესებზე ორიენტირებულ პერსონალის სისტემატურ განვითარებას; 4) საკადრო მართვისას შრომის მოტივაცია უპირატესად ეკონომიკური ხასიათისა, ხოლო ადამიანური რესურსების მართვისას აქცენტი გაეთებულია ურთიერთობაზე, დასაქმების შენარჩუნებასა და გაფართოებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, შრომის ნორმალური პირობების უზრუნველყოფაზე; 5) საკადრო მართვისას პერსონალის ინფორმირების ხარისხი მინიმალურია, ხოლო ადამიანური რესურსების მართვისას იგი არის მაქსიმალური.

XX საუკუნის ბოლოდან დიდი პოპულარულობით სარგებლობს ადამიანებისადმი ჰუმანისტური მიღღომა. ამ მიღღომით ადამიანი განიხილება როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენი, ორგანიზაციის წევრი და მისი მთავარი სებიექტი. ადნიშნულმა მიღღომამ თეორიული ასახვა პოვა ა. მასლოუსა და დ. მაკ. გრევორის შრომებში¹. ამ მიღღომის მიხედვით, შრომას მომუშავეთათვის მოაქვს კმაყოფილება და ისინი ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ ორგანიზაციის მისის რეალიზაციაში. ამასთან, ისინი მიისწრაფვიან იყვნენ დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და თავიანთი საქმიანობის გამკონტროლებელი.

ვ.ვესნინის¹ და სხვა შესაბამის სპეციალისტთა მოსაზრებით, ადამიანური რესურსების მართვის ადგილს თანდათანობით იკავებს “ადამიანის მართვა”, ანუ სოციალური მენეჯმენტი. მისი მიზნებია: განვითარების სფეროში ადამიანის მოთხოვნილებებისა და კანონ-

¹ Веснин В. Р. Управление персоналом. Теория и практика. М., 2008, с.33.

იერი ინტერესების დაქმაყოფილება; მართვის დეცენტრალიზაცია; ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებისათვის პერსონალისა და ადმინისტრაციის ურთიერთპასუხიმგებლობის უზრუნველყოფა; ორგანიზაციული ფასეულობების ფორმირება და კულტურის განვითარება; კეთილსასურველი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა; დამოუკიდებლობისა და თვითკონტროლის გაფართოება და ა. შ.

პრაქტიკაში გამოიყენება ადამიანური რესურსების მართვის სხვადასხვა მოდელი. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება ადამიანის მართვის მეთოდებით და ილეთებით, რომლებიც, აგრეთვე, ითვალისწინებს ეროვნულ თავისებურებებს. მოცემულ პრობლემაზე მომუშავე სპეციალისტების აზრით, არსებობს ადამიანური რესურსების მართვის შემდეგი მოდელები: “სპორტული გუნდი” (“შრომის ბაზარი”), “ადამიან-კაპიტალი”, “პარტნიორული (დასავლეთევროპული)”, “რუსული”, “აკადემია” და სხვ.

პირველი მოდელისათვის (“სპორტული გუნდი”) დამახასიათებელია: ორგანიზაციის გარედან მოკლევადიანი სესხები; კადრების შერჩევა პროფესიონალური ნიშნით; მომუშავეებისა და ადმინისტრაციას შორის კონფრონტაციული ურთიერთობა; მინიმალური ყურადღება პერსონალის სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისადმი; მომუშავეთა მოტივაციაში ეკონომიკური ორიენტაციის დომინირება; ადამიანთა ერთგულება პროფესიისადმი და არა ორგანიზაციისადმი და ა. შ.

“ადამიან-კაპიტალის”¹ მოდელი გავრცელებულია იაპონიაში. მისთვის დამახასიათებელია: ცვალებადი დასაქმება, როცა მომუშავეები დაყოფილია დროებითებად და მუდმივებად (ამ უკანასკნელთათვის ხშირად იყენებენ გრძელვადიანი ან მუდმივი დაქირავების პრაქტიკას); პერსონალის სწავლებაში დიდი ინვესტიციები; ყურადღების გამახვილება სრულია პრობლემების გადაწყვეტაზე; უწყვეტი განათლება და კვალიფიკაციის ამაღლება სამუშაო ადგილზე; მართვაში მომუშავეთა ფართო მონაწილეობა; კადრების მუდმივი როგორისადმი და წარმომადგენლობის განვითარების პრინციპები; ხელფასის დონის განვითარება ასაკის, სტაჟის, კვალიფიკაციისა და შრომის შედეგის მიხედვით და სხვ. აღსანიშნავია, რომ ადამიანური რესურსების იაპონური სისტემა ჩამოყალიბდა მომუშავეთა უკმარისობის პირობებში, რამაც გარკვეული გავლენა იქნია მის

მოდელზე.

ადამიანური რესურსების მართვის ამერიკული მოდელისათვის დამახასიათებელია: მომუშავეთა დაქირავებისას მაღალ კალიფიციურებზე ორიენტაცია; მომუშავეთა მოქლევადიანი დაქირავება; შრომის ინდივიდუალური ორგანიზაცია; მომუშავეებს შორის ძლიერი კონკურენცია; გადაწყვეტილებათა შემუშავება და მიღება ზევიდან ქვევით; გადაწყვეტილების მიღების ინდივიდუალური ხასიათი; უფლებამოსილებათა ფართო დელეგირება; ინდივიდუალური პასუხისმგებლობა; ინდივიდუალური კონტროლი; სწრაფი კარიერა; შრომის შედეგის ინდივიდუალური შეფასება; ვიწრო პროფილის სპეციალისტთა მომზადება; ანაზღაურება ინდივიდუალური შედეგის მიხედვით.

ადამიანური რესურსების პარტნიორული, ანუ დასავლეთევროპული მოდელისათვის დამახასიათებელია: სრულიალური პარტნიორობა და კოლექტიური ხელშეკრულება; ხელმძღვანელობასა და დაქვემდებარებულებს შორის სტატუსში განსხვავების შემცირება; შრომის კეთილსასურველი პირობების შექმნა; დია საქმიანი ურთიერთობის წახალისება; მოგებაში მონაწილეობა; კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება და სხვ.

რუსული მოდელისათვის დამახასიათებელია: პატერნალიზმი, ხელმძღვანელთა ორიენტაცია ორგანიზაციის და არა პერსონალის პრობლემების გადაწყვეტაზე; ნებისმიერი რანგის კვალიფიციურ მომუშავეთა დაუცველობა მესაკუთრეებისა და ადმინისტრაციის თვითნებობისაგან; ადამიანური რესურსების მართვის სფეროს მუშაკთა არაპროფესიონალიზმი; დამჭირავებლებისა და ადმინისტრაციის დაუცვერებლობა მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებით; სიმნელეები მომუშავეთა დათოვნისას (გათავისუფლებისას) და ა. შ.

ადამიანური რესურსების მოდელი “აკადემია” გულისხმობა: ძირითად საკუთარ კადრზე დაყრდნობას და პერსონალის შევსებას მხოლოდ ახალგაზრდა სპეციალისტების ხარჯზე; საქმიანობის კოლექტიური შედეგის შეფასებას; ლინიალურობისა და ორგანიზაციისადმი ერთგულების პატივისცემას; პერსონალის განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების წახალისებას; განათლებასა და ინტელექტზე ორიენტაციას და ა. შ.

ზემოაღნიშნული მოდელებიდან ადამიანური რესურსების მართვის ქართული მოდელი უკელა უკელოვდება რუსულს. მისთვის, ისე როგორც რუსული მოდელისათვის, დამახასიათებელია

¹ Веснин В. Р. Управление персоналом. Теория и практика. М., 2008, с.33.

ხელმძღვანელობის ორიენტაცია ორგანიზაციის და არა პერსონალის პრობლემების გადაწყვეტაზე; ყველა რანგის კვალიფიციურ მომუშავეთა დაუცველობა მესაკუთრეებისა და ადმინისტრაციის თვითნებობისაგან; ადამიანური რესურსების მართვის სფეროს მუშაკთა არაპროფესიონალიზმი; მესაკუთრეებისა და ადმინისტრაციის დაუინტერესებლობა მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებით და ა. შ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ, ადამიანური რესურსების მართვის ზოგიერთი საკითხის მიმართებაში, ქართული მოდელი ძირეულად განსხვავდება რესურსისაგან. მაგალითად, რესურსი მოდელისათვის, ქვეყანაში არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, დამახასიათებელია სინელექტი მომუშავეთა დათხოვნისას (გათავისუფლებისას). რაც შეეხება ქართულ მოდელს, აქ პირიქითა-მისოვის, საქართველოში მოქმედი შრომითი კანონმდებლობიდან გამომდინარე, დამახასიათებელია მომუშავეთა დათხოვნისას მეტიმეტი სიმარტივე და თავისუფლება. ამას ხელისუფლებაში მყოფი ან ყოფილი ზოგიერთი ე.წ. ლიბერალი სწრინ იმით, რომ ასეთი შრომითი კანონმდებლობა აუმჯობესებს ბიზნესის გარემოს დამქირავებელთათვის, რამდენადაც მათ, როცა მოქანასიათებათ, თავისუფლად შეუძლიათ დაითხოვონ დაჭირავების მუშაკები. ცხადია, ასეთი მოსაზრება მცდარია. უძრალო ჭეშმარიტებაა, რომ ბიზნესთან დაკავშირებული ხებისმიერი კანონმდებლობა ჰარმონიულად უნდა იცავდეს როგორც დამქირავებლების, ასევე დაქირავებულების ინტერესებს, XXI საუკუნეში არ შეიძლება დაქირავებულ ადამიანებს მოვაქცეოთ ისე, როგორც მათ ექცეოდნენ XVIII და XIX საუკუნეებში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ადამიანური რესურსების მართვის ზემოაღნიშნული მოდელი ჩამოყალიბდა უაღრესად რთული და ნებარიური პროცესების მქონე სოციალურ-შრომითი ურთიერთობების პირობებში, რომელიც განპირობებული იყო ისეთი მოვლენებით, როგორიცაა: საზოგადოებრივი წარმოების არნახული ტემპებით დაცემა და მისგან გამოწვეული ტოტალური უმუშევრობა; მასობრივი უმუშევრობის პირობებში მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის უქმარისობა; ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაციის მკვეთრი გაუარესება; უმეტეს საწარმოებში საკადრო პოლიტიკის შეუსაბამობა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან; ადამიანური რესურსების მართვის მეთოდიკური და სამართლებრივი უზრუნველყოფის დაბალი დონე; პერსონალის მართვის სისტემაში დასაქმებულთა დაბალი პროფესიონალიზმი და ა. შ.

სამწუხაოდ, ზემოდასახელებული მოვლენებიდან უმრავლესობა დღესაც სახეზეა, რაც, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს ადამიანური რესურსების მართვის მოდელის სრულყოფაზე. დასახელებული მოვლენებიდან აღნიშნული მოდელის გაჯანსაღებას განსაკუდებულად უშლის ხელს პერსონალის მართვის სისტემაში დასაქმებულთა დაბალი პროფესიონალიზმი. რატომდაც, საქართველოში წარსულშიაც და ახლაც ორგანიზაციების ხელმძღვანელთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ პერსონალის მართვაში დასაქმებულებს არ მოეთხოვებათ სპეციალური პროფესიული მომზადება, რაც, ცხადია, ძირშივე მცდარია. ისინი თვლიან, რომ მოცემულ სფეროში მენეჯერი შეიძლება იყოს ნებისმიერი გამოცდილი ადამიანი, რომელსაც აქვს ცხოვრებისეული გამოცდილება. ამიტომაა, რომ დღეს სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციებში ადამიანური რესურსების მართვის სამსახურებში მათი ხელმძღვანელებისა და რიგითი მომუშავეების დიდ ნაწილს არ აქვს არა მარტო სპეციალური პროფესიული განათლება, არამედ ზოგად ეკონომიკური ან იურიდიული განათლებაც კი. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ქვეყანაში ბოლო წლებში მდგომარეობა არა თუ არ გამოსწორებულა, არამედ გაუარესდა კიდევ. რაც, ძირითადად გამოწვეულია შესაბამისი სპეციალისტების დეფიციტით. მაგალითად, თუ ახლო წასულში ადამიანურ რესურსებთან მუშაობის სამსახურებისათვის ქვეყანაში, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მზადდებოდა კადრები შრომის ეკონომიკისა და ადამიანური რესურსების (პერსონალის) მართვის სპეციალობებით (თუნდაც სპეციალიზაციების სახით).

ამრიგად, ზემოაღნიშნული და სხვა შესაბამისი ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება დაგასკვნათ, რომ საქართველოში ადამიანური რესურსების მართვის არსებული მოდელი ჯერ კიდევ ვერ პასუხობს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს, რაც მიუთითებს მოცემული პრობლემის როგორც მეთოდიკურ-თეორიული საკითხების კვლევის, ასევე მისი სრულყოფისათვის პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობაზე.

Models of Human Resources Management

N. Paichadze

In above article by historical order such approaches to human resource management are considered as: technocratic, which consists of two stages: earlier and classical technocratism; Concepts of labour resource management, which is known by the name of Staff Management; Humanist technocratism, which further will grow into personal management(human resources).

In this article such models of Human Resource Management as: "Sport Team" ("Labour Market"), "Human Capital", "Partnership(Western-European)," "Russian," "Academy" are characterized in details.

Here also is given a classical analysis of Georgian model and some other ideas are shown to provide its improvement.

სრინიალური მედია-მარკეტინგი

ტურიზმში:

რეალობა და პერსონალისტიკა

ჩარიხა ჯაში

თსუ ეკონომიკისა და
ბიზნესის ფაკულტეტის
მარკეტინგის კათედრის
ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე მარკეტინგი მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის. მწვავე კონკურენციულ ეკონომიკურ გარემოში ბიზნესს მეტად რთულ ვითარებაში უწევს საქმიანობა. ასეთ პირობებში მომხმარებლებთან მომგებიანი, სტაბილური ურთიერთობების შენარჩუნება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ბიზნესისათვის. მეცნიერი და პრაქტიკოსი მარკეტოლოგები დღეს თანხმდებიან იმაზე, რომ სოციალური მედია - მარკეტინგი მარკეტინგული კომუნიკაციების ეფექტიანი საშუალებაა მომხმარებელთა სტიმულირებისათვის. იგი ხელს უწყობს, რაც შეიძლება მეტად მიმზიდველად წარმოჩინდეს პროდუქტი და მომსახურება მიზნობრივი მომხმარებლის წინაშე.

ბოლო პერიოდში ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები გაფართოვდა, დაემატა ახალი ინტერაქტიული არხები, რომელმაც უფრო გააძლიერა მომხმარებელთა შესაძლებლობები.

მარკეტერები კი ისეთი ახალი გამოწვევების წინაშე დადგნენ, როგორიცაა სოციალური-მედია მარკეტინგის გამოყენება კომპანიის წარმატებული სტრატეგიის მისაღწევად.¹

სოციალურ მედია -მარკეტინგმა რევოლუციური გადატრიალება მოახდინა გლობალურ სამყაროში და სოციალური კომუნიკაციების ახალი საშუალებებით კიდევ უფრო გააძლი-

¹ Mott, E. Integrated Marketing Communications Has Evolved, lyrishq.lyris.com

ერა მომხმარებელთა როლი ბიზნეს ინდუსტრიაში. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლეული ადასტურებს, რომ სოციალური მედია -მარკეტინგის გამოყენება ტურიზმის ბიზნესს ანვითარებს, ტურისტული მომსახურების ხელმისაწვდომობის პროცესს ამარტივებს და მომსახურების ხარისხს ზრდის.¹

საერთაშორისო ტურისტული კალეგის ცენტრი PhoCusWright მიუთითებს, რომ სოციალური მედია მარკეტინგი არის ტურიზმის დაგეგმვისა და ორგანიზების ეფექტიანი საშუალება. სოციალური მედიის გამოყენება ტურიზმის პოპულარიზაციისათვის უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე თვით ტურიზმის ბიზნესის განვითარება. სოციალური მედია თავისი ქსელების საშუალებით ფლობს მიზნობრივი ბაზრის უკეთ მომსახურებისათვის ყველა ძერკეტს.²

ბრენდის რეკლამირება რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით და ვირტუალური სივრცის მეშვეობით მისი პოპულარიზაცია განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში, სადაც ტურიზმი ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად არის მიჩნეული დღეისათვის და ხორციელდება მისი განვითარების ეფექტიანი დონისძიებები. თუმცა, ნაკლებად არის გამოყენებული სოციალური მედია - მარკეტინგის ინსტრუმენტები ტურისტთა მოსაზიდად. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური - მედია მარკეტინგის გამოყენებისა და მომხმარებელზე მისი ზემოქმედების ეფექტიანობა ტურიზმის სფეროში ჯერ კიდევ შეუსწავლელია. საკმაოდ მწირი და ნაკლებ პროფესიონალური ინფორ- მაციებია ქართულ ვებგვერდებზე განთავსებული, არც სამეცნიერო პუბლიკაციებია ამ თემაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული მარკეტინგის შესახებ საფუძვლიანი კვლევაა ჩატარებული და საინტერესო ნაშრომებიცაა გამოქვეყნებული.³ „ახალი ზემოქმედნი“ ასეთი სათაურით დაიბეჭდა 2007 წელს

¹. socialmediasocialmarketing.com, Why is social marketing is critical for tourism? www.articlesbase.com

². PhoCusWright travel research 2010 Com, score tourism research 2010 www.hospitalityupgrade.com

³. 6. თოდება, რ. აბუდაძე. საქართველოს ინტერნეტ-ბაზრის კვლევა, თბ., 2008 ინტერნეტ- მარკეტინგის სახელმძღვანელო, თბ., 2011.

პაულ გილინის ბეტსელერი წიგნი, რომელიც მარკეტოლოგების სახელმძღვანელო გახდა სოციალური მედიაში. ტრადიციული მარკეტინგის მიხედვით, პროდუქტისა და მომსახურების მიმართ მომხმარებლის უკმაყოფილება გადაეცემოდა დაახლო- ებით 10 ადამიანს, რაც დღეს უკვე მომველებული მიდგომაა. სოციალური მედიის ახალ ერაში მომხმარებელს შეუძლია მიაწვდინოს საკუთარი ხმა 10 მლნ ადამიანს. მარკეტოლოგებს ეძღვავათ საშუალება აქტიური დიალოგი აწარმოონ მომხმარებლებთან და აღმართონ ნდობის კედელი, რაც მომხმარებელთა კეთილგანწყობისა და ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობის გარანტი გახდება.¹ სოციალური მედია-მარკეტინგი (მას სასაუბრო მარკეტინგსაც კი უწოდებენ) აერთიანებს ინტერნეტის მომხმარებელთა უზარზარმარ აუდიტორიას სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში. იგი დაბალი დანახარჯებით ახერხებს მომხმარებელთა დაინტერესებასა და სტიმულირებას მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. სოციალური -მედია მარკეტინგი ეხმარება მომხმარებელებს საკუთარი აზრებისა და შეხედულებების გამოხატვაში, იგი მიმართულია მიზნობრივ ბაზარზე მყოფი მომხმარებლისაკენ, რომელიც მყისიერად რეაგირებს ყოველგვარ მარკეტინგულ ქმედებაზე.² ვირტუალურ სივრცეში ინფორმაციის მიღების ბევრი საშუალებაა: ცნობარი, პორტალი, ბლოგები და სხვადასხვა სახეობისის ინტერნეტ საიტი, სადაც მომხმარებლები ეცნობიან ტურისტული მომსახურების შემოთავაზებებს. მათ საშუალება აქვთ ტურისტული პროდუქტები ერთმანეთს შეადარონ და სასურველი არჩევანი გააკეთონ. მომხმარებელთა არჩევანი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად მარტივია და დროულად მიიღებს მომხმარებელი ინფორმაციის სრულ პაკეტს ტურისტული კომპანიებისა და სააგენტოების მრავალფეროვანი შეთავაზების შესახებ. მოგზაურობის დროს განცდილი ისტორიები, გადაღებულ ფოტოსურათები და მომსახურების შედეგით კმაყოფილებისა და უკმაყოფილების ხარისხი დიდ ხანია განსჯის

¹. P. Gillin, *Secrets of Social Media Marketing: New Influencers, California 2007 P:XII, p 3-12*

ობიექტია. შთაბეჭდილებების გაზიარება, ინფორმაციის მიმოხილვა, რჩევების მიცემა როგორც მომხმარებლის, ასევე ტურიზმის ბიზნესის წარმომადგენ- ლებისათვის მეტად აქტუალურია. მოგზაურობებისა და ტურისტული მარშრუტების შესახებ ინფორმაციის 68,2 %-ს მომხმარებელები ღებულობენ ინტერნების საშუალებით. ტურისტულ ბიზნესში ელექტრონულმა ვაჭრობაში რადიკალურად შეცვალა ტურისტული პროდუქტების წარმოების, გაგრცელებისა და მომხარებელთა სტიმულირების პრაქტიკა. ვირტუალურ სივრცეში სოციალური ქსელების მრავალი სახეობა ფუნქციონირებს. ტურიზმის მარკეტინგისათვის ყველაზე ცნობილი და ეფექტური სოციალური მედია ქსელებია Facebook, Twitter, YouTube. ასევე სპეციალურადაა ჩამოყალიბებული მოგზაურების მრჩეველთა ჯგუფი (**Trip Advisor**),¹ რომელიც აქტიურად მუშაობს, რათა გაავრცელოს საჭირო შეტყობინება ტურიზმის სფეროში აპრობირებული და სოციალურ მედიაში გამოყენებული გამოცდილებების საფუძველზე, როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ დონეზე. ათასზე მეტი მოგზაურის მრჩეველი ვებგვერდებია ინტერნეტ-სივრცეში, რომელიც ეფექტურად გამოიყენება, როგორც ტურიზმის სექტორში ჩართული ბიზნესმენებისათვის, ასევე უშუალოდ მომხმარებელთა მიერ. მოგზაურთა მრჩეველი ჯგუფის მიერ მომზადებულ ვებგვერდებს თვეში 25 მლნ-ზე მეტი მნახველი ჰყავს.² საყოველთაოდ ცნობილია სახელმძღვანელოები/პორტალები ონლაინ-მარკეტინგისათვის და რეკლამები მოგზაურობასა და ტურიზმზე, რომლებიც შეიცავს ტურისტული მიმართულების შესახებ დებალურ ინფორმაციას. Google, Yahoo, DMOZ წარმოადგენს ვებგვერდებს, რითაც გროვდება მაღალი ხარისხის ინფორმაცია დამატებული საიტებისა და ბიზნესების მიხედვით, მათ შორის, საკონტაქტო ინფორმაციაც. მიმართული ან თვით საიტში ჩასმული ბლოგი არის ტურისტული სტატიების (იგივე პოსტების) მიწოდების მეთოდი.

¹ www.breakingtravelnews.com/tags/tag/tripadvisor/

² P. Gillin *Secrets of Social Media Marketing: new influencers 2007*, p.25-0; www.independent.co.uk/www.tourismkeys.ca/blog/tag/social-marketing/. www.sinotechblog.com.cn

ბლოგი გამოიყენება სიახლეების, შეტყობინებებისა და რეგულარული განახლებებისათვის, რაც უკავშირდება კონკრეტულ შემოთავაზებებს, ნიშებს ან/და ადგილმდებარეობებს.¹ განუზომლად იზრდება მიკრობლოგის როლი სოციალური მედიის მარკეტინგში. მიკრო-ბლოგის სამყაროს მეფედ გვევლინება Twitter, თუმცა, სხვა მსგავსი საიტებიც ფუნქციონირებს. Twitter-ს აქვს დაწესებული ლიმიტი 140 სიმბოლოზე თითოეული ჩანაწერისათვის მომხარებლები იყენებენ ლინკებს სურათებისათვის, ბლოგის შემადგენლობისათვის და აქტიურობის დამატებითი ინფორმაციისათვის.² Twitter 100-ჯერ უფრო მეტად სასარგებლოა მარკეტინგული კვლევისათვის, ვიდრე Google. თუ 2004 წლის დასაწყისში 1 მლნ ბლოგი იყო რეგისტრირებული, 2009 წლისათვის 112 მლნ დარეგისტრდა. მარკეტინგული მედია მარკეტინგი ტურიზმში იყენებს YouTube, Flickr, Scribd საიტებს, რომლებიც ძირითადად მიმართულია განსაკუთრებული სახეობის მედია მასალის განთავსებაზე, გამოყენებასა და დისტრიბუციაზე³. მაგალითად, შესაძლებელია YouTube-ზე არსებული ვიდეო ხელმისაწვდომი გახდეს ნებისმიერი საიტისათვის. ამის მსგავსად სურათები გამოიყენება სხვა საიტზე Flickr-ის მეშვეობით. სოციალური სანიშნები Stumbleupon, Digg, Propeller, Delicious შესაძლებელს ხდის კონკრეტული ონლაინ რესურსების ან ინტერნეტ-სანიშნეების უსაფრთხო შენახვასა და ასევე განთავსებას ისე, რომ ეს ინფორმაცია სხვებისათვისაც ხელმისაწვდომია. სოციალური ქსელის Facebook-ის ვებგვერდები მომხარებელს სთავაზობს ტურიზმის პროდუქტის ყველაზე დივერსიფიცირებულ კოლექციას, სადაც წარმოდგენილია სოციალური მედიის მთელი სპექტრი ფოტოებით, სასაუბრო ფორუმებით. Facebook-ს ყავს პერსონიფიცირებული, არაოფიციალური მომხმარებელი, ხოლო LinkedIn-ის სოციალურ ქსელი პროფესიონალ, გამოცდილ ადამიანებზეა ორიენტირებული. მას

¹ Social media for Tourism, Tutorial, Version 5 Last updated September 2010. www.atdw.com.au/.../tourism

² www.sinotechblog.com.cn ; www.upwardaction.com

³ P. Gillin *Secrets of Social Media Marketing: new influencers 2007* P:25-0; www.independent.co.uk/www.tourismkeys.ca/blog/tag/social-marketing/. www.sinotechblog.com.cn

85 მდნ მომხმარებელი პყავს. სოციალური მედია - მარკეტინგის სპეციალისტი ლორენ მაქმულენი მიიჩნევს, რომ წარმატებული სოციალური მედია - სტრატეგიისათვის აუცილებელია მთავარი/საკვანძო/ გზავნილების შექმნა და წარდგენა, რათა მიზნობრივი პაზარზე გაყიდვების სწრაფი ზრდის უზრუნველსაყოფად იქნეს მოპოვებული მომხმარებელთა პეთილგანწყობა. ტურიზმისათვის სოციალური მედია ქსელების ერთ-ერთი ფასეული სახეობაა სტატიის მარკეტინგი (**article marketing**). მრავალფეროვანი, ანალიტიკური სტატიები ტურიზმის შესახებ ზრდის ვებგვერდის ხარისხს. ტურისტული ადგილების რეკლამირება, ტურიზმის მასტიმულირებელი სავაჭრო ღონისძიებების ონლაინ რეჟიმით რეკლამირება მარკეტინგული სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტებია გრძელვადიან პერსპექტივაში.¹ ათასობით უნიკალური სტატიის წარდგენა და გავრცელება ელექტრონული უზრნალების მეშვეობით მნიშვნელოვნად გაზრდის სამოგზაურო და ტურისტული ვებსაიტის მნიშვნელობასა და ფასეულობას ტურისტებისათვის. ამასთან, ასობით ოქმატურად შესაბამისი და სტატიურ მარკეტინგთან ერთად ბლოგ მარკეტინგი უნიკალური და ეფექტური მხარდამჭერი საშუალებაა ტურისტული ადგილების რეკლამირებისათვის. ტურისტული სააგენტოებისა და სხვა ტურიზმის მასტიმულირებელი სავაჭრო ღონისძიებებისათვის. მრავალი სტატია, რომელიც უკავშირდება ტურისტულ ბლოგებს არის ძლიერი მარკეტინგული იარაღი ვებგვერდებზე მიზნობრივი შესვლის, განვითარებისა და სწრაფი ორმხრივი კავშირების მეშვეობით საძიებო სისტემათა სრულყოფისათვის. სოციალური მედია სანიშნების ინსტალირება (**Bookmarking**) არის ერთ-ერთი სწრაფი მეთოდი ინტერნეტ მომხმარებლებისათვის, იმისათვის რათა მათ ჩამოაყალიბონ, დაანაწილონ და მართონ მიმდინარე ხელმისაწვდომი ვებ- რესურსები. სოციალური bookmarking-ის მომსახურება ეხმარება ინტერნეტის მომხმარებლებს იმაში, რომ რომ მათ შექმნან სპეციალური სანიშნები, რათა იგი უფრო შესამჩნევი და ადვილად მოსაძიებელი იყოს საძიებო სისტემების მიერ. როდესაც ტურისტული მიმოხილვის ჯგუფი ავრცელებს საჭირო ინფორმაციას ლიდერ bookmarking საიტებზე, როგორი-

¹ Social media for Tourism, Tutorial, Version 5 Last updated September 2010, p. 2.

ცაა Delicious, StumbleUpon, dig, Yahoo! Buzz და ა.შ, საგრძნობლად იზრდება შეთავაზებული მომსახურებებით დაინტერესებულთა რაოდენობა.¹ სოციალური მედიას მომხმარებელმა ზუსტად უნდა შეარჩიოს სოციალური ქსელი და მისი საშუალებით მოიძიოს ტურისტული პროდუქტი. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი არ არის ყველა სოციალური მედია საშუალებებისგან განსხვავებით, სოციალური მედია ინფორმაციის გადაცემის უნიკალურ გზებს იყენებს ყველა მიმართულებით. სოციალური მედია განვითარების პროცესი გაივლის სხვადასხვა ეტაპს. ტურიზმის სოციალური მედიას სასწავლო პროგრამაში მოცემულია სოციალური მედიის განვითარების 5 ეტაპი, რომელიც უშუალოდ შეესაბამება მომხმარებლის ქმედებას:

- ინერტიულია/inactive / –იგი ჯერ ჩართული არ არის სოციალურ ქსელებში და პასიურია;
- დამკიორვებელია /spectator/ - მხოლოდ დაკვირვების პროცესშია და არ არის ჩართული;
- ჩართულია /joiner/ –ქსელებში არის დარეგისტრირებული, მაგრამ პასიურია;
- კრიტიკულია/critic/ –აქტიურად ჩართულია და შეხედულებების გამზიარებელია;
- შემქმნელია/creator/- თვითონ ქმნის საკუთარ ბლოგს, ვიდეო რეკორდებს;²

ტურიზმის სოციალური მედიას კონსულტანტი პატრისია ბუშა/Hospitality net/, განასახვავებს სოციალური მედიას მომხმარებლის 5 ტიპს, გვთავაზობს სქემას, რითაც მარტივია ტურისტთა სოციალური ქცევის გაგება და შესაბამისი მარკეტინგის სოციალური მედიას სტრატეგიის ფორმირება ტურიზმისათვის.

¹ www.manta.com/c/mmc6qnc/nielsen-medical-research, International Journal of Tourism Research 2000, p.14; www.tourismkeys.ca/blog/tag/social-marketing/.

² Tourism Online Marketing Workshop with Ms Patricia Brusha, A Couple of Chicks E-Marketing arcres.com/Social-Media-Travel-Marketing.

კონკრეტული მედია	მიზანი	მიზანის მიზანი	მიზანის მიზანის მიზანი	მიზანის მიზანის მიზანის მიზანი
სოციალური მედია	სოციალური მედია	სოციალური მედია	სოციალური მედია	სოციალური მედია
სოციალური მედია	სოციალური მედია	სოციალური მედია	სოციალური მედია	სოციალური მედია
სოციალური მედია	სოციალური მედია	სოციალური მედია	სოციალური მედია	სოციალური მედია
სოციალური მედია	სოციალური მედია	სოციალური მედია	სოციალური მედია	სოციალური მედია

მრავალი ქვეყნის ტურისტი სოციალურ მედიას იყენებს ტურისტული მოგზაურობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს. კერძოდ:

- ონლაინის მოგზაურთა 40% მიიჩნევს, რომ სოციალური მედია განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სასტუმროებისა და რესტორნების არჩევანზე, ასევე მოგზურობის სახეობებზე;
- 70 % მომხმარებელი ენდობა ონლაინის რეკომენდაციებს;
- 50 % მომხმარებელი კითხულობს მოგზაურობის ბლოგებს;
- 57% ეყრდნობა მოგზაურთა მრჩეველ მიმოხილვით სტატიებს;
- მოგზაურთა მხოლოდ 12 % იყენებს ტრადიციულ რეკლამას.¹

როგორც ჩანს, მომხმარებლები არსებითად დამოკიდებული არიან სოციალურ ქსელებზე, რომელებიც ტურისტული პროდუქტების შერჩევისა და გადაწყვეტილების მიღებისას მათი მრჩეველია. ძვირადღირებულ რეკლამა ნაკლებად ახდენს ზეგავლენას მომხმარებლებზე. საერთაშორისო ბაზრის კვლევის კომპანიამ დიდ ბრიტანეთში ბურნმოუტის უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის პროფესორებთან ჯონ ფოტის და დიმიტრიოს ბჟაილთან ერთად გამოიკვლია, რომ ამერიკელი ონლაინ მომხმარებელთა 82 % სოციალური მედიის მომხმარებელია. კვლევაში მითითებულია, რომ სოციალურ ქსელი Twitter განსაკუთრებით ეფექტუანია ხანმოკლე მოგზაურობისათვის, რომელსაც უფრო მეტი სიხშირით უკვეთავენ მომხმარებელები მათვის სასურველ ტურისტულ მარშრუტებს.²

დისკუსიის ობიექტია სოციალური მედიის გამოყენება B2B

¹ www.stikkymedia.com/.../social-media-and-the-tourism-industry-statistics

² Stelzner M. Social Media Marketing Industry Report, White Paper Source ,2009,p. 11-

—ისათვის. ბევრ B2B კომპანიას მიაჩნია, რომ სოციალური მედიის გამოყენება ნაკლებ ეფექტიანია ორგანიზებულ ბიზნეს მომხმარებელთა სტიმულირებისათვის, ვიდრე B2C კომპანიისათვის. სოციალური მედია ინსტრუმენტი, მაგალითად, როგორიცაა LinkedIn, ეფექტიანად აყალიბებს ურთიერთთანამშრომლობის ფორმებს სხვადასხვა კომპანიებს შორის. Twitter, blogs-ის გამოყენება სარგებლიანია B2B კომპანიებისათვის.

თუმცა, არის მოსაზრებაც, რომ B2B-ისათვის სოციალური მედია გამოიყენება დამატებითი ინსტრუმენტად და არა როგორც პირდაპირი ურთიერთობების/ face-to-face/ ჩანაცვლება. ბიზნესის წინსვლისათვის პროფესიონალ მარკეტოლოგების მიერ სოციალური მედიის გამოყენება აპრილულად ითვლება. სოციალური მედია მარკეტინგის კონსულტანტი მიხეილ სტელზნერი მიაჩნიეს, რომ კომპანიების მარკეტინგულ სტრატეგიაში სოციალური ქსელების გამოყენებას უდიდესი პერსპექტივა აქვს მომავალში.

დღეს ტურიზმის ბიზნესის ჩართულობა სოციალურ ქსელებში მაღალია, თითქმის 88% იყენებს სოციალურ მედიას მარკეტინგული მიზნებისათვის. ამასთან მასში ტურიზმის ბიზნესის მესაკუთრები უფრო მეტად არიან ჩართული, ვიდრე ტურიზმის ბიზნესში დასაქმებულები. სოციალური მედია-მარკეტინგი განსაკუთრებით ეფექტიანი საშუალებაა ტურიზმის მომსახურების დაჯაგშის სისტემაში.¹

დაბოლოს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მედია- მარკეტინგს ტურიზმის ბიზნესში განუზომელი შესაძლებლობები გააჩნია. მისი გავლენა დღითიდღე იზრდება. სამუშაო, სოციალური მედია- მარკეტინგი ქართულ ტურიზმის ინ-

¹ Social media for Tourism, Tutorial, Version 5 Last updated September 2010, p.26.; M. McDougall, Making Social Media Marketing Campaign Accountable, www.sinotechblog.com.cn; J.Hope Jonhstone, Secrets for Successful Social Media Marketing, 2010, p.27

დუსტრიაში ნაკლებადაა გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ არის რამდენიმე ბლოგი ქართული ტურიზმის შესახებ, YouTube - ზე, Twitter-ზე, LinkedIn- ზე არსებობს ინფორმაცია ქვეყნის ტურისტული მიმართულებების, საქართველოს ტურიზმის სააგენტოს დონისძიებების შესახებ იგი ნაკლებად ინტერაქტიულია. ასევე ტურიზმის მრჩეველთა ჯგუფის (Trip Advisor) მიერ მომზადებული ანალიტიკური მასალები ძნელი მოსაძებნია. ამიტომ აუცილებელია ამ საქმიანობაში განსაკუთრებული ინტენსიურობით უნდა ჩაერთონ აკადემიური სფეროს წარმომადგენლები, რომელთაც ხელეწიფებათ ანალიტიკური მრავალფეროვანი მასალის მომზადება ქართული ტურიზმის რეალური შესაძლებლობების შესახებ. იმედია, რომ სოციალური მედია-მარკეტინგი მაღალ გახდება ქართული ტურისტული ინდუსტრიის ეფექტიანი მასტიმულირებელი ძალა.

Social Media Marketing in Tourism: Reality and Perspectives

Ch. Jashi

The article analyses the role of social media marketing in tourism and perspectives of using the social networks for promoting tourism industry in Georgia. Market for travel and tourism is changing dramatically for recent years. Social media marketing is strong instrument for increasing the motivation of tourist consumer. Social media marketing is the way for companies for getting close to consumers. According to the International Tourist Research Centers 88% of representatives of tourism business are actively used social media and 70 % of consumers trust of recommendation given by social networks. Social media marketing can also be helpful in understanding the attitudes of customers. Tourism is one of the main priority of Georgian industry, where a number of activities were provided for supporting tourism development in the country. At the

same time , the value of social media marketing in tourism business is not well recognized yet. There's lack of investigation about the impact of social media marketing on tourist behavior in the country. You can find websites and blogs on tourism, but it is rather difficult to obtain effective analytical articles on tourism in the virtual space. It is urgent to involve representatives of academic sphere , to prepare attractive materials for tourists. Social network consumer has opportunity to share opinions with million consumers about tourism destinations, service quality. We believe that social media marketing will be strong instrument to forward tourism and hospitality industry in the country.

ქალთული ტესტის პრესტიჟი-ნარიანია და წარმოების განვითარების სტრატეგიები

ეთერ ხარამვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი
თსუ მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი

აგროსასურსათო სექტორის განვითარება სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა. დღეისათვის საქართველოში ამ სექტორის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე. განვითარებული კონკურენტული უპირატესობებით საქართველოს აგროსასურსათო სექტორი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიოს წამყვან პოზიციებს, თუმცა, ბუნებრივი უპირატესობებით ქვეყანას შეუძლია კონკურენტუნარიანი გახდეს ზოგიერთი პროდუქტის წარმოებით, რომელთა შორისაა ქართული თხილი. ამ პროდუქტის კონკურენტული უპირატესობები შემდეგი გარემოებებით არის განპირობებული: ა/ საქართველოში თხილის წარმოება ტრადიციულია და ამ სფეროში დაგროვილია პროდუქტის მოვლა-მოყვანის გამოცდილება; ბ/ ქვეყნის ბუნებრივი პირობები იძლევა თხილის კულტურის მოყვანის შესაძლებლობებს ზღვის დონიდან 1500-1800 მეტრამდე, რასაც წარმოების გაფართოებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს; გ/ მიკროზონების მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები განსაზღვრავს პროდუქტის ორიგინალურ კვებით, სამკურნალო, საპარფიუმერიო და სხვა დირებულებებს; დ/ ქართული თხილი ეკოლოგიურად სუფთაა, მდგრადია დაავადებებისადმი, რაც ზრდის მასზე მოთხოვნას. „ვფიქრობ, ჩვენთან ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების კარგი შესაძლებლობა გვაქვს და ამ სახით მსოფლიო ბაზარზე მყარად დამკვიდრების პერსპექტივაცა“¹; ე/ პროდუქტის წარმოებით მიიღწევა ბუნებრივი და სხვა რესურსების, ასევე

საექსპორტო შესაძლებლობათა ეფექტიანი გამოყენება; ვ/ თხილის პროდუქტის რეალიზაცია არსებითად არ არის დამოკიდებული რუსეთის ბაზარზე. ამასთან, ევროპისა და აზიის ბაზრებზე ამ პროდუქტები დაფიციტია. ეს კი საქართველოში თხილის ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის; ზ/ მსოფლიოში თხილის ბაზარს თურქეთი აკონტროლებს და შესაბამისად იგი ახდენს გავლენას თხილის ფასზე, ასევე სხვა ბაზრებზე. ამ ქვეყანასთან ტერიტორიული სიახლოვე განაპირობებს ნაკლები სატრანსპორტო დანახარჯებით პროდუქტის მიწოდებას თურქეთის, ასევე ევროპისა და აზიის დანარჩენ ბაზრებზე; თ/ მრავალფეროვანი ენდემური და ახალი ჯიშები პროდუქტის განსხვავებული სახეობების დამზადებისა და მომზარებლებზე მიწოდების საშუალებას იძლევა (მოხალული თხილი, თხილის გრანულები, თხილის პასტა, თხილის ფქვილი, დაშაქრული თხილი, თხილის ზეთი). დიფერენცირებული პროდუქტების მიწოდება, თავის მხრივ, განსხვავებული ფასების დაწესებისა და მწარმოებელთა შემოსავლების გაზრდის საშუალება.

ამრიგად, საქართველოში თხილის ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-რესურსული და ეკონომიკური პოტენციალი არსებობს. ქვეყანას ენდემური ჯიშების სიმრავლით (შევლისყურა, გულშიშველა, ბერძნულა, ანაკლიური, ხაჭაპურა, ნექსა) საერთაშორისო ბაზრებზე მაღალხარისხიანი პროდუქტის მიწოდება შეუძლია. კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ინდიკატორების დაკმაყოფილების შემთხვევაში თხილი საქართველოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის კულტურათა შორის განიხილება.

ამოკვლევებმა აჩვენა, რომ აგროსასურსათო სექტორში პროდუქტების უმეტესობა არაკონკურენტუნარიანია² და მწარმოებელთა 62%-ის აზრით ამ სექტორში კონკურენციის გაწევა როტულია.³ ამავე დროს, ევროპისა და აზიის ქვეყნებში საქმაოდ მაღალკონკურენტული სასურსათო ბაზრები ფუნქციონირებს.

¹ <http://www.ambebi.ge/sazogadoeba/844-patriarqis-sashobao-epistole.html>

² ე. ხარაშვილი, ფ. მამარდაშვილი, საქართველოს აგრარული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასება, ერთადი ეკონომიკა, მაისი, 2009.

³ მეწარმეს სამაგიდო წიგნი, მეწარმეობის მხარდაჭერი საერთაშორისო ცენტრი, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის კლება, თბილისი, 2008, გვ. 103.

ამიტომ, ნებისმიერი ქვეყნისთვის, ასევე მწარმოებლისთვის მთავარი ამოცანაა ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი პროდუქტის მიწოდება. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში შესაბამისი ეკონომიკური სამსახურებისა და კვლევითი დაწესებულებების მიერ არ ხდება აგროსასურსათო პროდუქტების (ფირმის, სექტორის, დარგის) კონკურენტუნარიანობის დადგენა.

მიმდინარე ეტაპზე საქართველოს აგროსასურსათო სექტორისათვის პრიორიტეტულია იმპორტიდან ექსპორტზე რეორიენტაცია. თუმცა, მნიშვნელოვანი პრობლემაა ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობების არასათანადო შეფასება.¹ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კონკურენტუნარიანობის შეფასების საფუძველზე იმ პროდუქტების გამოვლენა, რომლებზეც მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნა არსებობს და საქართველოში მათი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებიცაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის ძირითად მიზნად დავისახეთ ქართული თხილის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა და მის საფუძველზე წარმოების განვითარების დომინანტური სტრატეგიების შეფასება.

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა ეკონომიკური ანალიზის მეთოდები, რაოდენობრივი შეფასებისათვის ვისარგებლეთ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური აღრიცხვის მასალებითა და პუბლიკაციებით; ჩავატარეთ ანალიტიკური და სტატისტიკური მონაცემების შედარებითი ანალიზი; გამოვიყენეთ არასტანდარტული გამოკითხვის მეთოდი (ინტერვიუები ექსპერტებია და სპეციალისტებთან) და შინამეურნეობათა გამოკვლევის მონაცემთა ბაზა (1996-2009წ); პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონე დათვლილი იქნა „ex-post“ მეთოდით, კონკურენტული უპირატესობის შესაფასებლად და თხილის ბაზრის მიკროგარემოს ანალიზისათვის გამოყენებული იქნა „ex-ante“ მეთოდი.

თხილის ბაზარზე ევროპისა და აზიის ქვეყნისათვის მთავარი კონკურენტია თურქეთი. მისი წილი თხილის გაყიდვების მთლიან მოცულობაში 75%-ია. ეს მაჩვენებელი იმაზე მიუთითებს,

¹ ასლანიშვილი ნ., საქართველო და დანარჩენი მსოფლიო: UNCTAD-ის ვაჭრობისა და განვთარების ინდექსების მხედვით, საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, კვარტალური მიმოხილვა, მაისი, 2008, გვ. 72.

რომ პროდუქტზე ფასების კონტროლი თურქეთს შეუძლია. ცხადია, ამ ქვეყანას თხილის მწარმოებელ ქვეყნებს შორის ფართობების მიხედვითაც წარმატები უჭირავს. სურსათისა და აგროკულტურის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით თხილით დაკავებული ფართობი თურქეთში 345 ათას ჰა-ს შეადგნენ, იტალიაში ეს მაჩვენებლი 69 ათასი ჰა, აზერბაიჯანში – 19,5 ათასი ჰა, ესპანეთში – 12,1 ათასი ჰა, აშშ-ში – 11,8 ათასი ჰა, ირანში – 11 ათასი ჰა, საქართველოსა და ჩინეთში – 8,8 ათასი ჰა. წარმოებული პროდუქტის მოცულობის მიხედვით პოზიციები შემდეგნაირად არის განაწილებული: თურქეთი – 501,6 ათასი ტ., იტალია – 112,3 ათასი ტ., ესპანეთი 18,3 ათასი ტ., აშშ – 28,5 ათასი ტ.ა., აზერბაიჯანი – 18,6 ათასი ტ., ირანი, საქართველო და ჩინეთი – თითოეული 12 ათასი ტ.¹

ბოლო პერიოდში საქართველოს აგროსასურსათო სექტორში გამოიკვეთა დარგები, რომლებმაც ექსპორტის მოცულობაში პრიორიტეტული ადგილი დაიკავეს და მათ პროდუქტებზე მოთხოვნა ზრდადია. ასეთი დარგების რიცხვს მიეკუთვნება მემკენარეობა, კერძოდ კაკლოვანები, რომელთა შორის გამოირჩევა თხილის წარმოება. 2009 წლის მონაცემებით სოფლის მეურნეობის დარღობრივ სტრუქტურაში მემკენარეობის წილი 44%-ს შეადგნდა, მათგან კაკლოვანებია 3,1%, ხოლო კაკლოვანების 72,7% კი თხილის კულტურაზე მოდის.²

საქართველოში თხილით დაკავებული ფართობი ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა. ამ მაჩვენებლის დადგენა მფიციალური სტატისტიკური მასალებით შეუძლებელია, თუმცა, ექსპერტული შეფასებებიც საკმაოდ განსხვავებულია. სურსათისა და აგროკულტურის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით საქართველოში თხილის კულტურას 12 ათასი ჰა უჭირავს,³ სხვადასხვა წყაროს მიხედვით ასევე დასახელებულია ციფრები – 40,0 ათასი ჰა, 29,5 ათასი ჰა, 13-16 ათასი ჰა და სხვა.¹

„თხილის საექსპორტო კომპანიის“ მონაცემებით სამეგრელო-ხემო სფანდუში თხილის ფართობი 10114 ჰა-ს შეადგნენ, გურიაში –

¹ www.maf.gov.ge

² საქართველოს სოფლის მეურნეობა 2009, თბილისი, 2010, გვ. 18, 48, 54.

www.geostat.ge 31.01.2011.

³ www.maf.ge/index.php?pg=ser&s=sursaTisa%20da%20agrokul

3339 ჰა-ს, იმერეთში – 1305 ჰა-ს, აჭარაში – 275 ჰა-ს, კახეთში – 388 ჰა-ს.² ამ მონაცემების მიხედვით თხილის ფართობის რაოდენობა საქართველოში 15421 ჰა უნდა იყოს. 2009 წელს საქართველოში 21,8 ათასი ტონა თხილი იქნა წარმოებული.³ ოფიციალურად აღიარებული წარმოებული პროდუქტის რაოდენობისა და თხილის საექსპორტო კომპანიის მიერ აღრიცხული ფართობის პირობებში თხილის მოსავლიანობა (ერთ ჰა-ზე) 1,41 ტონა იქნება.

სურსათისა და აგროკულტურის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ თხილის საშუალო საჰქერარო მოსავლიანობა არის: თურქეთში 1,45 ტონა, იტალიაში – 1,63 ტონა, ესპანეთში – 1,51 ტონა, აშშ-ში – 2,4 ტონა, აზერბაიჯანში – 0,95 ტონა, ირანში – 1,09 ტონა, საქართველოში – 1,5 ტონა.⁴ ექსპერტებსა და საეციალისტებთან ინტერვიუების საფუძველზე გაირკვევა, რომ საქართველოში თხილის მოსავლიანობა საშუალოდ 1,45 ჰექტარს არ აღემატება. ასეთ პირობებში უნდა ვივარაუდოთ, რომ თხილის ფართობის რაოდენობა ქვეყანაში 15034 ჰა-ზე მეტს არ შეადგენს.

საქართველოში თხილის წარმოების დინამიკის შესწავლაში გვიჩვენა, რომ 2006 წელს 1998 წელთან შედარებით, მისი წარმოება 7,7 ათასი ტონით გაიზარდა.⁵ ხოლო 2009 წელს 2006 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 1,7 ათასი ტონით არის შემცირებული (იხ. ცხრილი 1). ამავე წლის მონაცემებით თხილის წარმოების 83,9% სამი რეგიონის – სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიისა და იმერეთის წილად მოდიოდა. იგივე მაჩვენებელი 2006 წელს 95,6% იყო. ცვლილება გამოწვეულია იმით, რომ დასავლეთ საქართველოს გარდა თხილის ბადების გაშენება აქტიურად დაიწყო აღმოსავლეთ რეგიონებშიც, შესაბამისად გამოიკვეთა წარმოების გაფართოების სტრატეგიებიც.

¹ www.ghn.ge/news-6544.html

www.nutexportcompany.com/index.php

www.maf.ge/index.php?rec_start=5&rec_start=0&pg

www.aplr.org/?lang=geo

² [/nutexportcompany.com/index.php](http://nutexportcompany.com/index.php)

³ საქართველოს სოფლის მეურნეობა 2009, თბილისი, 2010, გვ. 54.

⁴ გაანგარიშებულია ავტორის მიერ თფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით.

⁵ ე. ხარამშვილი, მ. ჩავლევაშვილი, თხილის ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები საქართველოში, ურნალი „აგროინფო“,

თხილის წარმოების მაჩვენებლები საქართველოში¹
(ათასი ტონა)

ცხრილი 1

რეგიონი	წლები			
	2006	2007	2008	2009
საქართველო	23,5	21,2	18,7	21,5
იმპ.	5,7	4,5	4,2	3,7
საქართველო	3,2	3,2	3,9	3,3
საქართველო ზოგადი სამსახური	0,5	0,6	0,3	1,4
საქართველო რეგიონი	1,1	1,5	4,2	3,5

თხილის წარმოების აღნიშნული პარამეტრების პირობებში გაანგარიშებული იქნა ამ პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონე. პროდუქტისა და ფირმის კონკურენტუნარიანობა მეცნიერთა მიერ ერთი და იგივე მეოთედიკით არის შეფასებული. „ფირმა კონკურენტუნარიანია თუ მას შეუძლია კონკურენციის პირობებში თავისი პროდუქტი გაყიდოს და ხანგრძლივი დროის მანძილზე მიიღოს „მაღალი“ რეალური შემთხვევადი“.²

მიმდინარე პერიოდში თხილის კონკურენტუნარიანობა „ex-post“ მეოთედით შეფასდა, კერძოდ გაანგარიშებული იქნა შემდეგი ინდექსები: გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RCA), ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RXA), იმპორტის შედარებითი შემოღწევადობის ინდექსი (RMP), ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RTA).³

ინდექსების გასაანგარიშებლად გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, თხილის საექსპორტო კომპანიისა და FAO-ს მონაცემები (1996-2008 წლები).⁴

კონკურენტუნარიანობის „ex-post“ ანალიზმა გვიჩვენა, რომ თხილის პროდუქტზე კონკურენტუნარიანობის ინდექსები წლების მიხედვით დიფერენცირდებულია (იხ. ცხრილი 2).

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სოფლის მეურნეობა 2009, თბილისი, 2010, გვ. 54.

² Baade, 2007, s. 42.

³ Weindlmaier, 1999, s. 2-3-4.

ქართული თხილის კონკურენტუნარიანობის ინდექსები
ცხრილი 2

რეგიონი	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
RCA	5,1	1,0	3,0	0,6	1,6	0,9	1,0	1,1	1,0	1,0	2,0	2,1	3,0	2,1
RMP	-	-	-	-	-	1,0	1,3	1,0	1,1	1,1	3,0	2,1	2,0	2,0
RTA	-	-	-	-	-	1,0	1,0	1,0	1,0	2,1	3,0	4,0	4,0	4,0

აგროსასურსათო პროდუქტებზე რამდენიმე წლის მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს შემთხვევაში RCA და RXA ინდექსებს შორის განსხვავება არ არის, ამიტომ, ძირითადად მხოლოდ RXA ინდექსის გაანგარიშება ხდება.² პროდუქტი არა-კონკურენტუნარიანია იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ინდექსის მნიშვნელობა ერთზე მეტია. ცხრილის მონაცემები ცხადყოფს, რომ ამ მაჩვენებლის მიხედვით ქართული თხილი კონკურენტუნარიანია. დინამიკაში კონკურენტუნარიანობის დონის შოკური ზრდა არის დაფიქსირებული, განსაკუთრებით აღსანიშნავია 1999-2000 და 2005-2006 წლები. ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსის დინამიკაში შესწავლამ დაადასტურა, რომ ქართული თხილი კონკურენტუნარიანია და სტრატეგიული მნიშვნელობის კულტურათა რანგში უნდა იქნას განხილული. 2009-2010 წლებში თხილის წარმოება, 2008 წელთან შედარებით, 3,1 ათასი ტონით არის გაზრდილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსი ბოლო წლებში ზრდადი იქნება.

ქართული თხილზე იმპორტის შედარებითი შემოღწევადობის ინდექსის ცხრილში მოტანილი მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ პროდუქტი ამ მაჩვენებლითაც კონკურენტუნარიანია.¹


¹ FAO (2008): FAOSTAT. Food and Agricultural Organisation of United Nations (FAO); <http://faostat.fao.org/default.aspx> 20.01.2011.; www.geostat.ge; <http://nutexportcompany.com/index.php>

² ე. ხარაიშვილი, ფ. მამარდაშვილი, საქართველოს აგრარული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასება, გურჯალი „ეკონომიკა“, მაისი, 2009.

RTA ინდექსში ერთდროულად არის გათვალისწინებული ექსპორტებისა და იმპორტების მოცულობა. თუ გაფითვალისწინებთ, რომ ინდექსის დადებითი მნიშვნელობა პროდუქტის კონკურენტუნარიანობას ნიშნავს, ხოლო უარყოფითი – არაკონკურენტუნარიანობას, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულის მიხედვით ქართული თხილი კონკურენტუნარიანია.

თხილის კონკურენტუნარიანობის დონის სრულყოფილი შეფასება საქართველოს თხილის ბაზრის მიკროგარემოს ანალიზსაც მოითხოვს (იხ. სქემა).

საქართველოს თხილის ბაზარი



თხილის ბაზრის სტრუქტურის მიკროეკონომიკურმა ანალიზი გვიჩვნა, რომ საქართველოში ამ პროდუქტის ბაზარი სამი მიმართულებით ვითარდება. სტრუქტურაში წამყვან როლს ასრულებს სადისტრიბუციო კომპანიები, შემდეგ პოზიციებზეა თხილის გადამამუშავებელი ქარხნები და ბოლოს - ფერმერები. პირველი

¹ RMP ინდექსის ერთზე ნაკლები მნიშვნელობის შემთხვევაში პროდუქტი გადალენიკურენტუნარიანია, ხოლო ერთზე მეტის დროს ნაკლებკონკურენტუნარიანია.

სეგმენტისათვის თხილის მიმწოდებელია წვრილი ფერმერები, რომელებიც თხილის ბაზების მთლიანი ფართობის 95%-ს ფლობენ.

თხილის ბიზნესის წარმატებული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ვერტიკალურად და პორიზონტალურად ინტეგრირებული წარმოების სისტემის შექმნა, სადაც თავმოყრილი იქნება ნედლეულის წარმოება, გადამუშავება და რეალიზაცია. ექსპორტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ გურიისა და სამეგრელოს რეგიონებში ფუნქციონირებს მცირეზომის ინტეგრირებული ფირმები. თხილის ბაზარზე ძირითადად 100-მდე საშუალო და წვრილი თხილის გადამამუშავებელი ქარხნაა. ბოლო წლებში გაშენდა 50-100 პეტრონის ბაზები, მაგრამ მათი წილი ბაზარზე ჯერჯერობით უმნიშვნელოა. უახლოეს პერსპექტივაში თხილის ბაზრის სტრუქტურის ნაწილობრივ შეცვლას გამოიწვევს კერძო კომპანია „ფერერო“ („Ferrero“) ბაზარზე შესვლა. აღნიშნული კომპანია ცნობილი საკონდიტორ ბრენდების („Nutella“, „Raffaello“, „Kinder Chocolate“) მწარმოებელია და სამეგრელოს რეგიონში შესყიდულ 1200 ჰა მიწაზე გებაგას 6 მილიონიან ინგესტირებას.¹ 3-4 წლის შემდეგ საბაზრო სტრუქტურაში გარკვეულ ცვლილებებს შეიტანს ასევე ქართული კაპიტალით შექმნილი შპს „დორანი“, რომელიც კახეთში 50 ჰა თხილის ბაზის მფლობელია. მრიგად, ბაზრის მეორე და მესამე სეგმენტიც ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად ვითარდება. სპეციალისტებთან ჩაღმავებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ამ სეგმენტებისთვის მთავარი პრობლემა საბაზო სესხების დაფიციტი და სარგებლის განაკვეთის მაღალი დონე.

თხილის პროდუქტის სტრატეგიული მნიშვნელობა მისი ექსპორტის მოცულობის მიხედვითაც უნდა შეფასდეს. 2009 წელს საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის სასაქონლო ჯგუფის სტრუქტურაში თხილისა და კაპლის ექსპორტმა 70,0 მლნ ლიტერი შეადგინა. შედარებისათვის აღვინიშნავთ, რომ ტრადიციული ქართული დვინის ექსპორტი ამ წელს მხოლოდ 32,0 მლნ, ხოლო მინერალური წყლებისა 24,7 მლნ ლიტერი იყო.

2008-2010 წლებში ქართული თხილის ექსპორტის მაჩვნევებელი ზრდადი იყო. თხილის ყველაზე მეტი რაოდენობის ექსპორტი 2009

¹ www.aplr.org/?lang=geo მიწის მესაკუთრეთა დაცვის ასოციაცია, 12 იანვარი, 2011.

წელს დაფიქსირდა – 69,3 მლნ დოლარი, რაც მთლიანი სასურსათო ექსპორტის 24,3%-ია. 2010 წლის I კვარტლის მონაცემებით თხილის ექსპორტის მოცულობა ეფოპის ბაზარზე კონტროლის გამკაცრების გამო გასული წლის ანალიგიურ მაჩვენებელთან შედარებით 12%-ით შემცირდა.¹

თხილის ბაზრის სტრუქტურის ანალიზმა ასევე გვიჩვენა, რომ ქვეყნაში წარმოებული თხილის უმეტესი ნაწილი (90%-ზე მეტი) საქართველოს პროდუქტია, შეიძლოა მოხმარებას მხოლოდ 10% უჭირავს (საკონდიტრო საწარმოები, შოკოლადის ქარხნები, რესტორნები, მაღაზიები და სხვა). თუმცა საკონდიტრო ნაწარმის ქსელებისა და შოკოლადის ქარხანა „ბარამბოს“ სიმძლავრეების გაფართოებით ამ პროდუქტზე მოთხოვნა საგარაუდოდ მცირდება, მაგრამ მაინც გაიზრდება.

ქართული თხილის ექსპორტის 95% დარჩეულ თხილზე მოდის. ექსპორტის სტრუქტურაში მაღალი ხევდრითი წონა, დაახლოებით 70-80%, ევროპის ქვეყნებს უჭირავს, მათ შორის გამოირჩევა გერმანია - 35%.² დარჩეული თხილი ასევე გადის რუსთის, უკრაინის კაზახეთის, ბალტის ქვეყნებში. აზიის ბაზარზე უპირატესად დაურჩეველ თხილზეა მოთხოვნა, მომხმარებელთა შორის გამოირჩევა ერაყი და ორანი. ამ ქვეყნებში საექსპორტო მოთხოვნილების დააკმაყოფილება ხდება სამეცნიეროს რეგიონში მოყვანილი ანაკლიური ჯიშის თხილით. ქართული თხილის პროდუქტი მიეწოდება აშშ და ავსტრალიის ბაზრებსაც.

წარმოების განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირის ბაზარი თხილზე მოთხოვნის მიხედვით დაფიციტურია. მსოფლიოში თხილის წარმოების მასშტაბების ზრდის მიუხედავად ამ პროდუქტზე მაღალი მოთხოვნა კვლავ შენარჩუნებული იქნება. საქართველოში თხილის წარმოების ზრდის მასშტაბების, ამ პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონის, მიწის რესურსების პოტენციალის, ბაზრის სტრუქტურის ანალიზიდან გამომდინარე, პერსპექტივაში მოსალოდნელია მსოფლიო ბაზრის მაქსიმუმ

¹ <http://nutexportcompany.com/index.php>

² ე. ხარაიშვილი, ნ. ჩავლეშვილი, კაპლოვანი კულტურების ბაზრის განვითარების მდგრადირება და პერსპექტივები, საქართველოს სოფლის მეურნეობის მცხოვრებათა აკადემიის მთაბეჭ, თბ., 2006, გვ. 266.

10%-იანი ნიშის ათვისება. ექსპერტული შეფასებით, მიმდინარე პერიოდში საქართველოს წილი მსოფლიო თხილის ბაზარზე 2-3%-ია. ამასთან, საქართველომ, როგორც თხილის მწარმოებელმა ქვეყანამ, მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა და უნიკალური პროდუქტის წარმოების სტრატეგია უნდა აირჩიოს. კლასიკური თეორიების თანახმად, კონკურენტული სტრატეგიის იდეა სწორედ განსხვავებული ნიშის მოძებნაა.¹

ზრდადი მოთხოვნის პირობებში თხილის ბაზრის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორია პროდუქტზე ფასების არასტაბილურობა. პრობლემაა ისიც, რომ თხილის მიმწოდებლებს, მომხმარებლებსა და საბაზრო ურთიერთობებში ჩართულ სხვა მონაწილეებს შორის კაგშირები სუსტია და სტიქიურად ყალიბდება. 2010 წლის მონაცემებით, ერთი კბ დაურჩეველი თხილის შესყიდვის ფასი 3,50 ლარია, ევროპის ბაზარზე კი დარჩეული პროდუქტის ფასი 5,20 დოლარია. ერაყში დაურჩეველი ერთი კილოგრამი თხილი 2,10 დოლარი ღირს. შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მსოფლიო ბაზარზე ქართული თხილი საშუალოდ 20 ცენტით ძირია, ვიდრე თურქელი. მაშასადამე ქართული თხილი საფასო ფაქტორის გათვალისწინებით არაკონკურენტუნარიანია, რაც აფერხებს პროდუქტის რეალიზაციას.

მთლიანობაში, საქართველოს კონკურენტუნარიანი თხილის პროდუქტის წარმოების ბუნებრივ-რესურსები და ეკონომიკური პირობები გააჩნია. ქართული ენდემური ჯიშის თხილი კონკურენტუნარიანობის მაღალი დონით ხასიათდება. პროდუქტის კონკურენტუნარიანობის რეალურად შეფასება და ექსპორტის დივერსიფიკაციის დასაბუთებული სტრატეგია უზრუნველყოფს თხილის წარმოების მდგრად განვითარებას და ქვეყნის გაონომიკური კეთილდღეობის ზრდას.

¹ Майкл Портер, Конкуренция, 2002, с. 55.

**Competitive Ability of Georgian
Hazelnut and Strategies of Production Ability**

E. Kharashvili

The Article has evaluated competitive priorities of Georgian hazel-product, characterized the hazel-nut natural resource and economic potential of business development.

At current stage for Georgian Agro-product sector is a priority matter is re-orientation from import to export. The article is substantiated that in order to settle the above problem the important role will be fulfilled be exposure of the products which are demanded at the present day market based on evaluation. Georgia has helpful conditions for development of these products..

The hazelnut production parameters are analyzed in dynamics, the areal growth potential abilities are extimated. In regional scope is given the expansion strategy of this product.

Based on production indexes there has been calculated the level of competitive ability of Georgian hazelnut at present time. The hazelnut competitive ability has been evaluated by « ex-post » method, in particular the following evaluated indezes are : index (RCA), export comparative priority index (RXA) comparative import penetration index(PMP), trade priority comparative index(RTA).

Based on microeconomic analysis of hazel nut market structure the statement has been made that these product are the main participants - distribution companies, the hazel nut manufacturing enterprises and farms which trigger the plants and farms. In orde to develop business successsfully in vertical and horizontal way is to create production system where will be accummulated processing and sale of raw material..

The strategic trends of hazel nut development are evaluated in Europe and Asia markets accoprding to paaing out positions the special attention is paid to priceing factors analysis.

**ლეიტ წარმოების საწყისები
თბილისში**

თამაზ ააზამა,
სრული პროფესორი

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მევენახეობა და მეღვინეობა წარმოადგენდა და წარმოადგენს ქართველი კაცის ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის ობიექტს, რომლის საწყისი საუკუნეების სიღრმეში მიდის და ისეთივე ძველია, როგორც ქართველი ხალხის ისტორია. საქართველოში ასევე ცნობილი იყო ლუდის დამზადებაც, მაგრამ ფეოდალური მეურნეობის პირობებში, ის არ წარმოადგენდა ვაჭრობის საგანს. მას ძირითადად ამზადებდნენ სხვადასხვა რელიგიური დღესასწაულებისათვის ან სტუმრის საპატივსაცემად. ასე, რომ ლუდი მზადდებოდა საშინაო მოხმარებისთვის და მისი დამზადების ტექნოლოგია შესაბამისად გადაეცემოდა თაობიდან-თაობას.

XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთთან საქართველოს მიერთების შემდგომ, მეფის ხელისუფლებამ მთელ ამიერკავკასიაში და რა თქმა უნდა საქართველოშიც, დაიწყო თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების განხორციელება. ეკონომიკაში მის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს გადაქცევა რუსული მანუფაქტურის გასაღების ბაზრად და იაფი ნედლეულის მოპოვების წყაროდ. რაც შეეხება პოლიტიკურ მიზნებს, იგი მიმართული იყო საქართველოს რუსიფიკაციასა და კოლონიზაციისგან. მთავარმართებელ პავლე ციციანოვის (ციციშვილი) დროს, 1806 წლის დასაწყისში, საქართველოში ჩამოსახლებული იქნა რამდენიმე ათასი რუსი კოლონისტი. 1814 წელს კი, მთავარმართებელმა რტიშებმა იმპერატორს წარუდგინა “სრულიად საქართველოს გენერალური რუსა”, სადაც ნაწვენები იყო როგორც გარეშე მტრების თავდასხმების, ისე შინა არეულობის შედეგად მიტოვებული მიწები და დასვა საკითხი ამ მიწებზე უცხოელების ჩამოსახლების შესახებ.¹

¹ 3. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XXსს, ტI, თბილისი, 1949, გვ. 465.

ქტების წევრთა თხოვნა, როგორც მთავარმართებულთან ასევე რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-თან მათი საქართველოში ჩამოსახლების შესახებ. ისინი იყვნენ სექტების (მენონიტები, პიეტისტები, ბაპტისტები და სხვა) უკიდურესად ეგზალტირებული ნაწილი, რომლებსაც ლუთერანულ კალვინისტებისათვის ეწოდათ “სეპარატისტები”. რაც შეეხება მათ სწრაფვას კავკასიისკენ, ეს გამომდინარეობდა მათი წინასწარმეტყველის ქადაგებიდან 1836 წელს ქვეყნისტების დასასრულსა და ერთადერთი სხის გზაზე, რომელიც არარატის მთის სიახლოეს დასახლებაში მდგომარეობდა.

იმპერატორ ალექსანდრე I თანხმობით, “სეპარატისტების” პირველი ნაკადის ჩამოსახლება განხორციელდა მთავარმართებულ ერმოლოვის დროს. ოუ გერმანელი კოლონისტების პირველი ნაწილის საქართველოში ჩამოსვლა არაორგანიზებულად მოხდა, 1818 წელს ამიერკავკასიაში ჩამოსახლებულებმა, 1819 წელს სულ რვა კოლონია დააფუძნეს, მათ შორის ორი თბილისში. ერთი კოლონია მდებარეობდა ქალაქის მაშინდელ გარეუბანში – კუპიაზე, მეორე კი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე დიდუბის სახაზინო მიწებზე. დანარჩენი 6 კოლონია დაფუძნდა საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის სხვადასხვა რაიონში.¹ გერმანელი კოლონისტების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მევენახობა-მედვინეობამ, რასაც მათ ჩამოსახლებისთანავე მიჰყევს ხელი და გამოიჩინეს დიდი უნარი ვნახის მოშენებასა და მოვლაში. მათი ეს არჩევანი, ჩვენი აზრით, განაპირობა იმანაც, რომ სოფლის მეურნეობის ეს დარგი შედარებით მაღალი შემოსავლის მომტანი იყო.

თბილისში ჩამოსახლებულ გერმანელ კოლონისტთა შორის 36 სხვადასხვა პროფესიის ხელოსანი იყო. ნიშანდობლივია, რომ მათ შორის იყო 6 მელუდე. სწორედ ამას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის 30-იან წლებში გერმანულ კოლონიებში ამოქმედდა 4 ლუდსახარში.² თუმცა ამ ლუდსახარშებმა მოკლე დროში შეწყვიტეს მუშაობა, რასაც გარკვეული მიზეზები გააჩნდა: დაბალი ხარისხის გამო ლუდმა ვერ მიიზიდა ადგილობრივი მოსახლეობა, უფრო მეტიც, გერმანელი კოლონისტებიც არ ყიდულობდნენ მას. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, საქართველოში დამზადებული დვინის სიჭარბე და დაბალი ფასი, რის გამოც კოლონისტებმა დვინის მოხმარებას მი-

¹ გ. მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, თბ., 1974, გვ. 30.

პყვეს ხელი.

მოგვიანებით – 1850 წელს, ქ. თბილისის გერმანელ კოლონისტთა დასახლებაში მადერმა დაიწყო ლუდის დამზადება, რომლის ხარისხი და ფასი კოლონისტებისათვის მისაღები აღმოჩნდა. უფრო მეტიც, ლუდის მიმართ თანდათან იზრდებოდა ადგილობრივ მოსახლეობის ინტერესი. ამგვარად, ლუდის წარმოება თანდათან გადავიდა სასაქონლე რელსებზე და გერმანელი კოლონისტების გარდა, ადგილობრივი მოსახლეობაც მიიზიდა. ამ მხრივ, აღსანიშნავია რუსეთის იმპერიის მთავრობის თავმჯდომარის სერგეი ვიტტეს მოგონებანი, რომელიც დაბადებულია თბილისში და ბაგრატობაში მამასთან (პროვინციელ ჩინოვნიკთან) ერთად, რომელსაც 1860-იან წლებში უხდებოდა გერმანელ კოლონისტთა ყოფა-ცხოვრებაზე დაკვირვება, დადიოდა მათ ოჯახებში. სვიტე აღნიშნავს, რომ თბილისში მცხოვრებ გერმანელთა კოლონიებში სისტემატიკურად მოიხმარდნენ ლუდებ.¹ ამგვარად, თბილისში სასაქონლო ლუდის წარმოებას საფუძველი ეყრება 1850-იან წლებში. ასევე გვერდს ვერ ავტორით გერმანელ კოლონისტთა პრობლემების მკვლევარ გურამ მანჯგალაძის მოსაზრებას, გერმანელ კოლონისტთა როლის შესახებ თბილისში ლუდის წარმოების დაფუძნებაზე.

ლუდის წარმოება თბილისში კიდევ უფრო გამოცოცხლდა 1865 წელს, როდესაც ვეტცელმა დაიწყო ბაგარიული ლუდის გამომვება. მან იმდენად კარგად ააწყო ლუდის წარმოება, რომ სამ წელიწადში ქვით-კირისგან ააგო ლუდსახარშის დიდი შენობა და გერმანიიდან მოიწვია მაღალპორფესიონალი მელუდები. ლუდზე მოთხოვნილების ზრდამ სტიმული მისცა ახალი ლუდსახარშების დაფუძნებას. სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში, გერმანელთა კოლონიაში, ამოქმედდა დიტრიხის და გუტბროდის ლუდსახარშები. ნიშანდობლივია, რომ ამ საქმით დაინტერესდნენ თბილისის მეწარმეები. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ გუტბროდის ლუდსახარში იყიდა ვინმე ნლორთქიფანიძემ. უფრო მოგვიანებით, 1884 წელს, კირიშეგმა საკუთარი ლუდსახარში გახსნა ახალციხეში.² ამგვარად, თბილისის გუტბრნიაში 1884 წლისათვის მოქმედებდა ხუთი ლუდსახარში.

როგორც აღინიშნა, თბილისში არსებული ოთხივე ლუდსახარში მოწყობილი იყო გერმანელთა კოლონიებში, ქალაქის განაპირობაზე. მას შემდეგ კი, რაც თბილისში გაყვანილი იქნა რკინიგზა,

¹ С. Витте, Воспоминания, Т. I, СПБ, 1909, с. 45.

² С. Гулишамбиров, Обзоръ фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлисъ,

აშენებული იქნა რკინიგზის სადგური და დამხმარე ნაგებობები, ინტენსიურად გაიზარდა დასახლებები. ეს პროცესი ისე სწრაფად წარიმართა, რომ სულ მოკლე ხანში გერმანული კოლონიები დასახლების ცენტრში აღმოჩნდნენ. ბუნებრივია, ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი ლუდის რეალიზაციის ზრდას. აღსანიშნავია, რომ ლორთქიფანიძემ, რომლის ლუდსახარში გერმანულ კოლონიაში მდებარეობდა, ლუდის გაყიდვა დაიწყო ქალაქის ცენტრში არსებულ ბაღებში, როთაც კიდევ უფრო გაზარდა ლუდის რეალიზაცია. ლორთქიფანიძეს მიბაძეს სხვა მწარმოებლებმა და ყოველი ლუდსახარშის გვერდით გაისხნა ბაღები ლუდის რეალიზაციისათვის. ამგვარად, ლუდის წარმოებამ და რეალიზაციამ დიდი გასაქანი მიიღო. ს. გულიშამბაროვი ამასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ ღვინოზე ფასების ზრდასა და მისი ხარისხის გაუარესების გამო, თბილისელები არჩევდნენ კარგი და იაფი ლუდის მოხმარებას. იგი მიუთითებს, რომ ღვინის ფასი 40 კაპიკიდან 2 მანეთამდე გაიზარდა, მაშინ როდესაც 1 ვედრო ლუდი 1 მანეთი და 50 კაპიკი დირდა.¹ რა თქმა უნდა, მისი ეს მოხსაზრება არ არის სწორი, რადგან ქართველი კაცის ცხოვრებაში ღვინოს თავისი ადგილი ჰქონდა და ლუდს თავისი ადგილი. თუმცა, იგი მართალია იმ კუთხით, რომ ღვინის ხარისხი იმ პერიოდისათვის მართლაც დაეცა. ამაზე მეტყველებს 1887 წელს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრებაზე ზ. ა. ჯორჯაძის მოხსენება, რომელშიც მითითებულია, რომ საჭიროა დაცულ იქნეს ღვინის დაყენების ქართული ტრადიცია და აიგრძალოს ღვინის ქიმიური საშუალებებით დამუშავება, რასაც ეპროპაში იყენებენ. ამასთან, მან სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში შეიტანა წინადაღება აკრძალულიყო ღვინის დაყენება იმ რაიონებში, სადაც ვენახი არ იყო, ვინაიდან ეს ხელს უწყობდა ღვინის ფალსი-ფიკიციას.²

ინტერესს იმსახურებს თბილისის გუბერნიაში მოქმედი ლუდსახარშების წარმოების პროცესი. უპირველეს ყოვლისა, საკითხი ეხება ლუდის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულს. ამ მიმართულებით უველა ლუდსახარში გამოიყენება ქერს, რომელიც დიდი რაოდე-

¹ С. Гулишамбаров, там-же, с. 36.

² გიორგი ბერიძე, თემურ დლონტი, ქართველი მედვინები, თბ., 1974, გვ. 15.

ნობით იწარმოებოდა ერევნის გუბერნიაში და შედარებით იაფი ლირდა. ერთი ფუთი ქერისგან იწარმოებოდა 4 ვედრო ლუდი. რაც შეეხება სვიას, მისი საჭირო რაოდენობა მთლიანად შემოიტანებოდა საზღვარგარეთიდან. თბილისში არსებეული ოთხი ლუდსახარშიდან მხოლოდ ორში გამოიყენებოდა ორთქლის ქვაბები და მანქანები – ფრ. ვეტცელთან და ა. მადერთან. ამიტომ, სრულიად არ არის გასაკვირი, რომ ეს მეწარმეები სათბობად გამოიყენებოდნენ ნაკობბპროდუქტებს, რაც შედარებით იაფი ლირდა, ვიდრე შეშა, რომელსაც რ. დიტრიხისა და 6. ლორთქიფანიძის ლუდსახარშებში გამოიყენებდნენ.¹

თბილისში, ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ზაფხულობით აუცილებელი იყო ლუდის ჩაციება. ამ მიზნით, ლუდის მეწარმენი ღრმა სარდაფებს იყენებდნენ. ამ სარდაფებში ინახავდნენ გაზაფხულის პირზე შეგროვილ თოვლასა და ყინულს. რაც შეეხება ყინულის წარმოებას, ეს განახორციელა ფარმაცევტმა ზემელმა, თუმცა მისი დანადგარი წყალს არ ყინავდა, მაგრამ აციებდა 0° C-მდე. ლუდის მეწარმეებიდან მხოლოდ ფრ. ვეტცელმა გადაწყვიტა ამ პრობლემის მოგვარება და 1887 წელს შეიძინა ყინულის დამაზადებელი მოწყობილობა.

თბილისის არც ერთ ლუდსახარშებში დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატებოდა 16 მუშას, ხოლო მათი ხელფასი მერყეობდა თვეში 15-დან 25 მანეთამდე. თბილისის გუბერნიაში დამზადებულ ლუდსა და რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალზე წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

¹ С. Гулишамбаров, Обзоръ фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлисъ, 1888, с.

თბილისის გუბერნიაში წარმოებული ლუდისა და შემოსავლის ოდენობა¹

რესურსის რაოცხუა ცალკეული		შემოსავლის მაღალი მარკა	
წელი	1854	1855	1856
რ. მადლინი	51,246	51,255	51,254
რ. მაკერი	30,000	28,000	40,000
რ. ლარიფერები	26,000	27,000	26,000
რ. მუჭათა	-	4,000	7,000
კ. კარელა	100	4,000	4,000
კ. კარელა	100	4,000	4,000

როგორც ჩანს, 1886 წელს წარმოებული იქნა 143,354 ვედრო ლუდი, რომლის სარეალიზაციო ფასი მერყეობდა ხარისხის შესაბამისად – 1 მან. 30 კაპიკიდან, 1 მანეთსა და 60 კაპიკამდე. ადსანიშნავია, რომ თბილისში წარმოებული ლუდი თითქმის მთლიანად თბილისში იყიდებოდა, თუმცა, მცირე რაოდენობით გადიოდა ბორჯომსა და ქუთაისში. ქუთაისში თბილისურ ლუდს კონკურენციას უწევდა ოდესაში, როსტოკსა და ვარშავაში დამზადებული ლუდი, რომელიც ხარისხით უფრო მაღალი იყო და უფრო ძვირი დირდა. აღნიშნული ლუდი მცირე რაოდენობით შემოდიოდა თბილისშიც და მიუხედავად მაღალი ფასისა, მომხმარებელს მაინც პოულობდა.

Origins of beer production in Georgia

T. Paichadze

Beer production in feudal Georgia was of natural character, i.e. this product was not brought to market for sale.

In XIX century, after Georgia's annexation to Russia, German "sectarians" who had migrated from Wurttemberg and Baden started commodity production of beer in Tbilisi for the first time.

Commodity production of beer commenced in two German settlements in Tbilisi, first in 1850 by A. Madder, in 1865 by Fr. Wetzel and then by R. Dietrich and Gutbrod. Local entrepreneurs got involved in beer manufacturing as well.

The article presents the dynamics of beer production in Tbilisi and of the income received from its sale.

¹ С. Гулиშამბаров. Обзоръ фабрик и заводов Тифлисской губернии. Тифлисъ, 1888,

“ნეკროპოლის გომირება” – შექმნილია ახალი ეპონომიკური თეორია¹

თვალსაჩინო ქართველმა ეკონომისტმა, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფ. ლადო პაპავაშ ფრიად აქტუალური, საინტერესო და ორიგინალური მონოგრაფია გამოსცა სათაურით – “ნეკროეკონომიკის ზომბირება”. ამ ნაშრომში ხამოყალიბებული იდეების გააზრება მათ ფართო კონტექსტით განხილვას მოითხოვს.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მსოფლიო ეკონომიკური აზროვნების განვითარებას განსაზღვრავდა ორი მიმართულების – კეინზიანელობისა და ეკონომიკური თეორიის ახალი კლასიკური სკოლის (მონეტარიზმი, რაციონალური მოდელინის თეორია...) დაპირისპირება. საბჭოური ეკონომიკური მეცნიერება ამ პერიოდში მაგისტრალური გზის მიღმა იმყოფებოდა და “სოციალისტური” ეკონომიკური სისტემის “უპირატესობათა დასაბუთებით” იყო დაკავებული. მის შიგნითაც ადგილი პქნიდა გარკვეულ პოზიციონირებას: თეორიული დებულებების დამუშავება “ცენტრის” პრიორიტეტი იყო, “პერიფერიებს” კი ადგილობრივი ეკონომიკური პრობლემების შესწავლა ევალებოდა. საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მოპოვების შემდეგ ქართველ ეკონომისტებს მიეცათ საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის შესაძლებლობა, თუმცა, სხვადასხვაობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, ამ შესაძლებლობის სწრაფი და ადვილი რეალიზება არ მომხდარა. პირველი მეცნიერებისტი, რომელმაც გარდვევა მოახდინა ამ მიმართულებით, პროფ. ლადო პაპავაშ. იგი ჩამოყალიბდა ეკონომიკური ტრანზიტოლოგიის აღიარებულ მკვლევარად და ლირსეული ადგილი დაიკავა ისეთ მეცნიერთა შორის, როგორებიც არიან უნგრელი იანოშ კორნაი, ამერიკელი ჯეფრო საქსი, პოლონელები – ლეშეკ ბალცეროვიჩი და ბერგოჟ კოლოდკო, შვედი ანდერს ოსლუნდი და სხვ. ეკონომიკურ ტრანზიტოლოგიაში ლადო პაპავა შევიდა პოსტკომუნისტური ეკონომიკური ტრანსფორმაციის ისეთი მნიშვნელოვანი, ორიგინალური და უკვე საკმაოდ აღიარებული თეორიით, როგორიცაა ნეკროეკონომი-

¹ გლადიომერ (ლადო) პაპავა. ნეკროეკონომიკის ზომბირება. თბილისი 2010.

კური თეორია (ნეკროგონომიკისი). ამ თეორიის ერთ-ერთი არსებითი პოზიტიური მხარეები მისი გახსნილობა. ეს საშუალებას იძლევა, ჯერ ერთი, მოცემული თეორიული სისტემა გადრმავდეს და დაკონკრეტ-დეს გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე თანამედროვე პროცესების ანალიზის საფუძველზე, და მეორე, იგი წარმოადგენს ქმედით თეორიულ-მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტს მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების გასაანალიზებლად.

ვფიქრობთ, სწორედ ამ პარადიგმის ჩარჩოში უნდა იქნეს განხილული სარეცენზიო ნაშრომი. კერძოდ, ავტორი ნეკროგონომიკის თეორიას ამდიდრებს ახალი ფენომენით – ზომბირებით და გვთავაზობს ახალ სიმბიოზს – ნეკროეკონომიკის ზომბირება. ეს უკანასკნელი კი, როგორც თეორიული ინსტრუმენტი, გამოყენებულია შევის რეგიონის ქვეყნების ეკონომიკაზე თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენის შესაწავლად.

ნეკროგონომიკას, ავტორის აზრით, წარმოქმნის ის ფირმები, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქცია “მისი დაბალი ხარისხის, ან (და) სიძიორის გამო, საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით, არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა” (გვ. 19). შესაბამისად, “ამ პროდუქციისათვის ბაზარი არ არსებობს და ვერც იარსებებს. ასეთი ტიპის ეკონომიკას შეგვიძლია უუწოდოთ “მკვდარი”, ანუ ნეკროეკონომიკა”. მკვდარი ეკონომიკა ერთგვარი მეტაფორაა, რომელიც, ჩვენი აზრით, აფიქსირებს მნიშვნელოვან გარემოებას – ამგვარი ეკონომიკის არსებობა უსარგებლო და უფრო მეტიც, ზარალიანია საზოგადოებისათვის. პროფ. ლადო პაპავა ამერიკელი მეცნიერების (კლიფორდ გადის, ბარი იკისა და დევიდ კუდროფის) მოსახურებებზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ ნეკროეკონომიკის ცნებასთან ყველაზე მიახლოებულია “ვირტუალური ეკონომიკის” ცნება. ამ უკანასკნელში იგულისხმება ტრადიციული შინაარსისაგან განსხვავებული გაგბა, რის შესახებაც სასურველი იყო ავტორს პატარა განმარტება მიეცა მკითხველისათვის მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. ნეკროეკონომიკა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხარისხთანაა დაკავშირებული და არსებობას ინარჩუნებს როგორც პოსტკომუნისტური გარდამავალი, ისე პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნების ეკონომიკაში. მასთან ერთად, რა თქმა უნდა, არსებობს ეკონომიკის

ახალი ნიზამი: როგორია პროცესიონალ-რეცენზინგითა აზრი?

სიცოცხლისუნარიანი ნაწილი, რომელსაც ავტორი უწოდებს “ვიტალურ ეკონომიკას”, ანუ ვიტაეკონომიკას, ხოლო მის შემსწავლელ თეორიას კი – ვიტაეკონომიკის თეორიას, ანუ ვიტაეკონომიკს (გვ. 19).

პროფ. ლადო პაპავას თეორიული კონსტრუქციის მეორე უმნიშვნელოვანების კომპონენტია ზომბირება. “ზომბი-ფირმები” არის გადახდის უუნარო, ფაქტობრივად, გაკოტრებული ფირმები, რომლებიც მაინც განაგრძობენ ფუნქციონირებას” (გვ. 16). მათი არსებობის ძირითადი ფინანსური წყაროა დაკრედიტების სისტემა, რომელსაც ახორციელებს ე.წ. “ზომბი-ბანკები”. ისინი შედავათიანი პირობებით აძლევენ კრედიტებს ზომბი-ფირმებს, ზომბი-ბანკების უკან კი, როგორც წესი, მთავრობა დგას, რომელიც გასცემს სამთავრობო გარანტიებს და ახორციელებს დეპოზიტების დაზღვევას. მაშასადამე, იკვება წრე, ანუ ყალიბდება ქვესისტემა:

ზომბი-ფირმები ← ზომბი-ბანკები ← სახელმწიფო (მთავრობა) ← გადასახადის გადამხდელები.

ნეკროეკონომიკისაგან განსხვავებით, ზომბი-ეკონომიკა საბაზო ეკონომიკის პროდუქტია, რომელიც მძიმე ტენირთად აწვება ამ ეკონომიკური სისტემის სიცოცხლისუნარიან ნაწილს. კერძოდ:

ა) იზღუდება ბაზარზე ჯანსაღი ფირმების გაჩენისა და არსებობის შესაძლებლობა;

ბ) იქმნება ჯანსაღი ფირმების ზომბი-ფირმებად გადაქცევის სტიმული;

ც) არაეფექტური ინდუსტრიალური რესურსები;

დ) ქვეითდება მთელი ეკონომიკის ეფექტურობა.

ავტორის აზრით, ზომბი-ეკონომიკა ფინანსურ კრიზისში იღებს სათავეს და კრიზისის დასრულების შემდეგ მისი არსებობა გრძელდება. თუმცა, ვფიქრობთ, ზომბი-ეკონომიკა შესაძლებელია არსებობდეს ფინანსური კრიზისის გარეშეც, ანუ წარმოადგენდეს თვითაღწარმოებად ფენომენის. ფინანსური კრიზისი მნიშვნელოვნად აფართოებს ზომბი-ეკონომიკის მასშტაბებს და ახალი კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთ მიზეზად გვევლინება.

ნაშრომში საინტერესოდაა აღწერილი ნეკროეკონომიკისა და ზომბი-ეკონომიკის ფენომენები ეკონომიკური ცვლილების ევოლუციის თეორიიდან გამომდინარე. კერძოდ, გამოყენებულია “რუბინის” ინსტრუმენტი. ნეკროეკონომიკის რუბინა იბადება ადმინისტრაციულ-

მბრძანებლური ეკონომიკის წიაღში და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში “აიძულებს” მკვდარ საწარმოებს იმუშაონ მაშინაც კი, როცა ეს სისტემა უკვე აღარ არსებობს (პრაქტიკაში ეს გამოიხატება მკვდარი საწარმოებისათვის სხვადასხვა საგადასახადო შედაგათის მინიჭებით). საკუთარი რუტინა გააჩნია ზომბი-ეკონომიკას, რომლის მატარებელია არა ცოცხალი ადამიანი, არამედ ზომბი, რომელიც ასევე საბაზრო ეკონომიკის პროდუქტია. ავტორს თეორიულ ანალიზში შემოჰყავს “*homo economics*”-ის, “*homo transformaticus*”-ისა და “*zombie economics*”-ის ცნებები. *zombie economics*-ი არის *homo economics*-ის მუტანტი, რომელიც, ავტორის აზრით, ფინანსური კრიზისის გამო დეფორმირებული ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებთან შეგუბის, ადაპტირების პროცესში ჩამოყალიბდა (გვ. 34). თითოეული ამ ფენომენის გვარობრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე, კეთდება დასკვნა, რომ ნეკროეკონომიკის დაძლევა უფრო აღვილია, ვიდრე ზომბი ეკონომიკის. პირველი შეიძლება განხორციელდეს გარდამავლი და პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნების ეკონომიკის განვითარებულ საბაზრო ეკონომიკად ტრანსფორმაციის შედეგად, ხოლო ზომბი-ეკონომიკის დაძლევის ერთადერთ გზად, ჯერჯრობით, მიჩნეულია გაკოტრების შესახებ კანონმდებლობა, რომლის ეფექტიანობაც, მეცნიერის აზრით, არასაკმარისია არა მარტო პოსტკომუნისტურ, არამედ გავითარებად ქვეყნებშიაც (გვ. 29).

ლადო პაპავას მიერ შემოთავაზებული ნეკროეკონომიკის ზომბირების თეორიის შემდგომი კონკრეტიზაციის კონტექსტით შესაძლებლად მიგაჩნია რამდენიმე მიმართულების გამოყოფა. პირველი, ნეკროეკონომიკის ზომბირების ურთიერთკავშირის გადრმავება შემპატეტისეულ ევოლუციურ თეორიასთან. როგორც ცნობილია, იოზეფ შემპატერი ერთმანეთისაგან განასხვავებდა ეკონომიკური აგენტის ორ ტიპს – მეწარმეს (ნოვატორს) და კონსერვატორს. იწყებს რა სამურნეო საქმიანობას, ნოვატორი რესურსებზე მოთხოვნის გაზრდით, ხელს უწყობს მასზე ფასების გაზრდას. ამის შედეგად უარესდება კონსერვატორის მდგომარეობა, რომლის პროდუქტიც დაბალხარისხია (არაკონკურენტურიანია) და არ არსებობს მასზე მოთხოვნა. მაშასადამე, კონსერვატორი ფინანსურ ზარალს განიცდის და, შემპატერის პარადიგმის თანახმად, არც ერთი კომერციული ბაზი არ გასცემს კრედიტს კონსერვატორის ფინანსური დანაკარგების ასანაზღაურებლად. სწორედ ამაში მდგომარე-

— ახალი წიგნები: როგორია პოლიტიკური-რეცენზიურული აზრი?

ობს შემპატერისეული მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვის თეორემის არსი, რომელიც ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, წარმოიშობა რამდენიმე საინტერესო კითხვა – რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ზომბირების გამო შემპატერისეული მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვის პრინციპი რეალურ სინამდვილეში მუდმივად ირღვევა? ზომბირების თეორია ამ პრინციპის უარყოფა თუ მისი მოდიფიცირება ახალი პირობების შესაბამისად?

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ზომბი-ფირმებისა და ზომბი-ბანკების დაფინანსების მექანიზმების შემდგომი კვლევა. ჩვენი აზრით, აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოტივაციის განსაზღვრას. ზომბი-ფირმებთან მიმართებით ეს მარტივი საკითხია: მათი მთავარი მოტივაცია თვითგადარჩენა მაღალკონკურენტულ საბაზრო გარემოში, რომლის მთავარი მექანიზმია ეგზოგენური ფაქტორების გამოყენება. ზომბი-ბანკების მოტივაციაა გარანტირებულ გარემოში ფუნქციონირების სურვილი, სახელმწიფოს მოტივაცია კი უპირატესად სუციალურ-პოლიტიკური შინაარსისაა. ყოველივე ეს კარგადადა დასაბუთებული ნაშრომში, თუმცა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეიძლება არსებობდეს დამფინანსებულთა (პირველ რიგში ზომბი-ბანკების) წმინდა კომერციული ხასიათის მქონე სხვა მოტივაციებიც. მათი ანალიზი კიდევ უფრო გაამდიდრებდა შემოთავაზებულ თეორიას. შემდეგი კითხვა, რომელსაც, ჩვენი აზრით, პასუხი უნდა გაეცეს, მდგომარეობს შემდეგში: რომელია ზომბი-ფირმა? ის, რომელიც ადრე ეველტიანად ფუნქციონირებდა და ფინანსური კრიზისის გამო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, თუ ის, რომელიც მუდმივად ზარალიანია და გარედან იდებს ფინანსურ დახმარებას? მიგვაჩნია, რომ ზომბი-ფირმების არსებობის საფუძველია არა მხოლოდ ზომბი ბანკების მხრიდან მათი დაკრედიტება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფინანსური მექანიზმი და სახელმწიფოს მხრიდან მათდამი ირბი დახმარება. მათი ჩართვა ანალიზში, ვფიქრობთ, შემოთავაზებულ მოდელს კიდევ უფრო დააახლოებს რეალურ ეკონომიკურ სინამდვილესთან.

მონოგრაფიის მეორე თაგში მეცნიერი განიხილავს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების მდგომარეობას ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში და ყველა მათგანს აძლევს სპეციფიკურ დახასიათებას:

• აზერბაიჯანი განიხილება როგორც დახურული ეკონომიკის ქვეყანა, რომლის განვითარება ძირითადად ეკრძნობა ენერგოსექტორს;

• ალბანეთის ეკონომიკის ასევე ჩაკეტილობამ განაპირობა ის, რომ მან ნაკლები ზიანი განიცადა კრიზისის დროს;

• ბულგარეთიც ასევე ნაკლებად განიცდიდა კრიზისის ზე-გავლენას, ვინაიდან სრულად არ იყო ინტეგრირებული ევროპულ ეკონომიკური სტრუქტურებში. ამასთანავე, მისი საბანკო სისტემა არ აღმოჩნდა დაზღვეული ზომბირების პროცესისაგან;

• თურქეთმა თითქმის სრულად განიცადა ზომბი-ეკონომიკის უარყოფითი ზეგავლენის ეფექტი;

• მოლდოვას შემთხვევაში საჭმე გვაქვს ეკონომიკის ნაკლებად რეფორმირების პრაქტიკასთან;

• რუმინეთში გაკოტრების კანონმდებლობის პრაქტიკაში განხორციელების მიუხედავად, ეკონომიკის გარემოები სუქტორები კვლავ რჩებოდა ნეკროეკონომიკისა და ზომბი-ფირმების ფუნქციონირების პირობებში;

• რუსეთი წარმოდგენილია როგორც ნეკროეკონომიკის კლასი-კური ქვეყანა, რაც განაპირობებს მისი ეკონომიკის რეალური სექტორის დაბალ ეფექტიანობას;

• საბერძნეთი დახსიათებულია როგორც არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების ნიმუში;

• საქართველო განილებულია როგორც “ომის პარადოქსის” მქონე ქვეყანა. პარადოქსია ის, რომ პრაქტიკულად ომბა დიდი ზიანი არ მიაყენა ეკონომიკას,. უფრო მეტიც, მიღებულმა დიდმა უცხოურმა დახმარებამ, რომლის მიზეზიც ომი იყო, მნიშვნელოვნად შეარბილა გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი ზეგავლენა;

• სერბეთი მეტ ყურადღებას აქცევდა პოპულისტურ ზომებს, ვიდრე გონიერული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, რამაც პრობლემები შეუქმნა ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას;

• სომხეთის შემთხვევაში საჭმე გვაქვს ცნობილ “დიასპორის” პარადოქსთან, რომელიც იძლევიდა ეკონომიკის მეტ-ნაკლებად სტაბილურად ფუნქციონირების შესაძლებლობას კრიზისის პირობებში;

• უკრაინა ხასიათდებოდა ეკონომიკური პოლიტიკის გატარების არათანმიმღებრობით, რაც იწვევდა რყევებს მის გაგითარებაში.

ყველა ზემოთხამოთვლილ ქვეყანას, მათი სპეციფიკურობის მიუხედავად, ახასიათებდა მთავრობების გადაჭარბებული ჩარევა ეკონომიკის ფუნქციონირებაში და ზომბი-ფირმების მხარდაჭერა.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ სარეცენზიონი ნაშრომში ლაპიდალური სტილითად ჩამოყალიბებული პრინციპული და ახალი ეკონომიკური თეორია – ნეკროეკონომიკის ზომბირება, რომელიც საშუალებას იძლევა საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი გლობალურ ეკონომიკაში, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციისა და პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნების ეკონომიკაში მიმდინარე თანამედროვე პროცესები, განსაკუთრებით კი გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენის სხვადასხვა ასპექტი.

წიგნის სახით მკითხველმა კარგი საჩუქარი მიიღო, რაც მისი ავტორის, პროფ. ლადო პაპავას კიდევ ერთ ახალ შემოქმედებით წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

ელგუჯა მიქაბიშვილი
გაონ.მეცნ. დოქტორი, პროფესორი
თემოქარაბ ბერიძე
გაონ.მეცნ. დოქტორი, პროფესორი

КОГДА В РУКАХ ДЕРЖИШЬ ТАКОЙ УЧЕБНИК!...



На сегодняшний день в Грузии, когда рыночная экономика начинает развиваться, для оценки количественной стороны массовых общественных явлений велика роль статистики.

Настоящий рецензируемый учебник, в котором рассматриваются теория и методологические вопросы социально-экономической статистики, написан авторским коллективом и издан под редакцией широко известного статистика, доктора экономических наук, профессора, члена-корреспондента Российской Академии Наук И.И. Елисеевой.

Авторский коллектив в первой главе учебника убедительно рассматривает вопросы сбора, обработки и представления статистических данных. Здесь компактно представлены четыре главы из общей теории статистики – статистическое наблюдение, сводка и группировка статистических данных, таблицы, графики.

Во второй главе книги надлежащим образом изложены вопросы категории средних величин, показателей вариации. В третьей главе обстоятельно рассмотрены узловые вопросы теории выборочного наблюдения. В четвертой главе дается сущность дисперсионного и регрессионного анализа.

В учебнике на высоком теоретическом уровне проанализированы основные вопросы динамических рядов.

В книге наиболее обстоятельно изложены понятие, разновидности индивидуальных, агрегатных, средних индексов, анализ по

¹ Статистика. Учебник для вузов. Под. ред. И.И. Елисеевой. СПБ, Питер, 2010,

факторам.

Проблемам социально-экономической статистики посвящаются семь глав рецензируемой книги, которые глубоко изучены и обобщены.

Из этих глав, прежде всего, заслуживают внимания структура национального богатства и методы его оценки.

В учебнике должным образом представлены статистика населения и рынка труда, показатели выпуска товаров и услуг по отраслям хозяйства и статистика цен.

В книге особое внимание заострено на методах измерения уровня жизни населения, статистике доходов, потребления, потребительской корзине и на потребительском бюджете.

В данной работе, автор 12-ой главы Е.Б. Капралова уместно останавливается на вопросах статистики государственных финансов, налогообложения, денежного обращения, банковской статистики, биржевой деятельности и страхования.

В конце работы, в 13-ой главе, рассмотрены понятие системы национальных счетов, теоретические основы построения СНС, основные счета экономики, связь между ними, международный баланс производства и распределения товаров и услуг.

Достоинством учебника является то, что после каждой главы приводится список литературы и прилагается диск с методическими материалами – решения типовых задач, заданиями для студентов, тестами, а также рекомендации для студентов и преподавателей.

Несмотря на отмеченные положительные стороны, в данной работе, на наш взгляд, встречаются спорные рассуждения и некоторые неточности:

1. В учебнике, который предназначен для студентов высшей школы, по нашему усмотрению, было бы целесообразным сначала рассмотреть предмет, метод и задачи статистики;

2. В работе в качестве одной из разновидностей статистического наблюдения предлагается отчетность и специально организованное статистическое наблюдение (с.20), которые являются не видами, а формами. Однако существует и третья форма статистического наблюдения – регистровое наблюдение, которое здесь не рассматривается;

3. На 32-ой странице первой главы работы, Е.К. Васильева предлагает такой тезис, что относительными величинами являются - средние величины, показатели вариации, динамики, связи, но подобное рассуждение считаем ошибочным, так как они выступают самостоятельными статистическими показателями;

4. В работе не рассмотрены абсолютные и относительные величины. Такое непризнание указанных величин в учебниках данного уровня недопустимо;

5. В третьей главе учебника – «Выборочное наблюдение», безусловно должен быть рассмотрен такой важный вопрос, как методы распространения результатов наблюдения на всю совокупность;

6. На 147-ой странице работы автор Н.В.Шкурко отмечает, что индекс - это относительная величина сравнения, что по нашему мнению, не является правильным. Они совсем разные показатели и в отличие от обычных относительных величин, индексы позволяют измерять изменение сложных явлений (состоящих из неоднородных, непосредственно несопоставимых элементов) во времени, в пространстве не одним изолированным признаком, а в связи с другими признаками.

Следует отметить, что указанные пробелы не умаляют основные достоинства рецензируемого учебника и он неоспоримо заслуживает положительной оценки.

Учебник внесет большой вклад в дело образования студентов экономического профиля и особенно будет содействовать формированию


**М.И. Турава
Доктор экономических наук, профессор**

**З.Д. Шония
Академический доктор экономики**

გლობალური ბიზნესი: თეორია და პრაქტიკა

საქართველოს აქტიური მისწრაფება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, მთელი მონდომებითა და სრულყოფილი ფორმით ჩაერთოს თანამედროვე მსოფლიოს თანამეგობრობაში, სახელმწიფო უნივერსიტეტი მნიშვნელობის ერთადერთი სწორი და უაღმერნატივო სტრატეგიული კურსია. დღეს გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე რამდენიმე წლის წინ, ეროვნული სამრეწველო კომპანიები და სხვადასხვა საფინანსო საშუალები სტრუქტურები ნაყოფიერად საქმიანობებ საერთაშორისო ასპარეზზე და ეროვნული დოკუმენტების შექმნა-გადიდებაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ. თუმცა, ამ მიმართულებით სამომავლოდ გასაკეთებელი კიდევ ძალზე ბეჭრია.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო ასპარეზზე ბიზნეს-საქმიანობა გაცილებით რთულია და მრავალ შემთხვევაში – სარისკოც. თანამედროვე მძაფრ კონკურენტულ პირობებში, მსოფლიო არენაზე ბიზნესის კეთება „თამაშის“ იმ წესების მკაცრ დაცვას მოითხოვს, რომელებიც საყოველთაოდ მიღებული და აპრობირებულია. ყოველი წელი მნიშვნელოვანი საშუალება გადამცველი სამომავლოდ გასაკეთებელი კიდევ ძალზე ბეჭრია.



ლივეს ამას კი სათანადო შესწავლა და გათვალისწინება სჭირდება. ამიტომ, უდავოდ მისასალმებელია იყ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნესის“ კათედრის ხელმძღვანელის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, სრული პროფესორის თემურაზ შენგალიას მცდელობა ქართველი სტუდენტი - ახალგაზრდების, ბიზნესმენებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის მშობლიურ ენაზე შექმნა ისეთი სრულყოფილი სახელმძღვანელო, რომელიც მათ დღევანდელ ინტერესებს დააკმაყოფილებდა და სამომავლოდაც ღირსეულად წაადგებოდა.

ჩვენი აზრით, ამ მეტად რთულ საქმეს ავტორმა ღირსეულად გაართვა თავი.

სარეცენზიონ ნაშრომი, რომელიც მოიცავს კომპიუტერული გერსით 4 ფორმატზე დაბეჭდილ 650 გვერდს, შედგება 16 თავისა-გან. მასში განხილულია თანამედროვე გლობალური ბიზნესისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. მეტად საყურადღებოა ისიც, რომ სახელმძღვანელოს ყოველი თემა თანამე-დროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის მკაცრი გავლენის ასექტითაა განხილული თავისი დადგებითი და უარყოფითი შედგებით.

სახელმძღვანელო გვხიბლავს თეორიული და პრაქტიკული მასალების შეჯერების აგტორისეული სტილით, თეორიული დებულებებისა და კონცეფციების გადმოცემის ორიგინალურობით, რომელი საკითხების აღსაქმელად მეტად მარტივი და იოლად გასაგები მანერით, წარმატებული ტრანსეროვნული კომპანიების ბიზნეს-სტრატეგიებითა და პრაქტიკული მიღებით.

სარეცენზიონ სახელმძღვანელოში მრავლად გვხვდება ავტორი-სეული შეხედულება სადაც საკითხების თაობაზე, რაც შესაბამისი თემატიკის შემსწავლელ ყოველ პირს დააფიქრებს და საკუთარი, თუნდაც განხსნავებული აზრის ჩამოყალიბების საშუალებას მისცემს.

სახელმძღვანელოში უხვადა სტატისტიკურ-ანალიტიკური მასალა, რაც სტუდენტებს უდავოდ წაადგებათ სხვადასხვა სახის წერილობითი დავალების (საკურსო, სარეფერატო, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის) შესრულების დროს.

ნაშრომში ორიგინალურადაა ჩართული წარმატებული ტრანსეროვნული კომპანიების პრაქტიკული გამოცდილებანი და საანალიზო ქეისები. ყოველ თაგს ახლავს მიმოხილვითი

შეკითხვები და თემაში განხილული საკითხების მოკლე გამოორებები. სახელმძღვანელოს დართული აქცეს გამოყენებული უცხოური ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, რაც ამ ტიპის სახ-წავლო ლიტერატურისათვის მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია.

ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ სარეცენზიონ სახელმძღვანელოს ლირსებას კიდევ უფრო გაზრდიდა ოფშორული ბიზნეს-კომპანიების საქმიანობის, ასევე საერთაშორისო ბიზნეს-პრაქტიკაში ამჟამად მოქმედი საგადასახადო-საბაჟო მექანიზმებისა და ლოჯისტიკის საკითხების განხილვა.

მთლიანობაში, სარეცენზიონ სახელმძღვანელო სრულად პასუხობს ამ ტიპის სახწავლო ლიტერატურისადმი წაყენებულ სადღეისო მოთხოვებს, მნიშვნელოვან დახმარებს გაუწევს როგორც სტუდენტ-ახალგაზრდობას, ასევე საერთაშორისო ბიზნესის თეორიული და პრაქტიკული საკითხებით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

გურამ ხოლია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკისა და ტურიზმის მიმართულების ხელმძღვანელი

**საერთაშორისო პიტკენის სოციოკულტურული
გარემო – საერთაშორისო კონფერენცია**

ეკონომიკისა და პიტკენის უკულტეტებები

2011 წლის 27-28 ოქტომბერის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე – „საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო“. კონფერენციის ორგანიზატორი, თხუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან ერთად, იყო გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის საერთაშორისო სკოლა. კონფერენცია ჩატარდა სამეცნიერო კვლევითი პროექტის ფარგლებში, რომლის მხარდამჭერია კაგასიის შევიცარიული აკადემიური ქსელი (ASCN).

კონფერენციის მიზანი იყო საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემოს ასპექტების შესწავლით დაინტერესებული სხვადასხვა სფეროს მკვლევარების შექრება – აღნიშნული გარემოს კვლევის სფეროში დაგროვილი გამოცდილებისა და თანამედროვე მიდგომების გაზიარების მიზნით. საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს ფილოსოფიის, ფიქოლოგიის, ეკონომიკის, მენეჯმენტის, მარკეტინგის და სხვა სფეროების სპეციალისტებმა. კონფერენცია მნიშვნელოვანი იყო საკვლევ საკითხზე ინტერდისციპლინარული ხედვისა და მიდგომების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მოხსენებები ორგანიზაციულ კულტურასა და მეწარმეობაზე, ორგანიზაციულ განვითარებაზე, კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესზე, ცოდნის მენეჯმენტზე, მარკეტინგულ გადაწყვეტილებებსა და ლიდერობაზე სოციოკულტურული ელემენტების ზემოქმედე-



ბაზე და ა. შ.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ პოლონეთის, უკრაინის, ლიბი ბრიტანეთის წარმომადგენლები, რომლებმაც გამოხატეს მზადყოფნა ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობის გაგრძელების შესახებ.

ეკონომიკის აკადემიური დოქტორები
6. პაპაჩაშვილი, შ. შაბურიშვილი, ლ. ჯამაგიძე

გადაეცა ასაწყობად - 10.02.2011
ხელმოწერილია დასაბუჭიდად - 25.02.2011
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი - 12, ტირაკი - 150

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა,
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
0128, Tbilisi, 14, I. Chavchavadze Av.
www.press.tsu.ge (25-14-32)

დაიბეჭდა სტამბაში - „გეორგიკა“
თბილისი, ჯიქიას 10.

ქომპიუტერული უზრუნველყოფა -
მანანა ჯიხვიშვილი